

9 772298 4095006

საზოგადოებრივ-ცოტარატყარი ჟარნალი



# პ

# რილი

1134  
2014

მიჯალ უაღაჟი და  
ბარან-ანრი ლჟი  
„საზოგადოების  
მტრები“

უასკალ ჟინიარი  
ენაზე მომდგარი  
სახელი

სიღვანე ტასონი  
ასტალტი

ჟიარი მიჟონი  
გარდაცვლილი  
გოგონას ცხოვრება

ხელი  
ჟორტასარი - 100

ხათუნა ხაბულიანი  
Re: Museum



2014/საქათაბარი

# 7 (227)

# თანაბარიოვა ფრანბული ჟროვა

# სარჩევი



- თანამედროვე ფრანგული პროზა 1 ლაშა მილორავა | მოწყენილი მწერალი
- 8 მიშელ უელბეკი და ბერნარ-ანრი ლევი | „საზოგადოების მტრები“, მიმოწერა  
ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიაშ
- 19 პასკალ კინიარი | ენაზე მომდგარი სახელი  
ფრანგულიდან თარგმნა გურანდა დათაშვილმა
- 27 სილვენ ტესონი | ასფალტი  
ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილიევილმა
- 35 პიერ მიშონი | გარდაცვლილი გოგონას ცხოვრება  
ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილმა
- ხულიო კორტასარი - 100 45 მარიო ვარგას ლიოსა | დეიას საყვირი
- 54 ჯეისონ ვაისი | ინტერვიუ ხულიო კორტასართან
- კრიტიკა 62 ლექსო დორეული | ნინო დარბაისელის გრძელი “კიტა ბრევის” - “ALL IN ONE”
- ხელოვნება 69 ხათუნა ხაბულიანი | Re: Museum

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# Arili

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
“არილის” ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine “Arili”

რედაქტორები  
მალხაზ ხარბელია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბელია

სარედაქციო საბჭო

რადი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, შაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასავსენაბელი სინფინდითა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)  
ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)

გამოდის 1993 წლიდან

© ფუნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება  
“არილის” რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფუნალში გამოდის საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო


ლაშა მილორავა

# მონყენილი მწერალი

“მე ვარ რეალისტი და ვწერ იმაზე, რაც არის”.

მიშელ უელბეკი, “ინტერვიუ მიშელ უელბეკთან და ალენ რობ-გრეიესთან”

195



არაერთხელ დამისვამს საკუთარი თავისთვის შეკითხვა: “რატომ გახდა მიშელ უელბეკი ფენომენალური მასშტაბების ავტორი?” რთულია, მხოლოდ და მხოლოდ ნატურალისტური პორნოგრაფიული სცენებითა და ძალადობის ამსახველი პასაჟებით ფონს გასვლა, - მსგავსი რამ უამრავ ავტორს გაუკეთებია თავის დროზე და რაიმე ახალი აქ არც არაფერია. შემდეგ დავფიქრდი, რა პასუხს გამცემდა თვითონ უელბეკი. თავში მხოლოდ ერთი ვარიანტი მიტრიალებს - “იცი, მე უბრალოდ მოვიწყინე”. ერთია წერა იმაზე, რასაც ხედავ, რასაც აღიქვამ, რაც

საზოგადოებას ჭრილობაზე მარილს აყრის, მეორეა გრძნობდე ამას, ისიხსლხორცებდე და ალბათ სწორედ ეს შეძლო მიშელ უელბეკმა - დანახვა იმის, თუ როგორი ინდიფერენტული, მონყენილი გახდა ხალხი.

როცა უელბეკს კითხულობ, გეკმნება შთაბეჭდილება, რომ მას საერთოდ არაფერი ადარდებს. და არც აინტერესებს. მონმის სტატუსსმორგებული, გამართული სამეტყველო ენით, ხშირად დიდი დრამატიზმით, მგრძნობიარედ, მაგრამ ასევე ცივადაც აღწერს ადამიანის, როგორც ასეთის, ვიტალურ პრობლემებსა და ფატალურ აღ-

თემატური ნომერი დაიბეჭდა მერაბ მამარდაშვილის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით.  
 Ce numéro spécial, publié dans le cadre du Programme d'Aide à la Publication Merab Mamardashvili, a bénéficié du soutien de l'Institut Français de Géorgie.





სადღებლობაში”.

შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საქმე მწერალთან, რომელიც თვალს უსწორებს თანამედროვე ეპოქის თავისებურებებიდან გამომდინარე ტანჯვას და ხედებას, რომ ასაკის მომატებასთან ერთად ეს მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ გართულებდა, - ხოლო ბუნებრივი პროცესის შეუქცევადობიდან გამომდინარე, ხსნას ლიტერატურაში პოულობს. ასე რომ, გარკვეულწილად მიშელ უელბეკის ტექსტები შეგვიძლია ერთ დიდ ინდივიდუალურ უტოპიად აღვიქვათ, უარის ნიშნად დადგენილი კანონების მიმართ. ესეში “თავიდან - ტანჯვა” უელბეკი წერს: “ცხოვრება ამტანობის შესამონმეხელი ტესტების რიგია. ჩააბარეთ პირველი ტესტები, ჩაიჭერი დაწარჩენებში. გაიფუჭეთ ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე არა. და იტანჯეთ, ყოველთვის იტანჯეთ. ყველა უჯრედით ტკივილის შეგრძნება უნდა ისწავლოთ. სამყაროს თითოეული ნამსხვრევი პიროვნულ ჭრილობად აქციეთ. მიუხედავად ამისა, სიცოცხლე გააგრძელებთ - გარკვეული დროის განმავლობაში მაინც”, რითაც, ფაქტობრივად, მთელი თავის შემოქმედების აჯამებს (ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ეს შემოქმედება სათავეს აიღებდა). მიშელ უელბეკის პერსონაჟები, მის მსგავსად, ცხოვრებაზე გულაცრუებული, მოწყვნილი, სევდიანი, ხალისდაკარგული, მხოლოდ და მხოლოდ მეტაბოლურად აქტიური ადამიანები არიან, რომელთაც დასაკარგი არაფერი აქვთ, თუმცა მაინც არ სურთ სიკვდილი. რაღაც შინაგანი ძალა უბიძგებთ ცხოვრება განაგრძონ, იმედი არ დაკარგონ, უკეთესის მოლოდინში გაატარონ უკანასკნელი დღეები. გამოდის, არც იმდენად პესიმისტთან გვაქვს საქმე, რამდენადაც უბრალოდ იმდენად ცრუებულ, ნაწყენ ადამიანთან, რომლის მთავარი მიზანიც, სხვების მსგავსად, მაქსიმალურად დიდხანს ცხოვრებაა. ასე რომ, არასწორი იქნება უელბეკის ტექსტების აღქმა როგორც პირდაპირი მოწოდება თვითგვემისკენ, - მისი ნაწარმოებები იმედისმოძვემად, ნაპერწკლის ჩამსახველად უნდა მივიღოთ, რომლის გაღვივებაც უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. და განა ყველა მწერლის მოვალეობა უპირველეს ყოვლისა მკითხველისთვის იმედის მიცემა არ არის?

სასრულს. დაბადებიდან გარდაცვალებამდე არაფერი ხდება. ვიცვლებით მხოლოდ ფიზიკურად, დროგამოშვებით სექსით ვკავდებით, ვუყურებთ ტელევიზორს და ერთ დღესაც ბრახ - სანოლზე გაჭიმულს, გაცივებულს გპოულობენ.

უელბეკის (ძირითადად ადრინდელი) რომანების კითხვისას, ხვდები, რომ მას დაბერება არ სურს. ხანში შესულთაც, შესაბამისად, ვერ იტანს, მაგრამ იცის, ამას ვერ გაექცევა - ოდესღაც მათ დაემსგავსება, ჩამოხმება, კანი დაუღუპება და ძლივს იმეტყველებს. ერთადერთი გამოსავალი სუიციდია, ამის გამხედაობა კი რეალურ ცხოვრებაში არ ყოფნის, ასე რომ, ისევ ლიტერატურაში იკლავს თავს - მისი თითქმის ყველა მთავარი პერსონაჟი ბოლოში იმ ქვეყნად მიემგზავრება.

“ორმოცდაათის მერე ცხოვრება მხოლოდ იწყება, ეს მართალია. მაგრამ აი, მთავრდება იგი ორმოცში”, წერს უელბეკი “კუნძულის შე-

თუმცა, მგონი, უკეთესი იქნება, თუ ამ ნაპერწკლის გაღვივებას, პარალელურად კი - ავტორის დაბერებას, მისსავე შემოქმედებაში მივადევნებთ თვალს, რისთვისაც რამდენიმე საფეხურის გავლა იქნება საჭირო.

**საფეხური 1 - საკუთარი თავის რწმენა**

*“ბრძოლის ველზე მიშელ უელბეკთან ერთად”*  
 ამ ბრძოლაში თქვენ არ დაგჭირდებათ იარაღი და მძიმე არტილერია. არ დაგჭირდებათ მოკავშირეები, რადგან ის უშუალოდ ცალკეულ ინ-



დივიდებს ეხება და სანქსიონზე ნაგებულა.

“პარასკევ საღამოს კოლეგამ მეგობრულ ვა-  
ხშამზე მიიწვია. ოცდათამდე მაინც ვიყავით,  
ოცდახუთიდან ორმოც წლამდე საშუალო რგო-  
ლის მისამახურენი. ერთიც ვხანობ და ვილა-  
ც ნაკლამ გაშიშვლება იწყო”, - როცა რომანი სა-  
შუალო რგოლის წარმომადგენელთა წვეულები-  
თი იწყება, თან ვილაც ნაკლა უშაღ გაშიშვლებას  
იწყებს, შეუძლებელია შემდეგში რაიმე ცუდი,  
უფრო კონკრეტულად - დარდასა და სიკვდილთ-  
ან ასოცირებული არ მოხდეს. და ასეც ხდება.  
მთელი ისტორიის განმავლობაში ნატანჯ-ვაი-  
უშველებელ გამოვლილი, პრომისკუიტეტისგან  
გატანჯული უშო ტისერანი ბოლოს ავარიამი  
მოყვება და ადგილზევე გათავდება. ოღონდ ტი-  
სერანი მთავარი გმირი არაა, - ერთ-ერთი რიგი-  
თი, ოდნავ მსხვილი რგოლია, გრძელ, უსაშველ-  
ოდ გაჭიმულ სიყვარულის, ფულიასა და სექსუა-  
ლობის მძიებელ ჯაჭვში, რომელსაც ევროპუ-  
ლი (ცოდვა გამხელილი სჯობსო - არა მარტო  
ევროპული) საზოგადოება ენოდება. “ბრძოლის  
ველის განვრცობის” კითხვისას ხედები, რომ სა-  
ქმე გაქვს გამოუსწორებელ პესიმისტთან, უკი-  
დურეს მიზანთარობად, ყველასგან (ამ შემთხვე-  
ვაში საკუთარი ნებით) გარიყულ ადამიანთან,  
- ანტაგონისტთან, რომელსაც სხვა არაფერი და-  
რჩენია ხელნასაჭიდი, გარდა საკუთარი თავისა,  
რომელსაც ფაქტობრივად, ვერ იტანს. უელბეკი  
რომ გაიმეორო, ან უსაზღვრად კაცთმოძულე  
და ხელჩაქნეული უნდა იყო, ან - უელბეკი. “ბრძო-  
ლის ველის განვრცობა” არის ნიგნი, სადაც ჯერ  
კიდევ ლიტერატურულად ნორჩი უელბეკი, პირ-  
დაპირი, მეტაფორებისა და ზემოქმედ მონდომებ-  
ის გარეშე საკუთარ აზრს აფიქსირებს: “არ მიყე-  
ვარს ეს სამყარო. რა დაგიმალთ და მეზიზღება.  
საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობ, გულს მი-  
რევს. რეკლამა რწყევის გუნებაზე მაყენებს...”.  
შემდეგ კი: “...სიმაართლე თუ გსურთ, გულის გა-  
სახარს ვერაფერს ვხედავ. ყველაფერი შავ ფე-  
რებში და მესახება. ნეირონების უთავბოლო ხარჯ-  
ვაა და მეტი არაფერი”. და ერთი შეხედვით, ხე-  
ლნასაჭიდი აქ არაფერია, რაც, შეიძლება ითქვ-  
ას, მართალაცაა, რადგან ნიგნი კარგა თითქმ-  
ის არაფერი ხდება, თუმცა არის ერთი რამ, რას-  
აც ზემოთ ხაზი გაეუსვით - საკუთარი თავის  
რწმენა. “ბრძოლის ველის განვრცობა” საუკეთე-  
სო მაგალითია მიშელ უელბეკის შემოქმედება-  
ში, სადაც ნათლად ჩანს, თუ რამდენს ნიშნავს  
იმედის ქონა და რწმენა, რომ ბოლოს ყველაფე-  
რი შეიცვლება. არ აქვს მნიშვნელობა ფუნდამე-  
ნტური იქნება ეს ცვლილება თუ მიზნური, მთა-  
ვარი არც ისაა, როგორი დასასრული გელის, -  
საჭიროა მხოლოდ ტისერანის მაგალითზე, უკი-  
დურესი დეპრესიის ზღვარზეც კი, აუტანელი მო-  
რალური სპაზმების უფსკრულთან იმედ არ და-  
კარგო და პირადი ცხოვრების უკეთესობისკენ  
შესაცვლილად ძალ-ღონე არ დაზოგო.

## საფეხური 2 - მეცნიერება, როგორც გადარჩენის ერთადერთი საშუალება

### “ელემენტარული ნაწილაკები”

ტერმინი “ელემენტარული ნაწილაკი” ეხება მიკრობიექტებს სუბატომურ მასშტაბში, რომე-  
ლთა შემადგენელ ნაწილებად გახლენაც შეუძლე-  
ბელია. მიმულ უელბეკი კი, 1998 წელს გამოცემ-  
ბული, მსოფლიო ტექსტურად ცვეულ “ელემენ-  
ტარულ ნაწილაკებში” ადამიანებს მოიაზრებს (თუ-  
მცა ნიგნი ფიზიკაც ბლომდაა!). ნიგნი ავტორის  
ყველაზე გამორჩეულ ტექსტად ითვლება, რადგ-  
ან აქ უფრო ფართად არის განხილული  
ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, ნი-ანი ნულები-  
დან მოყოლებული ევროპის განვითარება, სექსუ-  
ალური რევოლუცია. უელბეკიც თითქოს უფრო  
გახსნილია, ის უმნიშვნელო ჯაჭვიც განწყვეტილი  
აქვს, რომელიც “ბრძოლის ველის განვრცობაში”  
ასე თუ ისე ბოჭავდა.

ნიგნი ორი მთავარი გმირია - ძმები - ბრუნო  
და მიშელი, პირველი ლიტერატურის მასწავლე-  
ბელია, მეორე - მეცნიერი. ბრუნო უელბეკი ჰგავს, -  
დეპრესიული, გადვადილი, სოციალური ტიპაჟი.  
ამ ყველაფერს დაუმატეთ გამოუსწორებელი რა-  
სიზმი და მივიღებთ ერთი გადარეული ფრანგი ავ-  
ტორის ფსიქიკურად აშლილ პერსონაჟს. მიშელი  
(ბრუნოს ძმა) შედარებით განმარტებულია,  
რაც გასაკვირი არცაა - ის ხომ მეცნიერია და საკ-  
მაოდ დიდ ნარმატებასაც მიაღწია კლონირების  
სფეროში. მეორე საფეხურზე ავტორი ფსონს მე-  
ცნიერებაზე აკეთებს, კერძოდ კი - კლონირება-  
ზე, და დიდი იმედით აქვს, რომ დადგება დრო, რო-  
დესაც ადამიანები ისეთი მოდიფიცირებულ კლო-  
ნებით, ჰარმონიაში თანამოარსებე ჰუმანიოდებ-  
ით ჩანაცვლდებიან, რომელთაც არ ექნებათ გრძო-  
ბები და მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული აზ-  
როვნებით იხელმძღვანელებენ. “ელემენტარულ  
ნაწილაკებში” უელბეკი პირველად ასაჯაროებს  
საკუთარ უტოპიურ სურვილებს, რომელთაც შემ-  
დგომში “კუნძულის შესაძლებლობაში” უფრო ფი-  
როთო გასაქანს მისცემს. ნაკითხვისას ადვილად მი-  
ხვდებით, თუ რატომ ითვლება “ნაწილაკები” ავ-  
ტორის საუკეთესო ნაწარმოებად - ის ზიზღი და  
აღშფოთება, უკმაყოფილება, რაც პერვერსიული  
კაცობრიობის მიმართ ნიგნი ავტორის მიერაა წა-  
რმოჩენილი, მის არცერთ შემდგომ ტექსტში არ  
განმეორებულა მსგავსი მასშტაბებით. ძირითადი  
აქცენტი მაინც პრომისკუიტეტისგან გატანჯული  
ბრუნოს ცხოვრებაზე კეთდება, - საშუალო რგო-  
ლის ერთ-ერთ რიგით, შუა ხნის კრიზისით დემო-  
რალიზებულ წარმომადგენელზე, რომელსაც, ფა-  
ქტობრივად, არანაირი სექსუალური ცხოვრება არ  
გააჩნია და ამის გამო სპეციალურ ბანაკში მიდის,  
სადაც დეპრესია მხოლოდ უღრმავდება. მანამ, ს-  
ანამ კრისტიანს არ გაიცნობს. თუმცა თავიდანვე  
ნათელია - მათი სასიყვარულო ისტორია დიდხანს  
ვერ გასტანს და სანქსიონზე ტრაგიკული დასას-



რულისთვისაა განწირული. საბოლოოდ, საკუთარი სურვილების მონად ქცეულ ბრუნოს, სწორედ ეს სურვილები დალუპავს.

“ეს ნიგანი ადამიანს ეძღვნება” - ამ სიტყვებით მთარგმნება “ელემენტარული ნაწილაკები”, ნიგანი, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

### საფეხური 3 - კუნძული “ადამიანი”

#### “არდადეგაზე ქვეცნობიერში”

ლანსაროტე კუნძულია ესპანეთის მახლობლად - პატარა, ვულკანური წარმოშობის უღიმღამო, უფერული კუნძული, სადაც მიუხედავად ლანდშაფტის ერთფეროვნებისა, მაინც შესაძლებელია, შევებულების გატარება ძალიან საინტერესო, შთაბეჭდილებებით დატვირთული აღმოჩნდეს.

“ლანსაროტე” მიშელ უელბეკის მცირე რომანია, სინამდვილეში არც იმდენად რომანი, რამდენადაც - შემზადება მომავალი, ტრიუმფალური შემოსვლისთვის. ცალკე ნიგნის კვლობაზე, “ლანსაროტე” ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ნიგანია. ამ ერთ ამოსუნთქვაში კი სექსუალური ტურიზმი, რელიჯი, დაცემული ევროპა და, შესაბამისად, ევროპელების გადაგვარებულობა თავისუფლად ეტყევა.

უელბეკის ეს ტექსტი გარკვეულწილად დოკუმენტურ პროზას წარმოადგენს და გეოგრაფიული დახასიათებებისა თუ აღწერის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. სინამდვილეში, უელბეკს “ლანსაროტეს” წერიას არც ჰქონია ამბიცია უმაღლესი ხარისხის ნონ-ფიქციონი, თუ მხატვრული ნაწარმოები შეექმნა, - კუნძულზე უბრალოდ დასასვენებლად იყო ჩასული (რასაც ორიგინალურ, ფრანგულ ვერსიაში ნიგნის ბოლოს დართული თვად უელბეკის მიერ გადაღებული ფოტოებიც ადასტურებს) და თან “კუნძულის შესაძლებლობისა” და “პლატფორმის” ჯერ მხოლოდ ჩანასახში მყოფ იდეებს სწორედ ამ ნიგანში მისცა “გზა ფართო”, ან არც ისე ფართო - სულ რაღაც 108 გვერდი.

პირველ რიგში, მიშელ უელბეკი არაჩვეულებრივი კულტუროლოგი და თანამედროვე ცხოვრების რეალიების ანალიტიკოსია. იგი მწვერივად ახერხებს, მთავარი პერსონაჟის ტურისტული მარშრუტების მონოტონურ აღწერას თან დაურთოს თავისი შეხედულებები ერთსქესიანთა ქორწინებაზე, თანამედროვე პოეზიასა და მეცნიერულ მიზნებზე, ისლამზე, სექტებსა და დანაშაულებრივ სამყაროზე და, რაც მთავარია - მილენიუმსა და ევროპულ ერებზე.

“ლანსაროტეს” ნაკითხვისას მიხვდები, რომ ეს კუნძული სხვა არაფერია, თუ არა - სიმბოლო, და მასზე მომხდარი მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ კულტუროლოგიულ მოსაზრებათა და მიოცე

საუკუნის ბოლოსკენ მომხდარი, ფართო მასების ქვეცნობიერში დაღუპილი სკანდალური ფაქტების პროექციაა.

კუნძულს პირობითად “ადამიანიც” შეგვიძლია ვუნოდოთ, მასზე განვითარებულ მოვლენებს კი - კუნძულის სივრცობრივი საზღვრების ფარგლებში დროში მოგზაურობა.

### საფეხური 4 - სიყვარული და ძალადობა

#### “პლატფორმაზე ყოფნის ხიბლი”

ყველანი ერთ პლატფორმაზე ვეგავართ და მატარებელს ველით, რომელიც იმ სამყარომდე მიგვიყვანს, მთელი ცხოვრებაა რომ ვეტრფით. თუმცა იმდენი არ გვეცმის რომ მოთხოვნილება ყველას სხვადასხვანაირი აქვს და ერთი მატარებელი ამდენს ვერ გასწვდება. სინამდვილეში კი მატარებელი არც არსებობს. პლატფორმაზე ყოფნის ხიბლიც სწორედ ესაა - უსასრულო ლოდინი, სანამ ბოლოს და ბოლოს იმ ქვეყნად არ გაემგზავრები

“პლატფორმა” უელბეკის მეოთხე და მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანია. ნიგნს განმოსვლისთანავე კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს და ადამიანების განსხვავებული დამოკიდებულება გამოიწვია. მთავარი თემა სექსუალური ტურიზმია, ამდენი წლის განმავლობაში ერთ-ერთ უაქტუალურეს და მტკიცეულ თემად რომ რჩება ფართო მასებში. - რისთვის მივდივართ დასასვენებლად? ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასადავლიერებლად? უცხო ტრადიციებისა და კულტურის გასაცნობად? ან იქნებ განსატვირთად? ალბათ ყველაფრისთვის ერთად, პლუს უმთავრესი - გასართობად. კართობის ყველაზე გავრცელებული სახეობა კი, მოგესხენებათ, სექსია; განსაკუთრებით ოცდაათს გადაცილებულ საშუალო ეკონომიკური რგოლის წარმომადგენელთათვის. და რა ჰქვია იმ ადგილს, სადაც ღირსშესანიშნაობებს, ტრადიციებსა და კულტურას, განტვირთვას და დასვენებას სექსი ყველაზე ავთენტურად ერწყმის? - თავისთავად ცხადია, ტილიანდი. მთავარი პერსონაჟიც - ავტორის სენია მიშელ, მამის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ტილიანდში მიდის დასასვენებლად, სადაც უბრალოდ ლამაზ ვალერის გაიცნობს, რომელიც შემდგომში სააგენტო “ნუველ ფრონტიერის” წარმომადგენელი აღმოჩნდება. მიშელი ძალაუფლებურად ჟან-ივის, - ვალერის ბოისია და თვითონ ვალერის საქმიანობაში ერთვება და სექსუალური ტურიზმის წინა პლანზე წამოწევას გეგმავს, რაც საბოლოო ჯამში დალუპავს კიდევ. თუ კარგად დავაკვირდებით, მიშელ უელბეკის ტექსტებში მთავარი პერსონაჟები საბოლოოდ სწორედ საკუთარი მისწრაფებებისა და სურვილების განხორციელებისას ინგრევენ ცხოვრებას, რითაც, სავარაუდოდ, ავტორი გვაერთხილებს - უპირველეს ყოვლისა, ყველაფ



რის კარგად გააზრება და სასწორის ორივე მხრის გათანაბრება საჭირო, რადგან უკვე შემდგომ, რეტროსპექტივაში, მომხდარის გაანალიზებისას სინდისის ქენჯნა არ იგრძნო, ან უარესი - სუიციდის ზღვარამდე არ მიხვიდე.

“პლატფორმა” პირველი წიგნია, სადაც უელბეკი ნამდვილად ინამებს სიყვარულს. ან, ყოველ შემთხვევაში, სენტემენტალური ავტორის ნიღაბს ირგებს და აქამდე უარყოფილი გრძნობის ლობიერებაც შესანიშნავად გამოხდის. მიშელის და ვალერიის სასიყვარულო ურთიერთობა ერთი შეხედვით ბედნიერი წყვილის თანაცხოვრების საუკეთესო მაგალითია, თუმცა ეს ბედნიერება იმდენად დიდხანს ინელბა, ისეთი სათუთი და სიყვარულით აღსავსეა, რომ ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა - სადამდე გასტანს ეს ყველაფერი? აღმოჩნდება, რომ არც ისე დიდ ხანს - ვალერიის უეტარი სიკვდილის შემდეგ ფაქტობრივად მიშელიც კვდება, გარე სამყაროს მონყვდება, საკუთარ თავში აიკეტება და ბოლოს... თქვენ თვითონ გახსაჯეთ: “სხვა აზიელი ხალხებისგან განსხვავებით, ტიპილანდელებს აჩრდილების არ სჯერათ და ნაკლებად აუღვლებთ, რა ბედი ეწევთ გარდაცვლილებს. მათ უშთავრესად საერთო სასაფლაოზე მარხავენ ხოლმე. რადგან ანდერძად არაფერს ვიბარებ, მეც ასე მომექცვიან. გარდაცვალების მოწმობას შეადგენენ და აქედან ძალიან შორს, საფრანგეთში, სამოქალაქო აქტების ჩანაწერთა წიგნში შესაბამისი აღნიშვნა გაკეთდება. ერთი-ორი გარე მოვაჭერ, რომელიც ამ უბანში მხედავდა ხოლმე, თავს გადააქნევს. ჩემს ბინას ახალ მდგმურს მიაქირავენ. დამიზინებენ. სწრაფად დამიზინებენ”. კითხულობ და არ ვგეტარ, რომ ეს შესაძლებელია, - ასეთი ძლიერი, ორმხრივი, ვნებით აღსავსე გრძნობის წამებში განყვება. ყველაფრის უკუღმა შემოტრიალება. მიშელ უელბეკი “პლატფორმაში” ერთმანეთს ორ უდიდეს მამოძრავებელ ძალას - სიყვარულსა და ძალადობას უპირისპირებს და ორივეს თანაბარ შესაძლებლობებს უსვამს ხაზს, - შეიძლება ერთმა მეორე გარკვეულ მომენტში დაჩრდილოს, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მაინც ერთ დონეზე რჩება, მესხიერების ზედაპირზე იღებება და წარუშლელ კვალს ტოვებს პიროვნების როგორც შინაგან, ისე - გარეგან სამყაროზე.

“პლატფორმა” არის რომანი, რომელიც უელბეკს თამამი ჭალარა გამოერიან.

### საფეხური 5 - კუნძულის შესაძლებლობა, ანუ რატომ “გადაშენდა” კაცობრიობა

“საუკეთესო ფრანგული რომანი”  
“კუნძულის შესაძლებლობა” 2005 წელს გამოიცა და “ინტერალეს” პრიზი მოიპოვა. წიგნი შეგვიძლია ერთგვარ “ფრანგულ საი-ფაიდ” მივიჩნიოთ, ერთი მხრივ იმ კრიტიკიუმების დაქმყოფილებისათვის, რაც სამეცნიერო ფანტასტიკას სჭირ-

რდება, და მეორე მხრივ იმ მკვეთრად გამოხატული (აქვე უნდა ვთქვათ - უელბეკის ნაწარმოებებს შორის ყველაზე მკვეთრად. ალბათ ეს მისი ყველაზე დეპრესიული წიგნია) სოციალური დრამისა და საკმაოდ ძლიერი პორნოგრაფიული პასაჟების, უცნაური სტრუქტურისა და წერის მანერის გამო სტანდარტულ “ფრანგულ” დაფუძნებით, რადგან იშვიათად თუ შეხვდებით “კუნძულის შესაძლებლობის” მსგავს ნაწარმოებს სადმე, საფრანგეთის გარდა.

რომანის მთავარი პერსონაჟები დანიელი, წარმატებული კომიკოსი და მისი ორი კლონია მომავლიდან. ჩვეულებრივი დანიელი ჩვეულებრივი ევროპელია, ინტელექტუალურ იუმორს აწვება, მასს თავის ნებაზე ატრიალებს, რეპ-ალბომსაც კი ჩაწერს, მაგრამ აი, ნამდვილი სიყვარულის პოვნაში, ცოტა არ იყოს, არ უმართლებს. ესპანეთში გაცნობილ ნიმფეტ ესტერთან გაბმული მხოლოდ და მხოლოდ ნეტარებითა და სიამოვნებით შემოფარგლული დროებითი სასიყვარულო-ავტორცული ურთიერთობები კი, შეიძლება ითქვას, დაწინდელს საბოლოოდ დაასვაშ დაღს, და ისიც მიხვდება რომ ბერდება.

“როდესაც მკაცრი რელიგიური მორალის მქონე საზოგადოება იშლება, დასაწყისში მოკლე იდეალური პერიოდი დგება - ახალგაზრდობას სინამდვილეში უჩნდება თავზეხელაღებულიად, თავისუფლად, მზიარულად ცხოვრების სურვილი. შემდეგ ეს პერიოდი სუსტდება, ნარცისიზმში შევიძრება უმთავრესი მიზანი ხდება და შედეგად ისინი უიმაროდ იშვიათად, ვიდრე მკაცრი რელიგიური მორალის დროს”, წერს უელბეკი “კუნძულის შესაძლებლობაში”. და მართლაც, ალბათ ეს წიგნი ახალგაზრდებსა და ზოგადად ახალგაზრდობაზე, აცქვიტებულ-ა-ცუნდრუკებულ, ყველაწინარე მორალურ საფუძველზე - თუ ზნეობრივ ვალდებულება-მიტოვებულ, ცხოვრების მთავარ პოსტულატად ხორციელ ნეტარება-აღიარებულ თაბაბზე, რომელიც უელბეკს მთელი სხეულით სძულს, რადგან თვითონ უკვე აღარ შესწევს უნარი, უხეშად რომ ვთქვათ - “ახალ ხორცს დაენაფოს”. მას შურს, რომ აღარ შემორჩა იმდენი შარმი, რომელიც დაკუნთული სხეულებსა და ნიჰილისტური მისწრაფებების გადაფარვას შეაძლებინებდა. თუ წინა რომანში იგი ჯერ კიდევ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ ნამდვილ სიყვარულზე ლაპარაკობდა, ახლა, უკვე დაბერებული, უარყოფს “პლატფორმაში”, ერთი შეხედვით მარადიულ გრძნობას და ფსონს ამჯერად ცხოვრების მიმართ სიყვარულზე დებს, რომელსაც ჯერჯერობით ხოლო რომანამდე შეინარჩუნებს. თუმცა იმის თქმა, რომ უელბეკი ზოგადად სიყვარულს უკუაგდება, რა თქმა უნდა, არასწორი ჩქნებოდა, - იგი მხოლოდ გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებზე საუბრობს და ამ გრძნობის ძირითადი ფორმის, - კაცსა და ქალს შორის - არარელევანტურობაზე მიგვიერთიებს. სავესებით შესაძლებელია ის სიყვარული, რომელიც პარტნიორისთვის უნდა გავგეზიარე-

ბინა, იმავე დოზით ცხოველს გავუზიაროთ. ცხოველი ვაქციოთ ცხოვრების მეგზურად.

დანიელი ამასობაში რაელიტებს გააცნობს და მათთან საცხოვრებლადაც კი გადავა კუნძულზე, რომლის შესაძლებლობაც სწორედ ამ (გე)ოცებს. ლანსაროტზე რაელიტთა მთავარ სექტას აქვს ბინა დადებული, თვითონ რაელიზმი კი, პირველ რიგში, წარმატებულ ბიზნეს-პროექტად, შემდეგ კი - გაცუქურაკებისა და თაღლითობის ყველაზე ნათელ მაგალითად გვესახება. კითხვისას ხედები, რომ ეს კუნძული, ეს სასახლე, სხვა არაფერია, თუ არა პანდორას ყუთი და ცოტა ხანში მოხდება ის, რაც გარკვეულწილად გარდამტეხ ცვლილებებს მოახდენს კაცობრიობის ისტორიაში. მართლაც, დანიელი თავისდაუნებურად ორმაგი მკვლელის მონმე გახდება. საიდუმლოს გამჟღავნების შემთხვევაში საფრთხე ემუქრება, ასე რომ, დანიელი სამარედ იქცევა, საკუთარ თავში ჩაკლავს, მივიწყებს იმ ფაქტურ შემთხვევას, რომლის მომსწრედ გახდება, საჩუქრად კი რაელიტები მისი და მისი ძაღლის დნმ-ებს ჩაიბარებენ, რათა, ბოლოს და ბოლოს, "კლონირებაში სურონული ნაწილებების მიღწევის შემდეგ" რეველარულად განახლებადი, უფრო სწორად - დროის გარკვეულ შუალედში უფრო მოდიფიცირებული ვერსიით ჩანაცვლებადი კლონებით "დააჯილდოვონ", რომელთა ხელშიც აღმოჩნდება საბოლოოდ პლანეტა. ბოლო თავებში, როცა უკვე თხოვბა აბსოლუტურად პოსტაპოკალიპტურ მომავალში გადადის, ადამიანები მხოლოდ პრიმიტიულ არსებებად გვესახებიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფაქტორივად, ქვის ხანის პერიოდში ვბრუნდებით, ოღონდ ერთი ბანსხავაებით, - კაცობრიობა აქ, უელბეკისეულ მომავალში, ატომური ბომბების აფეთქებისა და რადიაციული ტალღის მთელ დედამინაზე გავრცელების შედეგად გამოწვეული კლიმატური ცვლილებების ხელშეწყობითაა გადაწყნებული.

"კუნძულის შესაძლებლობაში" მთელ სამყაროზე დაბოლმით, დაბერებისგან შეწუხებული უელბეკი შურს იძიებს, ადამის მოდემას ბოლოს უდებს და უკეთესი ცხოვრების შესანს კლონებს აძლევს, - ჩვენ კი ხელთ უზომოდ ტრაგიკული, დინამიკური, ალბათ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საფრანგეთში დაწერილი საუკეთესო რომანი გვრჩება.

### საფეხური 6 - დანიშნულების ადგილი - სიბერე

*"თვითირონიის გაკვეთილები მიშელ უელბეკთან ერთად"*

"ბოლომდე ვეროპის შვილად - შფოთვისა და სირცხვილის ნაშეირად დაერჩები", წერს უელბეკი "პლატფორმაში". ეს სიტყვები, ფაქტობრივად, მთელი მისი შემოქმედების ძირითად სათქმელადაც თავისუფლად გამოდგება და გამოხაკ-

ლისი არც "გონკურის", საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის 2010 წლის გამარჯვებული რომანი "რუკა და ტერიტორია".

ქართულ გამოცემაში, უკანა ყდაზე, წიგნის ანოტაცია იწყება: "...რომანი "რუკა და ტერიტორია" თითქოს განსხვავდება ავტორის სხვა წიგნებისგან, თითქოს უელბეკი თავის თავს არ ჰგავს, აღარ იტყუებს მკითხველს სექსუალური ტერიზმითა და სხვა მსგავსი თემებით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში რომანის ნაკითხვის შემდეგ მკითხველს კვლავ ეუფლება უელბეკისეული დეპრესიული განწყობა." დახა, ამ წიგნში ვერ შეხვდებით დეტალურად აღწერილ პორნოგრაფიულ სცენებს, აშკარა ბიძგა "სექსუალობისა და ხორციელი ნეტარებისკენ". და ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ "რუკა და ტერიტორია" უელბეკის სხვა ნაწარმოებებისგან თითქოს განცალკევებით დგას (მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი "დეპრესიონიზმისა"). "ლანსაროტეში" ნამოჭრილი სექსუალური ტურიზმი, რომელიც შემდგომში "პლატფორმაში" უფრო განვრცობილია და ფართო სპექტრიდან განიხილება, და ასევე პირველად "ლანსაროტეში" დაყენებული "რაელიტების თემა", რომელიც უკვე "კუნძულის შესაძლებლობაში" იმკვიდრებს ადგილს და მის მთავარ თემად იქცევა, - "რუკა და ტერიტორია" ამ ყველაფრისგან ნამდვილად განცალკევებით დგას, ირგვლივ ჰერმეტიული, "ირონიული", უკვე განსხვავებული უელბეკისეული სივრცე აქვს შექმნილი. ეს უკანასკნელი, ავტორის სხვა ნაწარმოებებიდან ასევე უფრო გამოკვეთილი ავტორისეული ენაკვიამატობითა და თვითირონიით გამოირჩევა. ირონიით, რომელიც ბოლოსკენ უკვე სარკაზმში იზრდება. რომანში შეხვდებით გაპერსონაჟებულ ფრედერიკ ბეგადერს, თვითონ უელბეკსა და ფრანგული ელიტის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელს. და შენც ხედები, რომ ავტორი, რომელიც მთელი თავისი ლიტერატურული კარიერის განმავლობაში თავს გულახდილობითა და რეალობიდან გაქცევის სურვილით გაყვება, - თვალსა და ხელს შუა შემოგატრდა. ვერ კიდევ "ელემენტარულ ნაწილაკებში" უელბეკი წერდა: "იუმორი ვერ გადავარჩენს; საბოლოოდ, იუმორს არანაირი გარგებელი არ მოაქვს. შეიძლება დიდხანს რეალურ მოვლენებს იუმორით უყურო, ხანდახან ეს ნობლითაც კი გრძელდება; ზოგ შემთხვევაში იუმორის შეწარჩუნება თითქმის კუბოს ფიცრამდე ხდება; მაგრამ საბოლოოდ ცხოვრება თქვენ გულს გიტეხთ; თავდადება, ცივისსხლიანიობა და იუმორი არ დოზირდება არ უნდა იყოს, - თუ გინდა მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩამოყვალბე ეს თვისებები, - ყოველთვის ამთავრებ ისე, რომ გული გაქვს გატეხილი. ანუ, კმარა სიცოცხლე ბოლოს მხოლოდ მარტობა, სიცოცხლე და დუმილი რჩება. საბოლოოდ არაფერი არსებობს, გარდა სიკვდილისა". მაგრამ, როგორც ჩანს, თორმეტი





წლის შემდეგ იგი ასე აღარ ფიქრობს და ჯერჯერობით უკანასკნელ რომანში, სწორედ იუმორის უპირისპირებს ბინძურ ანწყოს.

წიგნის მთავარი პერსონაჟი ხელოვანი შედ მარტენია, რომელიც სახელს ფირმა "მიშლენის" რუკების ფოტოგრაფირებით გაითქვამს, შემდეგ კი ეს ხელობა მოსწყინდება და მხატვრობაში გადაინაცვლებს, სადაც ის "ძირითადი პროფესიების სერიას" შექმნის და კარიერის აპოთეოზსაც მიღწევს. თუმცა, სანამ ამ სერიის გამოფენა მოეწყობა, რომელიც, შემდგომში შედის ცხოვრების განმსაზღვრელი აღმოჩნდება, მხატვარი თავის გალერისტთან ერთად გადაწყვეტს კატალოგის ტექსტი მიშელ უელბეკს დააწერინოს. ასე იწყება ისტორია, რომელიც თავისუფლად შეგვიძლია "სატირულ თრილერს" მივაკუთვნოთ. ეს ნამდვილად არ არის ის წიგნი, რომელიც უელბეკისულ ჩახუთულ გარემოს გაგრძობინებს. მიუხედავად ამისა, რომანში კარგად ჩანს, თუ როგორი მოწყენილია მწერალი ამდენი წლის შემდეგაც კი. და ხვდები, რომ უკვე თვითონ უელბეკიც აღარ მალავს - წინა წიგნებში რეალობიდან გაქცევის, სიბერის უკუგდების მცდელობამ არ გაამართლა და ისევე როგორც ყველა სხვას, მასაც მოუწევს ეგზისტენციალურიდან ყოფით, ვიტალურ პრობლემებზე გადმოერთვა, დიაბეტის რეგულირება და თვეში ერთხელ ექიმის მონახულება.


ბა, მზის ამოსვლის ყურების ტოლფასია - ნანახით ტკბები, თავში ათასი ფიქრი გიტრიალებს, ხშირ შემთხვევაში აღრთოვანდები, ხოლო როცა ყველაფერი დამთავრდება, ცხოვრებას აგრძელებ, ვითომ არც არაფერი ყოფილა და ახალ საკბილოს ეძებ, - მწერლებსა და მზის ამოსვლებს კი რა გამოლევს. და არა აქვს მნიშვნელობა, მიშელ უელბეკი გამოსცემს ახალ რომანს თუ ყველაფერს თავს დაანებებს, "ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყლებში ფართხალს" დაიწყებს და განდევილი გახდება; მთავარია, მისი ლიტერატურული კარიერა ერთი რიგითი ევროპელი ადამიანის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა სტადიაზე დიფერენცირებული ფსიქიკური მდგომარეობის ამსახველ საუკეთესო მაგალითად დაგვჩვენება.

საბოლოოდ, უელბეკის ყველა წიგნის წაკითხვისას (გი)ჩნდება კითხვა - რა არის ადამიანის დანიშნულება და რისკენ ილტვის კაცობრიობა? პასუხი შეიძლება უამრავი იყოს: ძალაუფლებისკენ, ფულისკენ, სიამოვნების მიღებისკენ, ბედნიერებისკენ, ან სულაც - გამიზნული უბედურებისკენ, თვითგვემისკენ, ევოლუციისაკენ. მაგრამ ალბათ ერთადერთი "ნაღდი", სიმართლესთან ყველაზე მიახლოებული პასუხია - სრულყოფილებისკენ. ყველას სურს სხვას აღემატებოდეს. სწორედ ამ დაუნერეელი კანონის ფურცელზე გადატანა შეძლო მიშელ უელბეკმა, ავტორმა, რომელიც ჩვენი საუკუნის "მთავარ მონმედ" ითვლება.

მწერლის დაბერებისთვის თვალის მიდევნე-

# მიშელ უელბეკი და ბერნარ-ანრი ლევის „სამოგადოების მტრები“ მიმოწერა

ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფია



**2008 წლის 8 მაისი.**

გაოგნებულ ბერნარ-ანრი ლევის არ სურს, კანტის სიშმაგეზე ისაუბროს, არც მარსელ დიუსშამის ჭადრაკის პარტიების გარჩევა ეპიტნავება მაინცდამაინც, და არც ალტიუსერსა და კონტს შორის არსებულ იდუმალ მსგავსებაზე მსჯელობა, სამაგიეროდ სიამოვნებით შეიტყობდა თავად უელბეკის აზრს დედამისის მიერ დაწერილ წიგნზე.

ძვირფასო მიშელ, მე ისევ დავბრუნდი ნიუ-იორკს და ახლა სასტუმროს ნომრიდან გწერ. დღესდღეობით თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სასტუმროს ნომერი ის ერთადერთი ადგილია, სადაც თავს საუკეთესოდ ვგრძნობ (არ შეიძლება პრუსტი არ მოგა-

გონდეს, რომელიც ამბობდა, კი არ მახსოვს ზუსტად კაბჭური თუ რომელიმე კონკრეტული ადგილი ჰქონდა მხედველობაში, - სასტუმროს ნომერი ის სამყაროა, სადაც „არავინ გეჯახება“ და ტვინსაც არავინ გიბურღავს...).

ახლა თავი მაქვს ჩარგული თქვენს წერილში და, როგორც ყოველ ჯერზე, ტვინს ვიჭყლეტ: როგორ ვუპასუხო მას? მე არ ვიცი, თქვენ როგორ ახერხებთ, მაგრამ ჩემთვის ეს ადვილი საქმე ნამდვილად არ არის.

ჩვენ არ ვსაუბრობთ ერთმანეთის პირისპირ, ამიტომ მე წარმოგდენაც კი არ მაქვს, რა სტრატეგიას მიმართავთ თქვენ.

პირადად მე, მაგალითად, თქვენი წერილის ნაკითხვის შემდეგ, პასუხის მოსაფიქრებლად ერთი-



ორი დღე აუცილებლად მჭირდება. ვატრიალზე ხელში, ვკითხულობ, შემდეგ ისევ ჩაუყუცები ბოლომდე, ვეძებ სწორ კუთხეს, ავლისა ნერტილს, ჩავფრთხვობ ადამიანის პოზიციას მიჭრავს, მოკლედ, ვცდილობ, არ გამომეპაროს ის საერთო ნერტილი და ნიუანსები, ჩვენ რომ ასე გვაახლოებს. ამავდროულად ვცდილობ, მოვინშო ისიც, რაც ჩვენ რადიკალურად გვაშორებს ერთმანეთსგან, ანუ ვეძებ იმას, რაც ვიზუალურად აახლოებს, მაგრამ რეალურად აშორებს ჩვენს ეპისტოლარულ მიმოწერას.

ყოველთვის ვეკითხები საკუთარ თავს: რა გამოარჩევს ადამიანს, რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი: რასაც ის წარმოაჩენს, მზის სინათლეზე გამოაქვს თუ რასაც რუდუნებით მალავს? ის, რასაც ის ამხოვანებს, თუ ის, რაზედაც ის სდუმს? ხმა-მალევი განცხადებების გაკეთება შეიძლება მისთვის სულაც არ იყოს მიმზიდველი და მომგებიანი.

ზოგჯერ ჩემს წარმოდგენაში ვცდილობ მოვლენებს წინ გავსწრო, ცხადია, რამდენადაც ეს შესაძლებელია. წარმოვისახავ ხოლმე თქვენს პასუხს კითხვაზე, რომლის დასმაც მე მაქვს განზრახული, მერე ვფიქრობ თქვენს პასუხზე ჩემს საგარაუდო რეაქციასზე.

სინამდვილეში მთელი ეს ჩემი მეცადინეობა მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება: როგორ მოვიხელთოთ, გავამძაფროთ ჩვენი საუბრის საგანი ისე, რომ ჩიხში არ მოვაქციოთ; როგორ დავხვეწოთ თამაში ისე, რომ პარტიკა დიდხანს გაგრძელდეს და მაღი არ გამოვეყოთოთ მას: როგორ გავჯერადე წინ ბურთით ისე, რომ ჩაწოდება არ დამავინყდეს, რათა თქვენც მოგეცეთ საინტერესო „პასის“ მოფიქრების საშუალება და შეინარჩუნოთ წინ განავარდების სურვილი.

მე გწერდით, რომ ძალიან მიყვარდა ჭადრაკის თამაში.

დაც, უამრავ პარტიაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ, თუ არ ვცდები, არ მითქვამს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ხდებოდა დაუსწრებლად, როგორც მაშინ იტყოდნენ, „წერილობით“. ამგვარად ცდილობდნენ ამ ტიპის თამაშის ნაღდი, ქრონომეტრირებული თამაშისგან გამიჯვნა. ასე ვერთობოდით კლუბში, რომელიც ჩვენს ლიგაში იყო ჩამოყალიბებული და სადაც, ცხადია, მეც ვიყავი განვიჩინებულნი. ეს ხდებოდა იმ ეპოქაში, როცა ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის ხსენებაც არ იყო. მოვიფიქრებდი ხოლმე ვსკის, დავწერდი და ფოსტით ვაგზავნიდი. შემდეგ ველოდი პარტიიორის მიერ მოფიქრებულ ხრიკს. ასე და ამგვარად პარტია ერთი კვირა კი არა, ხშირად მთელი ერთი თვე შეიძლებოდა განვლილიყო. მარსულ დიუმამს ამ „წერილობით თამაშს“ არაფერი ერჩინა და მასთან დაწყებული პარტია ნლიბო გრძელდებოდა ხოლმე. აქვე გეტყვით ბარემ, რომ იმხანაში ის, რასაც დიუმამი აკეთებდა, ჩემს ადრეთორიანებს იწვევდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ეს ხელოსანი ნიუ-იორკიდან აწყობდა ეგრეთწოდებულ „ready made“ გამოყენებს. ყველაფერს თვითონ ამზადებდა, შემდეგ ეს საკუთარ დას, სერუხანას მითითებებს პარიზში უგზავნიდა. ამ უკანასკნელმა ზედმი-

წვენი იცოდა მათი სისრულეში მოყვანა. ზუსტად იმავე პრინციპით იმართებოდა ჭადრაკის პარტიებიც. ზოგიერთები მაინც, - საუკეთესოები, მე ვიტყვოდი, - მაგალითად, ჟან რეისთან, ანრი-პიერ როშესთან, ფრანსის პიკაბითან მან დაუსწრებლად მიიყვანა ბოლომდე. ასე პაექრობდა ეს კაცი, უკონტაქტოდ, ვითომც არაფერი. ეს, ალბათ, მისეული მანერა იყო ზედმეტად არავის შეენუხებინა, „არავის შეენუხებინა...“.

მოკლედ გეტყვით: გონება მეკეტებოდა ჭადრაკის „წერილობით“ თამაშზე. ვფიქრობდი, ვფიქრობ, იმ მიზეზით, რა მიზეზითაც თავად დიუმამი. მისთვის ეს იყო უბრალო თამაში და არა მატჩი, ან რაღაც ამდგავარი, რაც აუცილებლად შეჭრის გულისხმობს. მარსული ამაში მოიაზრებდა ერთობლივი გამოგონებებისა და მოფიქრება-რეპროდუცირების უემუშაკო საშუალებას; მოკლედ, ეს იყო გონებრივი სამუშაო კითხვების ინტენსიური გამოყენებით, ტვინის ჭყლეტა პასუხებზე, ასევე - ურთიერთგამომრიცხავი ემოციების რეგულირება, ეს იყო მოლოდინელი შემობრუნებები და სტრატეგიები, გონების გაზიარებული გამოანთებები, ხშირად დამალული მზაკერული ხრიკები, ვირტუოზობა, გაცურებები...

სიაოგონებს, რომელსაც დღეს თქვენთან მიმწერისგან ვიღებ, ნაწილობრივად იმ წარსულს მივანერ, რომელიც ეს-ეს არის მოგაყვით. ცხადია, სულაც არ ვაპირებ შთაგონებით მონიჭებული სინარუსისა და ბედინერების დაკნინებას. ჯერ ეს რადიკალური აღსარებების გაზიარების მსხინი დაღიწის, ან ის სტრატეგია, რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვუბიძგებთ, საიდუმლოებათა გროვაში ვიქექით. ძალიან მხიბლავს ასევე ის იდემალება, ჩვენ მიერ სამოწყებულ თავგადასავალს რომ ვადაპკრავს. ჯერჯერობით წარმატებით მივინვეთ წინ, რა თქმა უნდა, მივინვეთ ნილაბაფარებულნი. საკუთარი საშაბრელოს ხრიკების გაზიარების აუცილებლობა ჯერჯერობით არ დამდგარა, არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, რა საწინებლებს ვიყვებით, კერძო რომ გემრიელი გამოგვიდეს. რაც შეეხება მალვას, არ მახსოვს რომელ წერილში მაგრიზირებ ჩემი მოსაზრებანი ამის შესახებ, მაგრამ არ დავიკარებ და კიდევ ერთხელ ვაგიმეორებ, რომ საიდუმლოს შენახვა, პირში წყლის დაგულება - მწერლის ხელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ვახსენე ჩვენი მიდრეკილება გადაცემისა და ნიღების მორგებისადმი, რომელიც ჩვენმა ძვირფასმა ბოდლერმა ლიტერატურული ეთიკის ქვაკუთხედად აქცია, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სულ ახლახან სრულიად შემთხვევით გადავანვიდი ბრესტის „იტაქაქვეშა სამუშაოს ქებათა-ქებას“, რომელიც პიტაგორის მიხედვით გაფურჩქვნისა და აღმალლობა-აღზევების პერიოდში დაინერა და რომელიც პირდაპირ ბოდლერს ეხმარებდა: ნაშალო საკუთარი ნაკვალიევი, დაიშალო, შეიქა ახალი, განსხვავებული პირადობები, დაიწყო საკუთარი თავი, დაკარგო საკუთარი გვარ-სახელი და თუ ესეც არ იკმარებს, მაშინ არკადინის დარად ბიოგრაფები უნდა დაიქირაო და დაავალო მოიძიონ მოწმეები ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ გაუგებრობადა თუ იყო და აუც-

იღებლად უნდა ნაიშალოს (აქ საუბარია ორსონ უელსის გმირზე ფილმიდან "ბატონი არკადინი" - მთარგმნ. შენ.). რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. და მაინც, ამ სულ უფრო და უფრო მზარდ სიაშოვნებას ჩვენი მიმონერა, მისი თანმხლები გამუდმებული აზროვნება, ჩემი შეტყეებისა და თქვენი შემოტყეების მშფოთვარე მოლოდინი რომ მეგვრის, ნარსუსის დაბრუნების ხაცდას განსაკუთრებულ პუნს სძენს. ისეთი შთაბეჭდილება მეუფლება, თითქმის ისევ ბავშვობისა და ყრმობის ხანაში გადაეფევი, როცა ჭადრაკის ეს დაუსრულებელი პარტიები მათორბადა და თავბრუს მხვევდა. მსოფლიო ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა იან ტიმანმა, ჭადრაკი "ინტელექტუალურ კრივად" მონათლა, მაგრამ ხაზს უსვამდა, მხოლოდ საკუთარ თავსა და შენ მიერვე მოფიქრებულ სტრატეგიებს ებრძოდ.

და აი, თვალში მივდევს თქვენი ბოლო წერილი და გულმოდგინედ ვკითხულობ. ერთი მეორის მიყოლებით ვეცნობი თქვენს არგუმენტებს და საკუთარ თავს ვეკითხები, რომელს შეეგებმინარ პირველი რიგში. იქნებ თქვენს არელიგიას უღმერთოდ" მივდგომოდი თავიდან, მაგრამ განა აღმ დამცველად და მხარდაჭერად ოდესმე გამოვსულვარ? უკეთეს შემთხვევაში შეგიძლიათ ვოლტერს შეუამახანაგდეოთ, უარეს შემთხვევაში კი - მორასს, ჩემში მოკავშირეს ნუ ეძებთ, მე არაფერ შუაში ვარ.

იქნებ დასაწყისისთვის უპრიანი ყოფილიყო თქვენი მოსაზრება კანტზე გამოგეტყვათ. კანტზე, რომლის აზრებზეც, როგორც თავად აღნიშნავთ" არასდროს დაუტოვებია კენიგსბერგის გაუხშირებელი, მაგრამ უზენაესი ჰაერი". ჯერ ერთი, ეს მთლად სწორი ვერ არის, ეს ლეგენდა, ცნობილი ამბავია, ჩვენ ყერმედ დე სტალინ გვეფეშქაშა, რომელიც თავისი ხანარმოების, - "გემინიაზე", - ბოლო ნაწილში კანტის შესახებ რაღაცებს მიედ-მოედო. ყრმობის წლებში კანტი მედაგოგოურ საქმიანობას ეწეოდა ჯერ პასტორ ანდერშის ოჯახში, მოგვიანებით კი - კეიზერლინებთან. საცხოვრებლად ჯერ გუმბინენთან ახლომდებარე იუდტიშინს მიაშურა, მოგვიანებით კი ოსტეროდეში გადავიდა, მერე ღარ მახსოვს კიდევ სად, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამაა: როცა თქვენ შეურყეველი, ფსიქორიგიდული, ასე ვთქვათ, საათის მექანიზმივით აწყობილი, დისციპლინისადმი წარბმუხურელად ერთგული, მანიაკალურ წესრიგად და სიმკაცრეში გამოკეტილი, იმპერატივების, აბსტრაქციების, უნაყოფო და განსხვავებული კონცეპტუალურობის კორსეტში გამოკვარებული კანტის იმიჯს ძერწავთ, თქვენ უარყოფთ მისი პიროვნებისათვის ასევე ნიშნულ, მეტად ყურადღებულ თვისებას, თვალს ხუჭავთ მის შფოთზე, შინაგან მღელვარებასა და შინაგან სიმშაგვეზე, მე ვიტყვიდ შიზოფრენიაზე. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ახსნა-განმარტება, ერთ-ერთი მაინც, თუ რად სტანჯავდა ამ ადამიანს საკუთარი აზროვნების მკაცრ, გაურკვეველ არტახებში მოქცევის სურვილი: გონების კატეგორიები სხვა არაფერია თუ არა სიტყვებისგან ჩამოსხმული ერთგვარი ჯავშანი, გალავანი აღმართული იმ ქარიშხლებისა და ღვარცოფის სანინალმდეგოდ, რომელიც აზროვნებაზე შეი-

ძლება დავგატყვოს თავს, ეს ანტიპოდია ფილოსოფიისა, ოკულტიზმისა და სპირიტუზმისა, რომელსაც ივინყებენ და რომელიც ასე იზიდავდა ყრმა კანტს. ეს იყო მისი მოუცილებელი ცდუნება, ავადმყოფური აკეიატება. მიუღი დარჩენილი ცხოვრება ცდილობდა მათთან გამკლავებას, მათ დაბრუნებაზე გაფიქრება კი შიშის ზარს ჰკვრიდა.

თავს უფლებას მივცემ, ერთი-ორი ზოგადი ფრაზა დავანერო: თქვენ ბრძანებთ, ფილოსოფიის მაინც-დაინერო ბევრი არაფერი გამეჭებო, მაგრამ აშავდროულად მისადმი დამოკიდებულებაში გახასიათებთ "თავისუფლების" ის ფორმა, რომლისაც მე ამ მომენტისათვის ცოტათი მშურს კიდევაც მათოლითად, თქვენ შეგიძლიათ თამაჰად განახლოვდეთ, წარბმუხურელად, როგორც იტყვიან: "შომენპაუერი ფიქრობს, რომ..." ან "ნიცუმე მას უპასუხა, რომ..." ან კიდევ "მეფიქრება, რომ სპინოზას არგუმენტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად უდავოა". პროფესიონალი ფილოსოფოსისთვის მსჯელობის მსგავსი მანერა წარმოუდგენელია. მით უმეტეს ისეთი უმამულო თომასთვის, როგორც მე ვარ და რომელმაც ერთხელ და სამუდამად ირწმუნა ის, რასაც ასე ეძიებანს უჩინებდნენ: ყოველი ფილოსოფიური დოქტრინა ერთი მთლიანი, შეკრული და დახურული სისტემაა. არაფერია იმაზე სახიფათო, ვიდრე ის, რომ ამ სისტემის ერთი ნაწილის გამოყოფასა და იზოლაციას (ცდილობ, მას საკუთარ ბედ-იღბალს უქმნი, და არც მის გათავისება-მისაკუთრებაზე იხვე უკან, მოკლედ, მის "ციტირებას" ახდენ. დიდრად "ეკოლ ნორმალის" ახალი თაობის წარმომადგენლებს, რომლებზეც, როგორც ჯერში, "ახალწვეულებს" უწოდებდნენ, პირველსავე ლექციაზე ეუბნებოდა: "არავითარი მოტივტივე მოსაზრება" (მე ყოველგვარი კეკლეულობის გარეშცხადება) რაც არ ვაგივებდი, ოღონდ საკუთარი პროფესიონალიზმი როგორმე თავიდან მომეცილებინა...), "არავითარი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფილოსოფიური ამონარიდები", არავითარი "პეველი ამ ჰაიდელბერგს, გნებათ, ჰერაკლიტე ამბობს, რომ..." რატომ ასეთი მიდგომა? იმიტომ, რომ კონტექსტიდან, მეტსაც გეტყვით, ენობრივი გარემოდან გამოცილებული ეს ამონარიდები უკვე ღარ არის ორიცხალური ტექსტის აზრის მატარებელი, ის მახინჯდება, თუ საერთოდ არ გამოეცალა ხელიდან (დარწმუნებული ვარ, შემეპასუხებით და მომხალით" - ამას წინათ, როცა თქვენს ლეინას-სპინოზისტურ, ეგერთონდებულ "გაზის ქარხანაზე" მესულერბოლით, ანუ მონადელოგიაზე უმინადოდ - სუბიექტის თქვენეულ კონცეფციაზე თქვენც იგივე არ გააკეთეთო? ცხადია, მართალი იქნებით, მაგრამ ამ შეიძლება არც იყოთ მართალი. გეტყვით, რომ მაშინ მე, არც მეტი, არც საკლები, ვწიხრკედელაობდი; საკუთარ შოზიციას ვაკონინებდი და მოქმედება თავსმოხვეული ფიგურებით მიწვედა; თუმცა ამას არაფერი აქვს საერთო ციტირებასთან. ის სრულიად განსხვავებულ ნესებს ექვემდებარება; სხვა რამეა ასევე გასაცარი ნიჭი მავანისა, ფილოსოფიური სისტემა თავისუფალი გამონათქვამების სანავარდო მინდვრად აღიქვას, ან არანაკლებ თავისუფალი ასოციაციების სათამაშო სტადიონად.

ვიმეორებ, ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდა, მსგავსი ნიჭის შექმნა რომ შემეძლოს...)

ოგოუსტ კონტმა ვატყობ, პირდაპირ მოგაჯადოვდა, მე კიდევ დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება ჩამომიყალიბდა. ყოველთვის ეჭვის თვალთი ვუყურებდი მის მოსაზრებებს საზოგადოების მეცნიერების დახმარებით გარდაქმნის შესახებ. მთლად სიმართლე თუ გაინტერესებთ, მისი თეორიული დარკ არასდროს დავინტერესებულვარ (თუმცა არა... მგონი ახლა მე ნამდვილად ვცდები). აი, ახლა ვწერ და ვხვდები, რომ ერთი პატარა ხიდი ჩემსა და კონტს, უფრო ზუსტად ჩემს თაობასა და კონტს შორის მაინც არსებობს - და ეს პატარა გამართიანებელი ხიდი ალტიუსერია. ალტიუსერი თავის ცნობილ სტატიაში "მხარს ვუჭერ მარქსს" ლიად და მიუკერძოებლად საუბრობს ფრანგული ფილოსოფიური აზროვნების დაკნინებასა და სავალალო მდგომარეობაზე. 1789 წლის რევოლუციიდან დაწყებული მთელი ასოციაციონის წლის მანძილზე მისი კრიტიკის ქარცეცხლს მხოლოდ ერთი ადამიანი გადაურჩა და ეს გახლავთ ოგოუსტ კონტი; ფრანგი ფილოსოფოსების კოპორტიდან ერთადერთი კონტი იმასხურებს ყურადღებასო, წერდა ის. ალტიუსერი ინდობს კონტს, რადგან ამ უკანასკნელს მთელი ცხოვრების მანძილზე გააფრთხილებული თავდასხმების მოგერიება უნებდა და საბოლოოდ "იმ უსულტურობის და უმეცრების ცოცხალ მონქედ" იქცა, რომელიც ჩვენ, დღევანდელ თაობას "წილად გვერგა": ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, ალტიუსერი ისე უბრალოდ, ადამიანური თვალსაზრისით ჰგავს კონტს, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს. მათ იმდენი რამ აქვთ დაზიარო - სიგაჟარ... ნეიროლეპტიკების დიდი დოზები... ესკიროლის (ფრანგული ფსიქიატრიის მამა, მე-19ს) მაგივრად დიატიკინი (ფსიქონალიტიკოსი, ფსიქოლის სპეციალისტი), ორივე არარეველუბრივ ნიგნებს წერდნენ, ნინასნარ მოუმზადებლად, არაფრად დაგიდევდნენ ჩანიშნებს, წერდნენ, ასე ვთქვათ, ცხელ გულზე, აღზნებული კალმით... არ დაგავინყდეთ რელიგიორობა, რომელიც პირველს თავიდანვე შეეყარა, მეორეს კი - მოგვიანებით და ორივეს განსაკუთრებით რომ გაუმძაფრდათ საყვარელი ქალების - ელენასა და კლოტილდა დე ვოს გარდაცვალების შემდეგ (ალტიუსერმა თავისი ცოლი ელენ რიტმანი დააბრჩო, კლოტილდა დე ვო ოგოუსტ კონტის პლატიონური სიყვარულით უყვარდა)... ორივეს კანტზე მეტად აფრთხობდა ცვლილებები, მოგ ზაურობანი... და რამდენ წერილს წერდნენ?... ნიაღვარი წერილებისა... წერილები მგზნებარე, ნერვიული, პარანოიდული... წერილები, რომლებსაც თავისი დროის ღიდ მოაზროვნეები უზზავინდნენ, მოაზროვნეებს პაზიოტიური ჭეშმარიტი რწმენის მომლოდინე ჰაჯეულ სულებად რომ მიიჩნევდნენ... ისინი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე მიიცვალნენ... საკუთარი ნიგნების ტუსალები... მეცნიერული მიდგომა მათთვის დამაწყნარებელ პერანგად გარდაიქმნა. თუ ალტიუსერის ვინმეთან შედარება შეიძლება, ეს უნინარეს ყოვლისა ოგოუსტ კონტია. შესაძლოა თვითონაც მასთან ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. დაბა, ოგოუსტ კონტთან, ინტელექტუალური გან-

ვითარების სამი სტადიის გამოგონებულთან - საოცარია, როგორ ვერაზინ შეამჩნია ის მის სიცოცხლეშივე? როგორ ვერ დავინახეთ ჩვენ, მისმა მოსწავლეებმა ეს საოცარი მსგავსება, ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება?

დაბოლოს, თქვენი მიზანთრობა, თუ არ ვიქნა დაღვრქვა ამას... პირდაპირ გეტყვით, თქვენი მოსაზრება ჩემთვის ერთდროულად გასაგებიცაა და აუტანელიც. მოკლედ აყენებ შედეგების შეჯამების საკითხს და აცხადებთ იმ ავბილით ადამიანს ისე შეუბოძოთ, როგორც ბაქტერიული და გავარკვიოთ, გამოგვივიდა თუ არა ექსპერიმენტი და საერთოდ, ღირს თუ არა მისი გავრძელებაო. ნუთუ მართლაც ამეაყვად ფულერს ადამიანის სახელი და სხვა ამდაგვიანი რამები; ახლა რატომ არის ჩემთვის მსგავსი მიდგომა ოდიოზური. ოდიოზურობაზე ვრცელი საუბრისაგან აქ თავს შეეკავებ. თქვენ თავად მშვენივრად გესმით, რომ საკითხის დასმის ის ფორმა, თქვენ რომ მიმართავთ, როგორ დამთრგუნველ მდგომარეობაში ჩააგვებს ადამიანს, მთელი თავისი ცხოვრება ბოსნიელთა სვე-ბედზე ფიქრსა და ზრუნვას რომ შეაღია; ადამიანს, რომელიც დღე და მოსწრება იბრძვის იმისთვის, რომ ავლანოთ ის კოლექტიური მეხსიერებიდან არ ამიოხლოოს, რომ მივიწყებას მიცემული აფრიკის ომების უსახელო, უგზო-უკვლოდ გამქრალ მსხვერპლს დღესაც იგონებდნენ. და ახლა კიდევ იმის შესახებ, თუ რატომა ჩემთვის გასაგები და ახლოდროული თქვენგული მიდგომა. ამის ახსნა არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. როცა სიახლოვეს ვახსენებ, მე ვგულისხმობ კულტურას, ცივილიზაციას, სადაც ღრმად აზროვნებენ, სადაც დეტალებიც კი არ გამორჩებათ მხედველობიდან, უკირკიტებენ ბოლომდე, თითქმის აბსურდულობამდე, ბოდამდე, სადაც აზრმა იმის შესახებ, რომ კაცობრიობა ვერ შედგა, სრული უახი განაცადა და გაურკვეველ ნაირსახეობას დაემსგავსა, რომ აუცილებელია ყველაფრის თავიდან დანყება, სრულიადა განსხვავებულ საფუძვლებზე, იმავე მასალის გამოყენებით, მაგრამ სხვა გეგმით უკვე კარგა ხანია ღრმად გადადა ფესვები. ის ეს კულტურაა, საიდანაც მე მოვიდივარ. კულტურა, რომელიც მზრდის და მკვებავდა, როცა ოცის გახლდით; მე მოგახსენებთ რეველუციური კულტურების თეორიებზე ზოგადად, კერძოდ კი მაიაიზმზე. აზრების ეს მთელი კორპუსი, ალტიუსერიზმით გაჟღენთილი, იმე ხანია არსებობდა და მიზნად ისახავდა ისტორიის ნელში ვადახერხვას, ორად ვაპოპას, ადამიანის არსის შეცვლას მისი სულის მიზანში ამოღებით, ანუ მოაზროვნეები ცდილობდნენ, თქვენს გამოთქმას თუ დაეხესხები, კორექტივების შეტანას, ადამიანების მიწებულთა გროტესკული ობოლოგენური იარღუდეებისგან განმენება და ფიქრობდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, კაცობრიობის „გაქრობა-დადუკვაზე“ იმ სახით, რა სახითაც ის აქამდე არსებობდა; აბა რა გამოვიდა ამისთან? ის რაც ახლოდროული იყო შორეული ვახდა? არც ისე შორეული წარსული დავინყებას მიეცა? მაგრამ არსებობენ ადამიანები, - პირველ რიგში საკუთარ თავს ვგულისხმობ, - რომლებმაც ზურგი შეაქციეს ამ იდეებს, იმ-

ის შემდეგ, რაც თვალნათლივ დაინახეს, თუ როგორ ხდებოდა პრაქტიკაში მათი კონკრეტული ხორცმცხმხმა. როცა ვამბობ „კონკრეტული“, ნამდვილად კონკრეტული მაგალითები მიტრიალებს თავში, ვლანარაობ არა როგორც დენდობში მეპყრობინი ადამიანი, არც როგორც ლიტერატურულ გამოცდილებაზე: ბანგლადეში, სადაც ენით აღუნერელ სიდუხჭირეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდა, საკუთარი თავს ნამდვილად ვეკითხებოდი, ღირდა თუ არა მსგავს პირობებში მეცხოვრა და ადამიანი მრქეოდა, იქნებ „ნაქსალიტები“ - ადგილობრივი მაოსიტები - ცამდე მართლები იყენენ თავიანთი გიჟური, რადიკალური, ნარმოშობით მაინც კამოჯული პროექტებით - ისინი ხომ ლაბორატორიული სინჯარებიდან ადამიანის უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ნაირსახეობის მიღებაზე ოცნებობდნენ? იქნებ ესაა ნამდვილი დებატების დასაწყისი, მეფიქრ მე. იქნებ ეს ის ნამდვილი კითხვაა, რომელიც უნდა დაისვას? მაშინ კი გავიმხნევე თავი - აი, მივაგენი თემას, ერთდროულად ფილოსოფიურსაც და ბიოგრაფიულსაც-მეთქი, რასა ვანგვეხალხის დისკუსია იმის გარშემო, რასაც კარლ კრაუსი თავის ცნობილ პიესაში „კაცობრიობის ბოლო დღეებს“ უწოდებდა და რომელმაც მე ჩემი „განკითხვის ფაში“ შთამავლანა.

და, აი, ნომერი „მონდი“ შემომიტანეს (ამერიკულ სასტუმროებში დამკვიდრდა მომსახურება, რომელიც საშუალებას გაძლევთ ფრანგული ჟურნალ-გაზეთები გამოსვლის დღეცეკ იქონიოთ, ბექტავდნ თეთრ ქალაღზე და თითების გაშავებაზე შევძლიათ არ იდარდოთ) და ვკითხულობ დაუჯერებელ სტატისა დედათქვენზე და იმ წიგნზე, რომელსაც, სავარაუდოდ, სულ მალე ვიხილავთ წიგნის მალაზიების თაროებზე...

ვლიარებ, რომ სტატია იმდენად გიჟური მეჩვენა, რომ მისი ერთი ფრაზაც კი არ დავიჯერე, ეს შეუძლებელია - ვთქვი ჩემთვის - როგორ შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს? ეს თავად მიშელის მისტიფიკაციაა. მან დედამისთან, ან ნებისმიერ კეთილმსურველთან ერთად, მშობელ დედად რომ გაასალა, შეითხან ეს ფარსი; გარი-აჟარი კუმბი აყვანილი. ჩვენ ყველანი, ძველი კომედიანტები, საკუთარი ნარმოადგენებისაგან დაღლილ-დაქანცულნი სადაც, ვანსაკუთრებით გარის შემდეგ, მისტიფიკაციაზე ვფიქრობთ, რა თქმა უნდა, ამას ხმამაღლა არც არავინ ამბობს. ვოცნებობთ, ახალ კანში ვუძვრეთ, ისე გარდავისახობთ, რომ ყველაზე გულგატეხილებს და იმედგაცრუებულებსაც კი გაოცებისაგან ენა მუცელში ჩაუჭირდეთ. ხელახლა დაბადებულებსა და ახალ სამოსელში გამონკეპილებს გვსურს, ახალი ოჯახური რომანი ან უზარალოდ რომანი გამოვაცხოთ. და, აი, რას ხედავს ჩემი თვალეხი. ამ თამაშში დედა ჩართულა? ის არის პირველი დარტყმის ავტორი. პროვოკაცია მიიღო თავისი ატრობუტყიკით! თავხედობისა და უტიფრობის მწვერვალი! ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, დედის ფიგურა, მასთან ურთიერთობა მწერლისთვის ოდითგანვე ცენტრალური და გადამწყვეტი არ იყო? ნამდვილი ლიტერატურა მხოლოდ და მხოლოდ მა-


შინ იწყება, როცა დედობრივი ენის მატრიცას საკუთარი ენა გამოეყოფა და მათ შორის გარკვეული დისტანცია ნარმოიქმნება. მაგრამ არ გინდა ამის მოფიქრება? როგორც ჩანს, მიშელს ეს დისტანცია უსიკვდილოდ სჭირდებოდა... მოფიქრა კიდევაც რა როგორ და ჩანადიქრიც სისრულეში მოიყვანა. ბრავო!

ცოტა მოგვიანებით მოვტყინე, რომ რაც სტატიაში ეწერა, სინამდვილეს შეესაბამებოდა. ეს ნამდვილად დედათქვენი აღმოჩნდა, რომელსაც ნამდვილად გადაეწყვიტა თქვენზე ამ ლექსიკით ლაპარაკი; დედათქვენი იძლეოდა ინტერვიუს, სადაც მთელი სამყაროს გასაგონად გაიძახობდა: მზად ვარ ჩემი ვაჟი სამაგალითოდ დავსაჯო, ავიღო ყავარჯენი და ისე ვურტყა, კბილები ასაკრეფი გაუხდესო. შემდეგ ვეცადე რამდენიმე ცუდი დედა მომეგონებინა ლიტერატურის ისტორიიდან, მესხიერებიდან პირველ რიგში ვიტალი კუიფო ამოტივტივდა, მეტსახელად „დედა რემბი“ რომ შეარქვეს. ამ შიშისმომგვრელ არსებას საკუთარი ვაჟიშვილი „მომაკვიდრებელ სამსალად“ მოისხენიდა. „ქალი უფრო შეუვალი და მეტადრეკელი, ვიდრე სამოცდაცამეტი სქელკანიანი გამოეყვეჩებული სამართლის დანაცვლი“. შემდეგ ფოლკოშიც გავიხსენე, ნერვანის დედა, ამას შორისა და დედაც მოჰყვა, რომელიც ასე ოსტატურად აღვავინჯო თავის „სინაპარში“. ვიფიქრე საშინელ მადამ ოპიკეც, რომელსაც საზოგადოებაში თბილი, თავაზიანი, მზრუნველი და შილსგადაყლილი დედის რეპუტაცია ჰქონდა დამკვიდრებული, სინამდვილეში კი ნამდვილი მონსტრი იყო. ისეთი გახარებული და ბედნიერი იყო, როცა მისმა საყვარელმა შარლმა მეტყველების უნარი დაკარგა; უმბო, გაუბედურებული, დაკნინებული და ჭკუიდან შეშლილი ბოლერის დანახვა მისთვის ნამდვილად ნეტარება იყო, ამიერიდან ის ხომ მას ვერაფერში შეენიანდმდეგებოდა. გამეფიქრა „კურთხევაზეც“, ბოდლიერის გულის განმგმირავ ლექსზე: სასოარაკვეთილი და დღერთზე შემწყრალი დედა დრიალებს, მერჩივნა ათასი ვგველი და ორი ღრინაკალი მომველინა ამ ქვეყნად, ვიდრე ეს უზადრუკი არსება, პოეტად რომ იწოდებოა.

ბუნდებზე გამახსენდა, რომ ბოზარშეს ტრილოგის „სევილიელი დღაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ შემდეგ ავვირგვინებს პიესა, რომელიც მე არასდროს ნამიკითხავს და რომელსაც „უღირსი დედა“ ჰქვია და სადაც, ცხადია, მსგავს რამეებზეა საუბარი; მოკლედ, გონებაში ერთგავს ომიედი დავატრიალედ; ვეცადე, მესხიერებაში აღმედგინა ის ყველაზე საშინელი და საძაგელი, რაც ლიტერატურის ისტორიამ შემოგვინახა; თუკაც უნდა ვლიარო, რომ დედათქვენმა ყველა უკან ჩამოიტოვა. არ ვარ დარწმუნებული, რომ დედამინის ზურგზე მეორე ისეთი პარპია არსებობდეს, როგორც დედიდან სახელგანთავრული დედათქვენი ლოუსი სეკულდია... თუმცა ანტიკური ხანის ბერძნულ ლიტერატურაში შეიძლება რალაც-რალაცები გამოიქვეს... აი, ის მონსტრი, კაცოქამია დედები თავიანთი ნამიერებისგან რაგუს რომ იმზადებდნენ, ამ შემწვარ-მოზრაკულ ნაირ-ნაირ კერძებს და ოვიდიუსთან ხშირად რომ ვხვდებით. მაგრამ თანამედროვე სამყაროში



ნორმალურ ადამიანებს შორის, გულწრფელად ვა-  
ლიარებ, მსგავს ვერაფერს იპოვით. გყავდეს ცუდი  
დედა, ცხადია, ეს ერთი დიდი უბედურებაა, მეორე,  
კიდევ უფრო დიდი უბედურებაა კი ისაა, როცა პრე-  
სის ფურცლებიდან შეიტყობ, რომ მშობელი დედა  
არც მეტი, არც ნაკლები პარაზიტად, ცრუპენტელ-  
ად, არამზადად და ნაძირალად მიგიჩნევს (საშინე-  
ლი სიტყვაა კია ეს „ნაძირალა“, რაც ძირს ეცემა და  
ალებს რომ არ მოვიხდებო, მდებალი და უგვანი)...  
ვიფიქრობ, იდენტურს ვერც ერთი ქვეყნის ლიტერა-  
ტურაში ვერ იპოვით... დაბოლოს, რასაკვირველია,  
ვიფიქრე თქვენზეც. დიახ, დიახ, ზუსტად თქვენზე.  
ნარმოვიდგინე, როგორი დამნუსხრებული, გულნა-  
ტკენი და დამცირებული იყავით. როგორი სასონა-  
რკვეთილი, დათრგუნული და ცაკოფებული... ვხვდე-  
ბი, როგორი სირცხვილის გრძნობა დაგეუფლათ.  
გამახსენდა ყველაფერი, რასაც მამათქვენი მიყ-  
ვებოდით, თანაც რამდენს... მე მაშინვე შეგატყო-  
ბინეთ, რომ თქვენი თხრობის მანერამ ძალიან ამა-  
ლეულა... დედათქვენი თქვენ არასდროს გიხსენებო-  
თ; სიტყვაც არ დაგცდენიათ მის შესახებ. საკუთ-  
არ თავზე გავბრაზდი, რატომ არ დავინტერესდი,  
დედაზე რატომ არაფერი ვკითხე, რატომ მივიჩინე  
ნორმალურად მსგავსი გულგრილობა-მეთქი; ვიფი-  
ქრე ჩემს საყვარელ დედაზეც, ასე რომ ნააგავს რო-  
მენ გარისას ან ალბენ კოენისას; ჩემთვის ვთქვი,  
ღმერთო რა ბედნიერებაა - მწერლისთვის თუ არა  
უბრალოდ მოკვდავისთვის მაინც, ბედმა ასეთი დე-  
და გარგუნოს; ნამდვილი ღმერთის კურთხევაც ამ-  
ას ქვია, მე თუ მკითხავთ. და აი, მაშინ ვცაადე, თქვენს  
კანში შევმძვრალიყავი და ნარმომესახა, როგორია  
მსგავსი სიძულვილისა და აგრესიის ნიაღვრის მი-  
ერ იყო შობილი. ერთი მომენტი ისიც კი ვიფიქრე,  
ცუდი არ იქნება, თუ დავურეკავ-მეთქი. მსგავსი  
ფესტი ჩვენი ჩვევებისთვის უცხოა, მაგრამ მაინც;  
არა, ნამდვილად მომინდა დარეკვა, ისე, უბრალოდ,  
დავურეკავ და ცოტა ენას მოვიქავე-მეთქი; თქვე-  
ნგანვე მსურდა გამეგო, როგორ უძლებდით პირად  
და საჯარო მიწისძვრას; მივხვდი, რომ გვიან იყო.  
დროში განსხვავების თუ გათვალისწინებით, მართ-  
ლა ძალიან გვიანი იყო; ამიტომაც გადავიფიქრე და-  
რეკვა. სამაგიეროდ, დარეკვის შეუძლებლობამ წე-  
რილის დაწერისკენ მიბიძგა; და ახლა მხოლოდ ერ-  
თი სურვილი მაქვს - მოგწეროთ. ისე, ეს ამბავი მა-  
რთლაც რომ გამოაოგნებელია, მე ვიტყვოდი უპრე-  
ცედენტო; ოიდიპოსისეული მკვლელობა, ოღონდ  
პირუკუ, საჯარო და იმდენად გაუგონარი, რომ ვა-  
მჯობინე დამევიწყებინა კონტიც, კანტიც; ალტიუ-  
სერიც, მიზანთრობი თაობაც, კარლ კრაუსიც და  
თქვენთვის გადმომეცა სიტყვა; ჭადავკში მსგავს  
წინადადებას, ლოდინის პოზიცია ჰქვია.



სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ: ახლა კონტზე  
ან ალტიუსერზე მსჯელობა რომ დამეწყო, ნამდვი-  
ლად სასაცილო იქნებოდა, კიდევ უარესი - ცოტა-  
თი შიმშილმომგვრელიც. დავემსგავსებოდი იმ ადა-  
მიანს, რომელიც საავადმყოფოდან სახლში ბრუნ-  
დება და გზად ტელეგრაფის ბოძებს ითვლის, რათა  
დაივიწყოს, რომ მეუღლე ეს-ეს არის გარდაცვა-  
ლა. ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება ითვის  
და ითვის, ხან ფალსუზების ფორფიტებს საძინე-  
ბე ღმერთმა უწყის რას. ეს მე მაფრთხობს იმიტომ,  
რომ მსგავსი რამ არაერთხელ განმიცდია: ტვინი  
მექანიკური ინტელექტუალური მოქმედებით ყვე-  
ლანაირად ცდილობს აიცინოს ის, რაც მას შიშს  
გვრის; მსგავსი რამ არაერთხელ შემინიშნავს ხან-  
დახმულ ადამიანებშიც, მაგრამ ამისგან არც ახალ-  
გაზრდები არიან დაზღვეული.

**2008 წლის 1 მაისი**

მიშელ უელბეკი პასუხობს ბერნარ-ანრი  
ლევის. საუბრობს საკუთარ დედაზე, ცოტას  
დაზე და ასევე ზიზლით შეპყრობილ ბრძოზე,  
რომელიც, როგორც თვითონ ამბობს,  
სიცოცხლის ბოლომდე მოსვენებას არ მისცემს  
და შეიძლება საბარეთიც კი ჩაყვეს.

ერთი კვირის წინ ჩემი ძაღლი, - ამჯერად მარ-  
ტო გადაწყვიტა ნავარდი, - სეირნობიდან სახლში

სავალალო მდგომარეობაში დაბრუნდა, არც კი ვიცი კარებამდე როგორ მოიტანა სული. უკანა ფეხები პარალიზებული ჰქონდა, ეტიკობოდა, რომ თათები საშინლად სტიკოდა, გულიც აერია რამდენჯერმე. კლინიკაში გავაქანე, სადაც რამდენიმე დღით დაიტოვეს, ვეტერინარმა კორტიზონი გამოუწერა, ოპერაციის გაკეთებისგან კი თავი შეიკავა.

სწორად ამ დროს დაიწყო ქორები დედაჩემის ნივინზე, ინტერნეტშიც გავრცელდა სტატეები;

ხელები და ფეხები ჩირქოვანი მუწუკებით დამეფარა.

დღეს ძალი კლინიკიდან გამოწერეს და სახლში წამოვიყვანე. სულ სძინავს. დროდადრო თავალებს გაახელს ხოლმე და მაკვირდება; მისთვის ახლა ყველაზე კარგი სრული სიმშვიდე და დასვენებაა; ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მომენტისათვის პარალიზებული ფუნქციები ერთ დღესაც სრულად აღუდგება; თუმცა ამამი ერთლად დარწმუნებული ვერ ვარ; იმავეს ვიტყვოდი საკუთარ თავზეც.

გეთანხმებით, ძვირფასო ბერნარ-ანრი, როცა წერთ, რომ ამიერიდან „სახელმწიფარდნილი ლოუსი სეკალდის“ საქმე გაცილებით უფრო ვერაგულ და ბოროტულ ისტორიულ მოვლენებზე გვაფიქრებინებს, ვიდრე თანამედროვე ლიტერატურის უღირს და უსირცხვილო დედაზე. მე ბერძნული მითოლოგიიდან მინისქვეშეთის ბინადარი დამზავრულ და ძარღვევში სისხლის გამყინავ არსებებს მოვიგონებდი; სხვებს შესაძლოა მზაკვარი ბაბაიაგა გახსენებინათ რუსული ხალხური ზღაპრიდან, ჩილი ბავშვების თავის ქალებიდან ამოღებულ ტვინს სიამოვნებით რომ მიირთმევს. ასეთი რამ ზოგიერთ აფრიკულ ტომებშიც არსებობს; და საერთოდ, მსგავსი ლეგენდები ნებისმიერ კულტურაში შეიძლება მოიძიოთ, მთავარია, რაც შეიძლება შორულ წარსულში გადავიწვილოთ. ეპოქაში, როცა მატრიარქატი იწარმებდა მუხლუდავ პოზიციას, როცა შამამომავლობის სიკვდილისა და სიცოცხლის უფლებებს ქალი ადგენდა, როცა საკუთარი შვილების აქნისა და გადასახსნის უფლება მხოლოდ დედებს ეკუთვნოდათ.

ციოთ, რისი თქმა მსურდა? ეს მამაბაბისეული, კაცობრიობის პრესისტორიული პერიოდი ისევე დავვიბრუნდა, ჩვენ ისევე იქ აღმოვჩნდით, პოსტმოდერნული ცივილიზაცია მეტი არაფერია. დღეს დედაშვილის დაპირისპირება უკიდურესად რადიკალურია; შეურიგებელი ანტაგონიზმი, აგრესია და მუხუნარებლობა პირდაპირ ჩასახვის მომენტებიდან იწყება. დედას, მას ერთადერთს, ძალუქს გადანყვიტოს, დაიტოვოს ბავშვი თუ მოიშორს. კითხვა, რომელსაც ყველაზე ხშირად მისვამდნენ ჩვენს შორის არსებულ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად გარკვეული ადამიანები, ასეთია: „კი მაგრამ დედათქვენმა, რომელიც პროფესიით ექიმი და, ცხადია, ამ სფეროში არაერთი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს, რატომ არაიდა თავი აბორტს“; მე ამ ადამიანებზე განსაყვინებული სულაც არ ვარ, მესმის, რომ კითხვას სპონტანურად, გონების დაუტანებლად მისვამდნენ; რასაკვირველია, რამდენიმე წამში ხვდებოდნენ, რაც დაუფიქრებლად წამოცდათ და საშინლად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ; ამას ისე ნუ გავ-

მიგებთ, რომ აბორტის უფლების წინააღმდეგ ვილაშქრებ და საერთოდ, არც არაფრის წინააღმდეგ არ ვიმაძღვრებ ხმას; მე უბრალოდ ვყვები, განვმარტავ. მორჩა.

მოკლედ, დედაჩემს აბორტზე არც უფიქრია. მეცტაც გეტყვი: რამდენიმე წლის შემდეგ რეციდივი გადაიხანა, კიდევ ერთი ბავშვი შეეძინა, მაგრამ აუჯერად სხვა მამაკაცისგან, შემდეგ თავიდან მოიშორა, უფრო სწორად, უპატრონოდ მიაგლო, საკუთარი ქალიშვილი ბევრად უარეს დღეში ჩააგდო, ვიდრე მე, ერთი სიტყვით საშინლად მოექცა (თუ მესხიერება არ მალაატობს, ოფიციალურად უარი განაცხადა დედობაზე, რის შემდეგაც გვარი სეკალდი ამოიძირკვა ჩემი დის საბუთებიდან. დიას, მეგონი ასე იყო, თუმცა დეტალების ცოდნაზე თავს ვერ დავდებ, არც მაქვს რამის გარკვევის სურვილი. არც ჩემს დას მოგვირია ალბათ სიამოვნებას ამ თემაზე საუბარი).

ხშირად ქალები ორსულობისას პირდაპირ ავთვალ არ ენახვებიან - გამოიყურებიან გადასარევედ, არც იუმორის გრძობა ღალატობთ და არც ფიზიკურ სისუსტეს უჩივან; მე მფიქრებდა, რომ ახსნა-განმარტება აქ უნდა ვეძებოთ. ფენმძიმობის პერიოდი დედაჩემს ერთობ ხიბლავდა, მოგვიანებით - ძუძუთი კვება, საფენი და მილიონი სხვა რაღაცა - წურას უკაცრავად!

ცხოვრებაში დედაჩემს იშვიათად შევხვედრივარ, ყველაზე ბევრი - თხუთმეტჯერ. ერთ დღესაც კინაღამ ვალი ამერია. მოვიდა და მუხუნება, შენს მალგამულ გადიის გადაყვარე, რუნიონზე რომ გყავდაო და დიდის ამბით მოგიკითხაო. დედაჩემს გადიის ჩემი ამბით დაინტერესება ოცდაათი წლის შემდეგ სასაცილო, მუხუნაბამო და საქილიკო ენევა; გადიის მოკითხვამ პირდაპირ შემძრა, ძალიან აველედი, არც მიცდია დედაჩემისთვის ამეხსნა, თურატომ.

სამუნხაროა, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ლიუსი სეკალდის ეს ცხოვრებისეული გარბენი, მის მიერ გამოვლილი გზა, სასტიკი და დაუთანდელი თანამედროვეობით, დღევანდელიობითა დადალული. მის ცხოვრებას მე ერთგვარ „სულიერ ზაპინგად“, ტელეარხების უნქონიგო, თითქმის ისტერიული გადართვად მოვნათლავდი, წარმოიდგინებ, სულ რაღაც რამდენიმე წლის მანძილზე ეს ქალი კომუნისტიც იყო, ჰინდუზმის მიმდევარიც და მუსულიმანიც. იყო ნაკლებად მასშტაბური სისულელებითაც გატაცებული, აი, მაგ. ჯურჯიევის სტილი; ჟურნალ **Life**-სთვის მიცემულ ინტერვიუდან შევიტყვე, რომ ქალბატონი დღეს თავს „მართლმადიდებელ ქრისტიანად“ მიიჩნევს. სრული შოკი.

აქ ერთ რამეშია საქმე - ეს ქალი აბსოლუტურად უუნაროა, შესწიროს თავი საკუთარ შვილებს. უუნაროა ალიაროს, რომ ცას ვერ გამოეკერება და ერთ მშვენიერ დღეს თვითონ მოკვდება, მაგრამ შვილები გააგრძელებენ სიცოცხლეს.

მსგავსი მდგომარეობა დღეს საკმაოდ გავრცელებულია და არაერთი ფიქრობს დედაჩემივით. თუ ამ კუთხით შევხედავთ მდგომარეობას, ვფიქრობ, დასავლეთ ევროპის დღევანდელი დემოგრაფიული კრიზისი სულაც არ იძლევა განგაპის საბაბს; მაგრამ





ამ ისიც ცხადია, რომ მსგავსი მიდგომა მის დროს იმპიათობას წარმოადგენდა.

საბოლოო ჯამში, შემიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთო: დედაჩემი აბსოლუტურად ეგოცენტრული პიროვნებაა, გონიერი, მაგრამ ამავედროულად შებლუდული გაქანების; სერიოზულად ვერც კი ვერაზდები მასზე. ისე ცაძვე მართალია, როცა აცხადებს, რომ მე თავს ბევრად უკეთესად ბებიამჩემთან ვგრძნობდი, რომეფსაც ის დღეს "ღვარძლიან პროლეტარად" მოიხსენიებს (მე თუ მკითხავთ, ეს დეტალი მის კომუნისტურ ანგაჟირებულობას საინტერესო ელფერს სძენს). ისე ბავშვობის არაერთ ბედნიერ დღეს ჩემს როივე ბებიას უნდა ვუმაღლოდე; ჩემს დას ამ მხრივ, ვფიქრობ, მაინცდამაინც არ გაუწართლა.

დედისგან მიტოვებულს, ბავშვობის პირველ წლებზე ჩემს მეხსიერებას სულ სხვა ქალები შემორჩა; (დედაჩემის ზიზლისმომგვრელი ხატებისთვის იქ ადგილი არ დარჩენილა) მხედველობაში მყავს, რა თქმა უნდა, ბებიები, დიდიძე და ბაბიდეები, რომლებთანც ბევრად უფრო მეტი დრო გავატარე, ვიდრე ბიოლოგიურ მშობელთან. სიტყვებისა და მეხსიერების მიღმა არსებობდა ის მალგამი გადია, შესაძლოა იყვნენ სხვებიც, მაგრამ მე მათ შესახებ ვერაფრს ვიხსენებ. ამას გარდა, მითხარბო, სიყვარულზე ვინმე ცხვირს იბზუებს? ვინმე კაპრიზობს? ენაფები, სადაც პოულობ, მორჩა!

ხედავთ, ჩემი მდგომარეობა არც ისე სავალალო და დამირტყველი იყო, როგორც შემიძლია თქვენ თაიდან მოგჩვენებოდით (არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ბავშვი მგრძნობიარე, მზრუნველი და მოსიყვარულე დედის ხელშიც კი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, მაგრამ ეს ასექტს სცილდება ჩემი წარმოსახვისა და გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებს). ნამდვილად გულისამრევი და გაუგონარი კი, - თქვენ მართალი ბრძანდებით, - არის დედის მიერ გადმოთხოვლი ღვარძლის, ლანძღვა-ვიწყების და მუქარის ნიაღვარის ჩემზე „პრესის საშუალებით“ გადმოქცევა.

აქ შეუძლებელია მიტყვევაზე საუბარი. ადამიანი გაცდა ბანალური ეგოცენტრიზმის ჩარჩოებს და თავით ფხანდელ შეუკავებელი ბორბლებისა და ღვარძლის მორევი გადაეშვა. რამდენიმე თვის წინ ჩემი დისგან შეიღო მივიღე, მატყობინებდა, დედას ჩვეთან შეხვედრა სურსო. მოკლედ, საქმე უნდა გაგვეჩრია, თითოეულს მოგვეხადა ხურჯინისთვის თავი და შიგთავისთვის თავისუფლად გადმოვრის საშუალება მიგვეცა. ბოლოს შეხვედრა საყოველთაო მიტყვებით უნდა დასრულებულიყოს. ნებისინციადერთის ამოწურვას არაფერი ედგა წინ. მე უარი არ მითქვამს, თუმცა განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამომიჩენია. რანდეუ, სავარაუდოდ, იანერის მიწურულსა და თებერლის დასაწყისში უნდა შემდგარიყო. ჩემი დის გზავნილს ხანგრძლივი დუმითი მოჰყვა; რბილად რომ ვთქვა, ძალიან კი გამიკვირდა. ახლა კი ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ამასობაში დედაჩემმა გამომცემელი მოიძია.

ავალი წარმოსადგენია, რა შეიძლებოდა დედაჩემს მოეჩაბა. მოკლედ ჰყვება, თუ მონდის უწრნალისტს ერთ ფრაზას დავესესხებით, თავის „მო-

გზაურობაზე საუკუნის ლაბირინთებში“ (წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის ეს ფლორანს ნუავილი, მაგრამ ეტყობა, რა ჩიტიც ბრძანდება, მაგარი ბენტერა ვინმე ჩანს. ტონი კი შურჩნევა მხიარულია და მოურინდელი. ეტყობა მოლოპარაკა: „და, მაინც მეფიქრება, რომ ეს ლიუსი სეკალი მაგარი შერენებული ვინმე უნდა იყოს“ და მსგავსი სისულელეები ყელადმი). ქალბატონის გონების ნაფურიდან (1400 გვერდზე მეტი) ვგებულობთ, რომ თავგადასავლებითა და გატაცებებით აღსავსე ცხოვრებით უცხოვრია; ზოგჯერ მძიმე, მაგრამ მაინც საინტერესო პერიოდებიც გადაულახავს. ყველაზე გამორჩეულად ღირებულ ადამიანებთან ჰქონია ურთიერთობა. ქვეყანა არ დარჩენილა დედამინის ზურგზე, სადაც არ უმოგზაურია; ნიგნის რედაქტირება ჟურნალისტ დემოზიონს უტვირთავს, დაახლოებით შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ქაქიცი გამოუვიდათ - ქაქი კუბში.

საგანგაშო ის არის, რომ მსგავსი ნაბოდეგარისთვის გამომცემელიც გამოიძენა. ამას კიდევ არა უშავს. ყველაზე საშიხელი ჟურნალისტები არიან - ეს მძორს დახარბებული სვავები. მათ გახსენებაზე ყოველ ვერზე შიში მიპყრობს, აპოპლექსიამ არ მისხვერპლოს. დაუჯერებელი სიხარბით ეძებენ ყველაზე მყარად და გულისამრეველ პასაჟებს. ეს აჟიოტაჟი ხვალ-ზეგ ნამდვილად არ დასრულდება, ხმაური კიდევ დიდხანს გაგრძელდება... ბოლოს, როცა ეს უნივერსალური გამოფენა ყელში ამოუვავთ, უფრო სწორად უთქვამს, გაბეზრების შეუძინდებათ, დაინფექციონ ვიპოვოს, ცხვირზე ხელს მოიჭყერე და იტყვიან: "ეს უელბეკი ისე ამყარალდა, ისე ამყარალდა, რომ სუნთქვა შეუძლებელია!" გეგონება, ეს ყველაფერი ჩემს მიერ მოწყობილი ხრიკებით იყო.

შემთხვევიდან შემთხვევამდე ურთიერთობები ჩემსა და მასშედის ფრანგულ საშუალებებს შორის თანდათანობით უარესდებოდა; დღეს კი ტოტალური სიძულვილიმ გადაიზარდა. ვადაჭარბებული არ იქნება, თუ ამ ურთიერთობებს „ტოტალური ომს“ შევადარებდი (სინამდვილეში კი ომი ნამდვილად უცნაურია: მე სრულიად განიარაღებული აღმოვედინე, უზირანი იქნებოდა მეთქვა, „ჩემი ტოტალური განადგურებისათვის ნამომცემელი ომი“); გასაგებია, რომ დედაჩემი არც არავის აინტერესებს, გარდა ფლორანს ნუავილისა, ცხადია, თუ ის მართლად ისეთივე შტერია, როგორც სიფათზე ანერია. დედაჩემი მხოლოდ ფარია, მისი დახმარებით მათ მე ვყავარ მიზანში ამოღებული, ჩემი მისიკვდილება სურთ. ეს ცხადზე უცხადესია და დროა ილუზიების ტყვეობიდან გავთავისუფლდე; მიზანი ამართლებს საშუალებებს, მე არავინ დამინდობს; საზოგადოებრივი ცხოვრება პირადულისგან უნდა გამიიჯნოს? მწერალი მისი შემოქმედებებისგან? დღეს ეს ყველაფერი ძალიან ვართუღდა. აბა, რომელი ერთი აიძღვერევეს გონებას ჩვეს დროში მსგავს სინატიფებზე ფიქრით? რასაც მე ამ მომენტში განვიცდი, ალბათ, ძალიან ჰგავს იმას, რასაც შუა საუკუნეებში სამარცხვინო ბოძზე ვაკრული მსჯავრდებული განიცდიდა; ამ შედარებას ხშირად მიმართავენ, მაგრამ სინამდვილეში არავინ უღრმავდება იმ საშინელებას,

რომელიც დასჯის მსგავს ფორმას უკავშირდება. გაიყვანდნენ ამ მსჯავრდებულს ხალხით გადაძეძვილი მოედანზე ყველას სამხერად, ხელბეშქურულს, საგანგებო საყლოში თავგაყრდნობ და სახედაუცველს, და ნებისმიერს შეეძლო მიახლოებოდა, სილა გაენნა, სახეში შეეფურთხებინა, იყენენ უფრო მდიდარი ფანტაზიის მქონენიც.

სამი წლის წინ ჟურნალისტმა დემონინომამ მძიმე სულიერი ჭრილობა მომაცუნა; ამ უკანასკნელმა რადიოეთერში, ასე ვთქვათ, სიცრუეში მამხილა: ჟურნალ „ენოკიუმბიტობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თურმე მითქვამს, რომ „დედაჩემი გარდაიცვალა“; მე ვცადე სიმართლისათვის ნათელის მოფენა, უფრო ზუსტად, მოვლენათა ქრონოლოგიის აღდგენა; სინამდვილეში ეს ინფორმაცია ჩემმა დამომართა, ჩემმა დამ კიდევ საკუთარი მამისგან შეიტყო (ის დღესაც რეუნიონზე ცხოვრობს). მე ჩემს დას ვთხოვე, დაენერა ახსნა-განმარტებით წერილი და რედაქციამ გაეგზავნა. ასეც მოქცა. წერილი „ენოკიუმბიტობის“ მკითხველთა რუბრიკაში მოხვედა სხვა პუბლიკაციებთან ერთად. მისთვის კაციშვილს არ მოუქცევია ყურადღება.

ამას წინათ კიდევ ვაპირებდი თქვენი რჩევა ექრად მელო. მართლაც, ინტერვიუოკლებული არ ენებოდა, ყველა ჩემზე დაწერილი სტატია ერთად მომექუჩებინა და მათზე დაყრდნობით „მონინალმდვის“ სტრატეგია შემესწავლა. ჩემს შემთხვევაში ამის გაკეთებას უკვე აღარ აქვს აზრი: მონინალმდეგე ყველგანაა.

კიდევ კარგი არსებობს გამონაკლისებიც; გამონაკლისები ფრიად უცნაური და ხშირ შემთხვევაში ძნელად აღსაქმელი და გასაგები. მოკლედ, ეს წინანდა წყლის გამონაკლისა და სხვა არაფერი. ძალიან უცნაური კია, მაგრამ სერიოზულ ილუსტრირებულ ჟურნალზე შორის მხოლოდ „პარი მარს“ არ მოსვლია არც ერთხელ აზრად ჩემს პირად ცხოვრებაზე ეყბადა; აღსანიშნავია ისიც, რომ ქალთა ჟურნალეზიცი (ზოგიერთების ხსენებისგან თავს შევიკავებ) გასაოცრად ტაქტიანები აღმოჩნდნენ. ეს ყველაფერი გაერცვლებულ წარმოდგენებსა და კლიშებს თავდაყირა აყენებს? განა ქალებს ენატრინათა და ჭორობაში ვინმე დასჯაბნის? საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში დიამეტრულად განსხვავებული სურათი კი იხატება. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ „მონდ“ ამ მდბაღლი, ვულგარული, პერვერსიული და უგვანო გამობტომბის უფლებას აძლევს საკუთარ თავს. „პარი მატჩი“ კი მოკრძალების, მორიდებულობისა და ელეგანტურობის კეთილმოიბო დაგალობის იძლევა, მე აქ არაფერი შუაში ვარ, ფაქტი ფაქტია. ნებისმიერ კლიშეს ესა თუ ის თეორიაა ამოფარებული. ხშირ შემთხვევაში პრიმიტიული, მაგრამ მაინც თეორია, თუცა არაა გამორიცხული, ფაქტმა კლიშეს წყალი შეყენოს. აი, მაშინ უკვე არავინ უნყის ამ შენს კლიშეს რა მოუხერხოს, რა თავში იხალოს; ამ დროს გამოსავალს მანიც პოულობენ, ახალი თეორიის მოლოდინში მას შეეშვებიან და გვერდზე გადადებენ ხოლმე. ჩვენ გვიჟღებობთ თეორეტიზებაზე, შეიძლე-

ბა მთელი ჩვენი უბედურება, სწორედ ამაში მდგომარეობს. იქნებ უბრალოდ დაუშვებთ, რომ ყველა ადამიანის ერთ ყალიბში მოქცევა შეუძლებელია, ბანადურია, მაგრამ ფაქტია, ჩვენ განსხვავებული თვისებებით აღჭურვილი ადამიანები გვახვევია ირგვლივ. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ფაქტების, არასტანდარტული თეორიების მხედველობაში მიღება არავის აუკრძალავს. ახლა ეთნიკურად უკეთესად რომ ვგრძნობდე თავს, ანუ მეტი ენერჯა რომ მქონდეს, ჩემი კმაყოფილება უსაზღვრო იქნებოდა. მოკლედ, ასეა თუ ისე, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მასმედიის საშუალებების უმრავლესობასთან დასაკარგი არაფერი მაქვს. თუმცა არა, საქმე მთლად ასე ვერ არის, ჩვენს შორის ურთიერთობები ასიმეტრიულია, ანუ ჩვენ არათანაბარ პირობებში გვიწევს შეჯახება. სწორედ რომ მათ არა აქვთ არაფერი დასაკარგი. მშვენივრად იცანა, რომ ამიერიდან მათ არავითარ შემთხვევაში არ გავცემ ხმას, მე კიდევ დასაკარგი - იცოცხლე, ბევრი მაქვს. მათ გადასარევედ უნყანა, რომ შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს, ბევრად უფრო სერიოზული გახდეს. არა, წყალი არ გაუვა, სიტუაცია გაუარესდება.

იმის თქმა ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი ფიზიკური განადგურება აქვთ განზრახული, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან: ასულინი, ჟაკობი, ნოლო, ბიუნელი სხიარულები მეცხვე რას ენეოდნენ ჩემი თვითმკვლელობის ამბავი რომ შეეცყოთ - სრულად დასაშვები რამ. ვიტყვი, მე სრულებით შევესატყვი-სები თვითმკვლელის ფსიქოლოგიურ პორტრეტს; ყოველ შემთხვევაში ერთ მშვენიერ დღეს იქნებ რომ მივიკლა, მოულოდნელი არც არავისთვის თევაა. რადგან ჯერჯერობით თავს არ ვიკლავ, ვიცი რა მოჰგვრდა მათ ენით აღუწერელ სიმოვნებას - შევევა წერას. არის კიდევ ერთი ვარიანტი. მენერა, მაგრამ ჩემს წიგნებზე არავის ელაპარაკა; ყაბულს იქნებოდნენ, ეყბებთ ჩემს ანგარიშებზე, გადასახადებზე, პოლიტიკურ შეხედულებებზე, ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილებაზე, ოჯახურ სკანდალებზე, რაზეც გნებავთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - ჩემს წიგნებზე.

ამ ორთაბრძოლაში რა თქმა უნდა ისინი გაიმარჯვენ.

კურიოზული ის ვახლავთ, რომ მოვლენების მსგავს განვიტარებას მე საერთოდ დიდი ხნის წინ ვგრძნობდი. მასხოს, წინათგრძნობა გამიჩნდა ჯერ კიდევ 1996 წელს, როდესაც „ფლორის“ პრემიით დამაჯილოდოვეს (იბხანად აღმავალ ფაზაში ვიმყოფებოდი). და, აი, მარკ ვაიცმანთან გაქანებულ საუბარში სრულიად უმიზნოდ წამომცდა: „აი, ნახავთ, გავა დრო და თქვენ ყველანი შემოიშლებოთ!“ მარკმა საუბარი შეწყვიტა და გაკვირებული მზერა მომაპყრო. და მე უცრად ვიგრძენი, რომ ეს სრულიად გონებისდაუტანებლად, გაუაზრებლად წარმოთქმული ფრაზა იყო. ერთგვარი თვალის ახლების, გონების განათების ტოლფასი; ერთგვარი ინტუიტიუ-



რი გასხვივება და მე მკვეთრად, სრულიად ნათლად დავინახე მომავალი, რომელიც მელოდა. ისე, სიმართლე გითხრათ, ინტუიციის დიდად არ მჯერა; თუმცა ცვრობი, ძალიანაც მჯერა, მაგრამ მასში ვერაფერს ვპოულობ მისტიკურ და ალქიმიურს. მივიჩნევ, რომ ინტუიტიური მოვლენები ცნობიერების უკიდურესად დაძაბული, არაპროგნოზირებადი მომენტებია მხოლოდ; არც მეტი, არც ნაკლები. ამ დროს აზროვნება ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ შენ თვალ-ყურის მიდევნებასაც ვერ ასწრებ (არ ხდება რამის დემონსტრირება; არც მინიშნებებსა და ნანამძღვრებზე შეიძლება ლაპარაკი). და აი, ამ ნამიერ გაელვებში მე გასაოცარი სიმკვეთით ვიხილე, რაც დავნერე, რისი დანერაც მსურდა და რა იქნებოდა ფასეული ჩვენი დროის ინტელექტუალების თვალში. დასკვნაც მყისიერად გამოცხვა გონებაში: ძალიან მაღე ის, რასაც ვენერდი, ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა.

როცა 2005 წელს სილვენ ბურმოსთან „ინოვაციუბტიბლისთვის“ ვიდეონტერვიუ ჩავენერე, საკმაოდ დრო და საშუალება მქონდა ამ ყველაფერზე სერიოზულად დავფიქრებოლიყავი. მე მაშინ სიტუაციის განალიზების ძალაც მეყო. ჩემი დასკვნა იყო ერთმნიშვნელოვანი: ბრბო ყოველთვის იმარჯვებს.

დასავლეთის საზოგადოებაში ინდივიდი შეიძლება გამოეყოს საზოგადოებას, განუღვივებს მას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შედარებით დამოუკიდებლად გადაადგილდეს. მაგრამ ასე ეულად დიდხანს ვერ ივლის, ბრბო ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიღვივებს და გონს მოეკვება; ფარმდანი გაქცეულ ცხვარზე ნადირობას დაიწყებს და საბოლოოდ მაინც დაიჭერს.

ბრბო უეჭველად იძიებს შურს და ეს შურისძიება იქნება უმწყალო, პრისისხლიანი, იმიტიომ, რომ ბრბო დაფრთხა. ეს შიში შეიძლება თავიდან გაიოცოთ და ეს გასაგებიცაა. ბრბო ხომ მრავალრიცხოვანია; სინამდვილეში ის უღიმღამო და უფხზი ადამიანებისგან შედგება; მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი არაფრისმაქნისობა და უფნარობა, ამიტომაც რცხვენიათ საკუთარი თავის; ცოფდებიან მისი გამო, რომ მათი უფნარობა, თუნდაც ერთი ნამიშთ, შესაძლოა ყველასთვის ხილოვი გახდეს. ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით? ბრბომ დამიჭირა და ის არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებს ნადავლს ხელიდან - ასე იქნება ჩემზე ჩაფრენილი სიცოცხლის ბოლო წუთამდე. მას ჩემი სიკვდილიც ვერ გააჩერებს, საფლავში ჩამყვება (ფფიერობს ჩემს, აღსასრულსაც მოჰყვება „გაცხვივებული პოლემიკა“).

მერე, ძალიან, ძალიან გვიან ბრბო დანყნარდებოდა. ჩონჩხს, აბა, რა თავში იხლის?

აი, ასე ვფიქრობ, ურიგო არ იყო ამის შესახებ საუბარი. მთავარია გაიაზრო, რომ არაფერი შეცვლილა და მაშინ ისეთი უბადრუკი ჟურნალის ტიტიანი, როგორც „ტელერამა“, არარაობად მოგჩვენებათ; ყურსაც არ შეიბერტყავთ, როცა ცდილობენ ვან გოგი და არტო თავისი დროის მუხუღუღლო აზროვნების მარნუხებში მოქცეული ბურჟუაზიული

საზოგადოების მსხვერპლად წარმოაჩინონ; ასეთი მოხსენებით როცა გიმასპინძლებიან, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მსგავსი რამ დღეს შეუძლებელია, რომ ჩვენ ბევრად უფრო განსწავლულები, ღია და ტოლერანტულები გავმხდარავით.

თანამედროვე დევნა-ნადირობაში ახალი ისაა, რომ მონადირეებმა დაკარგეს სინდისი-ნამუსი. სირცხვილის გრძობისგან უკვე აღარაინ იტანჯვება. ზედმიტია ბაბის დელიკატოსობასა და ჰუმანიზმზე. მაგალითად, ჩემთვის აუტანელია ჟურნალისტი დემონპინის მიერ მორგებული ფარისევლური კეთილგანწყობა. იმ უბედურს თავი მართლა ექსპერტი ჰგონია, დამდგარა და უსულგულოდ ნაკუნებდა ფლითავს ჩემს ხეულს; შეუძლებელია ამას კაცმა მშვიდად უყუროს. პირადად ჩემში ეს ისეთივე გრძობას აღძრავს, როგორც ნარწყვი. ნარწყვეს რომ დიდხანს უყურო, შეიძლება შენც გული ამოგტრიალდეს. ასე არ არის? აი, სისხლის დანახვას ბევრად უკეთესად ვიტან; ზიზლაც შემძლია გავუძლო; არ გამოვიცხვებ, რომ მშობელი დეისი არყოლამ ადამიანი უფრო გააძლიეროს, მაგრამ არავის უფსურვებ მაინც მსგავსი გზით ვაკაუჭვასა და გამონათობას; სიყვარული მე არასდროს მესახებოდა, როგორც გარდაუვალი მოცემულობა. გულწრფელად რომ გითხრათ, ბოლომდე ვერც ვერასდროს ჩავნვდები მას; მე ბოლომდე დავგრი „ველურ“, თავისთავში ჩაკეტილი, მოუთვინიერებელ ბავშვად, რომელიც ნებისმიერ დროს მზადაა გიკბინოს.

ჩავთვალოთ, რომ დღეს დედა არ მყავს. ჩემთვის სინამდვილეში არც არაფერი შეცვლილა. ის არც ადრე მყოლია. თუმცა ვიცოდი, რომ ის ფიზიკურად არსებობდა (ის კია, რომ წარმოდგენა არასდროს მქონია, დედამინის რომელ ნაწილში იმყოფებოდა). ჩემი და მას ჩემზე უფრო იმითადა ზედვებდა. დედა მისთვის ერთგვარი ილუზია, მოჩვენება იყო; მიუხედავად ყველაფრისა, ერთი რამ მაინც ძალიან დიდებდავ. ბავშვებში, რომლებიც მამობილებისა და დედობილების ხელში გაიზარდნენ, აუცილებლად უჩნდებათ სურვილი (ეს ძირითადად მოზარდობის მინურული ხდება) „ნამდვილი მშობლები“ მოიძიონ; მაშინაც კი, როცა მათ ყურადღება და სიყვარული არ დაკლებიათ და ამ ურთრფელთა სახლში თავს ბედნიერად გრძობდნენ; ამ დროს მიზებს დაეკითხები და ყველანი უნისონში გიპასუხებენ: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ! ნეტავი რა სურთ იცოდნენ? ზოგიერთები, - თუმცა ეს იმეიათობას წარმოადგენს, - კმაყოფილებიან მცირე ინფორმაციით დედ-მამაზე, რამდენიმე დეტალით ბიოგრაფიიდან და ამით ამოიწურება ყველაფერი, სიღრმისეული წიაღსვლევი გამორტყხულია, მაგრამ უმრავლესობა მაინც ბიოლოგიურ მშობლებთან შეხვედრას ელტვის.

პათეტიკურად, რომანტიკულად განწყობილთა თავში კი სასწაულები ტრიალებს. მათ წარმოსახვაში ეს „ნამდვილი დედა“ არც მეტი, არც ნაკლები პრინცესაა (ეს ემართებათ იმ მოზარდებს, რომლებიც მძიმე პირობებში გაიზარდნენ და „მიმღებ“ ოჯახში თავს მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძობდნენ). ბევრი, რასაკვირველია, სხარტად აზროვნებს და ამ შეხვედრას გონიერულად, რეალურად აღ-

იქვამს. მათ გააზრებული აქვთ, რომ ადამიანი, რომელმაც ის მიაგდო, თავიდან მოიშორა, როგორც დამტვრეული - დაღვნილი, გამოუსადეგარი ავეჯი, დიდი მონივნისა და პატივისცემის ღირსი ვერ იქნება; ისინი უფრო ზნედაცემულ, უკვე დაჩაჩანაკებულ არსებასთან ან ნაძირალასთან შეხვედრას მოელონ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ სურთ, რომ ეს შეხვედრა ნებისმიერ ფასად შედგეს. ძიებენ, აზუსტებენ ინფორმაციას, უამრავ დროს კარგავენ ადმინისტრაციული ფორმალუბების მოგვარებაზე.

ეს ლტოლვა, ძიებანი და შეხვედრები იშვიათად თუ გვირგვინდება ხანგრძლივი ურთიერთობით; ხშირად ყველაფერი ერთადერთი შეხვედრით ამოიწურება. რამდენიმე საათი შეიძლება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს მთელი დარჩენილი ცხოვრებისათვის. თუ რა ხდება ამ რამდენიმე საათის განმავლობაში, ჩემთვის დღემდე გამოცნობად, საიდუმლოდ რჩება; და მაინც, რატომღაც მგონია, რომ მე სხვებზე მეტი შანსი მაქვს მასში ჩანვდომის.

უცნაური ის გახლავთ, რომ ბავშვებს სიძულვილი კი არ იპყრობთ, არამედ სრულიად სხვა განცდები, ბევრად უფრო ცივი და ბევრად უფრო სევდიანი.

და, რა თქმა უნდა, აქ გამოირიცხვება ლაბარაკი მიტყევაზე. ვალიარებ, მე პირდაპირ გული მერევა, როცა დედაჩემი ქადაგებს, ჩვენ ერთმანეთს აუცილებლად უნდა მივუტყვიოთ და ასე შემეგრ. როცა ცდილობს, დოსტოვესკის დაუჭიროს მხარი იმაში, რაც მე ყველაზე მეტად მაცოფებს, დედაჩემის პოზიცია ამ შემთხვევაში ჩემთვის წინდა წყლის ტაქიმახარაობაა, საეჭვო გემოვნების საჯარო ქილიკია და სხვა არაფერი. აი, ჩემთვის როგორია საგანთა წყობა. დანაშაული მოხდა და ჩვენ ის პატიონსად უნდა ვალიაროთ; ამ დანაშაულის შედეგები ჯაჭვური რეაქციის დარად, დღემდე გრძელდება. ჩვენ ასევე უნდა ვალიაროთ, რომ ეს ბოროტებაა, რომ ის ჩვენ ჩავიდინეთ და რომ შეუძლებელია შეიცვალოს ის, რაც უკვე ჩადენილია; ჩვენ იმის ვალიარებაც მოგვიწევს, რომ ეს ბოროტება ლიმიტირებულია; უსასრულო ბოროტება შეიძლება ერთ კონკრეტულ დროსა და სივრცეში შემოფარგლული ფაქტად გარდაიქმნას; ამგვარად ჩვენ შეეცდებით მიზეზ-შედეგობრივი უსასრულო ჯაჭვის განწყვეტის, ბოროტებისა და უბედურებათა მუდმივ რეპროდუცირებას.

მავანი უფრო შორს მიდის და ცდილობს ამ ბოროტებაში დასაყრდენი იპოვოს, რათა საკუთარი თავი გამოძინოს; ის მშობელს უარყოფით მოდელად გარდაქმნის, მავანი კიდევ აღარ ჩერდება და კიდევ უფრო შორს გაიჭრება ხოლმე. მაგალითად, მე ვიცი, რომ ჩემმა დამ (იმედი მაქვს, მომიტყუებს აქ რომ მისი სახელი ვახსენე) მუშაობაზეც კი უარი თქვა და მთელი ენერჯია თავის მონოდეტას - ოჯახის ედელობა შესწირა. ვიცი, რომ ამ სარბიულის ის ნარმატივულია და საერთოდ მსგავსი რამ შეხადლოა ათასიდან მხოლოდ ერთს გამოუვიდეს; მაგრამ ბოროტება შეუძლებელია ფაქტურობად აღვიქვათ. ტანჯვა-ნამებობა და ბოროტების ჯაჭვი შეიძლება დავამსხვროთ.

თითქმის ყველა, ისინიც კი, ვისაც მსგავსი ძალა არ გააჩნია, ბიოლოგიურ მშობელთან შეხვედრისგან უზარმაზარ ცოდნასა და გამოცდილებას იღებს. ეს *tat tvam asi-*ის ("შენ ხარ იგი") ბნელი მხარეც სწორედ რომ ეს არის, შობენაშური ამ გაგებას მორალის ქვაკუთხედად მიჩნევადა, ნათელი მხარე კი - თანაგრძობაა, ნებისმიერ მსხვერპლთან, ნებისმიერ ტანჯულ არსებასთან ნათესაური კავშირის შეგრძნება.

ბნელი მხარე, დიახ, ნათესაური კავშირის აღიარება ბოროტმოქმედთან, ჯალათთან, იმასთან, ვინც ამ ქვეყანას უბედურება დაატეხა თავს.

შენ აღმოჩნდი შენი ბუნების პრისპირ: შენ და მხოლოდ და მხოლოდ შენ ხარ მისი მთავარი მსხვერპლი.

ძნელია აღწერო ის, რაც ამ დროს ხდება, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ მიმტვებლობასთან; ეს უფრო გაგებაა, სინათლის გამოფრქვევა და გაცნობიერება. შენ საკუთარ თავში შუამავლის დახმარებით ბოროტებასა და სიკეთეს შეიცნობ, და იბადება სურვილი, რომელიც ძალიან ნაავაგს ლოცვას, გათავისუფლდ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქვენა გრძობებისაგან, ბოროტი ცდუნებებისაგან.

ვატყობ, კიდევ ცოტაც და ახლოს მივადგები ფილოსოფიას. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მეგობრითი ვაზა მაინცდამაინც მტანჯველი არ იყო. მეფიქრება, რომ ეს მხოლოდ უბრალო გადახვევა იყო და მე ის ვაზა უკვე გამოვიარე საბოლოოდ! ისე, უპრაიანი იქნებოდა, ყველაფერზე ფილოსოფიური თვალთახედვით გვემსჯელა, მაგრამ მე ნამდვილად არ მეყოფოდა ძალა, ყველაფერი თავიდან დამეწყო. მსურს, რაც შეიძლება სწრაფად გამოვიგებნოთ ეს წერილი და ერთი სული მაქვს, ხანა თქვენს პასუხს მივიღებ. ერთადერთი რამ, რაც დღესდღეობით ჭეშმარიტი სიხარულით მავსებს, ვალიარებ, ჩვენი მიმონერაა.

**2008 წლის 12 მაისი**

*ბერნარ-ანრი ლევი თავის საპასუხო წერილში საბინოებს სევდიანი ვატყებების თეორიასზე დაყრდნობით ბრბოს დამარცხებას წინასწარმეტყველებს.*

ეს ყველაფერი მე ზედმინევიტით კარგად მომესუნება, ძვირფასო მიშელ, ეს ჩემი კარიერის დასაწყისშივე ვიგემე, თქვენ კიდევ, ვატყობ, დაგინდეს, ასე ვთქვათ, შეგინყალეს, სანამ პირველ რამდენიმე წინგს გამოუშვებდით.

მე ვიცი, როგორი მოუშუმებელი ჭრილობა შეიძლება ადამიანს ცილისწამებამ, აუტმა და მტკნარმა სიცრუემ მიაყენოს. თავიდან საკუთარ თავს უჩინინებ: "არა უშავს, იქონიერ მოთმინება, ეს ყველაფერი მალე ჩავიკნის. ამ ხატებას მომდევნო წაშლის, ახალი ინფორმაცია გადაფარავს ყველს". ნურას უკაცრავად, მსგავსი არაფერი ხდება, ყველაფერი რჩება...

პასკალ კინიარი

# ენაზე მომდგარი სახელი

ფრანგულიდან თარგმნა გურანდა დათაშვილმა

პასკალ კინიარი (დაიბადა 1948 წელს) თანამედროვე ფრანგული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. განათლებით ფილოსოფოსი და მუსიკოსი, იგი ფართო ერუდიციით და მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევა. ძველბერძნული და ლათინური ენებით გატაცებამ, ბაროკოს მუსიკასთან სულიერმა სიახლოვემ მის მსოფლმხედველობაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია.

იგი მრავალ ჟანრში მუშაობს - რომანი, ესე, მცირე ტრაქტატი, მოთხრობა, ზღაპარი, სცენარი. 2000 წელს საფრანგეთის აკადემიის დიდი პრიზით აღინიშნა მისი რომანი „ტერასა რომში“, ხოლო 2002 წელს მიენიჭა გონკურის პრემია ნიგნისთვის „მოხეტიალე ჩრდილები“. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოუტანა მწერალს რომანმა „ყოველი დილა ქვეყანაზე“, რასაც ალენ კორნოს ეკრანიზაციამაც შეუწყო ხელი.



სადაა ჯოჯოხეთი? სადაა ბნელი ნაპირი ჩვენი არსების სიღრმეში, სადაც ყოველ სულიერს ყველი გაუღის? სად მკვიდრობს ჯოჯოხეთი, თუკი იგი იმ ვაშლშია, რომელიც ყმანვილმა ქალმა ეს-ესაა მოწყვიტა და გთავაზობთ? სადაა ადგილი, სადაც ყველაფერი ილუპება? ნორმანდიის პროვინციაში გამუდმებით იზრდება ბალახი, სუსსიანი ზამთარი იცის, ოღროზოლო გზებია, გაუთავებლად წვიმს.

იქ ხეთა სამეფოა, უხვადაა ვაშლის ხეები. იქ ოკეანე ბატონობს და ქარია მისი მბრძანებელი. ამიტომაც ამ მიწის ბატონ-პატრონი ოკეანის გამგებლები იყვნენ. ქარისმბრძანებლები კი ზღვაოსნები არიან. ნორმანდიაში ისიც კი ზღვაოსნად ითვლება, ვინც ყანას ბარავს. ტანსაცმლის გამომჭრელიც კი ზღვაოსანია. სიღრს რომ წურავს, ისიც ზღვაოსანია. კოტანტენის ნახევარკუნძულიც კი



მეზღვაურის ნავია, რომელსაც ზღვისკენ უბიძგებენ. იგი დრაკარია, რომელიც ოკეანის თეთრ ნაპირს შემორჩა.

მეფე ლუი ენაბლუ 879 წლის აპრილში გარდაიცვალა. მის შემდეგ კარლომანი გამეფდა. ეს ამბავი სწორედ იმ დროს მოხდა. მაშინ, როდესაც სოფლებსა და ნავსადგურებში აღარავინ იცოდა არც წერა და არც კითხვა. მეათასე წელი ახლოვდებოდა. იმ დროს ნორმანდიის საჰერცოგოში იყვნენ ადამიანები, რომლებიც დროების დასასრულს ელოდნენ და ისეთებიც, ვინც ამას არ ელოდა. ერთ მხარეს ქრისტიანები იყვნენ, მეორე მხარეს კი დანიელები, მაგრამ ისინი ერთმანეთში იყვნენ არეული. ერთმანეთისგან გამოცალკევებას ვერ ახერხებდნენ, რადგან დროების დასასრული თითოეული დღის თითოეული წუთია. ეს გიომამდე იყო.

ერთ ძველ ქალაქში, რომელსაც დივს ეძიოდნენ, ჭაბუკი თერძი ცხოვრობდა, სახელად ბიორნი. მის სახელს ნარმოთქვამდნენ, როგორც ჟენს და ჰყვებოდნენ, რომ ძველ ენაზე ჟენი დათვს ნიშნავდა. თერძი თვალტანადი ყმანვილი იყო. განიერ შარვალს და გრძელსახლოვანი პერანგს ატარებდა. წელზე კი ფატიზი ნაქარგობით შემკული ფართო ქაშარი ეკვავა. იგი ქალის სამოსს ეკრავდა. ყველა ქალს, ვინც კი მასთან იკრავდა ტანსაცმელს, იგი მოსწონდა და სიამოვნებით გაჰყვებოდა მას ცოლად. თუკი დაუკეთებდნენ, ჟენი კედლის დიდ ხალოჩებსაც ქსოვდა. გარდა ამისა, სათევზაო ბადეების ქსოვაც ეხერხებოდა.

იგი სხარტი გონების პატრონი იყო. ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხი. ისი კარგად კერავდა, რომ ზღმობლე არ ეთქმოდა. მისი სახლი მდინარის ნაპირს გადაჰყურებდა. თავზევე ყოველთვის ორი ხმალი ეკიდა. კოლბრიუნს იგი უყვარდა.

კოლბრიუნი მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა. თავს ქარგვით ირჩენდა. მას გაგიჟებით უყვარდა ფენი. დილას, შუადღისა და საღამოს თავისი ფანჯრიდან მისკენ იციქრებოდა. ღამე აღარ ეძინა.

ერთ ღამეს, როცა ლოგინში ბევრი იტრიალა და დაძინება ვერ მოახერხა, საკუთარ თავს უთხრა:

„მოსვენება დამეკარგა. მასზე ვფიქრობ და გულზე ცეცხლი მიკიდა. თვალზე ცრემლი მადგება. ეკალივით ჩამოვხმბი. მისი სახელი გონებიდან არ მშორდება“.

მეორე დღიას მან ტანთ ჩაიცვა, წითელ-ყვითლად მოქარგული წინსაფარი გაიკეთა და ქუჩა გადააკეთა. შემდეგ ვაჟის ფანჯრის ხის რაფაზე დააკაუნა. თერძმა თავი უქმაყოფილოდ ასწია, რადგანაც კოლბრიუნმა საქმეს მოსწყვიტა. ქალმა უთხრა, რომ იგი უყვარდა და ბედნიერი იქნებოდა, თუ მისი მეუღლე გახდებოდა. მან დასძინა:

„შენში ყველაფერი მომწონს. შენი ხმის ვაგონებაც კი მიყვარს. რა არის შენთვის შენი ხმა? არაფერი. მე კი მის ვაგონებაზე სიცოცხლე მემატება“.

ჟენმა საკერავი გადადო. ქალს შეუხვდა. უთხრა, დაფიქრება მჭირდებოდა. დაამატა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ქალის თხოვნა. უთხრა, ყოველთვის სიამოვნებით გიყურებდი, როცა ფანჯარასთან ქარგავდი ხოლმეო. გაიმეორა, რომ მის დაფიქრებლად დრო სჭირდებოდა: საღამო, ღამე და მეორე დღია.

მეორე დღეს, სანამ საათი შუადღეს დარეკავდა, ჟენმა კოლბრიუნის კარზე დააკაუნა. საგანგებოდ გამოეყობილიყო. ცეცა თავისი გრძელსახელოვანი პერანგი, განიერი მარვანი და წელს ნატიფი ნაქარგობით შემკული ქაშარი უმშვენებდა. ქალმა შინ შეიპატიჟა. აღელვებისგან წითლად ღუოდა. ვაჟმა მისი ნაქარგები დაათვალიერა. შემდეგ მიუხეცნდა და მისი ხელები თავისაში მოიქცია. გამოუტყდა, რომ მის ცოლად შერთვას აპირებდა, მაგრამ ერთი პირობით. ქალიშვილს უთხრა:

„კოლბრიუნ, შენზე ამბობენ, რომ დივის ყველაზე დახლოვებული მქარგავი ხარ. შეგიძლია თუ არა, ჩემი ქაშარის დარი ღამაში ქაშარი მოქარგო? პირადად მე ეს ვერ შეეძელი“.

ამ სიტყვებზე ჟენმა ქაშარი შეიხსნა და კოლბრიუნს გაუწოდა.

ქაშარის შეხებაზე კოლბრიუნს სახეზე ალმური მოეღო, რადგანაც ქაშარს თერძის სხეულის სითბო ჰქონდა გამოყოლილი. მან უპასუხა:

„შეეცდები, ჟენ, რადგანაც მინდა შენი ცოლი გახვდეთ. იმედი მაქვს, ნამუშევრით კმაყოფილი დარჩები“.

კოლბრიუნი თავაუღებლად შრომობდა. ღამეებს ათენებდა, რომ ზუსტად გადმოეცა ორნამენტები, რომლებიც ქაშარს ამკობდა, მაგრამ ხაზენი ისე იყო ერთმანეთში გადახლართული, ძაფები, რომლებითაც ისინი იყო გადანასკვული, ისეთი სათუთი და ნაზი იყო, ხოლო ფერები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ ვერ ახერხებდა ესოდენი სრულყოფილებისთვის მიეღნია.

ზედიზედ თეთრად ნათებებ ღამეებს შიში დაერთო. ვაითუ, პირობა ვერ შევასრულოო. უხეირო მქარგავი ვყოფილვარო, ნუხდა კოლბრიუნი და დარდობდა, ჟენი ჩემზე უარს იტყვის, რადგანაც სიტყვას ვერ ვასრულებო.

ქალის სასონარკვეთილებამ შეიპყრო. სიცოცხლის ხალისი დაკარგა. ჭამა შეწყვიტა. ამბობდა:

„იგი მიყვარს. ქარგვა თითქოს ვიცო. თავდადებით ვეშუშობ, მაგრამ არაფერი გამომდის“.

მუხლებზე იჩოქებდა და თვალცრემლიანი ევედრებოდა ღმერთს. შესთხოვდა:

„ჰოი, ზეცისა და სიკვდილის მეუფე, ვინც არ



უნდა იყო, მოდი ჩემ საშველად. რას არ გავიღებ, ოღონდაც თერძი ჟენის მუულებ გავხედე".

\*\*\*

ერთ ღამეს, როცა კოლბრიუნი ქეთინებდა, კარზე კაკუნე მოესმა. ხელში შანდალი აიღო და სახე ახლოს მიიტანა ფანჯარასთან, რომელსაც ქარისგან ღორის გაპოხილი შარდის ბუშტი იცავდა. მან ვიღაც დიდგვაროვანი ბატონის სილუეტი დალანდა.

ბატონს მდიდრულად ეცვა. ოქროს კამზოლი და ფართო თეთრი მოსასხამი ემოსა. ნელზე ოქროსავე სარტყელი ჰქონდა შემოხვეული იარაღის დასაკიდად. იგი კაკუნს განაგრძობდა.

კოლბრიუნმა მორიდებით გამოალო კარი. ბატონმა უთხრა:

"ნუ გეშინიათ. ღამით გზა ამებნა. მდინარეზე განოლილ ნისლს გამოყვევი. სიბნელეში თქვენი სახლიდან გამოსული მუქი დავინახე. მსურს ცხენი შევასვენო. იგი თქვენს ღობესთან მივაბი. თუ არ შეგანუხებთ, ცოტა რამეს გეახლებოდით და დაეღვედი კიდევ".

კოლბრიუნმა იგი შინ შეიპატიჟა. კერას თეშა მიუმატა. სტუმარს შემაჭრებული სიდრი შესთავაზა. ბატონმა შეასხენა:

"მშია".

კოლბრიუნმა ბოდიში მოუხადა დაბნეულობისთვის, მაგრამ ღამის დაღლილობას მასზე ემოქმედა. სტუმარს ბურღულის ფაფის მომზადება შესთავაზა, მაგრამ მან უპასუხა, ვაშლს ვამჯობინებდიო.

კოლბრიუნმა ხილის თასი აიღო და სარდაფში ჩავიდა ვაშლების ამოსატანად. სტუმარს ვაშლი გაუნდა. ბატონმა ვაშლი ჩაკბიჭა. მან შეამჩნია, რომ კოლბრიუნი მალულად იმპრალებდა ცრემლებს. პირი შეინძინდა და მიმართა:

"ქალიშვილო, შენ ტირი".

კოლბრიუნმა უპასუხა, რომ ეს სიმართლე იყო და დასძინა:

"მე თერძი ჟენი მიყვარს. ასე გვიან ღამით იმიტომ ვმუშაობ, რომ ჟენს შევპირდი ქაშრის მოქარგვას. ხუთი კვირაა დღე და ღამეს ვასწორებ, მაგრამ ღირებული ვერაფერი შევქმენი. იქნებ, ჯობია საკუთარი თვალით ნახოთ?"

იგი ქაშრის მოსატანად წავიდა და სტუმარს უჩვენა ნიმუშები, რომლებშიც ამაოდ ცდილობდა, ზუსტად გადმოეცა ქაშრის მშვენიერება.

ბატონს გაეღიმა და მიუგო:

"მოიცა... ან სამყარო ძალზე პატარაა, ან შემთხვევითობა ძალზე უცნაური რამ. მგონი იმ აბგაში, ჩემს ცხენს რომ ჰქონდა ფერდზე, სწორედ ამგვარი ქაშარი უნდა მქონდეს".

როცა ბატონი სახლში შემობრუნდა და ქაშრები ერთმანეთს შეადარეს, აღმოაჩინეს, რომ ისინი წყლის ორი ნვეთივით ჰგავდა ერთიმეორეს. ერთი ძაფიც კი არ იყო სხვა ფერის. ერთი ხაზიც კი არ იყო განსხვავებული. უცრად კოლბრიუნს ცრემლები მოანვა. მან თქვა:

"იმიტომ მეტიერება, რომ ღარიბი ვარ. ეს ქაშა-

რი ერთი ცხენი, შვიდი ძროხა, ან ოქროს აგრაფი მაინც ელირება. ვერასოდეს შეეძლებ მის ყიდვას. ვერასოდეს გავხედები ჟენის ცოლი".

ბატონმა უბრძანა, რომ ახლავე შეენყვიტა ცრემლების ღვრა. იგი ძალიან ახლოს მივიდა ქალთან, თავზე ალურხით გადაუსვა ხელი და უთხრა:

"ამ ქაშარს ისე გაჩუქებ, თუ გინდა.

- რის სანაცვლოდ? - აღშფოთებით დაუსხლტა ხელოდან კოლბრიუნი.

- უბრალო პირობის სანაცვლოდ.

- რა პირობის? - შეეკითხა კოლბრიუნი.

- რომ ჩემს სახელს არ დაივიწყებ - უთხრა ბატონმა.

- რა გქვიათ? - ჰკითხა ქალმა.

- მე ჰედებიკ დე ჰელს მეძახიან. - განაცხადა ბატონმა.

კოლბრიუნმა სიცოცხლე ვერ შეიკავა. ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

"როგორ უნდა დამავიწყდეს ასეთი მარტივი სახელი: ჰედებიკი? გვონებ, დამცინით".

ბატონმა მიუგო:

"არ დაეცინი, კოლბრიუნ, მაგრამ ამდენსაც ნუ იცინებ. იმიტომ რომ, თუ ერთი წლის შემდეგ ამავე დღეს, ამავე საათს, შუალამისას ჩემი სახელი დაგავიწყდება, ჩემი გახდება".

კოლბრიუნმა გულიანად გაიცინა.

"ძალიან ადვილია სახელის დამახსოვრება!" - თქვა მან.

იგი სტუმართან მივიდა და ქაშარი გამოართვა. კაცი სკამიდან წამოდგა. კოლბრიუნმა უთხრა:

"თქვენი მოტყუება არ მსურს, ბატონო. მე მხოლოდ თერძი ჟენი მიყვარს. მას სიტყვა მიეცევი და მამოხვევ ცოლად უნდა გავყვე, როგორც კი ქაშარს მიეფუტან".

ბატონმა უთხრა:

"შენ უკვე მოითხარი, რა ვალდებულება გაკისრია შენი თერძის წინაშე, მაგრამ ჩემდამი ალბულ ვალდებულებასაც ნუ დაივიწყებ. გახსოვდეს ჩემი სახელი. თუ მეხსიერება გიღალატებს, მით უარესი შენი თერძისთვის. ამ შემთხვევაში იძულებული იქნები, მე წამომყვე".

კოლბრიუნმა უპასუხა:

"თქვენ ერთსა და იმავეს იმეორებთ. სულელი არ ვარ. ჰედებიკ დე ჰელის სახელის დამახსოვრება ისეთივე ადვილია, როგორც კოლბრიუნისა და არა მგონია, ოდესმე გამიჭირდეს ჩემი სახელის გახსენება. თქვენ ძალიან კეთილი იყავით ბატონო ჩემო, მაგრამ ვმიშობ, რომ ერთი წლის შემდეგ გულში მხოლოდ ქარს და სინანულს ჩაიკრავთ".

- შესაძლოა ასეც მოხდეს, თქვა ბატონმა დე ჰელმა უპასუხა იმდროინდელი. მაგრამ მე რომ შენს ადგილას ვიყო, ჟენის სხეულთი ვისარგებლებდი და მას ძალიან მაგრად ჩაეკრავდი გულში!

ამ სიტყვებზე მან მზრებზე მოიგდო თავისი ქათამა მოსასხამი, გადააბიჯა კარის ზღურდოს, მივიდა ღობესთან, შეჯდა თავის ბედაურზე და გზას გაუდგა კუნაპეტ ღამეში. მხედარი და მისი ცხენი მყისვე გაუჩინარდნენ თეთრ ნისლში, რომელიც

მდინარეზე განოლილიყო.

\*\*\*

ყენს უცებ გავლევია. მზერა ფანჯრისკენ გაექცა: რიჟარაჟი ძლივს კროთდა და უკვე ვილაღ აკაკუნებდა კარზე. ვაჟი სანოლიდან ნამოხტა და გაიფიქრა:

„იმედი მაქვს, კოლბრიუნია. იმედია, ქარგვა დაასრულა“.

იგი კარის გასაღებად წავიდა. ქალ-ვაჟი მაგიდაზე დაიხარა და ქაშრებს დასცქეროდნენ. მათ ერთმანეთს ადარებდნენ, იცინოდნენ. ყენი კოლბრიუნს ეუბნებოდა:

„ჯადოქრის ხელები გქონია“.

კოლბრიუნს ნითლდებოდა, გული სიამაყით ევსებოდა.

მაგიდაზე გაშლილი ქაშრები იმდენად ჰვავდა ერთმანეთს, რომ ვერცერთი მათგანი ვეღარ ხვდებოდა, რომელი ქაშარი მიანდო ყენმა ქალიშვილს. კოლბრიუნმა ვეღარ მოითმინა:


„მაშ, ხვალვე შეგვიძლია საჯაროდ გამოვაცხადოთ ჩვენი ქორწინების შესახებ“.

ყენმა უპასუხა, რომ ხვალამდე დაცდა საჭირო არ იყო. გამოცხადება დღესვე შეეძლოთ და დაამატა:

„მეამაყება, რომ ცოლად ვირთავ ოსტატს, რომელმაც შეძლო იმ სამუშაოს შესრულება, რომლის ბოლომდე მიყვანაც მე ვერ მოვახერხე“.

მან კოლბრიუნის ხელები თავისაში მოაქცია, მისკენ დაიხარა. ქალ-ვაჟი ერთმანეთს გადაეხვია.

ისინი დაქორწინდნენ. ყენის ქონებას შეადგენდა: ხის სახლი მდინარე დივის პირას, ათგანი ქსოვილის თოფი, ჩაქუჩი, ორი ხმალი. კოლბრიუნს მზითევი მოჰყვა: ხის მაგიდა, სკამი, ტალ-კვესი, შანდალი, სართავი ჯარა, თითისტარი, საქარავის გადასაჭიმი ბურთი და რგოლი. ყენმა ყველას თანდასწრებით მიაჩრთა კოლბრიუნს თავისი ნატიფად ნაქარგი ქაშარი და წელზე შემოარტყა. ასევე, ყველას თანდასწრებით კოლბრიუნმა თავისი ქაშარი აჩუქა ვაჟს და ვაჟმა თვითონვე გაინასკვა იგი მუცელზე. თავ-თავიანთი ქაშრებით დამშვენებულმა ქალ-ვაჟმა შესვა თითო-თითო ფიალა პრე და სიდრი მთელი დივის თვალწინ და ამგვარად ყველას დასტურით ჩატარდა მათი ქორწინების ცერემონიალი.



ქორწინის მჭედელი უძღვებოდა. მას გარს ეხვიენენ წყლის მზიდავი, ბენვეულის მკერავი, მეთევზე, დურგლები და ხაბაზები.

კოლბრიუნს ძროხაზე შეჯდა და ყენის სახლისკენ გაემართა. ყენმა გასაღებები ჩააბარა თავის მუღლეს.

კოლბრიუნმა კერაზე ნაცარი მოხვეტა, იბანავა, თმა მალლა აინია და კეფაზე ლენტით შეიკრა. მარჯვენა ხელში ჩაქუჩი დაჭირა, სარეცელზე დანვა, ფეხები გაშალა და ქაშარი მიიღო. ორივემ ბედნიერად იგრძნოთავი. ცხრა თვე გავიდა.

მეცხრე თვის მინურულს, როცა საქარგავ რგოლზე შავი ბედაურის სილუეტი გამოჰყავდა, კოლბრიუნს უეცრად სახე ეცვალა.

მას გაახსენდა ბატონი, იმ საღამოს რომ ეწვია, როცა ტიროდა და შუკი ანთებული ჰქონდა დატოვებული, სწორედ ყენზე ქორწინების წინადაღეს. გაახსენდა მისთვის მიცემული პირობა. ის-ის იყო, მისი სახელი უნდა გაეხსენებინა, რომ უეცრად იგი სრულიად ამოუვარდა თავიდან.

სახელი ენაზე ადგა, მაგრამ ვერ იხსენებდა. სახელი მის ბაგეებთან დალივილივებდა, სულ ახლოს იყო, კოლბრიუნს მას გრძნობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მის მოხელთებას, ბაგეებში მოქცევას, წარმოთქმას.

იგი აღელდა. ფეხზე წამოხტა.

ბევრი ეძება გონებაში, მაგრამ ვერ გაიხსენა იდუმალი ბატონის სახელი. მის თვალებში ელდამ დაისადგურა.

ოთახში ბორიალს მოჰყვა.

იმეორებდა მორაობებს, რომლებიც იმ საღამოს აგონებდა. სარდაფშიც ჩავიდა ვაშლების ამოსატანად ქაშანურის ხილის თასით ხელში, ცდილობდა, თანმიმდევრულად აღედგინა, რაც გააკეთა. ფიქრობდა თეთრ მოსასხამზე, შავ ბედაურსა და ოქროს სარტყელზე. ხმაბალა წარმოთქვამდა იმ ლაქით ნათქვამ წინადადებებს, ახსოვდა კაცის მიხრა-მოხრა, ვაშლის ჩაქუჩის ხმა, მისი კამზოლი, სიტყვები, წინადადებები, მაგრამ ვერ იხსენებდა მის სახელს.

\*\*\*

კოლბრიუნმა ძილი დაკარგა.

საძინებელი ოთახი ნაღველმა მოიცვა. ღამეს ქალი შიშში ატარებდა. საკუთარ თავს უკრძალავდა ქმართან სიახლოვეს. საწოლში მოუსვენრად წრიალებდა დაიწყებული სახელის ძიებაში.

ქმარი გაკვირვებული იყო.

საძინებლის შემდეგ ნაღველმა სამზარეულოში გადაინაცვლა. კოლბრიუნს კერძები ეწებოდა. როცა საჭმელი დაბრუკვას გადაარებოდა, სუფრის განყოფა ავიწყდებოდა. კერაში ნაცარს აღარ ხვეტდა, ამიტომ ბუხარი იმურებოდა და ბოლავდა. იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ კერძის-მომზადება დაავიწყდა, იმდენად მოეცვა შიშს მისი გონება, რომელიც დაიწყებულ სახელს ეძიებდა.

ქმარი გაჯავრდა.

კოლბრიუნს ჩამოდნა. ისევ გამხმარ ეკალს დაემგავსა. ნაღველმა, რომელიც საძინებელ ოთახსა





და სამზარეულოში დაბუდეებულიყო, ახლა ხეხილის ბაღს შეუტია. ქალი აღარ მარგლავედა სალათის ნათესებს, ამოსაღები სტაფილო მინაში რჩებოდა, ბოცვრები ამაოდ ელოდნენ ბოსტნეულის ღეროებს. ბაღი აღარ იძლეოდა ვაშლსა და მსხალს. ამიტომ ჩიტები მას აღარ ეკარებოდნენ. ყველაფერი მიჩუმდა. ნელში მოხრილი, თავგალუნული კოლბერიუნი ხეების ტოტებქვემ დაბორიალებდა. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, დავიწყებულ სახელს იხსენებდა.



ერთხელ შენმა სილა გააწანა. თვალცრემლიანი კოლბერიუნი მისკენ შებრუნდა. ქმარმა ხელები დაუჭირა და გულმოსულმა ჰკითხა მასში ასეთი ცვლილების მიზეზი. რამ დაატეხათ თავს ასეთი ნაღველი?

რატომ აღარ ეკარებოდა საქმელს? რატომ გაუბრუნდა ქმრის აღერს, როცა ერთად იწვნენ? და რატომ ქვითინებდა გულამოსკვნილი მთელი ღამე? რამ დაადუმა ხეხილის ბაღი? რატომ გაცივდა კერა? რატომ დაბორიალებდა თავდახრილი ოთახებში? შეშლილივით რატომ დაეხეტებოდა ბაღში ტუჩების ცმაცუნით, თითქოს რაღაცის თქმა სურს და ვერ გაუბედაო?

კოლბერიუნმა ვერაფერი უპასუხა. სილა ისეთი ძლიერი იყო, რომ ლოყა სტიკოდა.

მან ტირილს უმატა. თავი მეუღლის მკერდში ჩარგო და ქვითინებდა. ვერ ჩერდებოდა, გულამომგდარი სლუკუნებდა. შენი თმაზე ეფერებოდა მეუღლეს. ქალს უთხრა:

„ძალიან ბევრს ტირი. დივი უნდა შეგარქვა, იმდენს ტირი. იმ მდინარის სახელს დაგარქმევ, რომელიც ჩვენი სოფელს ჩამოუდის. მის წყალს მოჰყავს ჩვენი ხილი, მასში იკლავენ წყურვილს ჩვენი ცხენები და ძროხები, მასში ირეცხება ჩვენი თეთრული, მისით ვაკეთებთ წვინანს, მასში ვიბანთ ხელ-პირს, მასში დატურავთ თევზბო, შენსაგვით რომ ადებენ პირს მთელი დღის მანძილზე.“

უეცრად კოლბერიუნმა ოთხი ნაბიჯით დაიხია უკან. სახე მთლად გაფითრებოდა. ცრემლები შემრობოდა. მან ქამარი შეიხსნა და ქმარს გაუნოდა.

ის ნელში გამართული იდგა შენის წინაშე. სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება ენერა. ქმარს უთხრა:

„მე ვოგატყუე. მრცხენია. ეს ქამარი ჩემი არ არის. ვერ შევძელი მისი მოქარგვა. ეშმაკობა ვიხმარე. ერთხელ, შუალამისას როცა ვტிரიოდი, რადგანაც ვერაფერს ვუხერხებდი საქარგავს, სანთელი ანთებული დავტოვე. კარზე ერთმა ნარჩინებულმა ბატონმა მომიკაკუნა. ცხენი ჩემს ღობეზე მივიდა, დიდი თვირი მოსასხამი ემოსა. ეს ქამარი მან მომცა. მე კი სიტყვა მივეცი, რომ მისი ვავადებოდი, თუკი ერთი წლის შემდეგ მის სახელს ვეღარ მოვიგონებდი. უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა. სახელი რა? სახელზე ადვილი დასამახსოვრებელი რა უნდა იყოს? სიტყვა „ქამარი“ როგორ უნდა დაიფიქრო? სიტყვა „სიყვარული“ როგორ ვერ უნდა გაიხსენო? როცა სულს დავლევე, მაშინაც კი შენი სახელის ხსენებაში ვიქნები, მაგრამ იმ სახელს ვე-

ლარ ვიგონებ.“

თერძი ცოლთან მივიდა, ქამარი გამოართვა და კოლბერიუნი გულში ჩაიკრა.

„ნუ ტირი, უთხრა მას. მე შენ მიყვარხარ. ან იმ სახელს მოვანებებ, ან იმ ბატონს.“

მეორე დღეს, გამთენიისას, შენი წამოდგა და ტანთ ჩაიცვა. კოლბერიუნს ჰკითხა, თუ საითკენ წავიდა ბატონი.

„იქით“ - მიუთითა მან.

შენი იქით წავიდა. მდინარის კალაპოტს მიჰყვა. ტყეში შევიდა, ტყის მჭრელებს გაესაუბრა. ბუჩქნარი გადაჩხრია, კლდეებზე იფოფხა. ორდღიანი სიარულის შემდეგ კუნძვე ჩამოჯდა, რადგან დაღლილობამ სძლია. ცრემლები წამოსცივდა. უკვე მეორე თვის ნახევარი იყო გასული. უეცრად თვალწინ ყურდაცქვეტილი ბაჭია გამოეცხადა. ბაჭია შეეკითხა:

„რატომ ტირი?“

- თეთროსასხამიან ბატონს დავექებ.“

„გამომყევი“ - უთხრა ბაჭიამ.

შენიც ადგა და ფეხდაფეხ მიჰყვა. ბაჭიამ იგი თავის სოროსთან მიიყვანა, რომელიც ხავის ქვეშ იყო ჩამალული. შენმა ჩაიმუხლა, ოთხზე დადგა და სოროში შეძვრა. იგი მიწის ქვეშ ჩავიდა და იმ ქვეყანაში აღმოჩნდა. უცებ დიდი, თეთრი ციხე-დარბაზი დაინახა, რომელიც ღამეში ანათებდა. ასანევი ხიდი ჩამოშვებული იყო და მან ხიდზე გაიარა.

ეზოში მეჯინიბები ცხენებს აურევდნენ.

ოთხკუთხა ეზოს შუაგულში მსახურები დიდ ოქროს ეტლს აკრიალებდნენ. სხვები კრეტსამელებს ასუფთავებდნენ.

შენი მსახურებს მიუახლოვდა და კრძალით ჰკითხა:

„შეიძლება გავიგო, რატომ ხეხავთ ამ ეტლს?“

- ჩვენი ბატონი დედამინაზე ასასვლელად ემზადება. იქიდან ახალგაზრდა მქარგავი ქალი უნდა ჩამოიყვანოს და ცოლად შეირთოს, - უთხრეს მსახურებმა.

- ეტლი, რომელსაც თქვენ ახლა აკრიალებთ, მართლაც დიდებულია. გულახდილად მითხარით, როგორ შეიძლება მოხდეს, რომ ასეთი საუსებო ეტლის მფლობელს დიდებული სახელიც არ ერქვას?“

- მართალი ბრძანდებით, - უპასუხეს მსახურებმა. ეს ეტლი ჰედებიკ დე ჰელს ეკუთვნის.“

ჟენის გააჟროლა.

„გადაეცით ჰედებიკ დე ჰელს, რომ თერძი ჟენი სალამს უთვლის.“ მან სათითაოდ დაუკრა თავი მე-ჯინიბებს და მსახურებს, რომლებიც ეტლის გარშემო ტრიალებდნენ. თავიანთი მხრივ, ისინიც ასევე დაემშვიდობნენ მას.

ჟენმა ციხე-დარბაზი დატოვა. ჰელიდან აღმართით გამობრუნდა. უნდა ითქვას, რომ ნორმანდიის ძელი მცხოვრებნი ჰელს ჯოჯოხეთს უწოდებდნენ.

უნდა ეთქვას, რომ ჯოჯოხეთი სამყაროს სახელია სამყაროს ყველა ბინადრისთვის.

ჟენი სოროდან ამოძვრა. სუფთა ჰაერი რომ ჩაისუნთქა, ქალაქ დივისკენ გაიქცა. გზად ჰედებიკ დე ჰელის სახელს იმეორებდა. სახელი კარგად ახსოვდა, რადგანაც გულმოდგინედ ცდილობდა მრავალჯერ გამეორებინა იგი.

მდინარესთან მისულმა წყალში თავისი სახლის ანარეკლი დაინახა. წამით შეჩერდა. დივზე მოლივივე სურათმა მოხიბლა. ხელით მოაჯირს დაეყრდნო, შეხედა თავისი სახლის გამოსახულებას, რომელიც წყლის ზედაპირზე ელავდა. უეცრად იგრძნო, რომ შიოდა.

როცა წელში გასწორდა, შეეცადა კვლავ ეთქვა სახელი: ის იქვე იყო, სულ ახლოს, ენაზე ადგა, მისი ბაგეების ირგვლივ ნისლივით დაცურავდა. ხან უახლოვდებოდა, ხან შორდებოდა. მაგრამ როცა მოინდომა ცოლისთვის ეთქვა, სახელმა უმტყუნა.

\*\*\*

ორი დღე ისვენებდა. კოლბრიუნს ისე ეშინოდა

მასთან დაშორების, რომ ღამით ჟენის მკლავებში შიშისგან თრთოდა. ამასობაში მეთერთმეტე თვე დადგა. ჟენი წავიდა, მდინარეს გაჰყვა და ტყეში შევიდა. ბევრი ეძება ხავსეკეში, მაგრამ ის სორო ველარ იპოვა. ცხოველებს ეკითხებოდა მიწისქვეშა სამყაროს გზას, მაგრამ ისინი მდუმარედ შესცქეროდნენ, ან მისგან გაქცევას ლამობდნენ. თერძი სულ უფრო და უფრო ღრმად მიიწეოდა ტყეში.

უეცრად ტყე დამთავრდა და იგი ოკეანის წინაშე აღმოჩნდა.

დაქანცული იყო. წყალში შეჭრილი კლდის კიდეზე ჩამოჯდა, რომელსაც ტალღები ეხლებოდა. ცრემლები მოანვა. წყლის ზედაპირზე კამბალა ამოცურდა. მან ჰკითხა:

„რა გატყირებს?“

ჟენმა შეხედა თეთრ ტალღებში მონავარდე კამბალას და უთხრა:

„თეთრმოსასხამიან და ოქროსსარტყლიან ბატონს დავეძებ.“

„გამომყვე“ - მიუგო თევზმა და ზღვაში ჩაყვინთა.

ჟენი ოკეანეში გადაეშვა. ზღვის ფსკერს შეეხო. წყალმცენარეთა კედლის მიღმა დიდი ციხე-დარბაზი დაინახა, რომელიც სიბნელეში ანათებდა. ასანევი ხიდი დაშვებული იყო. მან ზედ გაიარა.

ეზოში ჯარისკაცები უნაგირებს ადგამდნენ შავ ბედაურებს.

ციხე-დარბაზის ოთხკუთხა ეზოს შუაგულში მსახურები წითელ ბალიშებს დებდნენ ეტლში. მზარეულებს წყლის დოქები და ვერცხლისთავსახურიანი ლანგრები მოჰქონდათ, საიდანაც მადისალმძვერელი სუნი ამოდიოდა და მათ ეტლის კარებებში, საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილ სათავსებში, ფაქიზად აწყობდნენ.

ჟენი მზარეულებთან მივიდა და კრძალვით ჰკითხა:

„შეიძლება გკითხოთ, რატომ ალაგებთ ამ კერძებს ეტლში?“

- ჩვენი ბატონი დედამინაზე ასვლას აპირებს ახალგაზრდა მქარგავი ქალის წამოსაყვანად და სურს მგზავრობისას მას მცირე საუზმით გაუმასპინძლდეს.

- მართლა არაჩვეულებრივი სუნი დგას, თქვა ჟენმა. მართალი მითხარით, როგორ შეიძლება, რომ მას, ვინც ასეთ საუცხოო კერძებს ამზადებინებს, თავადვე არაჩვეულებრივი სახელი არ ერქვას?

- მართალი ბრძანდებით, მიუგეს მზარეულებმა. ასეთ კერძებს ყოველდღე მიირთმევს ჰედებიკ დე ჰელი.

ჟენმა ტუჩები დაისველა.

„გადაეცით ჰედებიკ დე ჰელს, რომ თერძი ჟენი სალამს უთვლის.“

მან სათითაოდ დაუკრა თავი მზარეულებს, რომლებიც ეტლის გარშემო ტრიალებდნენ. ისინიც ამგვარადვე დაემშვიდობნენ.

ჟენმა დატოვა ზღვის ციხე-დარბაზი. გაარღვია ზღვის ზედაპირი. ნაპირზე გამოვიდა. პლაჟი გადაკვეთა. ტყეში შევიდა. მირბოდა და ჰედებიკ



დე ჰელის სახელს იმეორებდა. სახელი კარგად ახსოვდა, რადგანაც განუწყვეტლივ იმეორებდა. ცდილობდა ხშირ-ხშირად ეთქვა იგი.

ტყე გადაიარა. ტყიდან გამოვიდა და ხეობას გაჰყვა. მდინარეს მიუყვებოდა. ხიდზე ავიდა. ხიდზე ცოლი დაინახა, რომელიც მისკენ მორბოდა და სახელს უძახდა. ძალზე წყნარი საღამო იყო. ბინდებოდა. ცოლი მის სახელს გაჰყვიროდა. მის უკან მზე ჩადიოდა. ფენი ხედავდა ცოლის წინ წამოშვერილ უზარმაზარ ჩრდილს, რომელიც ჩამავალ მნათობს ხიდის ფიცარნაგზე გაეწვინა. მას შიოდა, დაღლილი იყო. იგი მისკენ მომავალი ამ უზარმაზარი ჩრდილის წინ შედგა. როცა ცოლი გულში ჩაიკრა და მან სახელის შესახებ ჰკითხა, ფენმა უცებ ვერ გაისხნა იგი: სახელი ნამდვილად არ იყო შორს. იქვე იყო, მის გვერდით, ენის წვერზე ადგა, მისი ბაგის ირგვლივ ჩრდილივით დაფარფატებდა. ხან მიუახლოვდებოდა, ხან შორდებოდა, მაგრამ როცა ცოლისთვის უნდა გაემხილა, სახელმა უმტყუნა.

\*\*\*

ფენი ორი დღე ისვენებდა. კოლბრიუნი ღამით აღარც კი წვებოდა დასაძინებლად. ოთახებში დაბორიალებდა. ცდილობდა სახელი გაეხსენებინა. მთელი მისი არსება შიშს მოეცვა. მეთორმეტე თვეც დადგა. ფენი სახლიდან გავიდა. მდინარეს გაუყვა, ხიდი გადაიარა, ტყეში შევიდა და ბაჭია ვერ იპოვა. ტყიდან გამოსულმა სანაპიროსკენ გასწია. კლდის წვერზე ავიდა. არცერთი თევზი არ შეხმინანებია. მოშორებით ერთი ნახევარკუნძული და მთა დაინახა. იგი მთისკენ გაემართა. მთაზე ასვლას დღეები მოანდომა.

მთის ნახევარს რომ მიადგინა, იგი ისეთი ციცაბო გახდა, რომ უფრო მაღლა აცოცება ვეღარ შეძლო. ხელნებზე დაიხედა: თითები დასისხლიანებული ჰქონდა. ამიერიდან როგორღა უნდა მოეხერხებინა კერვა მის სათუთ თითებს. ნემსში ძაფის გაყრას მაინც შეძლებდა? კლდეზე ცოცვისგან თითები დაბრტყვლებოდა და სისხლი სდიოდა. ფენს ცრემლები წამოუვიდა.

მის გვერდით კაკაჩა დაეშვა.

კაკაჩამ ნელა შეიკცვა უშველებელი ფრთები და უთხრა:

„რა გატირებს ამ შუა კლდეზე დაკიდებულს? ფენმა უპასუხა:

„იმ პატონს ვეძებ, რომელიც თეთრ მოსასხამს და ოქროს სარტყელს ატარებს და დიდი შავი ბედაური ჰყავს. მაგრამ უფრო ზემოთ ვეღარ ავდივარ“.

„მომყევი“ - უთხრა კაკაჩამ.

„ფრენა არ ვიცი“ - მიუგო თერძმა.

„ფრენაში არაა საქმე, - უთხრა კაკაჩამ - მთავარია არ ჩამოვარდე“!

„აზრი არა აქვს“ - თქვა ფენმა. მაინც ვერ დავიმასხოვრებ იმ სახელს, რომელსაც ცოლი მთხოვს. დაბლა დავეშვები.

„გამომყევი, აქედან ახლოსაა, - შეაწყვეტინა კაკაჩამ, - მე გიჩვენებ ადგილს, სადაც წაპრალია.“

ის ადგილი მართლაც არ იყო შორს. კაკაჩა ნე-



ლა მიფრინავდა. ფენი მიჰყვებოდა და თან კლდეებს ებლაუჭებოდა. ერთგან კაკაჩამ ფრთა აიქნია და ვაჟს მთაში გაჩენილი ნაპრალი დაანახა.

ფენი მთის სიღრმეში ჩავიდა. ჩასვლას რამდენიმე დღე მოანდომა. უფსკრულის სიღრმეში მან დიდი, თეთრი ციხე-დარბაზი დაინახა, რომელიც წყვილიდში ელვარებდა. იგი მისკენ გაეშურა. მუხლებზე დავარდა. ჩამოშვევულ ასანევ ხიდზე გაიარა და მუხლები გადაეყვლიფა.

ეზოში მხედრები თავ-თავიანთი ცხენების უნაგირებზე სხდებოდნენ.

ციხე-დარბაზის ოთხკუთხა ეზოს შუაგულში ოქროს ეტლის სახურავზე ასულმა ორმა ჯარისკაცმა იარაღი იმიშველა.

ფენი ჯარისკაცებს მიუახლოვდა და კრძალვით ჰკითხა:

„შეიძლება გკითხოთ, რატომ ახვედით ამ ცარიელ ეტლზე და რატომ აელევებთ იარაღს?“

„წუთი წუთზე ჩვენი პატონი უნდა მობრძანდეს. დედამინიდან ახალგაზრდა მქარავაგი ქალის წამოსაყვანად მიდის და ჩვენ მისი დაცვა გვევალებათ“.

„თქვენი იარაღი მართლაც შეუდარებლად ლაპლაპებს, - თქვა ფენმა. ერთი მითხარით, განა შეიძლება, რომ კაცი, რომელიც ასეთი ბრწყინვალე იარაღის პატრონია, თავადაც ბრწყინვალე სახელს არ ატარებდეს?“

„მართალი ბრძანდებით - მიუგეს მათ. ყველა ეს იარაღი ჰედებიკ დე ჰელს ეკუთვნის. ახლა კი გზა მოგვეციტო, რადგანაც წასასვლელად ვემზა-

დებით”.

ჟენი გაიქცა და ჯარისკაცებს მიაძახა: „გადაეცით ჰედებიც დე ჰელს, რომ თერძი ჟენი სალაშს უთელის”.

ჟენი მირობდა, კლდეებზე ჟურციკივით მიხტოდა, შვილიდან ამოვიდა, კვლავ გარბოდა. ჰედებიც დე ჰელის სახელს იმეორებდა. გამეორების წყალობით გონებაში კარგად ჰქონდა ჩაბეჭდილი მისი სახელი. ცდილობდა ბეგრჯერ გაემეორებინა იგი.

\*\*\*

დიეში კოლბრიუნი ჟენს ელოდებოდა. გამხდა-რიყო. დაეიწყებულ სახელს იგონებდა. კანკალს აუტანა. საბედისწერო ვადახდე მხოლოდ სამი დღე რჩებოდა, ჟენი კი ჯერ არ დაბრუნებულყო. ქალი თავის თავში ეძებდა სიტყვას, მაგრამ ვერ პოულობდა. ჟენთან დაშორების ისე ეშინოდა, რომ ამის გაფიქრებაზე ძარღვევები სისხლი ეყინებოდა. იგი უზურგო თავს მამეზე ავიდა. ჟენის ორი ხმლიდან, რომლებიც თავებზე ეკიდა, ერთ-ერთს მისწვდა. ხმალს პირი აუღვსა, რადგანაც სიკვდილი სურდა. არ უნდოდა იმ ბატონის ცოლობა. მას სურდა, მხოლოდ ჟენის ყოფილიყო.

\*\*\*

ჟენი სახელს იმეორებდა. მეთორმეტე თვის ოცდამეცხრე დღე იდგა. ის მიიდან ჩამოდიოდა. კლდიდან კლდეზე ხტებოდა. ბოლოს ქევიან ნაპირამდე მიადნია. მირობდა. პლაჟმა ტყესთან მიიყვანა. მეთორმეტე თვის ოცდამეათე დღე გათენდა. კვლავ მირობდა. ტყეში შვიდა და იგი გადაკვეთა. უკვე მეთორმეტე თვის ოცდამეთერთმეტე დღე იდგა. ღამდებოდა. ღამის თერთმეტი საათი იყო. ისევ მირობდა. ხიდეზე გადავიდა. მდინარის წყალი არაფერს ირეკლავდა და ღამეში ნებისმიერი ჩრდილი მყისვე ინთქმებოდა.

სახლის კარი შეღო და ცოლისკენ არ გაუხედავს, რომელსაც ჭირის ოფლი ასხამდა. მას ხელში ხმალი ეჭირა. მისგან ზურგმუქცევით იჯდა კერის წინ. ხმლის წვერი იატაკს ებჯინებოდა.

ჟენმა დაიყვირა: „ჰედებიც დე ჰელია მისი სახელი!”

და მონყევტით დაენარცხა ძირს. კოლბრიუნი მობრუნდა. როცა ადგა, სწორედ მაშინ დარეკა პირველად შუალამის მაუწყებელმა ზარმა. უტკრად ქარმა დაუბრა, კარი თავისით გაიღო და კარის ჩარჩოში ბატონი ჰელი გამოჩნდა. დიდი თეთრი მოსასხამის ქვეშ საუცხოო კოსტიუმი ეცვა. ნელზე ოქროს სარტყელი უელავდა. მის უკან ოქროს ეტილი მოჩანდა, რომელიც ღამეში უღვარებდა.

დე ჰელი სიცილით მიუახლოვდა ქალს. სურდა ხელი ჩაეველო მისთვის. კოლბრიუნმა ხელი უკან გასწია. წინ გადაიხარა და ჰკითხა:

„რატომ გსურს ხელი გამომართვა, ბატონო?  
- გახსოვს ჩემი სახელი, კოლბრიუნ?  
- რა თქმა უნდა, მახსოვს სახელი, რომელსაც თქვენ ატარებთ. განა ბეგრ ქალს იცნობთ, რომლებიც თავიანთი კეთილისმყოფლის სახელს ივიწყებენ?

- რა მქვია? - ჰკითხა ბატონმა.  
- მაცალეთ, რომ ენაზე მომადგეს. მაცალეთ, რომ ჩემმა ბაგეებმა წარმოთქვან იგი.  
- რა მქვია? - დაიყვირა ბატონმა.  
კოლბრიუნმა წყნარად, ღიმილით მიუგო: „ბატონო, თქვენი სახელია ჰედებიც დე ჰელი”.  
ბატონს ყვირილი აღმოხდა. ირგვლივ ყველაფერი გაშავდა. ყველაფერი ჩაქრა, როგორც სანთელი, რომელსაც ლაპარაკისას ვაქრობთ. ყველა, ვინც ლაპარაკობს, შუქს აქრობს.  
ღამის წყვილიაღმ მხოლოდ ფლოქების თქარათქური ისმოდა.

\*\*\*

როცა კოლბრიუნმა თვალის გახელა გაბედა, ეტილი იქ აღარ იყო.  
კოლბრიუნი გულწასული ჟენის სხეულზე დაიხარა და მის ბაგეებს დაეკონა.  
ღამე ისეთი ბნელი იყო, როგორც ჩვენ დროს იცის ხოლმე. კოლბრიუნმა ტალ-კვესი გაჰკრა, რომ ანთებული სანთელი ახლოს მიეტანა იმ კაცის სახესთან, რომელსაც მისი თმა ეხებოდა. რომლისკენაც სახე დაეხარა და რომელსაც ტუჩებს უწვდიდა. ჟენი წყნარად სუთნაქვდა.

\*\*\*

ჟენი ჩამომდნარიყო. მუცელი შიმშილისგან უყურყურებდა. კოლბრიუნმა ცალ მუხლზე ჩაიჩოქა. სასანთლე კვლავ ხელში ეჭირა.

„Oramus ergo te, Domine: ut cereus iste in honorem tui Nominis consecratus, ad noctis huius caliginem destruendam, indeficiens perseveret.” (უფალო, გვევდრებით, რომ ეს წმინდა სანთელი, რომელიც თქვენი სახელის მოგონებას ეძღვნება, ჩაუქრობლად ენთოს, რათა ამ ღამის წყვილიაღმ გაანათოს.)

ჟენს გაეღვიძა. დასუსტებულიყო. სახე გაფითრებოდა. კოლბრიუნმა ხელი მოჰკიდა და წამოწევაში დაეხმარა. ორივემ დაიჩოქა ანთებულ სანთელთან. მათ ეს ლოცვა წარმოთქვეს:

„Oramus ergo te, Domine: ut cereus iste in honorem tui Nominis consecratus, ad noctis huius caliginem destruendam, indeficiens perseveret.” (უფალო, გვევდრებით, რომ ეს წმინდა სანთელი, რომელიც თქვენი სახელის მოგონებას ეძღვნება, ჩაუქრობლად ენთოს, რათა ამ ღამის წყვილიაღმ გაანათოს.)

ერთი წუთის განმავლობაში ორივე ცახცახებდა, შემდეგ კი მთელი სიცოცხლე ბედნიერები იყვნენ. მათი შვილები და შვილთაშვილები გამრავლდნენ და ბოლოს მიიცივლნენ. ამ ქვეყნად დატოვეს მაგიდა; სასანთლე; ძაფი; ძაფსართავი ჯარა ცხოველების მატყლისგან ძაფის დასართავად; თითისტარი ამ ძაფის ამოსახვევად; და ჩემი ხმა ამ ყველაფრის მოსათხრობად.



სილვენ ტესონი

# ასფალტი

ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილიეშვილმა

ფრანგი მწერალი სილვენ ტესონი დაიბადა 1972 წლის 26 აპრილს პარიზში, ჟურნალისტის ოჯახში. განათლებით გეოგრაფმა 1991 წლიდან იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ტიბეტში, ციმბირში, აზიის სტეპებში, ჩინეთში. იყო საქართველოშიც. 2001-2002 წლებში მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციაში პაკისტანში. 2012 წელს გაიარა ნაპოლეონ ბონაპარტეს გზა მოსკოვიდან პარიზამდე. მოგზაურობს ძირითადად, ველოსიპედით. დაცოცავს მაღლივ შენობებზე.

მისი ნოველების ძირითადი თემაა მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ესე და ფოტოალბომი.

2009 წელს მისმა ნოველების კრებულმა "ძნელი ცხოვრება" გონკურის პრემია, ხოლო 2011 წელს ესემ "ციმბირის ტყეებში" მედიჩის პრემია დაიმსახურა. ნოველა "ასფალტი" შედის ნოველების კრებულში "ძნელი ცხოვრება".



- არამზადა!

ბოთლების წკარუნის ხმა დისტრიბუტორის მანქანის გამოჩენაზე გაცილებით ადრე ისმოდა ხოლმე. ყოველ საღამოს ერთი და იგივე სურათი მეორდებოდა. ედოლფიუსი გზას უთმობდა სატყერითო მანქანას და ცხვირზე თავის ხილაბანდს იფარებდა, მაგრამ მტვერი ნესტოებს მაინც უფსებდა და პირში საშინელ გემოს უტოვებდა. ედოლფიუსი ახველებდა, იფურთხებოდა, იხრჩობოდა. მუქი ფერის დორბლის წვრილი ძაფი წვერზე ეკიდებოდა. მაშინ დის-

ტრიბუტორს, მოუპირკეთებელ გზას, თავის ცხოვრებას აგინებდა. როცა იძულებული ხარ მტვერსაც აგინო, ამქვეყნად დიდს არაფერს უნდა წარმოადგენდე.

მინდვრიდან სახლამდე ედოლფიუსს ნახევარი საათის გზა ედო. შუა სოფელში, ხის სახლში ცხოვრობდა. ზაფხულობით მხარზე ცელგადებული, ზამთრობით კი ბარით ხელში მიუყვებოდა გზას. წელა მიაბიჯებდა, თამბაქოსა და ქლიავის არყით დამწვარი გული ფართო ნაბიჯებით სიარულის საშუალებას არ აძლევდა. ორმოცდაათი წლის, მაგრამ უკვე დაჩაჩანაკებული კაცი იყო. ტბის პირას გაშე-

ნებულ სოფელ ნალკას ირგვლივ მობობინე გორაკები ერტყა. ვულკანური ნიადაგი, ხასხასა მწვანე ალპური საძოვრები. ქედის მწვერვალიდან ამოფრქვეული ლავა ფერდობის ნაოჭებში ჩაღვრილა. მერე ლავის ნაკადი მდელის დაუფარავს.

ზაფხულობით ირგვლივ ულამაზესი ყვავილები იშლებოდა. ცხვრები გრძნობდნენ, რომ მთას ვერას დააკლებდნენ და გალიზიანებულები გამაგებით უტყებდნენ ბალახს. ფერდობი მთიბაგებით ივსებოდა. ცელის ყოველ მოქნევაზე ბოლოქანქარები სანსლავენდნენ მწერებს. თიბვა ერთ თვეს გრძელდებოდა. მთიბაგები ცელებს პირს უღვსავდნენ. ლითონი ქვაზე წრიბინებდა. ქალებს კახური ღვინით სავსე ვინოყელიანი დოქები ამოჰქონდათ. არცერთი ქართველი არ აღიარებს, რომ ეს საზიზღარი სითხე ყვავს დააჩხავლებს. საღამოს თივას ორთვალა საზიზღარზე ზეინავდნენ. ყოველ ოჯახს ფერმაში გადაჰქონდა თავისი ნათიბი. ედოლფიუსს საზიზღარი არ ჰქონდა, სხვის მინდორში მუშაობდა. დღის ბოლოს შინ ფეხით ბრუნდებოდა, მარტო.

მზე ოქროსფრად ფერავდა მდინარის კალაპოტს. წინათ, საბჭოთა კავშირის დროს, ედოლფიუსი კომკავშირლებთან ერთად ლენინგრადის ერმიტაჟში იყო. ნახა ჰოლანდიელ ოსტატთა სოფლის პეიზაჟები. ტილოებზე ისეთივე სინათლე იყო, როგორც აქაა, მაგრამ იქაური სოფლები უკეთ მოვლილი ჩანდა.

სატვირთო მანქანა ბრუნდებოდა და მის უკან ჩამავალი შიბი ნითელი ფარდა ეკიდა. ედოლფიუსი მტვირის ბულში გაუჩინარდა და ისევ შეიგინა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, იურის უნდა დალაპარაკებოდა. ნალკაზე გამავალი გზა სოფელ ოლ-

იანგის გავლით ბათუმში მიდიოდა. ასკილომეტრიანი გზის გასავლელად, ზღვიდან რომ გამოივრება, ექვსსაათიანი ნჯღრევა უნდა აგეტანა. პირველ მოსახვევს ტყეში შეჰყავდი და ჰაერი უშალ ტენიანი ხდებოდა. გზა ოცდაათჯერ მოუხვევდა და ოლიანგში ჩადიოდა. თურქთა ხოცვა-ჟლეტის დროს სომხებს იქ რამდენიმე შავი ქვის სახლი აეგათ. მერე დანგრეული გზა მდინარეს მიუყვებოდა და ხიდებზე გადადიოდა. წინ სამი სასაამოვნო საათი ჰქონდათ. სათევზაოდ ჩერდებოდნენ, თევზს ცეცხლზე წვავდნენ. ნითლების დროს საქართველო სამოთხედ ითვლებოდა.

ედოლფიუსი ფიქრობდა. ვერ გაეგო რატომ იყო, რომ მის სოფელ ნალკას ერთადერთი მოუპირკეთებელი, ლორლიანი გზა ჰქონდა, მაშინ როცა ასფალტს მთელი დანარჩენი სამყარო დაეპყრო. აფრიკულ ქალაქებსაც კი, ბარდებს შორის თავიანთი შავი ენები გამოეყოთ. მთელი კაცობრიობა, უკანასკნელი ზანგიც კი ასფალტზე დააბიჯებდა. მთელი პლანეტის სოფლები თანამედროვეობას მოეცვა, ნალკას კი, საქართველოს უძღვევლ, მაგრამ უიღბლო ციხესიმაგრეს უფლება არ ჰქონდა ამ ფერხულში ჩაბმულიყო! აქ, მტვერში, სისხლიანი ნახველი უნდა ეპურჭყებინათ და ღრანტეების ტალახი ეზილათ.

ედოლფიუსი გულზე სკდებოდა. საქართველო მეძავი ქალივით იყო მომწყვდეული კავკასიონის ძირში და ვის არ დანებებია: თურქებს, რუსებს, ბერძნებმაც კი შეაღწიეს იქამდე ვინო ხეობებით.

თუმცა არც დიდების ნლები ყოფილა მისთვის უცხო. წინათ თურქებიც მეგობრულად ეკიდებოდნენ. აულებელი ქრისტიანული ციხესიმაგრეები აგ-





ვირგინებდა ანატოლის მწვერვალებს და ნინოს ჯვარმა ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდეც კი მივიყურა. დღეს ამ ქვეყანას ჩალის ფასი აქვს, გაზეთებში ამას ერევის დაქინების ექაზიანი.

ედოლფიუსი ჭიანჭველების ბუდეისთან შედგა. კარგად იცნობდა ამ პატარა ბორცვს. შუა გზის მანიშნებელი სასახლურ ბოძით იყო. ჯიბიდან მათარა ამოიღო და მოყლუპა. დიდმა ყლუპმა ყელი ჩაუნეს. ისევ გადახუხა. ამჟერად სასმელის სიმაგრე იგრძნო, მარჯვენა ხელი პატარა ბორცვს მოუთათუნა. ჭიანჭველები გაგიჟდნენ. ზოგი ხელზე ააცოცდა და დაკბინა. ედოლფიუსმა ჭიანჭველები ჩამოიბერტყა. მწერებმა კანი თავიანთი მუჯით დაუსუსხეს. მან სითხე მარჯვენა ნესტოთი შეისრუტა. ნიშადურის სპირტის შემადგენელმა ელემენტმა სინუსი დაუგლოჯა. კაცი მილულული თვალებით შესცქეროდა ბორცვიდან ჩამავალ ჭიანჭველებს. პროლეტარიატის დარტყმის ძალა იგრძნო.

- ეს საძაგელი მწერებიც კი ჩვენზე უკეთ გადაადგილდებიან!  
ჭიანჭველების ბუდეს ფეხი ჰკრა და პატარა ბაბილონს დაინგრა.

იური ასფალტაშვილი გამგეობის შენობაში მუნიციპალური საბჭოს სხდომას უძღვებოდა. იონჯით დაფარულ მინდორზე აღმართული სტალინის ქანდაკების შესახებ მსჯელობდნენ. სოფელში ხმა აიმაღლეს დავანგრიოთო. არა იმიტომ, რომ ანგარიში უსწორებდნენ კომუნიზმს, არამედ იმიტომ, რომ ჯართი ბათუმის პორტში ძვირად ფასობდა.

საბჭოს წევრები უსმენდნენ მოადგილეს, რომელიც წინადადის გაზეთში ნედლეულთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნერაღს კითხულობდა.  
- ხმა გაკმინდეთ, თქვე უბედურებო! ამას ბოლო უნდა მოვლდოს!

ედოლფიუსმა კარი მიიჯახუნა, აბრა კარზე მიხეხეთქა. მდივანმა ქალმა შეჰკვილა.  
- ედოლფიუს, თუ რამეს თქმა გინდა, ანასტასია პეტროვნასთან ჩაენერე და შემდეგ სხდომაზე მოგისმენთ.

- მასე აღარ გამოვა, იური. ნალკის გარდა მთელი პლანეტა მოასფალტებულია, ყველას დასაცინი გაგებით.

- ედოლფიუს, საქმე გვაქვს და ლოთებისთვის არ გვცალია, მოუსვი აქედან!

- ასფალტი გვჭირდება. მთების ტყეებში ვართ. სოფლის საბჭოს წევრმა ვეტერინარმა, რომელმაც თბილისში ჩემპიონობა მოიპოვა ჭიდაობაში, ედოლფიუსი ქუჩაში მოისროლა. მთიანეთს კაცმა ნონასწორი დაკარგა და ტვალახში მოადინა ზღართანი. ორმა ბატმა წვივები დაუკბინა. გამგეობის წევრებმა კარი მიხურეს და სხდომა განაგრძეს.

II

- ასე გრამი, - უთხრა ედოლფიუსმა თამარას.  
კუთხეში მჯდომი თავისი ჭიჭა არაყი ორივე ხელით ეჭირა. 1950 წელს გახსნილი კაფე მაშინ ჰიდროელექტროსადგურის მუშების კულტურის სახლ-

ის კაფე იყო. დარბაზი დიდი იყო: იქ ცეკვავენ ხოლმე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლენინის პორტრეტი არ ჩამოუხსნიათ. ედოლფიუსი მას მიმტერებოდა. სუსტი განათების გამო ვლადიმერ ილიჩ ულიანოვს ცუდი ფერი ედო. ჩრდილები მის აზიურ ნაკეთვებს გამოკვითდა. თურქ-მონღოლთა ნაბიჭვარს ჰგავდა. წარმოდგინეთ, რომ ედოლფიუსი კარგად იცნობდა ბელადის თხზულებათა თვრამეტომოვლად რუსულ ენაზე, ისე რომ იგი არც გადაეფურცლა. უნდადა თამარას გამოლაპარაკებოდა. ის თავზიანი მიმტანი იყო. მაგრამ, კედელზე ჩამწკრივებულ ბოთლებთან ჩადგმული რადიომიმლები რუსულ პოპს გადმოსცემდა. ჯგუფი "ტაჭუ" მღეროდა. ხმაბალი მუსიკა გამოლაპარაკების საშუალებას არ იძლეოდა. მეზობელ მაგდონზე უხმოდ სვამდნენ. ედოლფიუსმა თამარას ანიშნა ხმისთვის დაეწია.

- რა გინდა? - ჰკითხა ქალმა.  
- ასფალტი.  
მერე მეზობელ მაგიდასთან მსხდომთ მიმართა:  
- არ დაიღალეთ ამ ღორზე ნჯღრევით?  
- გაჩუმდი ედოლფიუსე, - უთხრა თამარამ, - ხალხს ვუღი გაუწყალე.

- თქვენ თავს შეხედეთ! მოკვდით თუ რა გჭირთ? მთელი მსოფლიო ხავერდით გზებზე დასრიალებს, ჩვენ კი ისიც არ შეგვიძლია, რომ ნალკაში ასფალტის დამუშავებას აიშავაყვინოთ.

ხურდა ფული მაგიდაზე დაყარა და ბარიდან გავიდა. კარი რომ მიიხურა, თამარამ რადიოს ხმას აუწია. ბარიდან სახლამდე ხუთასი მეტრი იყო. ედოლფიუსს კარგად მანც ესმოდა მუსიკის ხმა. ახლას გაფუჭებული ფიოდორი, ციმბირელი ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავი მღეროდა რაღაც დეგენერატობას: "გადაჰკარ დილით და მთელი დღე ლალი იქნება..." ედოლფიუსის გოგონები აღმერთებდნენ ფიოდორს.

გამსკადრმა კანალიზაციამ ქუჩა ჭანჭირად აქცია. ედოლფიუსი ლაფში ამოიგანგლა. რომელიღაც სახლის მესერთან ღორი გააღვიძა. ძაღლები აყფედნენ. თეთრმა "ვოლგამ" ჰუარა ანთებული ფარები, პერანგზე ტვალახი შეაშხევა. პეტრეს მანქანა იცნო, ყასბის. შარშან შუა სოფელში ისე ჩაფელო ტვალახში, რომ ოლიანგად ტრაქტორის ამოყვანა დასჭირდათ მის ამოსათრევად.

- აქამდე სად ბრძანდებოდი, ფუჰ, როგორ ყარხარ!

ედოლფიუსმა ცოლს არაფერი უპასუხა. ტატიანა და ოქსანა ვიდეთამაშზე კამათობდნენ. უნდადა მისთვის ეკოცნათ. ედოლფიუსმა მათს ცვალებების გამო შანსი არ ჰქონდა. ედოლფიუსს ტყულები თვრამეტი წლისანი იყვნენ და მამასთან საერთო ბევრი არაფერი ჰქონდათ. ქალაქში ნასვლაზე ოცნებობდნენ, მთელი დღე გარეთ დახეტებოდნენ. ტელევიზორმა მათ სამყარო გააცნო. სულ ეკრანს იყვნენ მიჯაჭვულები. არ უყვარდათ მინდვრის სურნელი, აშინებდათ ტყის სიბნელი, არ იცოდნენ ძროხის მონჯილა. სულ რომ არ გამოშტერებულყვნენ, მათთვის ქალაქში ნასვლის საშუალება უნდა მიეცა. მათ გამო ედოლფიუსი აუცილებლად დააგებინებდა ასფალტს. ასფალტი მათ გადაარჩენდა. სოფლის ყველა ახალგაზრდა ბათუმით, ამ მიუ-

წემომელი ვარსკვლავით იყო შეპყრობილი. იქ, გაჩახჩახებულ ყურესთან, სადაც ბოსფორისკენ მიმავალი, აზერბაიჯანული ნავთობით დატვირთული ტანკერები ჩამჭკრივებულყენენ, გაჩახჩახებულ ბუნგალოებში მწვანდნენ წვევდნენ. ღაბის კლუბებში დილის ექვს საათამდე ირეოდა კოცნას მოწყურებული ხალხი. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდნენ, წალკელი ახალგაზრდები ავტობუსით სხდებოდნენ, წვლოვანს იტანდნენ და ექვს საათში ქალაქში, ახალ ცხოვრებაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. იქ დარჩენაზე ოცნებობდნენ, უკან დაბრუნება აღარ უნდოდათ. ამ ტენდენციის აღმოსაფხვრელად წალკასაც უნდა აეწყო ფეხი საუკუნისთვის.

შემოდგომამდე ედოლოფუსის საქმე არ ელეოდა. ერთ საღამოს, მინდერის სამუშაოების შემდეგ სოფლის სკოლაში კრება მოაწყო. მასწავლებელი პრანტისი უმაღ მისი მოკავშირე გახდა. მანაც კარგად უწყდა, რომ მტერიანი და დაბტურული გზა ცალმხრივი იყო: ბავშვები ამ გზით მიდიოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. მოკვდავთათვის გადაადგილება შეუქცევადი პროცესია.

თავიდან გლეხები გავრბოდნენ ინიციატივას. ფიქრობდნენ, რომ ედოლოფუსი და პრანტისი გამგეობაში სკამს უმიზნებდნენ და ინტრიგების ხლართვა დაიწყეს. ცვლილებები არ უნდოდათ. გამგებოდა კოორდინირებული კაცი იყო, მისი შემეცნადრ ალბათ, უარესი იქნებოდა. წალკა იმიტომ გადარჩა, რომ იქ არასოდეს არაფერი შეცვლილა. აგიტატორები არ ენდობოდნენ. როცა პოლიტიკური დისიდენტები ანა პუგაშვილი საკუთარი ბინის ზღურბლზე მოკლეს, ჩურჩულებდნენ ახია მასზეო. სამეზობლოშიც ყველაფერი მიძინებული იყო. ვულკანების ჩრდილოში. სამ კილომეტრზე ახლოს, პატარა სოფლები იყო, სადაც სამი სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები - ბერძნები, სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთს ქვაფენისლიანი გზებით იყავშირდებოდნენ. ეს მანქანებისთვის ჯოჯობითი იყო, ველოსიპედებისთვის - კომმარა. სომხები ვერ იტანდნენ აზერბაიჯანელებს, აზერბაიჯანელები - ბერძნებს. სიძულვილი ყველას აიძულდა მშვიდად ეცხოვრა. თუ არადა, სიკვდილი გარდაუვალი იყო.

ნ.2 მალაზიის მებატრონემ, არდემისმა - ერთადერთი მალაზიისა, რომელიც წალკაში დარჩა მას შემდეგ, რაც ნ.1 და ნ.3 მალაზიები გაკოტრდნენ, - შემლო სოფლის უნებისყოფი მცხოვრებთა ერთადერთი სუსტ წერტილს - თავმოყვარობას შეგებოდა. ერთ საღამოს ის სკოლაში მივიდა. სხდომათა მდარაზი თითქმის ცარიელი იყო. განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ასფალტის დაგებას. სულ იმაზე წუნუნებდა, რომ დისტრიბუტორები ხშირად ვერ ადიოდნენ მის მოსამარაგებლად. ბათუმელი ერთუმად მოვაჭრე, რომელსაც ის შეკვეთებს აძლევდა, თავს არიდებდა დისტრიბუტორების წალკის დანგრეულ გზებზე გაგზავნას. არ უნდოდა თავისი მანქანების შასი "ნეგუში ამოსვრილი მთიელების" მოსამარაგებლად დაემტვრია. დისტრიბუტორებმა არდემისს გაუშვილეს, რომ ასე ეძახდნენ მათ ქალაქში. მან ეს სიტყვები ედოლოფუსს გაუქროსა. შეურაცხყოფილი ედოლოფუსი წამოხტა თერისა და ბერის გასაერ-

თიანებლად. მასწავლებელი სააგიტაციო ფურცლების გაკეთებაში მიეხმარა. ორმა კაცმა მთელი ღამე მოაწოდმა საორმოცდათი ფურცლის სოფლის ლოგებზე გააკვრას. მიმართავდნენ "მათ, ვისაც არ სურდა "ნეგუში ამოსვრილად" დარჩენილიყო". მერე მოდიოდა ოციოდე ლირიკული სტრიქონი, რომელიც მოუწოდებდა სოფლის მოსახლეობას ასფალტში ჩაერჩოთ "იქაურთა" შეურაცხყოფა. მონდებმა მოითხოვდა, წალკელები მეკრებზე მისულყენენ. ზენოლა უნდა მოეხდინათ რეგონის გამგეობაზე.

ხალხს გულზე მოხვდა შეურაცხყოფა. სააგიტაციო ფურცელს დენთის ფეფტი ჰქონდა. მეორედღეს ყველა სკოლას მიანწავა. ყველას სურდა გზის მოასფალტება. ყველას თავისი დასაბუთება გააჩნდა.

ჯერ ექთანმა გამოთქვა აზრი:

- ტლახი, რომელიც მთავარ გზას ფარავს, გაზაფხულზე სიბინძურის ბუდედ იქცევა ხოლმე.

ედოლოფუსის ტყუპები ყოჩალი გოგოები იყვნენ. ჩამოთვალეს პერსპექტივები, რასაც ქალაქთან დაკავშირება გამოიწვევდა.

- იზოლაციაში მყოფი წალკა ხელიდან უშვებს თავის მომავალს, - განაცხადა ტატინამ.

ოქსანამ უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა. ცოტა ხნის წინ მოქმინა სატელევიზიო დებატები და აფხაზეთის დეპუტატის სიტყვები გაიმეორა, კამერების წინ თეზე რომ გაუშვა წყალში.

- დროა ჩვენი სოფლების მაჯისცემა მსოფლიოს მაჯისცემაზე შევუსწოთ. მომავალი თაობები დაავლოცენ მსოფლიოთან დაახლოების გამო.

- წალკა არ შეიძლება ჩამორჩეს საუკუნის ნაბიჯებს, - გააზვიადა ედოლოფუსმა.

- მხოლოდ სოფლის ყველაზე შეძლებულ ფერმერ სიმონსა და შაკუურლებთან მღვდელ ილარიონს ჰქონდათ განსხვავებული აზრი.

- უნიკალური მანის გვაქვს. წალკის მდებარეობა გვიცავს გარე აგრესიისგან. ასფალტს თუ დაავებთ, უნებურებაც არ დაიგვიანებს.

- სწორია, - დაემოწმა ილარიონი, - დანგრეული გზა ჩვენი ვალაყანია! მათ დაუსტვინეს.

ედოლოფუსმა და პრანტისმა სოფლის მოსახლეობის სახელით წერილობითი მოთხოვნა შეადგინეს. როცა გამგებელი მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ არაფერი აპირებდნენ, ისიც შეუერთდა ამ მოძრაობას. რადგან ყველა ერთსულეობანი იყო, არც ის შეწინააღმდეგებთა მოასფალტებას. კვირიათვის ტექსტი მზად იყო. ედოლოფუსმა იგი ხმამაღლა წაუკითხა შეკრებილთ.

ეს გახლდათ თავშეკავებული, ამაღლებებილი და ცოტა სასაცილო სამეველდ ხმობა პატარა სოფლისა, რომელსაც არ სურდა ადგილიყო პირისაგან მინისა. წალკელები ზღვაში ჩაერდნენი კაცებით იქნევენდ ხელს, ეკიპაზე რომ არ მიტვრებინა ისინი. ედოლოფუსმა მოიფურა ხსნის მეტაფორა და მოასფალტებული გზა "წყალწაღებული კაცისთვის გადავდებულ თოკს" შეადარა. ტექსტში აღნიშნული იყო, რომ უღამაზეის სოფელი ყინულოვან ამფითიეტრს ესაზღვრებოდა. იქვე იდგა ძველი ეკლესია ოქტოგონალით გააფარული, რაც ტურის-





ტებს მოიზიდავდა. გუბერნატორი, რომელსაც მიმართავდნენ, საბაზრო ეკონომიკაზე თავგადაღებული კაცი იყო. წერილის ბოლო სტრიქონებში სათბილაშორი ინფლაციის განვითარების პერსპექტივა დაანახა. შამთორის სპორტი ფეხს იდგამდა საქართველოში. ნავთობით გამდიდრებული აზერბაიჯანელები, თითბებანჯვგვლიანი თურქები, ტრანიზონული ვაჭრები და ერზურუმის საპატრიარქოსადმი დროულად ჩამოდიხნენ კავკასიის მთებში თოვლისა და ქალების საძებნელად. ნალკის სამთო კურორტად ქცევა ძნელი საქმე არ იქნებოდა. ნაძვანაში შალეების ასაგებებდ ხე უხვად მოიპოვებოდა, სოფელი კი სახეს იყო დედაკაცებით, მოთხილაშორეთა გამოსაკვებად კომპოსტის ფარშირება რომ არ გაუჭირდებოდათ. ამისათვის კი ასფალტი იყო საჭირო. დაგებულმა ხელი მოაწერა მიმართვას, ბეჭდიც დაესვა. თხოვნამ ოფიციალური სახე მიიღო. შეთანხმდნენ, რომ ორ დღეში ედლოფიუსი თავად ნაიღებდა მას ქალაქის ავტობუსით.

ივნისის თვეში სამუშაოები დაიწყო. ადმინისტრაცია სერიოზულად მოეკიდა ბათუმის მერის სამდიონოში ჩაბრუნებულ ნალკის მოსახლეობის თხოვნას. დოკუმენტმა მერის მაგივრად სხვადასხვა საერთოების გავლით მიადგინა და იმ მაგიდაზე დაეშვა, რომელსაც ზოგი ქალაქი საერთოდაც ვერ სცოდნებოდა.

იმ წელს მთავრობა, ძირითადად, ქვეყნის გზების მოპირკეთებით იყო დაკავებული. სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონტრაქტს ამერიკულ კომპანიასთან, რომლის თანახმადაც მის ტერიტორიაზე ნავთობსადენს უნდა გაეგო. შეთანხმების ვადები მენავთობებს აიძულებდა ნავთობსადენის გზაზე ინფრასტრუქტურის განვითარებაში დახმარებოდნენ ქვეყანას. ასე ჩაერთო ნალკის გზის მოსავლტლებმა საქართველოს საგზაო უწყების სარემონტო სამუშაოების ვრცელ პროგრამაში. ედლოფიუსი პირველად აღმოჩნდა საჭირო დროს საჭირო ადგილას.

ინჟინერებმა დანერგული გზა მოასწორეს. ბულდოზერის დანამ ჩამოჭრა დაქანებული ნიადაგი. მუშებმა ბიტუმიანი ხრეშითა და კლდის ნამსხვრევებით საყრდენი ფენა დააგეს. დაგებულ ფენებს გზის სიმტკიცე უნდა უზრუნველყო. ედლოფიუსი დაინტერესდა საშუალებებით, ბრიგადების ცვლით, დაუშვებოდა ბრიგადირს. მეგობრული ურთიერთობის გამო პატარა საქმეც ჩააბარეს, რომელსაც სრული სერიოზულობით მიეკიდა. უნდა მოეწინააღმდეგებინა მოძრაობა გზის ნახევარ ხოლზე, რომელიც ბრიგადირმა ტრანსპორტის სამოძრაოდ დატოვა. ედლოფიუსს ამერკელაი ფილემი ეცვა, ჩაფხუტი ეხურა და ხელში ხის პატარა დაფა ეჭირა ოთხასობიანი ნარჩერი "სდექ". ზოგჯერ სამი დღე ისე გავიდოდა, რომ ერთი მანქანაც არ ჩამოვილიდა. ედლოფიუსი მამაცურად იდგა და როდესაც შესული ჰორნიონტის გასცქეროდა. როცა ტრანსპორტი უახლოვდებოდა, ავტორიტარული მოძრაობით იქნებოდა დაფას, ყვიროდა "სდექ" და მანქანას წინ გადაუდგებოდა ხოლმე. მძლოლი დამცინავად ჩამოსწევდა ფანჯარას:

- ასფალტის საქმე როგორაა, მეგობარო?
- ჩამოიტანენ.

ჩამოიტანეს. საყრდენ ფენაში კირი აურის და ზედ ბიტუმიანი ბეტონი და ასფალტი დაასხეს. ასფალტის დასხმა ბათუმიდან დაიწყო და ნალკამაც წავიდა. კილომეტრი კილომეტრს მისდევდა. კომპრესორის სატექნიკო ფენილს ასწორებდა და ედლოფიუსს თბილისელი ებრაელი კონდიტერი გაახსენდა, თავისი შტურდელბერგის კრემს რომ ასწორებდა ფართობიანი დანიით. ედლოფიუსს ძალიან მოსწონდა ეს შავი მინაქარი, სიციველი ოხშივარი რომ ასდგოდა. გამდნარი, ცხელი გუდრონის სუნი ახალისებდა. პროგრესის სურნელს დამწვარი ხორცის გემო დაჰკარავდა.

მუშათა ბანაკი მთის ძირას მოაწყვეს, საიდანაც მიხვეულ-მოხვეული გზა იწყებოდა. შავი თუნუქის ბარაკებს ხის ლუმელი ათბობდა და გენერატორები ანათებდა. იქ ყოველ საღამოს მზიარელება სუფევდა. ხაჭაპურსა და ნითელ ღვინოს შეექცნოდნენ და საბჭოთა წლების მოგონებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

ეს სამშენებლო მოედანი მთელ ქვეყანაში უსაფრთხოების ნიმუშად წარმოადგინეს. ასი კილომეტრის მოსავლტებას მხოლოდ სამი უბედური შემთხვევა მოჰყვა. ერთმა მუშამ, პირველი კილომეტრის გაყვანის აღსანიშნად, არაყო რომ არ ჰქონდა, ანტიფიზი გადაჰკრა და ნაწლავები დაეხვრიტა. მეორე დანაძლევდა, რომ კომპრესორის ჩავლისას რაც შეიძლება დიდხანს არ გადმოვიდოდა გზიდან და ნაძვლია მოეგო. ბოლოს, მდინარეში გადავარდნილ ექსკავატორზე ერთი ბრიგადირის გვამი ნახეს. ლამით გამოპრუფულმა ექსკავატორი "სურსათის მოსატანად" ითხოვა. ნალკის გზაზე ახლაც დგას მის მოსავლტონად დადგმული ეგპტარა დაფა.

ასფალტმა ნალკამდე 21 ივნისს მიადგინა. თარიღი კარგის მომასწავებელი იყო. ქართველმა ღმერთებმა ეს მოვლენა ბუნიობას დაუკავშირეს. გამგებელმა თქვა, რომ "სოფელს ახლებური ზაფხულად დაუდგა" და თავისი გამოსვლა დაასრულა ციტატით პაველ ნეფტსკის ნაშრომიდან "საბჭოთა კავშირის გუდრონისა და ბიტუმიანი ქვიშების შესახებ": "დედამინის სიღრმიდან ზედაპირის დასაფარად ამოღებული ასფალტი წარმოადგენს საჭურჭარს, რომელიც დრო სივრცის გადასახლად გვთავაზობს". თუმცა ვერაფერი გაუგეს, მქუხარე ტაშით დააჯილდოეს. მიიწვიეს ბათუმელი ინჟინრები, სუფის ტერმინალის მენეჯერობები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ დიდი საქმის დაფინანსებაში, რეკონის დეპუტატები და თბილისის მერი. ნალკის გზა სახელმწიფოს სიმბოლოდ იქცა. სამთავრობო გაზეთებში ერთმანეთს ულტოვდნენ იმ საქმის დასრულებას, "რომელმაც ქართული სოფელი იმ არენაზე გაიყვანა, სადაც მსოფლიო ტანგოს ცეკვაედნენ". ევროპული ნამონყებისადმი მტრულად განწყობილი კომუნისტები აღმთოთებულნი იყვნენ იმით, რომ საქართველოს განვითარებაში ანგლო-ამერიკული კაპიტალი ჩაიდო და სტალინიზმი გაზეთის რედაქტორის ციტატას თუ მოვიშველიებთ, სწუხდნენ, რომ დამფინანსებლების მიერ ჩაფიქრებულზე ნაკლებად შავი ასფალტი "ვოლგის" ბორბლებს სახელს უტყხხდა. ტელევიზიის მთავარ-



მა არხმა 21 ივნისის ცერემონილი გადაიღო. თბილისიდან მივლინებულმა კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამორთვა ედოლიფიუსს. სასულე ორკესტრმა მეგრული მელოდიები დაუკრა და სამამრთველოს მიერ გათავისონინებულ მარაგის მოუხედავად, 16 საათისთვის ძეხვის ნაჭერიც აღარ დარჩა. კინალამ ღვინოც შემოაკლდათ და გამგებელი იძულებული გახდა 250 დოლარი ნაღდი ფული გადაეხადა კაფეს მებაჟრონისთვის, ხუთი პატარა კასრი ღვინო რომ გაეხსნა. მხოლოდ მღვდელი ილარიონი არ თმობდა თავის პოზიციას. საერთო მხიარულებას არ შეერთებია, თავის ხატთან დარჩა, მერე ზარი შემოჭრა, როცა სცენაზე ასულმა სოფლის გუნდმა მასწავლებლის მიერ დაწერილი "ჰიმნი ასფალტს" ნამოიწყო:

“ნალკა აღდგა მკვდრეთით  
წყალობითა ასფალტისა  
მიძინებული ნალკა  
ხვალ ფეხზე ნამოდგება  
და გააოცებს ყველას”.

III

ასფალტს დარვიწული თვისებები აქვს. მისი სასული ცვლის ადამიანების ქცევას. ასფალტის წყალობით დანარჩენ სამყაროსთან დაკავშირებულმა სოფლის მოსახლეობამ რამდენიმე თვეში სძლია თავის ჩამორჩენილობას. ნალკამაც იგრძნო ეს აქსელერაცია და ორ კვირაში მის ქუჩებს ვეღარ იცნობდით.

ედოლიფუსმა ასფალტი ჭიჭილარს შეადარა. უფრო მეტიც, ის იყო აორტა რომელიც განაპირობებდა ზნეობის პულსაციას იქიდან და ალპურ სამოვრებად. მომრავლდა შუქ-ერკლამები, ფანჯრის ჩარჩოებში გაჩნდა ნაირგვარი ნარჩერები. ერთ დღეს თამარამ ღვინის პორტრეტის ქვეშ გამოაკრა განცხადება: “მალალი სიჭარბის ინტერნეტი”. ვიტრინებში გაჩნდა ნაწარმი, რომლის არსებობის შესახებ არაფერი გაეგოთ და რაიმელიც მეტად აუცილებელი აღმოჩნდა: ქაღის საცელები, აკვარიუმი ტროპიკული თევზებისთვის და ველოტრენაჟორი. ავტობუსის გაჩერების ცემენტის ფრონტონზე პეკსიკოლას რეკლამა ციმციმობდა.

სოფლის ზოგი მცხოვრები ქალაქის გზას გაეჩვია, ზოგმაც ქალაქში მოიკიდა ფეხი. გზაზე მოძრაობა არ წყდებოდა. ახალგაზრდები შაბათ-კვირას ბათუმში მიდიოდნენ და ორშაბათისთვის სოფელში ბრუნდებოდნენ. ქალები შაბათობით საყილელებზე დადიოდნენ. ედოლიფუსი მიწდვრებისკენ მიმავალ გზაზე აღარ ახელებდა. რამდენიმე დღე მანქანის ჩაჯლისას ინსტინქტურად იხრებოდა და პირზე ცვივრისახოც იფარებდა, მაგრამ მერე გადაეჩვია.

შუა ზაფხულში გადაადგილებულთა ნაკადმა მიმართულება იცვალა. სოფლისაკენ მიმავალი მძლავრი მანქანების რაოდენობა დაცილებით აღემატებოდა სანაპიროსკენ მიმავალი ძველი მანქანების რაოდენობას. მალე ბათუმის ფეშენებულურ უბნებში ხმა გავრცელდა, რომ პატარა ხეობაში მიმალული, სიმწვანეში ჩაფლული მყუდრო სავანე ორ ნა-

ბიჯზე ყოფილა. ქალაქელებმა ზემოთ, სოფელში ასვლა გაბედეს. აფთიაქარმა პირველმა მოაწყო გასაქირავებელი ოთახი. მალე სხვებმაც გამოაკრეს ფასები სრულ პანსონზე დასვენების მსურველთათვის. გამგებობამ საბაგირო გზაზე დაიწესა ფიქრი. შემოდგომაზე პირველი უცხოელი, ამერიკელი მორმონი ჩამოვიდა. მის თეთრ პერანგს შუაში ზონი გასდევდა. მორმონს მიმტანი თამარი შეუყვარდა და აღარავის მოქცევას აღარ ცდილობდა. ასე იყო თუ ისე, ასფალტმა ახალი სისხლი მოიტანა, ნალკა გამოცოცხლდა.

ედოლიფუსის ტყუპები მთელ კვირას გზაში ატარებდნენ. ტატიანამ სამუშაო იშოვა ბათუმში მდიდარი ქართველებისთვის ზღვის ნაპირას გახსნილ ბარში “სამიჯნურო”. პარასკევ საღამოდან კვირამდე “მარგარიტაში” ახალ რუქსა და თბილისელ ბიზნესმენებს ემსახურებოდა, რომლებსაც ბლაგვცხვირიანი ლაქის ფეხსაცმელები ეცვათ და მინის საკინძები ეკეთათ. იისფრთვალემა ტატიანა თავის მოკლე შორტს ისე ატარებდა, რომ კლიენტებს აგაჟებდა: გეგონებოდა, დაუშვებელი იყო ქსოვილი მის კანს შეხებოდა. ჯარათის ექსპორტით გამდიდრებულმა ოცდაცამეტი წლის საქმოსანმა ბუსტანმა, რომელიც ხუთი შაბათ-კვირა ზედიზედ თვალეებით ჭმადა გოგოს, მეექვსე კვირას იგი დახლის მერე მზარეს გაიყვანა. მთელი ყუთი საუკეთესო მამპანური მოატანინა და კრემისფერი “ჰამერი” დაასრიალებდა. ტატიანას არ ესმოდა ჯარითი ვაჭრობა რატომ იძლეოდა 145-ით სიარულის უფლებას და არა უნდოდა მანქანის წინა სავარძელზე შავ-სათვალან გორილას, მაგრამ არაფერი უკითხავს, რადგან ბუსტანი თავაზიანად ეპყრობოდა და არა ისე, როგორც მოსტახლათა წუმპეში ხდებოდა, სადაც მაგარ ბიჭებს მხოლოდ საქმითან სქესი აინტერესებდა და მათ ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც ძაღლებს.

შემოდგომის ერთ ორშაბათს დღეს ბუსტანი ნალკაში ჩავიდა. ახალგაზრდა ბიზნესმენი ედოლიფუსს შეხება, ტატიანას დედას კი ვარდისფერი შროშანების თაიგული მიართვა. ყმანვილი კაცი მოეწონათ, თუმცა ჩათვალეს, რომ ჰუტკუნა ბიჭს ნაზი ხელები ჰქონდა. ბუსტანმა პირველად ნახა ცოცხალი ღორი და საღორემ, რომელიც ძველ კულტურის სახლს ემიჯნებოდა, მასზე ნარწულელი შთაბეჭდილება დატოვა. შემდეგი კვირის ბოლოს ტატიანას ნასაყვანად მივიდა, რაც თანდათანობით, ჩვეულებად იქცა: პარასკევ საღამოს ჩადიოდა, თავისი გლეხის გოგო მიჰყავდა, ორი დღე ზღვის ნაპირას კოცნიდა და ორშაბათ დილით სოფელში აბრუნდებოდა.

წინათ, დანგრეული გზა ხალხს ხელა სიარულს აიძულებდა, ვარემოს ყოველ გოჯს ხუთი თითივით იცნობდნენ, უბედური შემთხვევა არასოდეს მომხდარა, დრო ბევრი ჰქონდათ და არჩევანი არ გააჩნდათ. ახალთახალ ასფალტზე სულ სხვაგვარად იყო. ყველა ჩქარობდა, სისხლი უფლუდათ. აქსელერატორი ზღვის იძიებდა, სოფლის მოსახლეობას ათწლეულების მანძილზე რომ ანჯღრევდნენ ამ გზაზე. ზოგი მათგანი ბრახობდა კიდევ. რაც უფრო მოცილებები იყვნენ, მით უფრო აწებობდნენ ვაზს. ცდილობდნენ სასწრაფოდ გასცლიდნენ ადგილებს, სა-

დაც არაფერი ხდებოდა და კისრისტეხით გარბოდნენ იქ, სადაც არაფერი ესაქმებოდათ.

ბუსტანი ქრონომეტრით ზომავდა თავის მიმოსვლას ქალაქსა და ნალკას შორის. თუმცა "ჰამერი" რეკორდის მოსახსნელად შესაფერისი მანქანა არ იყო, ნალკაში 46 წუთში ჩადიოდა და შედეგის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა. ტატიანას უბედური შემთხვევა არასოდეს ენახა და სიჩქარე არ აზინებდა. გზაში ფეხის ფრჩხილებზე ლაქის გადასმასაც კი ახერხებდა.

ტრაგედია გზის გახსნიდან ოთხ თვეში, ოქტომბრის ერთ პარასკევს დატრიალდა. "ჰამერი" ბათუმისკენ მიჰქროდა. იმ საღამოს ბუსტანის გადაწყვეტილი ჰქონდა 45 წუთზე ნაკლებ დროში ჩასულიყო. მიხვეულ-მოხვეული გზა გაიარა. ხეობაში შესულს შეეძლო უსურა სწრაფად ევლო. უკანასკნელ მოსახვევში, ზუსტად ხიდის წინ გზის დათმობა დადავიანდა და ნაპირისპირო მიმართულებით მოძრაე სატვირთო მანქანას შეასკდა. ნამიკ არ ჰქონდა დასამუხრუჭებლად, უნებლიე მოძრაობა გააკეთა, ან მოსხლტა. მანქანიდან გადმოცივიდნენ. არც ერთს არ უტანჯია. შეჯახების ხმამ ათიოდე წამით აავსო ტყერი და კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. მანქანის ძარა ჩრჩოლავდა. ტატიანა ასფალტზე იწვა. შეჯახების გამო აწეული წითელი კაბის ნაკეციები მისი სხეულს ირგვლივ ყვავილის გვირგვინით გამოლიცო. "ყვავილის ფურცლები გზაზე", გაიფიქრა მამულე-ბთან ერთად ერთი საათის შემდეგ მისულმა ექიმმა.

ედლოფიუსს არ გააჭირვებია პოლიციის მანქანა მის მიწოდებას რომ მიადგა. პოლიციელებს უყვარდათ მისი საზოგადოება, ზოგჯერ შინაც სტუმრობდნენ ჭიქა არყის გადასაკრავად. სერჟანტი ნაკეთის მიწაწინაზე ავიდა.

- გადახუხავ? ბოთლი ჩანთაში მაქვს, - უთხრა მოხუცმა გლეხმა.
- ედლოფიუსს, სამინელი უბედური შემთხვევა მოხდა, - უთხრა სერჟანტმა.
- სად?
- სამოცდამეხუთე კილომეტრზე, ხიდან.
- სერიოზული ამბავია?
- სამინელი-მეთქი, გეუბნები!
- ედლოფიუსს გული შეეკუმშა.
- ვინაა?
- შენი გოგო, ტატიანა გარდაიცვალა. ცხედარი ბათუმში წაიღეს, სადაცაა სოფელში ჩამოიტანენ.

ტატიანას ცხედარი ღამის ან საათზე პოლიციის ფურგონით ჩამოასვენეს და ტყულების ოთახში დასვენეს. მეზობლის ქალებმა გოგონას ტანზე გახადეს და თერთ სულარა გადააცვეს. სახეზე ცვილის ფერი ედო. აფთიაქარი თავის ბალში გავიდა კრახანას დასაკრავად. ედლოფიუსის სახლში მისი ძმა, მასწავლებელი, თამარა და მისი მორმონი, სერჟანტი, დამკვიდრი, ახლობლები და მეზობლები იროდნენ. გაიხეიო ფორმლები, ქალაღლები შეესება. სიკვდილი ცხოვრებას ართულებს ხოლმე. შეთანხმდნენ, რომ დაკრძალვა კვირას იქნებოდა. 48 საათი ცხედართან უნდა მსხდარიყვნენ. დედა სავარძელში იყო გადასვენებული, ორი საათის დარდისგან ქუთუთოები ჩაღურჯებოდა. ოქსანა მმო-

ბლების ოთახში ჩაიკეტა და კარს არ აღებდა. პარმაღზე ედლოფიუსი კონიას ეძალებოდა. მღვდელ ილარიონს გზა დაუთმეს. მან ვერცხლის ბეჭდანი ხელი ასწია და სიჩუმე თხოვა.

- ვიცოდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. ეს გზა ეშპასი ენაა. ტატიანა ასფალტის წამებულია. ვილოცით მისთვის.

მერე შეკრებილი ხალხი დალოცა, ყველამ, ქალმაც და კაცმაც პირჯვარი გადაიწერა. საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციის თანახმად აუგეს წესი. ღამის 11 საათზე ვილაცას ვახშამი გაახსენდა. დედა ტიროდა. აცალეს ცრეულად დაღვრილიყო. ედლოფიუსის და ოცლიტრიანი წითელი ღვინის ბოცა, პური და ლორი მიიტანა ოჯახის მარაგიდან. მონაცვლებით მორიგებოდნენ ხან ცხედართან და ხან ლორთან. შუაღამისას შენიშნეს, რომ ედლოფიუსი პარმაღზე აღარ იყო. სერჟანტმა სინებულში გასახა. ოცდაშვიდი დავიძებნული ძალი ერთდროულად აყევდა სოფელში.

\* \* \*

ედლოფიუსმა ფარების შუქზე ადვილად გააიგია ადგილი. საგზაო სამსახურს გზა გაენმინდა, მაგრამ ნაპირზე თუნუქის ნამსხვრევები დარჩენილიყო.

ხის ზროებას და მოტეხილ ტოტებს ხშირ ტყეში ზიგზაგი შემოეხაზა. გზის ნაპირას მინის ნამსხვრევები ციმციმებდნენ. კარგად დააკვირდა ადგილს, სადაც ათასჯერ მაინც ჩაუვლია. კონიაკი გონებას უბნებდა, მაგრამ მტკიცე ხელით მართავდა ექსკავატორს. იმდენჯერ დაკვირებია მუშებს, რომ მანქანა მისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა. არ გასჭირვებია მისი დაძვრა და იქამდე მიყვანა. M 3222D მოდელის 22-ტიონიანი ამერიკული ექსკავატორი გამგებობას ეკუთვნოდა. კაპოტზე თავს იწონებდა შავ-ყვითელი ასობით დაწერილი სლოგანი "მუხლუხა ტრანსპორტის პროგრესის მომავალია", საქარე მინაზე კი "ხელშეახსები გავხადოთ სვლინდელი სამყარო". მეიჯარადემ ეს მარგალიტი გამგებელს დაუთმო, მან კი ვითომ უბედური შემთხვევა დაუდასტურა და დოკუმენტი ინაუგურაციის მორე დღესვე სადაზღვევო კომპანიას გადაეგზავნა.

ფოლადის ციცხვი ჰიდრაულიკური ბერკეტის მთელი ძალით დაეხეთქა გზატკეცილს, კბილები ხრეშამდე ჩაასო და უზარმაზარი ფილა ამოგლიჯა. მერე კვლავ გაჭიმა მოხრილი მკლავი, ასფალტის ნაგლეჯები ფიჭვების კენწერობამდე აფრინდა და ციცხვი დაეშვა. ასფალტის ქვედა ფენა ამოიღო და ახალი ფენა ამოტყნა. მანქანის სავარძელზე მჯდომი ედლოფიუსი ქვითინებდა. ექსკავატორი მეტრობით მიიწვედა წინ და უკან ამოყრო ხრეშს ტოვებდა. მანქანის ცილინდრები ხურდებოდა, ციცხვის კბილები მიწას კბენდა. ყოველი დარტყმა მანქანას არყევდა. შავი მტვერი ედლოფიუსის ლოყვებზე ჩამოიწინარე ცრეულების ნაკვალავს ენებებოდა. ერთ საათში ხიდიდან 300 მეტრი ამოტყნა. მანქანის წინა ბორბლები ხიდის ფენილზე შეაყენა და ციცხვის ექვსი დარტყმით აფეთქა. ედლოფიუსმა დაიღრიალა, მანქანას მუშტები დაუშინა

და ქანცვანყვეტილი ლამის სიგრილეში გამოვიდა. თავი მდინარეში ჩაყო. მერე ექსკავატორს დაუბრუნდა, შემოაბრუნა, გაჭრილი თხრილი ამოიარა და წალკაში დაბრუნდა.

ლამის სამი საათი იქნებოდა, როცა მანქანას სოფლიდან ორ კილომეტრზე სანვავი გაუთავდა. სინათლეებს გასცქეროდა, ან უკვე გამოფხიზლებულს, მაგრამ დარდით მკვდარს ხელები ზურგზე შემოენყო და ოცი წუთი ფეხით იარა. შური იძია. ზოგი ადამიანი, მაგიდას რომ შეასკდება, მუშტს აბრახუნებს მის კიდზე, ან ცუდი ამბის გაგებისას ტელეფონს ამსხვრევს. ედოლფიუსი სხვა კატეგორიას ეკუთვნოდა, იმით, ვინც აზიანებს გზას, რომელზედაც მისი ახლობელი დაიღუპა.

ედოლფიუსმა ასფალტის ამოყრით საკუთარი თავი დასაჯა. თავს შეჰფიცა, რომ მეორე დღესვე ნერაქვით შეებრძოლებოდა გზის მთლიანობას, ხელების დაგლეჯამდე დაამსხვრევდა იმ ასფალტის ყოველ გოჯს, რომლის დაგების ინიციატორიც თავად იყო და რომელსაც მისი შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მის სახლთან ატეხილი აურზაური მიცვალებულთან ლამისთევას არ ჰგავდა. შესასვლელთან მანქანები იდგა ანთებული ფარებით. ისმოდა ყვირილი. ედოლფიუსმა დაინახა, რომ ფურგონში რალაცას დებდნენ. მიუახლოვდა და ფარების შუქზე ისიც შეინშენს.

- სად იყავი, შე უბედურო? - მიაძახა სერჟანტმა.
- მეორე ტყუპისცალმა, - თქვა მეზობელმა, - დარდისაგან ვენა გადაიჭრა!
- მაგრამ, შეიძლება გადარჩეს, - შეანყვეტინა თამარამ.
- კი, - დასძინა აფთიაქარმა, - ერთ საათზე ნაკლებ დროში თუ ჩავლენ ქალაქში.





პიერ მიშონი

# გარდაცვლილი გოგონას ცხოვრება

თარგმანი მანანა ბოსტოღანაშვილისა

პიერ მიშონი დაიბადა 1945 წელს საფრანგეთში, კარდში, შატლუ-ლე-მარშესთან ახლოს. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ კლერმონ-ფერანში ლიტერატურას სწავლობდა. მერე პატარა თეატრთან ერთად მთელ საფრანგეთში მოგზაურობდა. ოცდათხუთმეტი წლისამ, “ბეჩავთა ცხოვრების” გამოქვეყნების მერე, ლიტერატურულ სამყაროში თავი დაიმკვიდრა და “ფრანს კულტურის” პრემია მიიღო. ამ წიგნს მოჰყვა “რემბო შვილი”. შემდეგ შეიქმნა: “ყოზეფ რულენის ცხოვრება” (1988 წ.), “დასავლეთის იმპერატორი” (1989 წ.), “პატონები და მსახურები” (1990 წ.), “ტყის მეფე” (1992 წ.), “დიდი ბენი” (1996 წ.), “სამი ავტორი” და “ზამთრის მითოლოგია” (1997 წ.). 1997 წელს მან მიიღო გულიუს პრიზი რომანისთვის “დიდი ბენი”. “მეფე მოდის მაშინ, როდესაც სურს”, ესეები ლიტერატურაზე (1997 წ.).

1993 წელს გამოვიდა “მიშონის კომპანიონები”, რამდენიმე მწერლის ერთობლივი ნაშრომი, მიძღვნილი პიერ მიშონისადმი.

“მეფის სხეული” და “აბე” გამოვიდა 2002 წელს. ამ ორივე წიგნისთვის პიერ მიშონმა “დეკემბრის” პრიზი დაიმსახურა. 2009 წელს მიშონმა გამოაქვეყნა რომანი “თერთმეტი”, რომლისთვისაც საფრანგეთის აკადემიამ გრან-პრი მიანიჭა. 2012 წელს ან-ლიზ ბროიერთან ერთად გამოაქვეყნა რომანი “ვერმიონი”.

2010 წელს მან პეტრარკას პრემია მიიღო შემოქმედებისთვის.

“ბეჩავთა ცხოვრება” (1984 წ.) ნოველების, ანდა “ცხოვრებათა” კრებულია იმ ადამიანებზე, ვისთან ერთადაც ავტორს უცხოვრია უცხოვრია ბავშვობა გაუტარებია, ანდა ვისაც მოგვიანებით, აღმა-დაღმა ხეტიალისას შეხვედრია. მხატვრობის სიყვარულმა საოცარი ფერები და ბუნებისა და ადამიანების აღქმის უნარი შესძინა წერის მისეულ მანერას. მან შექმნა აქამდე არარსებული ლიტერატურული ჟანრი, რომელიც ესოდენ პოპულარულია თანამედროვე ლიტერატურაში - ე.წ. “ბიოგრაფიული ფიქცია”.

პიერ ბერგუნო, მიშონისთვის ახლობელი მწერალი, წიგნს ასე ახასიათებს: “ბეჩავთა ცხოვრება” ახორციელებს იმას, რაც შეუძლებელია, და ამასთან, განხორციელების შეუძლებლობასაც გამოსახავს”.

ამას ბოლო უნდა მოელოს. ზამთარია; შუადღე; ცა ეს-ესა თანაბრად გადაფარა შავმა ღრუბლებმა; სულ ახლოს ყმის ძაღლი, თითქმის გაბმულად, ფრთხილად, თვალთქვეყურად და მოგუდულად, ის ყმის, რომ გათქმევიანდა, სიკვდილს მოასწავებს ასეთი ყმითილი. შესაძლოა მოთოვოს კიდევ. მაგონდება იმავე ძაღლების მზიარული ნკვეკავი ზაფხულობით, მუხინდებისას, როდესაც ნახირს აბრუნებდნენ ბოლო სხივებით აქა-იქ განათებულ ადგილებში. მაშინ მე ვავშევი ვიყავი და შუქიც. იქნებ ამოდ ვირჯები: მაინც ვერ ავხსნი იმას, რაც წარსულს ჩაბარდა და ჩემში ღრმად გაიდგა ფეხვი. კიდევ ერთხელ: - წარმოვიდგინოთ, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც გვამოხვით.

ჩემი პატარაობის მოგონებებში ხშირად ავად ვარ. დედაჩემი გვერდით მიწვენდა თავის ოთახში; კრძალვით მივლდნენ; სკოლის ეზოდან მოისმოდა ბავშვთა არარეალური ჟრიაშული, ხმები მერცხალეებით კრავდნენ კამარას და უკვალოდ ქეობდნენ; ბუხარში შეგადებული ნაპობი ტკაცატკუცით იწოდა; თანდათან უჩინარდებოდა; მონათლო, მიმქრალეული ნათებისას გამოსახებოდა ჯერ თვატრალურად მათეო ჩრდილები, რომლებსაც გათამაშებოდი კიდევ, მერე კი ისეთი უფორმო ლანდები, რომ სახელის დარქმევისას ვყოყმანობდი, ამიტომ რჩებოდნენ ისევე უსახელონი და უშინარაობნი, როგორც სიბნელე, რომელიც ჩვენს თავს ზემოთ, ჭერს იყო შეფენილი. გარიჟრაჟზე ახალი ალი იბადებოდა დახრილი ელიზას შავი ქვედაკაბებიდან - ნაცარს უნიავებდა, მერე კი ალერსიანად მილიმდა გაჩენილ შუქზე. ვიმედოვნებ, მეც ვუღიმოდ. ვადიოდ; და მაშინ აღმოცენების დრო დგებოდა; ვამჩნევდი ფანჯრიდან სივრცეს, შორს, სეირუს გზაზე ჩამონლილ ცას, უზარმაზარ ცას, ის ეფარა სეირუსაც, რომელსაც ვერ ვხედავდი, და მიუხედავად ამისა, დილადირიან, ტყეების ჩამუქებული შორიზონტის მიღმა, კვლავ ჯიუტად ინარჩუნებდა მცირეოდენ ინტერესს სახურავებისა და ცოცხლებისადმი. მე ვინვევდი უხილავ და დასახელებულ ადგილებს. ვპოულობდი ნიგნებს, სადაც ისევე კარგად შეგვიძლია დამალვა, როგორც ცის უკიდევანო კაბადონის ქვეშ. ვიგებდი, რომ ცა და ნიგნები გასვედიანებენ და გზიბლანენ. მოიქვენელობსაგან შორსმყოფმა, აღმოვაჩინე, რომ შეგიძლია სამყაროს არ მიბაძო, სულაც არ ჩაერიო, მაღულად უცქირო, როგორ იქნება და ინგრევა, და სიამოვნებას ნაზირები გული-სტყვილით აღაფრთოვანოს იმან, რაშიც არ მონაილებოდა იმან უფრო, რომ არ მონაილებოდა: სივრცისა და ნიგნების ვადაკვეთაზე, იბადებოდა უძრავი სხეული, რომელიც ჯერ ისევე მე ვიყავი და რომელიც უსასრულოდ თრთოდა, რაკი ნატრობდა შეუდებელს - წაკითხული მოგრო შთამბეჭდავი ხილულისთვის. წარსულის მოგონებები სივრცესავით თავბრუდამხვევია, და მათი ნაკვალევი მესხიერებაში სიტყვებით უქმარია: აღმოვაჩინე, რომ გვახსოვს.

ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს; სიჭარბეს ჯერ არ ვავეზულუქებინე.ქმონდა ყულა, კლა-

სიკური ვარდისფერი გოჭი, გულისამაჩუყებელი და სასაცილო, მისით მოხიბლული დიდხანს ფრთხილად ვთამაშობდი ზენარზე. რამდენიმე ასსუიანი მონეტა ჩავგდოთ: ის უხილავი სიმდრდე, რაღაც ბუნდოვანი კანონით მე რომ მეკუთვნოდა და ფაიფურის კედლებს ენკარუნებოდა, სასაცილოდ მცირე იყო და იქნებ, მოულოდნელიც? მით უფრო იმედგაცრუებული ვიყავი, რომ ტანსაცმლის კარადში მეორე ყულაბაც იყო, ვაცილებით მეტი ყურადღების ღირსი, აკრძალული და საიცარო: პატარა თევზი, მუქ-ლურჯი თუ ზამბახისფერი, ცურვისას აფრთხალებული და ლალი, ამობურცული ქერცლებით, რასაც თითებთ შევიგრძობოდი, როდესაც მაღულად მივგარებოდი ხოლმე. "ათასი ღრე ლამეში" ცბიერი და უყარება, მოლაპარაკე თევზები არიან, ოქროსად რომ იქცევიან, და უღვაშები კი ჯადოსნური აქვთ; ხაოიანი ზენრების შუქრდილიდან ეს თევი დიდხანს მეძახდა დაბალი ხმით, როგორც ეძახიან თავზე ჩალმაშემოხვეულ ღარიბ მეთევზეს ძველთაძველ სპარსეთის ზღვაზე, საიდანაც ლაჟვარდოვანი ტალღა რიყავს ჯინებს, და კნქები ირევა. არ უნდა მივკარებოდი. ის ჩემს პანინა დას ეკუთვნოდა. ჩემი დაიყო გარდაცვლილი იყო.

ერთხელ - არ ვიცი, ავად უფრო ვიყავი თუ მაცდუნებლად გაუჩინავი, მაგრამ ქანცგანყვეტილმა დედაჩემმა გადაწყვიტა, მნდროებს - თევზით თამაშის უფლება მომცა. მისი მოპოვების სიხარული ჯერ შემოფოთებამ და მერე დაბნეულობამ ჩანაცვლა: ეს ყულაბა ჩემი ყულაბისაგან განსხვავდებოდა. ჩემი დაიყო ცის პანია ანთეოზად იქცა და მე აქ, დაბლა მიმატოვა, ამ თითქმის უსარგებლო სამყაროში; თვითონ არსებობდა მხოლოდ ათრთოლებულ ბაგეებსა და ერთადერთ უფერულ ფოტოზე - იხატიელ მხატვართა სურათებზე გამოხატული ამერიკით უდრკინველი და დიდოყვება, მე კი უნდა მეცოცხლა. გარეთ მონმენდილი ცა ზეობდა, მე სადღაც ვავფრინდი, ცალი ხელი გამეშვა; პატარა თევზი იატაკზე დაეცა და დაიმსხვრა. დედა კვითინებდა, თან ლურჯი ფაიფურის ნამჭრეუებს გვიდა, რომლებიც ფორმას აძიერდნენ მხოლოდ დედაჩემისა და ჩემს მესხიერებაში თუ შეინარჩუნებდნენ.

მოგვიანდით დედაჩემის ოთახში, სხვა ავადმყოფობისას, ამჯერად უწყველი ზამთარია, იმ დროს, როდესაც თავს ვეკამათებოთ, უნდა ავანთოთ თუ არა ლამეები, განვავრძოთ რამის კეთება თუ შევწყვიტოთ, თუ კიდევ გადავდოთ, მე არტურ რემბო შევიცანი. მაგონ, ღმერთი მომიტყვევებს, რომ "ვერმოს აღმანახს" ნავიკითხე, რომელსაც ფელიქსი ყოველ წელს იძენდა და რომელიც მაშინ უზადრუკი, მაგრამ საკმაოდ პოპულარული იუმორისტული ილუსტრაციების გარდა გთავაზობდა ლიტერატურისა თუ პოლიტიკის, გეოგრაფიის ზერეულ ქრონიკას, ათასგვარ რამეს, რასაც მალე, თვით ქოხების მოზინადრებაც კი, კულტურად შერაცხავდნენ. სტატია გაეფორმებინათ რემბოს სიყმანელის დროინდელი ცუდი ფოტოთი, რომელზეც რემბო, როგორც ყოველთვის, იბღვირებოდა, მაგრამ



იქ მაინც უფრო თავშეკავებული ჩანდა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, ჩლუნგი და ტლანქი, საგულდაგულოდ გამოწყობილი და მოუხეხავი, როგორცაც იყენებ ფოტოებზე ჩემი კლასიკები, გამთენიისას მოსულნი შორეული სოფლებიდან, ლენინამოდან ან სარაცინიდან, ამ წარმოდგენიდან მიკარგული ადგილებიდან, სადაც ურვა ყველაზე უმედევაოა, სივრცე ყველაზე უკაცრიელი და თვით ყინვაც კი უფრო მეტად გისუსხავს მუდამ წითელ, გახეშებულ ხელებს. ვიცნობდი ამ სულელურ უდრტივინელობას და მოყაპულობას, ერთ მერხზე ვისხებიდი. მიმზიდა სათაურმაც, რომელიც შეცდომით ამოვიკითხე: "არტურ რემბო, მარადი ბავშვი", არადა, "მარადი მოხეტიალე" უნდა ნამეკითხა; ეს უნებური შეცდომა ძალიან დიდხანს გამყვა, ძლივს აღმოვფხვერი; მაგრამ ამას გაეანებოთ თავი. არა, ეს ბუზღუნა ადამიანური ბუნება არანაკლებ ნაცნობი იყო, ვიდრე არდენში გატარებული მიმე ბავშვობა, რომელიც შონორარისთვის მომუშავე მწერალი რომანში აღწერდა. მე სხვა არდენებს ვხედავდი ფანჯრიდან, და მამაჩემი, თუმცა კაპიტანი არ ყოფილა, კაპიტან ფრედერიკ რემბოსავით გაუჩინარდა; მუორცა ნისქვილი, რომელიც უფრო ღრმადაა მიწაში ჩამალული, ვიდრე მეუხისა (Meuse - მდინარე, დეპარტამენტი, მთარგმნ. შენ.), მაისში მეც ვუშვებდი ხოლმე ფარატინა ნავეს, შესაძლოა ჩემი ცხოვრებაც მაშინ გაუშვებ; უძრავი ჰაერი ცრემლებს მტაცებდა, სიბრალული და სირცხვილი მქენჯნიდა. სტატიის სხვა საკითხებზე შემატებულა, მაგრამ აღფრთოვანებით განვიზრახე, ოდესმე ამომეხსნა ეს გამოცენები და გავმხდორიყავი ამ საწიმიშო, პიროვნული ადამიანის ღირსი, რომელიც აგერ ახლა გამოიმეფლანეს: რა იყო ეს მკაცრი პოეზია, რომელიც არ შეესაბამებოდა შინაურულ ლულულუთი თხრობას განთიადზე, ეს პოეზია, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, მისდა სავალაოდ, შორდებოდნენ ოჯახს, ხალხს, ბოლოს საკუთარ თავსაც, და თვით პოეზიასაც კი თავიდან იბორებდნენ მისივე სიყვარულით, რომელიც გამსგავსებდათ გარდაცვლილებსაც და მეტისტეტად ცოცხალსაც? თანაც, რემბოს ჰყავდა და, ვისაც იგი, ყველაფრის მიუხედავად, უყვარდა, მეურვესავით ზრუნავდა მასზე შარლევლიდან ძალზე შორს, ოვლის უკანასკნელი წვეთებითურთ და უკანასკნელი განდგომით შორიდან ემსახურებოდა; მაგრამ მაინც, ანგელოზი თვითონ რემბო იყო. მხოლოდ მას, დიდ ბიჭს, თუმცა კი ყველაფერს მოკლებულს, ავტორმა, სხვათა შორის, ეპითეტი "ანგელოზისებრი" მიანიჭა, რაც იქამდე მხოლოდ ჩვილობაში გარდაცვლილების - პანია გოგონების კუთვნილი მეგონა, სეპიით დახატული გაცვეთილი სურათისა, რაღაც გულგანმგმირავისა და საშინელისა მიწისქვეშ იმისა, რასაც ყვავილები აცხრებდნენ იქ, შატლუში.

ესეც ახალი ამბავი - ერთ დღესაც ანგელოზი უნდა გამხდარიყავი, რომ სხვებს ისევე ჰყვარებოდა, როგორც გარდაცვლილები. მაგრამ თუ ძალზე დაყავუნებდი, ვილას ვეყვარებოდი? ცეცხლს ვუცქერდი აქვითინებული, დედას ვეძახდი, ვაფიცვ-

ბდი, რომ ჩემი ბებია და პაპა არ მოკვდებოდნენ. მოხუცებულთა გვამები ახლა წყნარად განისვენებენ თავის პატარა ყუთში მწოლიარე ანგელოზის თვალდით, შატლუსთან ახლოს, მათ აღარა აქვთ თვალზე, რათა დაინახონ, როგორ ამომდის ფრთები; ჩემი ხელით დადებული ყვავილები ოდნავ თუ აწყნარებთ, წლის დროები, რომლებიც ბებერ ძვლებს უმახინჯებენ, მიმდარებს ნადილს, დანწყებიტი სკოლის მოსწავლე ვარ, ვაკეთებდი ვნერ და ვიცი, რომ ზამთრის ერთ საღამოს, ოთახში, რომელიც მეხსიერებაში იშლება, "ვერმოს ალმანახის" თხელ ფურცლებს შორის, რომელთაც ისინიც კითხულობდნენ, გავები მახეში, რომლის მარნუხებიც მიჭერს.

ბავშვობაში შევიტყვე, რომ სხვა ბავშვები კვებოდნენ; მაგრამ მათ დიადი ცადაფრენა კი არ დაუსწრიათ ჩემთვის, ისინი მხოლოდ ლეკვლები იყვნენ, მათ გვერდით ცვხოვრობდი და ვიცოდი, ერთი ცომისგან ვიყავით მოხელილი; მეეჭვებოდა, რომ ისინი, როგორც მარნუნებდნენ, სრულყოფილიანი ანგელოზებად გადაიცვლიდნენ. თუმცა ყველაფერი მართლაც იცვლებოდა, როგორც კი სიცოცხლის პირას გარდაუვალად დგებოდნენ ხოლმე. მეორე დღიდანვე, აგონიაში მყოფის - (აგონია გარდაუვალა) ჯერ კიდევ ცოცხალის სულისშემძვრელი ხმები გვესმოდა; ელიზა და ანდრე მათ შესაბარალის სიტყვებით, ხმადაბლა იხსენიებდნენ, მე თავს ვიკატუნებდი, თითომ ვთამაშობდი, ვაკვირდებოდი: რაოდენ დიდი იყო ეს უცვარი პატივისცემა? - ჯერ კიდევ გუშინ უშინიშნელონი ჩანდნენ, დღეს კი, მივუხანგებოდი ერთი თუ არა, მის დაუნევენდნენ, მათზე თითქმის ჩურჩულით საუბრობდნენ, როგორც მსუბუქი ყოფაცქევის ქალებზე, გადაუხდელ ვალებზე, ქარაფშუტა და მოვალეობებს თავგარიდებულ მამაჩემზე. მერე, სამზარეულოში, მეზობელი შემოდინო ჩვეულებრივზე უფრო ნელა ან თეატრალურად, თითქოს რაღაცას მიგვანიშნებდა დაუინებელი მწერით, ანდა ფეცილი, დროებით სიდადეგიჩებებული, ბისტროში აშრობდა ახალ ჭემპარიტებებს, ზამთრის უფრო ვრცელი გვეჩვენებოდა, ზაფხული კი - უფრო ლაყვარდოვანი, ბავშვი აღარ იყო. იასამანთა მოლურჯო თროლაში, თოვლი, რომელიც არსადან ცვიოდა, მე უეჭველ ფრენას ვეძიებდი.

სარაცინის ბავშვი დიდჭერით გარდაიცვალა. საკვირველი იყო, ეს ნითური, წყნარი და არქაული, სოფლური ძილით აღვსილი, ზღვარის აღმნიშვნელი გათლილი ქვა, რომელსაც სევდიანად სილას ვანნავდი ხოლმე, ამიერიდან ფროსანთა დასს მიეკუთვნებოდა და გამკვირვებული ჰაერის სხეული ებოძა. ნუთუ სულ ეს იყო საკმარისი, რათა სიკვდილის მიერ უკვე სამუდამოდ გაბრიყვებული, გაფრთხილიყო? პატარა ბერნადეტე, ჩემი ბიძაშვილი ფორუეტდიო, საშინლად დაიტყუა; ხშირად მითამაშია მასთან და მის დასთან უზარმაზარი ხის ქვეშ, რომლის ფოთლები ცხაურივით აღიცვლიცვბდა ათინათებს მათ დაბნულ სახეებსა და ღია ფერის კაბებზე, მათი უკიდევანო ფერმის განსაპირას,



ულრანი ტყის პირდაპირ, და ეს ნაყალბევი მოგონება მათ ახლაც პატარა ბიძაშვილების მსგავსად ნარმომიდგენს, ხან ხალისიანებად, ხან კი მკაცრებად, და შერბიან "ვინრო კარიბჭეში", ვითომ დამალობანას მეთამაშებიან. ზაფხულის ველარანაირი ჩრდილი ველარ დააოკებთ; გოგონა სისხლისგან იცლებოდა, ჩიოდა, იცოდა, რომ კვდებოდა. ელიზა ფეხით მიდიოდა მასთან ღამის სათევად და როგორღაც იტანდა ამ დაზაფრული მზერის ვედრებას, ეს სხვანაირი და დაუძღურებული ხელი დაყრდნობოდა მის ხელს და ერთ დაბერებულ, მაგრამ ცოცხალ ხელად ქვეულიყო. ელიზა დილაობით ბრუნდებოდა გულდათუთქული და დამუნჯებული, ბედს დამორჩილებული. ავბედითი დასასრული მოახლოვდა, ბავშვი აუტანელ ჭრილობად იქცა, რომელიც მდუმარედ უნდა დაგეცხრო; საღამოს ელიზა შეგვევედრა, სამზარეულოდან გავსულიყავით და მაშინვე დაწოლილიყავით, მას საქმე შექონდა: მართლაც იცოდა ოდინდელი მისნობა - ქალებისთვის სისხლდენის შეჩერება ან შეყოვნება ღრუბელისა, საიდანაც მეხი ეცემა დოლობს, გაბრიყვება რქიანი ღმერთების ქაჯისა, რომელიც უამრავ ძროხას ხოცავს და ცხვრებს აბზრიალებს, სანამ არ მოკლავს; გარდაუვალის დაყოვნება - საერთოდ, შეეძლო, რამე ელონა ნებისმიერ საბედისწერო ვითარებაში, როდესაც, როგორც ამბობენ, ველარაფერს იზამდი; ეს ცოდნა, რასაც ქალები საუკუნეების განმავლობაში გადასცემდნენ ერთმა-

ნეთ, ელიზამ კი, კეთილგონივრულად, არაფის გადასცა, შედგებოდა უწყინარი და ძალადაკარგული ლოცვებისგან; ლურდის მონასტრის წყალს ასხურებდა, მარტივ პანტომიმას მიმართავდა, რაც სხვანაირი არ მინახავს, მაგრამ მასში მოკუზული და ჯიუტი, სუსტი, ურწმუნო ელიზას კეთილ ნებას ვხვდავდი. ვიცოდი, რომ სისხლდენის გამოსალოცად ბებიანემს ბევრი წყალი სჭირდებოდა, როგორც უნდოდა, იმდენს და ისე ღვრიდა, თუმცა მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ ასე სისხლდენასაც დაიმორჩილებდა, მაგრამ მეტაფორას მტკიცედ იცავდა, ისე, მოვალეობას რომ ასრულებენ ხოლმე; ამრიგად, იმ საღამოს, სამზარეულოს ონკანსა და მუშამბაგადაფარებულ მაგიდას შორის, იდუმალი სითხე შესწირა დრომოქმეულ და ქოთანში ჩარგულ წმინდანებს. ლეიკემიას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, უკურნებელია და მორჩა, და ელიზამ ეს კარგად იცოდა: ბავშვი ყვირილით გარდაიცვალა ფორეტი ერთ დილას, როდესაც მზე დასთამაშებდა უზარმაზარ ფასადს. ისიც იქცა ანგელოზად, ანდა დამუნჯებულ კუნძად სენ-პარდუს სასაფლაოზე, სადაც კურდღლისცოცხას - ოქროს ნვიმის ბუჩქებს ზაფხულის მო შეტრუსავდა.


"საბრალო გოგონა" - იტყოდნენ მასზე ამიერიდან, როგორც მეუბნებოდნენ "შენი საბრალო დაიკოო". მართლაც, როგორც ამ თანაგრძობით სასვე გვერდებზე ხედავთ, მოკრძალებული დამიანები მურიუში, და ალბათ ყველგან, გაურბიან



სიტყვებს "სიკვდილი", "მკვდარი", "გარდაცვლილი"; "ახლად შესვენებულსაც" კი იშვიათად ამბობენ; არა, ყველა გარდაცვლილი "საბრალოა", სადაც ცახტანებს სიცვიც, გაურკვეველი შიმშილისა და უდიდესი მარტოსულობისგან, "გარდაცვლილები, საბრალო გარდაცვლილები", უფრო გალატყებულები, ვიდრე მათხოვრები და უფრო შეცბურებულები, ვიდრე იდიოტები, სრულიად თავგზაუნებულები, უსიტყვოდ შემოჭოლები (უდიდი სიზმრის დავიდარაბაში ვაბმისას, ასე უსაშინლად რომ გამოიყურებიან ძველ სურათებზე; არადა, ასე სათითები, სათონები და ცეროდენასავით გზაარეულები არიან წყვილადში, საშუალოდ უკანასკნელი უკანასკნელთა შორის, ყველაზე პანანინები პატარა ადამიანთა შორის. ამას სიამოვნებით წარმოიდგენდი ხოლმე: შატლუს სასაფლაოზე მისვლისას იკრება ვგონობდი, ქალების გულდამძიმებული იკრები, - მიმედ რომ საყვედურობდნენ ფელიქსს, ის კი კეპიან ქუდს იხდიდა, - რომ ალბათ ვიღაცას, იქ, ქვემოთ, სამარეში, ძალიან უჭირდა; იმას, ვინც ისურვებდა აქ ყოფნას და ეს არ ძალუძდა, ვისაც ეს რაღაცა გაათრებთ აკავებდა, შორეული ბიძაშვილებივით, ყოველ ნელს რომ გწერენ, თურა ძლიერ სურთ თქვენი ნახვა, მაგრამ მგზავრობას იმდენი ხანი სჭირდება, საკმარისი თანხის უქონლობა აყოვნებთ, მათი ცხოვრების წისკვილის ქვა და საჩქელი სულ უფრო და უფრო მტკიცედ აფერხებს მათ და ბოლოს დარცხვინილი დუმდებიან, მათ კვალს ვკარგავთ. მე ვფუსფუსებდი; ყვავილებისთვის წყლის მოსატანად მივდიოდი, ქონებებს ჩემი ხელით ვავსებდი მინით, მალულად ვრგავდი სახეს ქრიზანთემების მარადისობის მტკვრში; ეს ხშირად ზამთრობით ხდებოდა; ეკლესია სასაფლაოს ზემოთ, ბორცვზე იდგა, ერთნარად რუხი ზარი და ზეცა გულში მეჭებოდა და რამდენადაც უხვი იყო მინდორ-ველები ჩემს თვალში, იმდენად ცქეტიდა ვისწრაფოდი წარმოსახვით მათკენ, გულიანად ვკისკისებდი ფეხდადგმული ტოტის ჭიხინზე, გუბებში არეკლილი უამრავი რამის დანახვაზე; ძალიან მინდოდა სიცოცხლე. განცდილი და ან გამქრალი მეგებებოდა, როდესაც ვბრუნდებოდი ტოლჩა წყლით ხელგანვდილი, საკვირო შარავლები რომ არ დამწუნვოდა, ნესროლასკენ მომიბრუნდებდნენ გზაჩრეშოლები, რომელსაც ყვავილებით ფარავდნენ, მუჭით მარლის აფრქვევდნენ თითქოსდა მკვდრების ქალაქს, ყვავის შემზარავი ჩხავილის თანხლებით, იქ, მარლისა და ყვავილების ქვეშ, რითაც ის გაუგებრდა საზრდობდა, სიბნელეში ინვა ჩემი დამუწვებული, დამარხული დაიკო. მაგრამ რა, ისიც ანგელოზი იყო? დიახ, ანგელოზის ცხოვრება იყო ეს უბედურება. სასწაული იყო დარდ-ვარამი.

სინანული გულდამძიმებულები დავდიოდი სამარეებს შორის, ციცაბო ბილიკებით თავივე ვეშვებოდი. ქვემოთ, ჩემ თვალწინ, მთელი სოფელი გადაშლილიყო, ფერდობებზე გამქნებული მშვენიერი შატლუ ძველი, დიდი, ხავსმოკიდებული სახლებით, მშვიდი, მოჩრდილული; მაგრამ ეს შატლუ თვალის სატყუარა იყო, ნამდვილი ჩვენს უკან

მდებარეობდა. ის იყო ჭეშმარიტი, ის, რომელსაც მურიუმი ნატრობდა ხოლმე გასაავთებული და მცონარე, ოდნავ იმედგაცრუებული ფელიქსი: "შატლუში რომ ვიქნები..." ხელზე დავწვდებოდი, მის სქელი ხავერდის პოჯაკის სურნელი მამშვიდებდა, და თუ ვაღმობიხრებოდა, ლოყაზე მის ღრმა ამოსუნთქვას ვგრძნობდი. დედა და ბებია ყოველ ჯერზე მაჩვენებდნენ სკოლას, სადაც წერა-კითხვა ისწავლებ; ბევრი რამ აგონდებოდათ, მათთან ერთად ცოცხლებდებოდნენ გარდაცვლილები - გოგონები, ვისაც ნანანავს ქაჩავდნენ და ანცი ბიჭუნები, ვისთან ერთადაც ეზოში თამაშობდნენ, საკვირველი გარდაცვლილები ცოცხლობდნენ; მათაც ნალველი მორეოდან, ჩვენ უკან. ხშირად იმავე დღეს მივდიოდი კარდში, და თუ კარგი დარი იდგა, ჩიტების ბილიკებზე ფეხით მივსეირნობდი შემოდგომის დახუცდული ნაბლის ხეივანში ან ზაფხულის ოქროსფრად გაავრვარებულ მინდვრებში. მოულოდნელად მივადგებოდი უფრო წმინდა ალავს, კარდის მიწებს, რომლებიც ჩემი გახდებოდა ოდესმე, ამას სიყვარულით და ერთგვარი წარმავალი სიბრალულით მიმტკიცებდნენ, და ფელიქსის ემოცია მიდგასტრებდა, რომ ეს მინდვრები სხვაგვარი იყო, ამიტომ ცხადად უნდა დამეჩნხა კურდღლისცოცხას ხასხასი, ბალახის მეტი მოუთმენლობა. სწრაფი მუსიკა აცეკვდებოდა ჩემში, ჩემი ჩრდილი მიხბლავდა, ჩნდებოდა კორომში, ისამენებში ჩაფლული სახლი, უკვე ნაამბობი წარსულით, ის უკვე ნელ-ნელა ეფლობოდა უსარგებლო მოუსავლიან სეზონებში და ცარიელ კედლებში მხოლოდ მღრღნელი დროსა იფარავდა; მერე რა! მე გავიზრდებოდი და მექნებოდა ფული მის ალავდგენად. ამოვიძრკვავდი გლიცინივში; მომრიგო ბაღში, სადაც ელიზა უსიამოვნებებზე წუნუნებდა, ჩემს მომავალი წინასწარმეტყველებდნენ ლეკოკონიები და ჰორტენზიები; აქ ბავშვები ითამაშებდნენ და მომავალი იზეიმებდა: შეგებულების დროს ჩამოვიდოდი და თავს შევიქებდი ოდესღაც გარდაცვლილთა გასახარებლად. ფელიქსი არ მატყუებდა: ის მართლაც შატლუშია; სეჯუსკენ მიმავალი გზის გადაკვეთაზე, მინარე დაბის პირდაპირ, აღარაფერი მიგვითითებს გეოდონის მიწებზე, სადაც ბალახი მოთინებთ ალვისილა: მამული იაფად გაიყიდა, რათა ჩემი უნდელი არსებობა გავრქელვდილოყო. სახლი უნ დამჩნა; ჩემი სიყვარული მისდამი არ შემცირებულა. დამტკნარ გლიცინიას იმედი ვადაუნურავს; ქარიშხალმა და ჩემმა დაუდევრობამ ყველაფერი გააჩანავა; იშვიათი ჯიშის ხეები, რომლებიც ფელიქსმა საგანგებოდ ჩემთვის დარგო, ერთიმეორის მიყოლებით ანვებიან ბელელს, უეცრად გაიტკაცუნებს რაღაც, თითქოს გადატყვდა და გადაინგრაო. თანდათან ინგრევა კიდევ; გრიგალი ფიქალის გაბრუებული ნამსხვრევებს ნაბლის ხეებს ახლის, მკვდარი წყალი გუბდება იქ, სადაც ადრე ცოცხლებს ძინიათ, პორტრეტები ცვივა და ტანსაცმლის კარადების სიღრმეში სხვები ილიმებიან სიბნელეში მივიწყებით კმაყოფილნი, ისარცხიან თავგები და მათ სხვები ენაცვლებიან, თანდათანობით იშლება ყველაფერი. კარგით, რა,



ყველაფერი კარგად არის; გულმონყალე ანგელოზები ლაჟვარდში ფრენენ, ქრებიან და კვლავ იბადებიან ცისფერ ჰაერში; ისინი ღამეს ამორებენ აბლაბუდებს, გატეხილ ფანჯრებთან უმზერენ მთვარიდან მთვარემდე იმ წინაპართა ფოტოებს, ვისი სახელებიც იციან, ერთმანეთს საამურად ეჩურჩულებიან და შესაძლოა ვისკისებენ, ღამესავით ლილისფერნი და უღრმესნი, მაგრამ ვარსკვლავივით გამჭვირვალენი; დაე, ისარგებლონ ჩემი საცხოვრებლად უვარგისი მეგვიდრეობით; სასწაული საზრდობს.

ჩემი და 1941 წელს, მაგონი შემოდგომაზე დაიბადა მარსაკუი, სადაც ჩემი მშობლები მუშაობდნენ; მარსაკუი ერთი პატარა სადგური და დიდი ნისქვილია, მდინარე არდური მიედინება მურიუსკენ, იქ ცხოვრობენ შატენდოების, სენეჟუების, ჟაკემინების ოჯახები, ვაშლებს რომ ჩუქნიან ერთმანეთს და პანია ბალებში ბერდებიან; პატარაობაში იქ დედაჩემთან ერთად მივდიოდი ველოსიპედით, დედა მაშინ ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, ანდა, შესაძლოა, ჩემმა მეხსიერებამ შემოინახა ასე, ნახა ად რომ ატრიალებდა პედლებს დილით, ღია ფერის კაბით, შუა ზაფხულის ოქროსფერი ჭორფლით დანიწკლული, მარტოხელა, მისიერნობს თავის ენაჭარტლა ვაჟთან ერთად, სწრაფად რომ მიაქროლებს ველოსიპედს. იქ, იმ ადგილას ჩასახეს გოგონა მათ: შუშისთვალა კაცმა - ისე შექმნილმა, რომ შეიძლება შეცდეს და ამ ამბავს შეგუებულმა, ცალთვალა იდუმალმა შეჟემა დაივწყებულთა ლეგიონიდან, რომელიც იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია, ანდა, შესაძლოა, აღარ არის, და გლების ქალმა კარდიდან, სხვაგვარად რომ შეიძლება შეცდეს, რომელსაც არ სჯერა, რომ რამე მართებულია, შეგერთალი და ხალისიანი - პავაგია მუდამ და სამუდამოდ. ეს ომის დროს მოხდა, გზის ბოლოს შემზა-

რავ და პირქუშ გერმანელთა კოლონები ზღაზენით მიგორავდნენ, სოფლები ზუსტად იმნარი თვალებით უმზერდნენ, როგორც მათი წინაპრები ცხენით მიმავალ ბატალიონებს, "შავი პრინცი" ფეოდალურ არმიას, ძველთაძველი, მაიმითური და წარმოსახვითის რეალურად მიმჩნევთ თვალებით. პარტიზანთა ახალგაზრდა აჩრდილები დარბოდნენ ტყეში, ისრებს სწევდნენ რკინაგზაზე, აფეთქებდნენ ეშლონებს და განგაშის ასატებ ზარებს იზარავდნენ, მარსაკის საიხლოვეს ღამეს აფორიაქებდნენ. დედაჩემს სხვაც ბევრი სადარდებელი ჰქონდა ამ გაუგებარი და ხმაურიანი ომის გარდა, რომელშიც არ ვიცოდით, თუ ვინ ტყუობდა: ცალთვალა შეფი ხან ვის ეარშიყებოდა, ხან - ვის, ცრუობდა და მაინც უდავოდ, უყვარდა იგი, ბოლომდე სვამდა; ქალი როგორდაც უნდოდ ელოდა პირველ ბავშვს, თავი მუდამ კარდში, პატარა მომკული გოგო ეგონა, გული რომ უჩუყდებოდა და ეცინებოდა ენაკვიმატური ნათქვამებსა და ოინებზე, რაც თვით ცხოვრება: ნახშირით მიხსატავ უღვაშებს სანდომიან სახეზე და უკვე ვეღარ გცნობენ, სამხარი მდელიოზე, ნაკადულთან უფრო გემრიელია, ანდა დიდი პაპა, ლეონარი, მის ფეხმოქცეული და მოუღლეი ფაშატი, გაღეშილი რომ მოჰყავს ბაზრობიდან, და ღმერთო ჩემო, რა სასაცილოდ ტორტმანებს თხის ბენვის ქურთუკი გახვეული, და რა ვიცი, კიდევ რა. მშობიარობის დრო მიახლოებულიყო და კარდში, დაძველებულ ზღურბლზე გამოვიდა ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი ქალი, გზა მოკლედ მოჭრა, ტყის გავლით მივიდა შატენში, სადაც ანტუანის დისწულის გაფურქვნის ასაკში მყოფმა, მოლიმარმა ქალიშვილმა სარდინების კონსერვი გაუხსნა, მერე სენ-გუსო და არენის დაჩრდილული ციცაბო ფერდობი ჩაიარა, ჯი-უში ედო რელიქვია - პელუშეების ოჯახის ანდერძით დაჩირვებული მიუკარებელი ქონება, მათი უძღურების ტვირთი, მათი მეანის თილისმა; და რაკი შემოდგომა იდგა, ელიზა ფხვით თელავდა მანანის ახალ ძირებს, მედიდურ ფუტკარებს (ფუტკარა, შხამიანი ბალახი - მთარგმნ. შენ.), იისფერა და ებისკოპოსის კვერთხისებრს, და რაკი მხიარული იყო და ილუზიები არ ჰქონდა, ნახად ილიმებოდა. ბავშვი ელიზას, თილისმისა და ბებერი საფრანგეთის სოფლის ექიმის თანდასწრებით დაიბადა, მარსაკის სკოლაში. ვგოგონა მადლენი დაარქვეს.

დიდი, მუქი ლურჯი თვალები ჰქონდა - უეჭველად კლარა მიშონს დაემსგავსა, ქალიშვილობაში უშობს, და ამბობდნენ, როგორც ყოველთვის ამბობდნენ, ღამაში იყო. მარსაკუი წაიყვანეს პატარა ბაღში, სადაც სხვადასხვაგვარ სურნელებებში გამოიჩრეოდა ვაშლის არომატი, გამველები ლოკომოტივი ეხმანებოდა, იგი ხელეებს შორეთისკენ ინდვიდა და არ იცოდა, როგორ მოეწყვიტა უახლოესი; კარდში წაიყვანეს, ნაბლოვანის მუქ ბურუსში გახვია, წამით ძველთაძველ ზღურბლზე დაანვინეს და გლიცინიების ნათელ ცასთან შერეული რაღაც ადგილობრივი შელოცვა წაიდლუნეს მის თავს ზემოთ, მისდა გასაკვირად, ანგელოზურ ენაზე, რომელსაც შორიდან ირეკლავდა სე-



ზანისეული ჩრდილები, შუქიანი, ძახილებით საე-  
სე, მეჩხერი ტყე ნაშუადღევის 5 საათზე; პრიმი-  
ტიულად წოდებულმა სცენებმა ვერ მოასწრეს ამ  
საოცარი პარმონიის შებღალვა. იქნებ ერთხელ  
მურიუმიც გაიარა, მაგრამ ავტობუსში ჩაძინდე-  
ლმა, ანდა პანანინა ლოკა დედის ლოკაზე მიედო  
და იცინოდა, და არ დაუნახავს გადაღრეცილი სა-  
მრეკლო, მოოქრული გერბები და მარადიული ცა-  
ცხები, მოუნანიებელი და სწორედ აქ მინას მიბა-  
რებული ბავშვობა მეტოქისა, რომელსაც ვერასდ-  
როს გაიცნობს - საკუთარი ძმისა. ფელიქსს მეტი-  
სმეტად დიდი და ტლანქი ხელები ჰქონდა, გოგო-  
ნა ფრთხილად და სახეზე მოსიყვარულე სუნთქე-  
ის კვალი რჩებოდა; ეუყნი უფერავდა ასე და მასაც  
დიდი ხელები ჰქონდა; ხელში აუგანისას ემე ერთი  
თვლით იცინოდა, მეორე კი მუქი, უმეტყველო  
და მკაცრი, ფირუზისფერი იყო: მან ალბათ მოას-  
წრო შეემჩნია, რომ მამრები უღონონი არიან, მუ-  
შტშეკრულნი, მაგრამ შიგ მხოლოდ შორეულს იქ-  
ცევდნენ, ბავშვის სახვევებს კი არა, სახელს, და  
რომ მათ აღიზიანებთ სხეული, მოსხმარტალე სხე-  
ული, რომელსაც მაინც აკვირდებიან და ცდილო-  
ნი ესწრაფვიან, შეათანხმონ ბილწული თავიანთ ოც-  
ნებებთან და ამ შესაბამისობით დათვრნენ, მაგრ-  
ამ მერე გარდაუვალად ფხიზლდებიან, ბაია ტირი-  
სი და დედის მოთმინება ეკარგება, ისინი გამოდი-  
ან და ნახად გაიხურავენ კარს, გახუნებულ ზღუ-  
რბზე გამოფხიზლებულები ცოტას ნაიტრაბახე-  
ბენ დინჯად, ოლიმპიური სიმშვიდით და დაბნეუ-  
ლნი შეატყერდებიან თავიანთ ზეცასა და ტყეს,  
კიდევ ერთხელ მოგვაჩვენებენ თავს ანგელოზებე-  
და და დასალევად მიდიან. როდესაც ბუნდებიან,  
ბავშვს სძინავს.

გოგონამ არ იცოდა თავისი სახელი და უკმა-  
რობის მონსტრი, რაც არის სახელი, და მისი სახე  
ჯერ არ გარიდებოდა სამყაროს, რომელიც ჩვეთ-  
ვის მხოლოდ გარდერობია, სადაც სახებებს ვირგ-  
ებთ; უეცრად რაღაც ეტყინა და ვერ გამოხატა:  
თვით ეს ტკივილი არ ეჩვენებოდა უნივერსალური  
პარმონიისგან განსხვავებულად, რომლის ერთ-  
ერთი ფერმატა (მუს. პაუზა - მთარგმნ. შენ.) თვი-  
თონაც იყო, როგორც ლაჟვარდოვანი ზეცა, დე-  
და, რომელიც კუნაპეტ ღამეში მოდის, ოღონდ უფ-  
რო მართოლვარე, უფრო გაფაციცებული და ახ-  
ლომყოფი აუტანელ წყაროსთან, ჩვილი ბავშვის  
ციებ-ცხელებებში, რომლის უსიტყვო და ცხარე  
ცრემლიანი ბოძვა ჩვეთვის სამუდამოდ გაუგე-  
ბარია, ისევე უარყოფილი და, შესაძლოა, სასნაუ-  
ლებრივიც, როგორც ანგელოზთა დასი მამაიმე-  
რთის ტახტის გარშემო. ივნისის თაკარა მზე აცხუ-  
ნებდა; "ტორპედო" (ღია ავტომობილი - მთარგმნ.  
შენ.) მოგრიალდა ბენევენდთან და იქიდან ექიმი  
ჟან დეზე გადმოვიდა, ორფეროვან ფეხსაცმელსა  
და ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი, მღვდ-  
ლივით გამოუსადეგარი და მშვენიერი; როგორც  
მამობრივმა და ძველმა საფრანგეთმა, მან აკუნის-  
კენ გადმოხარა თავისი პეპელა-ყელსახვევი, გა-  
სინჯა ეს მოუსვენარი სხეული და პირდაპირ დაუ-

სვა კითხვები, მას მხოლოდ ოდინდელმა, ამოუსხ-  
ნელმა, გულგრილმა მტერმა უპასუხა, რომლის  
ხმაც მისი სმენისთვის მიუნდომელი იყო; ისე,  
ზრდილობის გულისთვის გამოუნერა ნამალი; დე-  
დაქმის მჭიმუნვარე გულში, მზინვარე "ტორპე-  
დომ" ნახევარწმე შემოხსა ეზოში და წინ გაიჭ-  
რა. ხანგრძლივი პაუზა დაირღვა, შესაძლოა ვინმე-  
მ დაასლოკინა ან უსიცოცხლო თვალები აფრინ-  
დნენ, ალტაცებით ან გაუგებარი, დაუფიქრებელი  
შიშით სხეული მოგვშორდა ზაფხულში, რაღაც  
უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ზაფხულს: მაღლე-  
ნი გარდაიცვალა 1942 წლის 24 ივნისის დღეს,  
იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე, მარსაკ-  
ში, პაპაბაქება სიცხეში, როდესაც გამჭვირვალე  
პავერი ტირანინები მეფობს მამლების ყელში,  
მბრწყინვე ცრემლებად იფანტება, წვერს შრომან-  
ის ოქროსფერ გულში ჰყოფს და იქიდან სამჯერ  
ამოშვებულა წმინდა მზისკენ.

ისევ მოვიდნენ მოხუცები კარდიდან, და მაზი-  
რადან - სხვა მოხუცები, პირველნი ორთავალაით  
და მეორენი "როზალითი" (პატარა, ღია, ველოსი-  
პედის მსგავსი პედლებიანი მანქანა - მთარგმნ.  
შენ.); და ალბათ, უნებურად ეკითხებოდნენ ერთ-  
მანეთს, რომელი შავი სისხლი აჯანყდა, რომელმა  
სამართლიანმა შურისძიებამ აქცია ეს პანანინა  
სხეული ერთ ლუკმად, გლეხი ატრევისის რომელი  
ქალიშვილი შეტანეს. და ვიღმომის ციცაბო მხარ-  
ის, ფელიქსი, აღვირთი ხელში თავის შავ შლაპას-  
თან ერთად, ცხენს რომ ღანძღავდა, ფიქრობდა,  
რომ სწორედ აქ ინანიებდნენ გეიოდონები, და მი-  
სი ფუქსავატობა, ძველი კავალერიის ჯარისკაც-  
ის ენაბჭევრობა, ქურანის, ტყავის ალჭურვილობ-  
ის, ვარდების, უცნაური აგრონომიის სიყვარული  
უკვე ანადგურებდა კარდს; მოხუცი მურიკოების  
სიცოცხლე გრძელდებოდა ელიზაში, წინაპარი ლე-



ონარი ნელგამართული დეგობა ფოთლების ჩრდი-  
 ლში, უამრავი ოქროსფერი ბუზი გარს ეხვეოდა  
 და შურისძიების ნყურელით ბუჭბუჭებდა; გუ-  
 ლქვა დამფუძნებელი, რომელმაც კაკი-კაკი შე-  
 გროვილი ფულით შეიძინა კარდი, კაცი, რომელ-  
 იც პორტფელში ინახავდა თავის ერთადერთ პორ-  
 ტრეტს, მასზე იგუნახასავით მოთმინებით იჯდა,  
 უღვაშა, პოლ-ალექსისი, ვაჟიშვილი და მარი კან-  
 სიანი, მეუღლე, აქეთ-იქედან მგვინ, სადიდებლ-  
 ად ერთადერთი ტირანისა, რომელიც პოზირებდა,  
 მოლიძარნი, არასანდო და მერყევი, ლეონარს ოქ-  
 რ და თავისი ფაშატი უყვარდა, ადამიანები კი  
 სძულდა; და სხვა ჩრდილები უცდარი შექმი აგ-  
 დებდნენ ბედოვლათ შვილებს და დახეთ, მდუმარ-  
 რე დუფურნო და მამის მკვლელი პელუშე, იოანე  
 ნათლისმცემელივით აჩრდილი, და მწვანე გრინიე-  
 ბი (გრინიები, ბერძნ.) მათლმსაჯულნი და შუ-  
 რისძიების სულელები - მთარგმნ. შენ.) მდვლოდან  
 უბერავდნენ მათ იმქვეყნიურ თმას. იქ, ჩემთვის  
 უკვე ნაცნობი, დანჯღრეული, დახეთქილი ავტო-  
 მანქანის მეორე ბოლოში, შამპონისკენ, კარიჭის  
 გავლით, რომლის ვუჯა კედლის საყრდენი მოკრ-  
 ძალებით უჭირავთ ამოკლეფსის მოხუცებს, კლარ-  
 რამ იცოდა, რომ ბებერი ჟუმო, კომენტრის მეტა-  
 ლურგოული ქარხნის უკარება პატრონი, ვინც ხალ-  
 ხი ამიშმილა და მინც გაკორდა, იდუმალი და  
 მეტალურგოული ქარხნის მოხუცი, რომელმაც ვა-  
 ჟიშვილს უკვე ამოაცალა ცალი თვალი, გარდაც-  
 ვალების მერე ვალად იღებდა ამ პანი გეამს, რა-  
 თა კიდევ უფრო ჩაებნელებინა ჯოჯოხეთი, სადაც  
 უკვე მოთხედი საუკუნე იყო, მოთქვამდა და ღრი-  
 ალებდა; და ეყენი ტიროდა და ყველაზე მეტად უკ-  
 ვირდა, არ ვიცე, რაზე ფიქრობდა: იმ გაუბედავ  
 მცხოვრებლებზე, ვის გვარსაც ვატარებ, თუმცა  
 მათ უსახებ არაფერი ვიცე, გარდა იმისა, რომ ის-  
 ინი ლატაკნი და მოუცვლელი იყვნენ, მთვარეული  
 ქალები ალაგებდნენ სახლს, უგერგილო კაცები კი  
 თავს აფარებდნენ ყბედობასა და ბისტროებს - სა-  
 მუდამოდ. ჰოდა ეყენი, მთვარლი და თვინიერი,  
 ფანჯრიდან უცქერდა, როგორ ყვითლდებოდა ხო-  
 რბალი, იხსენებდა, და ისიც უერთდებოდა თავის  
 საკმაოდ მდიდარ ოჯახს, რათა გამოეწვიათ ბლავ-  
 ხის სიკვდილი. ამგვარად ადამის ეს მოხუცი შვი-  
 ლები ჩამოვიდნენ მარსაკში, და შესაძლოა, იმავ-  
 როულად მწუხარანი, ბარბაცით დაგახვივნენ ერ-  
 თმანეთს, უხეში ხავერდი უხეშ ხავერდს, ფელიქს-  
 ის პატარა ცრემლმორეული ცისფერი თვალი კლარ-  
 რას მწველი ლურჯი და ცრემლგამაშრალი თვალის  
 პირისპირ, დიდ ლანჩებულზე ეზოს ცხელი ხრეში  
 აახრამუნეს, აი, შემოვიდნენ, ქალი დუმს ყოველი  
 მათგანისთვის ცნობილ საიდუმლოსა და ტლანქ-  
 ად გამოხატულ მწუხარებაზე - უსუსური მისნები  
 გარდაცვლილი ბავშვის გარშემო. ზაფხული იცინის  
 ცაცხებებში, ჩრდილი იხრებოდა დახურულ კარზე,  
 ყველაფერი წყნარად იცვლება.

მერე, რაკი შრომანების სეზონია, სკოლის ბავ-  
 შვები შრომანების გვირგვინებს წავენ და მარსა-  
 კის ეკლესიაში დედა მუთათვი სწერელი, ზაფხუ-  
 ლივით არანორმალური და საამო, სასულიერო,

ძველთაძველი ობმოდებული კედლების სუნთან  
 შეზავებული; ამ unda maris-ზე (ორგანის რეგისტრ-  
 ი, სიტყვისსიტყვით "ზღვის ტალღა" - მთარგმნ.  
 შენ.) მოლოკივით პანი კუბო, ნორჩი გლეხის ქალი  
 ცალთვალა შეფთან მკლავგაჩრილი, ძალაგამოღე-  
 ული; ელიზა სულმთლად მოკაცული; კიურეს სა-  
 უბარი, ბოსტნულის ბოლქვების მჭამელთა აუდ-  
 იტორია, ყველაფერი უკვე ნათქვამია; და ორთვა-  
 ლაში ისევ შრომანი შემკობილი აჩრდილი, რომე-  
 ლიც ჯავყავალი მიგორავს მიკარგული გზებით თა-  
 ვის მსგავსთა მოსაძებნად, ზაფხული უდიმის მას,  
 ოქროსფერი ბუზების გუნდები ხმას აიხოვებენ,  
 და ფოთლების ჩერო არენისკენ, სენ-კრუზოსკენ  
 მიიწევენ, ჯერ ისევ დგას ტყრუშული ღობე მემქ-  
 ნელთა, მავნებელთა, იმათი, ვინც ხორცი შეისხა  
 და იღვანა, ლეონარი წყნარად ზის ლავოს მუხის  
 ქვეშ, რაღაცას ითვლის და თვალზე არ სწევს, პე-  
 ლუშები გაქვავებულან და თავიანთი ცოცხალი  
 ქვეშები შატენის ჯვრად ქცეულან, დანარჩენები  
 შექუჩებულან და გაფითრებულან კარდის შრომა-  
 ნებივით, იქ, ფაქიზი სახლის წინ რომ ვხედავთ, სა-  
 ითაც გას მივყავართ.

თუ რამენაირად, მსოფლივ იმ შემთხვევაში, თუ  
 მის სახელს დავენერ, ლეონარი გადაირბენს ლამე-  
 ულ გზებზე, ქისის ჩხარუნით თხის ტყავის ქურქ-  
 ში, ლავოს მუხასა და პლანშას დაბლობამდე; თუკი  
 ის ურთიერთობას დაამყარებს "უდრტივიველ მშე-  
 ნიერ არსებებებთან", რომლებიც ანცოტები დანგ-  
 რეულ კარდში, რომლებმაც ყველაფერი იციან და  
 ყველაფრით ხარობენ ისე, რომ სიმღერის სასათ-  
 ზე დგებიან; თუკი იგი მათ თავაზიანად გადაუყრ-  
 ის ოცვრანაკიანებს, რომლებიც ზღურბლებ უწი-  
 რალით გაგორდებან, როგორც ამ წამს ვუვადებ ამ  
 სტრიქონებს; თუკი ის ჩემში გადარჩება, როგორც  
 ზღაპრები ნათესაობზე გვარწმუნებენ, მან იცის,  
 რა მდებარე მეთეშანების უხვი ყვავილობი-  
 დან სამი წლის შემდეგ, ანდრეი და ენე მე მშვეს;  
 ორი წლის მერე მეკობრესავით ცალთვალა შეფმა  
 მოკურცხლა, და ამიერაზი არყოფნაში, იმათი  
 უფრო შორეული, ვის მარცხსაც "შატლუში" ვამო-  
 ნმებთ, ციური, საოცრად მამობრივი, იგი ერთპი-  
 როვნულად მეფობდა, ჩემს უაზრო ცხოვრებას მკა-  
 ფივოდ თან სდევდა, ანონილი, ხისფეხა ჯონ სილ-  
 ვიერივით სცემდა ბოლთას ყალბი გემის გემბანზე  
 "განდის კუნძულში"; 1948 წელს კარდის კარში მოი-  
 ხურა დაბნეული ფელიქსის ზურგსუკან, ძველ ხო-  
 მალდს ლობა შეეპარა, მასში შარიშორმა დაიგა-  
 ვა; ელიზა და ფელიქსი დაახლოებით 1970 წელს  
 გარდაიცვალნენ: შატლეს სასაფლაო შევსებულია,  
 დახავსებული საფლავის ქვა მსოფლივ უკანასკნე-  
 ლი სამსჯავროს დღეს გაიღება, და მსურს მჯერო-  
 ებს, რომ იქიდან გამოვა ახალგაზრდა და უკუბო-  
 დივს, ხელში ახალბოლილი გოგონაით; შესაძლოა  
 იმავე დროს სენ-კრუზოში, მე, გახალგაზრდავე-  
 ბული, პალადების, პელუშების და სხვა უცნობ აჩ-  
 რდილთა შორის, შევიტყობ, სიცოცხლეში როგორ  
 უნდა მენერა, რათა ამაო სიტყვაკაზმულობაში ცო-  
 ტაოდენი თქმშარტეცაც გამომზებურებულიყო. იქ-  
 ამდენი თქმშარტეცაც უსიტყვოდ გარდაცვ-



ლილი ბავშვის განცდები: მაგრამ მე არ ვურთიერ-  
თობ ანგელოზებთან.

თუმცა, ის დავინახე ერთხელ, პალისოში, 1963  
წლის ივლისში. ინგლისში გამგზავრებას ვაპირებ-  
დი, სადაც ერთი მეგობარი, უამრავი საოცნებო  
გოგო და უფრო საამო მომავალი მელოდებოდა,  
ვიდრე აქ. მე მიმინვიეს მხიარული, მედგარი, შო-  
რეული ბიძაშვილების პატარა სახლში, ისინი საუ-  
ზმობდნენ ბალახზე, გზატკეცილებს და ორლის ახ-  
ლომდებარე აეროპორტის გამაყრუებელ ფრენებს  
შორის; ვიმედოვნებდი; მსურდა ყველაფერი შემე-  
ცნო. ნაშუადღევს, პატარა ბაღში, მარტოდმარტო,  
გაბრუებული ვიყავი სიხარულის მომგვრელი მოვ-  
ლენებით: ეს-ესაა დანყებული ახალგაზრდობითა  
და ჯერ კიდევ განუზომელი, ჩემთვის ახალი გამო-  
ცოცხლებით ღვინისა და ქაღების გამო, ზაფხულ-  
ის ცა გახსნილიყო ჩემი სურვილისთვის და თითქ-  
ოს მას წვედა, და ჩემი სურვილის ობიექტები იყე-  
ნენ - ნაღვად ასეთივე ნამდვილი, სურნელოვან-  
ნი, უშურველნი და თან წყენიები გარეუბნის ყვა-  
ვილებივით, ხელით რომ ვგლეჯდი; ცარგვალი, რო-  
მელსაც კალთაზე მინდოდა მივწნოდი, ამელო  
და ჩემკენ ჩამომექაჩა, თავისი ქორფა ყვავილებით  
და შენობათა მირაჟებით, ცვალებადი სილურჯით,  
თვითმფრინავებით იქ, ზემოთ და ღრუბლის ქუ-  
ლები, რომლებსაც ისინი იტოვებენ უკან, რათა სა-  
ღამოს თვალებში ცოცხლად ამითამამდნენ, ცა მა-  
სის მზრიდან იეტამდე, სადაც მუქდება, ვისურვე-  
ბდი პერგამენტივით დამეგრავნა, როგორც თვით  
განკითხვის ბიბლიოფილი ანგელოზი გრავნის, რო-  
დესაც ყველაფერი დაწერილია, როდესაც სამყარო-  
ს შესაქმნე იხურება, ყოველი მათი ქმედება უკვე  
განკითხულია: მაინც აღდგომივანდე ყველაფრით  
და ყველაფერი დაწერი - ასე მინდოდა, და ამას  
შეძებდი. მერცხლები მიფრინავდნენ. გაბრუე-  
ბული ვტრიალებდი, თვალები შემჩირდა: მეზო-  
ბელი ბალიდან, ძალიან ახლოს, ხელის განვდგნა-  
ზე, პირდაპირ, ყურადღებით და მტკიცედ, მაგრამ  
ნაივს მინდობილი, ლევკოიონებს და სურნელოვან  
ბარდას შორის შეჩერებული ჩრდილის კიდზე, თუ-  
მცა შატლუდან ძალიან შორს - ის მაკვირდებოდა.  
ნამდვილად ის იყო, "პატარა გარდაცვლილი გო-  
გონა, ვარდის ბუჩქებს უკან". იქ იყო, ჩემ თვალნი-  
ნი. ბუნებრივად ეჭირა თავი, მზეს ეფიცებოდა.  
ათი მინიერი წლის იყო, გაზრდილიყო, მართალია,  
ჩემზე ნელა, მაგრამ გარდაცვლილებს აქვთ შეყო-  
ვნების დრო, თავიანთი აღსასრულის არცერთი  
თავაშვებული სურვილი აღარ ექაჩებათ უკან. და-  
ჟინებით მივაჩერდი, და მისმა ზეზრამ წამით ამი-  
ტაცა; მერე ზურგი მომაქცია და მოკლე ნაბი ატე-  
კვდა შუქზე, დინჯად, გამოზომილი ნაბიჯებით გა-  
ემართა ვერანდიანი პავილიონისკენ; პატარა ფე-  
ხებს ხეივნის ქვიშაზე დინჯად ადგამდა, ისე ქრე-  
ბოდა, რომ არც შესმოვდა ესპადრილებს დაბიჯე-  
ბის ხმა აფრენილი თვითმფრინავის გამაყრუებელ  
გრილობი, მის ქვეშ ჰაერის ყველა ტიხარი ირნეო-  
და, ზაფხული მის ვერცხლისფერ გვერდებს ეხვე-  
ოდა, უხილავ და ციური მანქანებით გატაცებულ-  
ვაჟებს მალა აპყავდათ უკანმოუხედავად, ძალი-



ან ზემოთ მდებარე და ბუნდოვანი სამოთხისკენ,  
მალასართულიანი შენობების უკან. ამ გრუხუნ-  
ში გოგონამ ვარი მიიხურა. აღმურავარდნილი ვა-  
რდის ბუჩქები არ შერხებულან.

მე მანჩესტერისკენ გავფრინდი; მნიშვნელო-  
ვანი არაფერი წამიღია; ჩემი პირველი ბლოკნოტი  
მეჭირა, და პირველად ეს მოვლენა ჩავინერე. საფ-  
რთილო ასაკი სავსეა ბაქაობით, მაგრამ ეს არ  
არის მონაჭორი: ჩემი დაიკო, დაიხ, ის ბავშვი სწო-  
რად ასეთი მომელანდა იმ წამს, როდესაც დავინახე;  
ვიცანი იგი და დავუძახე იმავე მშვიდი რწმენ-  
ით, როგორთაც დავანამდვილე ლევკოიონები მის  
ფეხებთან და შუქი მის გარშემო; და ვერ ვიტყო-  
დი, რომელი ცდომილებით, თვალწინ დამიდგა კი-  
დევე ერთი მტკიცებულება, გარეუბნის მუშათა გო-  
გონამ ზაფხულის კაბაში სხეული ათხოვა ყველა-  
ნაირი გაუჩინარების პარადიგმას, ზოგჯერ მათ  
უეცარ გამოჩენას ჰაერში, რომელსაც ასქელებენ,  
იმით გულელები, ვისაც გულს სტკევენ, წიგნის გვე-  
რდზე, რომელზეც ვიჯობები და მუდამ მოტყუე-  
ბულნი, გოგონები ფრთებს აფართქუნებენ და კა-  
რებზე აკაკუნებენ, მათ სურთ შემოსვლა, არსე-  
რება და სიცოცხლე, ისინი სუნთქვას იკრავენ და  
თრთოლით უგდებენ ყურს ყოველ ფრაზას, რომ-  
ლის ბოლოშიც, შესაძლოა, მათი სხეულია, მაგრამ  
იქაც კი მეტისმეტად მსუშუქია მათი ფრთები, მო-  
უხეშავი ზედსართავი სახედი ეხამუშებათ, უფარ-  
გისი რიტმი დალატოვით ხვედებთ გულზე, მიწას  
დანარცხებულნი უსასრულოდ ეცემიან და არსად  
არიან, თითქმის მუდმივად მოსვლა კლავს მათ,  
წუხან და გადაიხვენებიან, და ხელახლა უმცირეს-  
ად, არარად იქცევიან.



დაე, მართებულმა სტილმა შეანელოს მათი დაცემა, და ამის გამო ჩემიც, შესაძლოა, უფრო შენელებდეს; დაე, ჩემმა ხელმა ისინი გაუშვას, რათა ჰაერში შეერწყან მსწრაფლწარმავალ ფორმას, გამოწვეულს მხოლოდ ჩემი დაძაბულობით; რათა ჩემი დანარცხების გადატანის მერე, უფრო მაღლა და ნათლად ვცხოვრობდეთ, ისინი, ვისაც ოდნავ თუ გვიარსებია და ასე მცირედად ვქცეულვართ. და იქნებ ისინიც გამოჩნდნენ, ჩვენდა გასაოცრად. არაფერი მიტაცებს ისე, როგორც სასწაული.

ნუთუ მართლა მოხდა? მართალია: ეს მიდრეკილება არქაიზმისკენ, ეს სენტიმენტალური გადახვევები, როდესაც სტილი ვერ გამოხატავს მოძველებულ წადილს კეთილზმოფანებისა, ასე არ მეტყველებენ გარდაცვლილი, როდესაც მათ ფრთები აქვთ, როდესაც ისინი წმინდა სიტყვას უბრუნდებიან ნათელში. გული მისკდება - იქ უფრო მეტად არ დანაღვლიანდნენ. დემონი, როგორც ვიცით, ჰაერის ძალებსაც განაგებს; ანგელოზობანას თამაშობს. ეს კარგია; ოდესმე სხვაგვარად ვცდი. თუ მათ გავედევნები, უარს ვიტყვი ამ მკვდარ ენაზე, რომელშიც, შესაძლოა, საკუთარ თავს ვერ ცნობდეს.

თუმცა მათი ძებნისას, მათ დიალოგში, რომელიც სიჩუმე არ არის, სიამოვნება მივიღე, და იქნებ ეს მათი სიხარულიც იყო; კინალამ მათი შეწყვეტილი განსხულებიას დავიბადე და მათთან ერთად მოვეცდი; ნეტავ შემეძლოს, დავწერო ამ თავბრუდამხვევი მომენტის სიმაღლეზე, ამ შფო-

თვაზე, ლხენსა თუ გაურკვეველ შიშზე, დავწერო, როგორ კვდება ბავშვი უსიტყვოდ, განზავდება ზაფხულში: უდიდეს, გამოუთქმელ მღელვარებაში. ვერცერთი ძალა ვერ გადაწყვეტს, რომ ვერაფერს მივალნიე. ვერცერთი ძალა ვერ გადაწყვეტს, რომ ჩემი მღელვარება არ გაბრწყინებულა მათ გულში. როდესაც უკანასკნელი დილის სიცილი მთვრალ ბენდის ანცივიფრებს, როდესაც ყალბი ირმები ერთბაშად გაიტაცებენ, მე წამდვილად იქ ვიყავი, და იქნებ სამაგიეროდ მომეჩვენოს იგი მუდმივად, ეს ფურცლები იქნებ სამუდამოდ დიამალონ, პურში, რომელსაც აქვე აკურთხებენ, მტკიცე მოძრაობაში, რომლითაც ანაფორის კალთას ანიევს მოტოციკლეტზე შეჯდომამდე, უნუგუშო, მაგრამ მოლიმარი, ტკაცატკუციტი მიქრის თაკარა მზეზე, ქარით თმანენილი, და გაისხენებს? მგონი, თოვლით დათოვლილი ნაზი ცაცხვები გადაიხარნენ უტყვი მოხუცი ფუკოს უკანასკნელი მზერით, ასე მწამს და, შესაძლოა, მასაც ასე სურდეს. დაე, მარსაკუი მუდამ იბადებოდნენ გოგონები. დაე, დუფურნოს სიკვდილი არც ისე საბოლოო იყო, რადგან ელიზას ახსოვს ან გამოიგონას; თუნდაც ელიზას გარდაცვალება შეამსუბუქოს ან სტრიქონებმა. დაე, ჩემს გამოგონილ ზაფხულებში მათი ზამთარი შეყოვნდეს. დაე, ფრთოსანთა კონკლავში, კარდში რომ ტარდება ხოლმე იმ ყველაფრის ნანგრევებზე, რაც მართლა შეიძლება ყოფილიყო - მათ იარსებონ. დაე.

მართო ვარგას ლიოსა

# დეიას საყვირი

ავრორა ბერნანდეს



1984 წლის ერთ კვირადღეს ის-ის იყო, სტატიის წერა უნდა დამეწყო, რომ ტელეფონი ანკრიალდა. ყურმილი ავიღე, თუმცა მუშაობის დროს ტელეფონს არ ვეკარები ხოლმე. "ხულო კორტასარი გარდაიცვალა" - მაუნყა ჟურნალისტმა და კატეგორიული კილოთი მომთხოვა: "თქვენი კომენტარი?"

გამახსენდა ვალიეხოს გამოთქმა - "ესპანელივით სულელი" - და ბრძანებას ენის ბორძიკით დავემორჩილე. იმ კვირადღეს, სტატიაზე მუშაობის დანერის ნაცვლად, გადავათვალიერე და გადავიკითხე კორტასარის ზოგიერთი მოთხრობა, აგრეთვე - რომანების ეპიზოდები, რომლებიც მესხიერებად ესოდენ ცოცხლად შემომინახა. გარკვეული ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი მსმენოდა. არ ვიცოდი არც მისი ხანგრძლივი ავადმყოფობის და არც საშინელი აგონიის შესახებ. გამიხარდა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ავრო-

რა გვერდიდან არ მოშორებია და რომ, მისი წყალობით, დაკრძალვამ მშვიდად ჩაიარა, რეკოლუციური ყვავ-ყორნების კლოუნადის გარეშე, რომლებსაც ბოლო წლებში ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ მის ცხოვრებაში.

ორივე მათგანი დაახლოებით ორმოცი წლის წინ გავიცანი პარიზში, ჩვენი საერთო მეგობრის ოჯახში. მას შემდეგ - 1967 წელს, საბერძნეთში ბოლო შეხვედრამდე, როდესაც სამივენი თარჯიმნებად ვმუშაობდით საერთაშორისო კონფერენციაზე - ყოველთვის აღმაფრთოვანებდა ავრორას და ხულის ხილვა და მათი საუბრების მოსმენა. მათი მსჯელობა ჭკვიანური, საფუძვლიანი, საინტერესო, მნიშვნელოვანი იყო. ბევრჯერ მიფიქრია: "ყოველთვის ასეთები ვერ იქნებიან. ამ ფრაზებს, უჩვეულო ანეკდოტებს, გონებამახვილურ ციტატებსა და ხუმრობებს, რომლებიც შესაბამის მომენტში ინტელექტუალურ ატმოსფეროს აფეთქებან ინ-

ვევენ, ალბათ, შინ ამზადებენ". ისინი ორი განაფული ჟონგლიორივით ოსტატურად ესროდნენ ერთმანეთს თემებს და ამიტომ მათთან არავის სწყინდებოდა. მომწონდა (და მშურდა კიდევც) ამ წყვილის სრული ურთიერთგაგება, იდუმალი ინტელექტი, რომელიც თითქოს აერთიანებდა მათ. ასევე აღმაფრთოვანებდა მათი სულიერი ერთობა, გათვითცნობიერებულობა ლიტერატურაში (რომელიც მათი განსაკუთრებულობისა და სრულყოფილების შთაბეჭდილებას წარმოქმნიდა), გულღია დამოკიდებულება ყველას და, პირველ ყოვლისა, ისეთი ლიტერატურული შევირდების მიმართ, როგორც მე ვიყავი.

ძნელად სათქმელია, რომელი მათგანი უფრო ნაკითხი იყო, ან რომელი გამოთქვამდა უფრო შთაბეჭდავსა და ახლებურ მსჯელობებს წიგნებისა და ავტორების თაობაზე. იმას, რომ ხულიო წერდა, ავრორა კი მხოლოდ თარგმნიდა, მხოლოდ

დროებით ვითარებად მივიჩნევდი, დათმობად - ავრორას მხრივ - რათა ოჯახში იმ მომენტში მხოლოდ ერთი მწერალი ყოფილიყო. ახლა, როდესაც ავრორა მრავალი წლის შემდეგ ვნახე, რამდენჯერმე ენაზე ვიკბინე, როდესაც დავაპირე მეკითხა, რაზე მუშაობ, რისი გამოქვეყნებას აპირებ-მეთქი. ჭალარა თმას თუ არ ჩავთვლით, სრულებით არ გამოცვლილიყო: პატარა, მოხდენილი აღნაგობის ენერგიული ქალი დიდრონი, ლურჯი, ჭკვიანური თვალებით. მაიორკაზე, დეიას კლდეებზე ისე ცქციტად დაძვრებოდა, რომ კინაღამ გული ამომივარდა და უკან ჩამოვჩიი. ამ მხრივ, კორტასარს ნააგავდა: დორიან გრეის მსგავსად, არ ბერდებოდა.

1958 წლის ერთ საღამოს ვიჯექი ძალზე მალა, გამხდარ, უწვერულვამო ჭაბუკთან ერთად, რომელსაც ძალზე მოკლედ შეკრეტილი თმა ჰქონდა. ლაპარაკის დროს გრძელ ხელებს იჩნევდა. უკვე გამოქვეყნებინა მოთხრობების პატარა კრე-





ბული და ამზადებდა მეორე კრებულს, რომელიც ხუან ხოსე არეოლას მეხიკოში უნდა გამოეცა. მოთხრობათა კრებულის გამოცემას მეც ვაპირებდი. ჩვენ, ორმა ახალგაზრდა მწერალმა, ერთმანეთს გამოცდილება და პერსპექტივები გაუზიარეთ. მხოლოდ დამშვიდობების შემდეგ გავაცნობიერე - და გავოგნდი - რომ ეს იყო ავტორი "ბესტიარიუმის" და მრავალი მოთხრობისა, რომლებიც ბორხესისა და ვიქტორია ოკამპოს ჟურნალ "სამხრეთში" წავიკითხე. მანვე ბრწყინვალედ თარგმნა ედგარ პოს თხზულებათა სრული კრებული. პუერტო-რიკოს უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ეს ორი (საუცხოოდ გაფორმებული) ტომი სულმოუთქმელად წავიკითხე. ჩემი თანატოლი მეგონა, თუმცა ჩემზე ოცდაორი წლით უფროსი გახლდათ.

სამოციან წლებში და, განსაკუთრებით, იმ შვიდი წლის განმავლობაში, რომლებიც პარიზში ვაგატარე, კორტასარი ჩემს საუკეთესო მეგობრად

და მენტორად იქცა. როდესაც პირველი რომანის ხელნაწერი ნასაკითხად მივეცი, ახალბედს მოუთმენლობით ველოდი მის განაჩენს. კორტასარის წერილმა - კეთილგანწყობილი შეფასებებითა და რჩევებით - ბედნიერების განცდა მომანიჭა. მივხვდი, რომ ეს წერილი ჩემს გასამხნეველად იყო განკუთვნილი მტრებისა და კრიტიკოსების გარეშე.

კორტასარის ცხოვრება, მისი რიტუალები, კაპრიზები და ჩვევები იმდენადვე აღმაფრთოვანებდა, რამდენადაც - მისივე პროზის სილალე და სიცხადე, აგრეთვე - ის, რომ მისი მოთხრობებისა და რომანების ფანტასტიკური პერსონაჟები თითქოს არაფრით გამოირჩეოდნენ ჩვეულებრივი ადამიანებისგან და, ამავე დროს, ესოდენ შთამბეჭდავნი იყვნენ. ყოველთვის, როდესაც ხულიო და ავრორა სადილად მზატიყებდნენ - თავდაპირველად სევრის ქუჩაზე, ვინრო ბინაში, შემდეგ კი პატარა სახ-




ლმი გენერალ ბურეს შესახებვემი- ეს დღესასწაული იყო. მწუსხავდა მის საქალაქდემი შეგროვილი უჩვეულო საგაზეთო ამონაჭრები და ეგზოტიკური საგნები. დამაინტერესა "სათამაშოების ოთახმა" - იდუმალმა ადგილმა მათ სახლში, სადაც - როგორც ამბობდნენ - ხულო იკეტებოდა, საყვირზე უკრავდა და ბავშვურად იქცევდა თავს. ის იცნობდა იდუმალსა და ჯადოსნურ პარიზს, რომელსაც ვერ იპოვიდით ვერც ერთ მეგზურში და რომელშიც კორტასართან ყოველი შეხვედრისას ათას სასწაულს ვპოულობდი: ფილმებს, გამოფენებს, უცნობ პოეტებს და თვით ალქაჯების თავყრილობას **Mutualite**-ზე, რაც ძალზე მოსაწყენ სასახაობად მეჩვენა, მაგრამ კორტასარმა შემდგომში განსაცვიფრებლად ასახა, როგორც ერთგვარი იუმორისტული აპოკალიფსი.

ამ ხულო კორტასართან მეგობრობა შეიძლება, მაგრამ დაახლოება შეუძლებელი გახლდათ. ეს ჯადოქარი თავაზიანობისა და ქცევის წესების სისტემის მეშვეობით (რომელთაც უნდა დამორჩილებოდით, თუკი მისი მეგობრობის შენარჩუნება გსურდა) თავის თავსა და სხვებს შორის გარკვეულ დისტანციას ამყარებდა, რაც მას იდუმალებს შარავანდედით მოსავდა. ცხოვრების ფართული განზომილება - ირაციონალური და პოეტური - მისი ძალმოსილების წყარო იყო, რომელიც დროდადრო თავს იჩენს მის ტექსტებში, თვით ყველაზე ფრამგენტულსა და ხალისიანშიც კი. კორტასარი იყო უკიდურესად პრივატული პიროვნება, რომლის შინაგანი სამყარო (ხელოვნების ნიმუშის მსგავსად აგებული და დაცული), ალბათ, მხო-

ლოდ ავრორასთვის იყო ხელმისაწვდომი, თვით მისთვის კი, ლიტერატურის გარდა, არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა და არც არაფერი არსებობდა.

ეს არ ნიშნავს, რომ კორტასარი ისეთი წიგნიერი, განათლებული და ინტელექტუალური პიროვნება გახლდათ, როგორც იყო, მაგალითად, ბორნესი, რომელიც სამართლიანად წერდა: "ბევრი ნაწიკითხე და ცოტა ვიცხოვრე". კორტასართან ლიტერატურა განზავდება ყოფით გამოცდილებაში და მსჭვალავს მთელ ცხოვრებას, აცოცხლებს და ამდიდრებს მას განსაკუთრებული ბრწყინვალეობით, ისე, რომ არ განძარცვავს სპონტანურობისგან. ალბათ, არც ერთ მწერალთან არა აქვს თამაში ისეთი ლიტერატურული ღირებულება, როგორც კორტასართან, და არც არავის უქცევია თამაში მხატვრული შემოქმედებისა და კვლევის ესოდენ პლასტიკურ და ნაყოფიერ იარაღად. მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტებაა არაა, რადგან ხულო არ მამართავდა თამაშს ლიტერატურულ ნაწარმოების შექმნის მიზნით. მისთვის თვით წერა იყო თამაში, გართობა, ცხოვრების - სიტყვების, აზრების - ორგანიზება თვითნებურად, თავისუფლად, წარმოსახვის მეშვეობით, ბავშვის ან შემოილილისთვის ჩვეული უპასუხისმგებლობით. მაგრამ ამგვარი თამაშის წყალობით კორტასარმა გამოავლინა და გამოიყენა მანამდე უცნობი საშუალებები. ის გვიჩვენებს ადამიანის სულის უცნობ, ტრანსცენდენტურ სიღრმეებს, რასაც, ალბათ, მიზნად არ ისახავდა. შემთხვევითი არაა (ან, თუკი შემთხვევითია, სწორედ იმ გაგებით, რომელიც თავს იჩენს რომანში "62. ასანყობი მოდელი"), რომ თავის ყველაზე მნი-



შენელოვან რომანს მან "კლასობანა" - ბავშვთა თამაშის სახელი - დარქვა.

რომანის ან თეატრის მსგავსად, თამაში გამო- ნაგონის ფორმაა: ესაა სამყაროში შეტანილი ხე- ლოწონური წესრიგი, წარმოდგენა რაღაც ილუზო- რული შესახებ, რომელიც ენაცვლება ცხოვრე- ბას. თამაში გვიჩვენებს საკუთარი თავისგან, გვაი- ნყებს ჭეშმარიტ რეალობას და საშუალებას გვაძ- ლევს გავთავისუფლდეთ - სანამ შენაცვლება გრძე- ლდება - ჩვენ მიერვე შექმნილი მკაცრი კანონები- სგან. თამაში, როგორც თავდავიწყება, გართობა, გამონაგონი - ჯადოსნური საშუალება იმ ატავი- სტური შიშისგან გასათავისუფლებლად, რომელს- აც წარმოშობს სამყარო ფარული ანარქია, ჩვენი წარმომავლობის, მდგომარეობისა და ბედ-ილდ- ის ირაციონალური საიდუმლო. სახელმწიფოში ნიგნში "Homo Ludens" იოჰან ჰოიზინგა ამტკიცე- ბდა, რომ თამაში ცივილიზაციის საფუძველია და რომ საზოგადოებრივი ინსტიტუციები, სისტემე- ბი, პრაქტიკები და რწმენა-წარმოდგენები გამომ- დინარეობს ქცევებისა და რიტუალების იმ ელემე- ნტარული ფორმებიდან, რომელიც ბავშვთა თამა- შის ახასიათებს.

კორტასარის სამყაროში თამაში მიიწყებულ ვირტუალურობას უბრუნებს სერიოზულ ქმედე- ბებს, რომელთაც მოზრდილი ადამიანები მიმართა- ვენ საკუთარი დაუცველობის შესანიღბავად, სა- მიორბეები თი აღსავე, გაუგებარი და აბსურდუ- ლი სამყაროს წინაშე შიშის დასაძლევად. მართა- ლია, რომ მისი პერსონაჟები ტკბებიან თამაშით, მაგრამ ხშირად ეს უკავშირდება არა მარტო სახი- ფათო გადახრებს, არამედ - ერთგვარ საფრთხი- ლო ცოდნასაც, ან კიდევ - გაუცხოებას ან სიკვდ- ილს.

სხვა შემთხვევებში კორტასარისული თამაში თავშესაფარია მგრძნობარობისა და წარმოსახ- ვისთვის. მისი მეშვეობით სათუთი, მიამიტი არსე- ბები თავს იცავენ სოციალური ძალმომრეობისგ- ან, ანუ იმისგან, რასაც კორტასარის ყველაზე გო- ნებამახვილურ ნიგნში - "ქრონოპები და ფამები" - ეწოდება "სასარებლო მიზნებისკენ მოქონის ან პრაგმატიზმის შემზარავი ტენდენცია". მისი თა- მაშები მიმართულია "ანყოფის", გამოყენების, ბო- როტად გამოყენების, ცრურწმენების წინააღმდეგ და, რაც მთავარია, სერიოზულობის საფრთხიბე- ლას წინააღმდეგ, რის გამოც მწერალი აკრიტიკე- ბდა თავისი ქვეყნის კულტურასა და ეროვნულ თა- ვისებურებებს.

როდესაც ვსაუბრობ "თამაშის" შესახებ, არსე- ბითად, მრავლობითი რიცხვის ფორმები უნდა გა- მოვიყენო, რადგან კორტასარის ნიგნებში თამაშ- იბს ავტორი, თამაშობს მთხრობელი და თამაშობს მკითხველიც, რომელიც იძულებულია ასე მოიქცე- ეს იმ ხაფანგების ზეგავლენით, რომლებიც ყვე- ლაზე მოულოდნელ ადგილებშია ხოლმე დატე- ლი. ეჭვგარეშეა, რომ არაჩვეულებრივი თავისუფ- ლებისა და ხალისის გრძნობა გეუფლება, როდეს- აც მოულოდნელად ხდება კლასიკური ძეგლების

პაროდირება, აკადემიური ლექსიკონების სასაფ- ლოდინად სიტყვების ამოთხრა და, შემდგომ, გაცო- ცხლება იუმორის მეშვეობით, ან კიდევ - ხტუნაო- ბა კლასობანას სამოთხესა და ჯოჯობეთს შორის - კორტასარის მარჯვე ხელშეწყობით.

"კლასობანა" 1963 წელს გამოქვეყნდა და მთე- ლი ესაზღვრეწონი სამყარო ცერდა. მან ძირი გა- მოუთხარა იმ რწმენებსა და ცრურწმენებს, რომ- ლებიც მწერლებსა და მკითხველებს ნარატიული ხელოვნების საფუძვლებად მიჩნდათ. მანვე წარ- მოუდგენელი მსმტბათი განავრცო ჟანრის საზღ- ვრები. "კლასობანას" წყალობით შევიტყვეთ, რომ კითხვა თვითგართობის ბრწყინვალე საშუალებაა, რომ შესაძლებელია სამყაროსა და ენის საიდუმ- ლობებთან ნდვობა ვართობის მეოხებით. ის აზრიც გავითავისეთ, რომ თამაში საშუალებას გვაძლევს ჩვენგდეთ ცხოვრების იდუმალ ტრეებს, რომლებ- იც მიუწვდომელია რაციონალური შემეცნებისა და ლოგიკური გონებისთვის და რომელთაც თვალს ვერავინ გაუსწორებს იმის ვარშე, რომ სიკვდილ- ის ან შეშლილობის საფრთხის წინაშე არ დადგეს. "კლასობანაში" გონება და უგუნურება, ძილი და მღვიძარება, ობიექტურობა და სუბიექტურობა, ისტორია და ფანტაზია კარგავენ თავიანთ საგან- გებო სტატუსს, მათი გამიჯნვებით საზღვრები მქრქალდება. ისინი ანტიინიშებად კი არა, სინონი- მებად წარმოგვიდგებიან. ამგვარ სამყაროში არა- ვითარი განსხვავება არ შეიძწევა, მაგალითად, მთავასა და ოლივირას, და, მეორე მხრივ, კორტა- სარის ცნობილი "შეშლილებს" შორის მისი მომდე- ვნი ნიგნებიდან (ბევრი სხვა წყვილის მსგავსად, მე და პატრიციამ სამოციან წლებში, "კლასობან- ას" ნაკითხვის შემდეგ, საგანგებო ჟარგონი გამო- ვიკონეთ და ამ ეზოტერული ენის მეშვეობით ვუ- ზიარებდით ერთმანეთს ჩვენს სათუთ საიდუმლო- ბებს).

"კლასობანას" და კორტასარის სხვა თხზუ- ლებების შესახებ მსჯელობისას, თამაშის ცნება- თან ერთად, გასათვალისწინებელია თავისუფლე- ბის ცნება. თავისუფლება, რომელიც არღვევს ნარ- ატივის აგების მყარ ნორმებს, თხრობის კონვენ- ციური წესის ნაცვლად შემოაქვს ფარული წესრიგი, რომელიც უწესრიგობა წაგავს, ძირუდად ცვლის ჩვენს წარმოდგენებს ნარატიული თვალ- საზრისის, ნარატიული დროის, პერსონაჟთა ფსი- ქოლოგიის, ამბის სივრცული ორგანიზებისა და ლოგიკური თანმიმდევრობის შესახებ. სამყაროს- გან დაუცველობის მთავარი გრძნობა, რომელსაც რომანის განვითარებისას განიცდის ორასიო ოლ- ივიერა (რის გამოც პერსონაჟი წარმოსახული თა- ვეშსაფრის ტყეობაში აღმოჩნდა), ეუფლება "კლასობანას" მკითხველსაც, რომელსაც ამ ლაბი- რინთში, ამბის ან ხლართებში, ხვეულებსა და გან- ტოტებებში გზას უბნევს ცბიერი ნარატიორი. აქ აღარაფერია უეჭველი: არც მიმართულება, არც სიმბოლოები, და არც თვით გზა, რომელსაც პერ- სონაჟი იკვლავს. რას მაუწყებენ ისინი? რატომ არ ძალმიძს მათი ზუსტი მნიშვნელობის გააზრე-

ბა? იქნებ, ყოველივე იმდენად იდუმალი და რთულია, რომ აღქმის ჩვენეულ უნარს აღემატება? ან, იქნებ, ეს ჩვენ წინააღმდეგ მიმართული უდიდესი ფანდია? საქმეც ისაა, რომ ორივე მათგანია. "კლასობანასა" და კორტასარის ბევრ მოთხრობაში დაცინვა, მასხარაობა, ილუზიონიზმი ხშირად გვაგონებს ცხოველთა პანანინა გამოსახულებებს, რომელთაც ზოგიერთი ვირტუოზი თითების ჩრდილთა მეშვეობით გვიჩვენებს ხოლმე, ან კიდევ - მოსტეტებს, რომლებიც სადაცა უჩინარდება და შემდეგ ჩვენს ყურებსა ან ცხვირში ვპოულობთ. მაგრამ ასევე ხშირად - "კლასობანას" იმ ცნობილი აბსურდული ეპიზოდების მსგავსად, რომლებშიც მთავარი როლი გამოიჩინა პიანისტს, ბერტა ტრეპაჯის განეკუთვნება (პარიზში), ან ფიგურებზე ტალიტას გადასვლა აღწერილი (უენოს-აირესში). მათ მივყავართ ქვეყის უძველეს ფესვებთან, მის შორეულ ირაციონალურ წყაროებთან, ადამიანური გამოცდილების უცვლელ - მაგიურ, ველურ, რიტუალურ - არსთან, რომელიც რაციონალური ცივილიზაციის საფუძველია, გარკვეულ ვითარებაში კი თავს იჩენს და ანადგურებს მას. (ეს თება ხორცშესხეულია კორტასარის ზოგიერთ საუკეთესო მოთხრობაში, მაგალითად, "კიკლადების კერპსა" და "ღამის სახეში", რომლებშიც უეცრად წარმოვივლივართ შორეული და მიცინვარე ღმერთები, რომლებიც შიგნიდან უნდა აფეთქონ თანამედროვე ცხოვრება და გაძლიენ ადამიანური მსხვერპლით).

"კლასობანამ" არანახული ბიძგი მისცა ფორმალურ ძიებებს ახალ ესპანურ-ამერიკულ მხერლობაში, მაგრამ საპართლანი არ იქნება, მას ექსპერიმენტული რომანი ვუწოდოთ. ამგვარ კვალთვითაცაა აბსტრაქტულობისა და პრეტენზიულობის სუნი უფის. ის გულისხმობს სინჯარების, რეტორტიკისა და შუი დაფების სამყაროს, რომლებზეც აღგებრული გამოსახულებებია ჩამოწერილი; რაღაც აბსტრაქტულს, უშუალო ცხოვრებისგან, სურვილებისა და სიამოვნებისგან გამიჯნულს. "კლასობანაში" სიცოცხლე დუღს და გადმოედინა. მასში მძლავრად იგრძნობა სინედლე და დინამიკა, ახალგაზრდული ეგზალტაცია და ამბოხი, იმ მწერლების წინააღმდეგ მიმართული მჟღერი ხმამალალი სიცოცხლი, რომლებიც, კორტასარის თქმით, გახამებული საყლოთი და ჰალსტუხით ხდებიან სანკორ მაგდელათან. უბრალო პერანგში გამოწყობილ კორტასარს შემოქმედება ისეთსავე სიხარულს ანიჭებდა, როგორც სხვებს - შინ მომზადებული გემრიელი კერძი ან საყვარელი მუსიკის მოსმენა მყუდრო ოთახში. "კლასობანა" გვასწავლის, რომ სიცოცხლი არ ემტერება არც სერიოზულობას და არც ექსპერიმენტებს, რომლებიც ყალბი და სასაცილოა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ძალზე სერიოზულად აღიქვამენ. ისევე, როგორც მარკიზმა დე სადმა ამომწურავად ასახა სექსუალური ძალმომრეობის უკიდურესი გამოვლენებები, "კლასობანაც" ფორმალური თამაშის აპოთეოზი, რომლის გვერდითაც ნებისმიერი "ექსპერიმენტული" რო-

მანი უფერულად და მოარულად გამოიყურება. ამიტომაც, რომ კორტასარს, ბორხესის მსგავსად, უამრავი მდარე მიმბაძველი ჰყავს, მაგრამ არ ჰყავს არც ერთი მონაწილე.

რომანის გაუქმება, ლიტერატურის განადგურება, "კლასობანაში მკითხველთა" ჩვევების დარღვევა, სადა სტილი, უხეიროდ წერა და ა.შ. - ყოველივე ის, რასაც "კლასობანაში" მორელი მოითხოვს - რაღაც ძალზე მარტივის მეტაფორები გახლავთ: ლიტერატურისთვის დამოუკველია ჭარბი კონვენციურობა და სერიოზულობა, აუცილებელია მისი განწმენდა რიტორიკისა და მოარული ელემენტებისგან, რათა ის კვლავ აღიჭურვოს სინედლით, გრაციით, სითამამითა და თავისუფლებით. კორტასარის სტილი ამგვარია, პირველ ყოვლისა, მაშინ, როდესაც ემიჯნება პომპეზურ პროსოპოპეას. რომლითაც მისი ალტერ ეგო, მორელი, მალაფორადონად საუბრობს ლიტერატურის შესახებ - ესე იგი, მის მოთხრობებში. კორტასარის მოთხრობები ჩვეულებრივ, უფრო გამჭვირვალე და კრეატიულია, ვიდრე მისი რომანები, თუმცა მათში ვერ ნახავთ ფექტივებზე გათვლილ "სარაკეტო ტექნიკას", რომელიც ამ უკანასკნელთ შარავანდედის მსგავსად გარემოცოცავს.

კორტასარის მოთხრობები არანაკლებ ამბიციური ან რევოლუციური, ვიდრე - მისი ვრცელი ტექსტები, მაგრამ ის, რაც რომანებში ორიგინალური და ნოვატორულია, ჩვეულებრივ, მოთხრობებში მხოლოდ შეფარულად იჩენს თავს - მათთვის დამახასიათებელი არაა "კლასობანას", "62. ასანყობი მოდელის" და "წიგნი მანუელისას" რამდენადმე კადნიერი ვირტუოზულობა, რომლის ზეგაღწეონითაც მკითხველს ისეთი გრძობა უჩნდება, თითქოს მისი ინტელექტუალური განვითარების დონეს ამომწებენ. ეს რომანები რევოლუციური მანიფესტებია, მაგრამ მხოლოდ მოთხრობებში ხორციელდება ჭეშმარიტი კორტასარისული რევერციული, რომელიც აქ უფრო ზომიერია, მაგრამ უფრო ღრმა და მყარიც, რადგან განპირობებულია თვით გამოწავლის ბუნებით, მისი განუყოფელი არსით და ვინდებდა ფორმაში, საშუალებებსა და მხატვრულ ტექნიკაში, რომლითაც გამოწავლი აღიჭურვება ყველაზე ბრწყინვალე ხელოვანთა შემოქმედებაში. თავის მოთხრობებში კორტასარი ექსპერიმენტირებას არ მიმართავდა: მან იმოკა, აღმოაჩინა და შექმნა რაღაც მარადილი.

ყველა ექსპერიმენტატორი მწერალი როდქმნის ფანტასტიკურ ნაწარმოებებს. ხულოის უყვარდა ფანტასტიკური ლიტერატურა და შესანიშნავად იცნობდა მას. კორტასარის კლამას რეუთვის რამდენიმე შესანიშნავი მოთხრობა, რომლებშიც ასახულია უჩვეულო მოვლენები, მაგალითად, ადამიანის გარდასახვა პატარა წყლის ცხოველდ მომცირ შედგენილ "აქსოლოტლში"; ან ჭარბი ენთუზიაზმის გამო ჩვეულებრივი კონცერტის გადაქცევა საშინელ სისხლისღვრად, როდესაც აგზნებული ხალხი აცვივდება სცენაზე, რათა დაფლითოს დირიჟორი და მუსიკოსები "მენადებში". მაგრ-

ამ ის აგრეთვე წერდა ორთოდოქსული რელიგიის პრინციპებზე აგებულ მოთხოვნებსაც. ასეთია, მაგალითად, "მოზვერი" - მოკრივის, მეტსახელად, მოზვერის მიერ მოთხოვნილი ისტორია საკუთარი ცხოვრების შესახებ, რომელიც, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა თხრობა პერსონაჟის მეტყველების შესახებ - დახვეწილობის, მუსიკალურობის, იუმორის ლინგვისტური დღესასწაული. პერსონაჟის მეტყველების განუმეორებელი სტილი მოიცავს ადგილობრივ კოლორიტს, ხალხის თავისებურებებს და მითოლოგიას; "მდევარში" თხრობა მიმდინარეობს წყვეტილი დროის დახვეწილი ფორმებით ასახული ჯონის, ბრწყინვალე ჯაზმენის მიერ აბსოლუტის ამოა ძიება და, შემდგომ, სულიერი განადგურება, რასაც - "რეალისტური" (რაციონალური და პრაგმატული) რეაქტიურობის საშუალებით - მოგვითხრობს ჯონის კრიტიკოსი და ბიოგრაფი, მთხრობელი ბრუნო.

ფაქტობრივად, კორტასარი რეალისტიც იყო და ფანტასტიცი. მის მიერ გამოვლილი სამყარო დამაჯერებელია ზუსტად ამ უცნაური სიმბიოზის გამო, რომელიც, როჟე კაიუსა აზრით, აუცილებელია ფანტასტიკოსთვის. ფანტასტიკური ლიტერატურის ანთოლოგიის პროლოგში კაიუსა აბტიკუნებს, რომ ჭეშმარიტად ფანტასტიკური ხელოვნება მწერლის ჩანაფიქრიდან კი არ იბადება, არამედ შემთხვევითობას ან სხვა იდუმალ ძალას ექვემდებარება. ამგვარადვე, განაგრძობს კაიუსა, ფანტასტიკური არც ტექნიკიდან გამომდინარეობს და არც ლიტერატურული ხატია, არამედ მოუხვედრებელი ფენომენია - ესაა რეალობა, რომელიც წინასწარი განზრახვის გარეშე უეცრად თავს იჩენს ხოლმე ლიტერატურულ ტექსტში. მასხლი ხულოს გაოცება მონპარნასის ბისტროში კარეის თეორიის შესახებ ხანგრძლივი და ცხოველი დიალოგის შემდეგ, როდესაც დავარწმუნე, რომ ეს თეორია ზუსტად შეესაბამება მის შემოქმედებას. კორტასარის სამყაროში ყოფითი რეალობა თანდათან ინგრევა და ფარული ზენოლის შედეგად ფანტასტიკურისკენ, უჩვეულოსკენ იხრება, ოღონდ, მასში მთლიანად არ შთაინტყმება; წარმოქმნება ერთგვარი შუალედური სივრცე, საკუთარი დროითა და ტერიტორიით, სადაც რეალური და ფანტასტიკური ერთმანეთს ვადაფარავს, თუმცა არ ერწყმის. ესაა "Blow-Up"-ის, "დედის წერილების", "სადუმლო იარაღის", "აქედლი კარის" და მრავალი სხვა ამბივალენტური მოთხრობის სამყარო, რომლებიც რეალისტურიცაა და ფანტასტიკურიც, რადგან ექსტრაორდინარული მათში, შესაძლოა იყოს პერსონაჟების ფანტაზიის ნაყოფი ან კიდევ - სასწაული. ამგვარი ამბივალენტურობა ახასიათებს ფანტასტიკური ლიტერატურის ცნობილ ნიმუშებს, მაგალითად, ჰენრი ჯეიმსის "ხრანის შეტრიალებას" - დახვეწილ მოთხრობას, რომელშიც ამბივალენტურობის დიდოსტატი იმგვარად მოგვითხრობს ამბავს, რომ შეუღლებელია შევიცდომი, ფანტასტიკური მოვლენა (აწრდლების გამოჩენა) მართლაც მოხდა თუ პერსონაჟის ჰალუცინაციას ნა-

რმოადგენს. კორტასარს ჯეიმსისგან, პოსგან, ბორნესისგან, კაფკასგან განასხვავებს არა ამბივალენტურობა ან ინტელექტუალიზმი, - რომლისკენაც კორტასარი არანაკლებ მიდრეკილია, ვიდრე ისინი, - არამედ ის, რომ კორტასარის ყველაზე რთული და დახვეწილი ნაწარმოებები არასოდეს იქცევა აბსტრაქციუზმად. ისინი გარდუვალად ემყარება ყოფით, კონკრეტულ რეალობას და ისეთივე ცხოვრებისეულია, როგორც ფეხბურთის მატჩი ან ბარბექუი. სიურრეალისტებმა გამოიჩინეს გამოთქმა "ყოველდღიური სასწაული" ამ იდუმალ პოეტურ - მიზეზმდეგობრობისა და მეცნიერული კანონებისგან გათავისუფლებული - რეალობის აღსანიშნავად, სადაც პოეტი მინიერ, ჩვეულებრივ მკვლევარს ისე აღიქვამს, როგორც სინამდვილე ან ჰალუცინაციები. ეს სასწაულებრივი რეალობა წარმოშობს ისეთ ვენებს, როგორიცაა არაგონის "პარიზელი გლეხი" ან ბრეტონის "ნადა", მაგრამ მწამს, რომ არც ერთ თანამედროვე მწერალს არ შეესაბამება დეფინიცია "წინასწარმჭერები" ისე ზუსტად, როგორც კორტასარს. ის ამჩნევს უჩვეულოს ჩვეულში, აბსურდულს - ლოგიკურში, გამოწკიცის - კანონზომიერებაში და გასაოცარს - ბანალურში. არავის გაუკეთილმოხილებია ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენები ისერივად, როგორც კორტასარს, რომელმაც, თავისი მაგიური კალმით, გვიჩვენა, რაოდენ სრულყოფილი და, ამავე დროს, თავზარდამცემია ჩვეული მოვლენები - მას ძალუძს დაწეროს ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეჭყოთ საათი ან ავიდეთ კიბეზე, და ეს იქნება შთაბეჭქადე ფიქსები პროზაში ან კომიზმით გამსჭვალული ფსევდომეტაფიკური ტექსტები.

ამ აღქმის საფუძველია სტილი, რომელიც ყველაზე უჩვეულო ფანტაზიებს აერთიანებს ფიზიოლოგიურ აქტებთან და ქუჩის ამბებთან, წარმოსახვის უსაზღვრო თავისუფლებას კი - სხეულისა და ისტორიის შეზღუდულ ცხოვრებასთან. მისი სტილი ბრწყინვალედ ახდენს ზეპირი ტრადიციის, ყოფითი მეტყველების თავისუფალი დინების, სპონტანური ექსპრესიის სიმულაციებს. ჩვენ წინაშეა ილზუზია, რადგან, რეალურად, ჩვეულებრივი ადამიანი აბნეულად მეტყველებს, იმიორებს ან ტოვებს სიტყვებს, რაც მხატვრულ ტექსტში დაუშვებელია. კორტასარის ენა კი ფაქიზად მოქსოვილი და იმდენად ეფექტური გამოწვავონია, რომ ბუნებრივი მეტყველების შთაბეჭდილებას ტოვებს, ისეთისა, როგორც ცხოვრებიდან ადგილი მეტყველება, რომელიც მკითხველს შეიძლება მოესმინა უშუალოდ ცოცხალი ადამიანებისგან. ეს ენა უარესად გამჭვირავა და ორგანულად შეესაბამება აღსანიშნ - სიტუაციებს, საგნებს, ყოფას, პეიზაჟებს, აზრებს - ფარული სხივის მსვავსად, რომელიც შვინიდან აშუქებს და ადასტურებს მათ ნამდვილობას და ჭეშმარიტებას. კორტასარის ნაწარმოებების უდიდესი დამაჯერებლობა ამ სტილს ემყარება. მის ყველაზე რთულ ტექსტებშიც კი კაცობრიობის სუნთქვა გვესმის. სტილის

ფუნქციონალურობა აქ იმდენად მძლავრია, რომ კორტასარის საუკეთესო ტექსტები თითქოს მეტყველებს.

მოუხედავად ამისა, სტილისტური სიციხადე საცთურია, რომელიც გვაიძულებს ვინამოთ, რომ ამ ნაწარმოებების შინაარსიც გამჭვირვალეა, რომ ის ჩრდილებსგან განძარცულ, ნათელ სამყაროს ასახავს. ესეც ილუზიაა, რადგან კორტასართან სამყაროს ძალმომრეობა ედება ბრალად. ტანჯვა, ტკივილი და შიში განუწყვეტლივ თან სდევს ადამიანებს, რომლებიც ხშირად თავს აფარებენ (ორასიო ოლივიერას მსგავსად) შემლოლობას, რათა გაექცნენ ცხოვრებას. "კლასიზანას" შემდეგ კორტასარის შემოქმედებაში შემოღლი ცენტრალურ პერსონაჟად იქცევა. მაგრამ შემოღლია აქ შენიღბულად ვლინდება, მის ფონს საშობრეობა ან ტრაგედია არ წარმოადგენს. ესაა მხიარული გამოვლინება არსობრივი აბსურდულობისა, რომელიც სამყაროს რაციონალურობის ნიღაბს მიღმაა შეფარული. კორტასარის შემოღლი ხალისიანი და თითქმის ყოველთვის კეთილი მანიაკები გახლავან, რომელთა ლინგვისტური, ლიტერატურული, სოციალური, პოლიტიკური ან ეთიკური ზრახვები - სევერინო პერესის მსგავსად - განკუთვნილია ყოფის აღწერისა და კლასიფიცირებისთვის, აბსურდული ნომენკლატურის შესაბამისად. მაგრამ მათი ახირებული ქცევის საფუძველია უკმაყოფილება არსებული მსოფლნსრვიით, უთავბოლო ძიება სხვაგვარი - უფრო პოეტური და მოულოდნელობებით აღსავსე (ზოჯერ - კომმარული) ცხოვრებისა, ვიდრე ჩვენი შეზღუდული არსებობაა. კორტასარის შემოღლები, რომლებიც ერთდროულად - ბავშვები, მეოცნებები, მასხრები, მსახიობები არიან, გვიჩვენებენ, როგორი ბედ-იღბლისთვისაა განწირული უმწეობა და მორალური სინძინდე, ამიტომ მათ თანავუგრძნობთ და ჩვენს ბრალეულობასაც ვიცნობიერებთ.

თამაში, შემოღლობა, პოეზია, იუმორი - ყოველივე ეს ალქიმური ნაერთის მსგავსად წარმოგვიდგება ამ ალმანახებში ("ერთი დღე ოთხმოც სამყაროში", "უკანასკნელი რაუნდი" და, ბოლოს, "ავტონავტები კოსმოსტრადლე", რომელშიც ასახულია უკანასკნელი აბსურდული პლიგრიმობა საფრანგეთის ერთ-ერთ ავტომავტოსტრადლეზე). აქ კორტასარი თავისუფლდება - ყმანვილური სითამაშით - თავისი მიდრეკილებების, მანიების, აკვიტებული იდეების, სიმპათიებისა და ფობიებისგან. ეს სამი ნიგნი პოლარულად უპირისპირდება სულიერ ავტობიოგრაფიას. დამოკიდებულება ლიტერატურული წინაპრების მიმართ მათში თავს იჩენს, როგორც პერმანენტული კანდიერება, ერთგვარი იუმორისტული უპატივცემლობა. მაგრამ იმეცანი ნღების ბოლოს კორტასარმა განიცადა ამგვარი ტრანსფორმაცია, როგორც, მისი თქმით, "მხოლოდ ლიტერატურაში შეიძლება მოხდეს". ხულიო ამ შემთხვევაშიც არაპროფორზირებადი "cronopio"-ს სახით წარმოგვიდა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, რომელსაც მწერალი ეთანხმებოდა, კორ-

ტასარის ტრანსფორმაცია (ყველაზე უჩვეულო მუცაცია, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება შეადარო "აქსოლოტლის" მოხრობისას) მოხდა 1968 წელს, საფრანგეთში. იმ ბობოქარ დღეებში ის პარიზის ბარკადებზე იმყოფებოდა, არიგებდა თავის პაფლეტებს, შეუერთდა სტუდენტებს, რომლებიც "წარმოსახვის ძალუფლების" განმტკიცებისკენ ისწრაფოდნენ. იმხანად რომიცდათობისმეტი წლისა იყო; გარდაცვალებამდე დარჩენილი თექვსმეტი წელი მან, როგორც მწერალმა, სოციალიზმს მიუძღვნა; იცავდა კუბასა და ნიკარაგუას, ხელს აწერდა მანიფესტებს და ყოველთვის ესწრებოდა რევოლუციურ კონგრესებს.

კორტასარის შემთხვევაში, განსხვავებით ბევრი მისი კოლეგისგან, რომლებიც ასევე მეამბოხურ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ, მაგრამ - უფრო სნობიზმის ან ოპორტუნიზმის გამო (modus vivendi და ინტელექტუალურ ისტებლიშმენტში სოციალური კიბის უფრო მაღალ საფეხურებზე ასვლის ხერხი, რომელიც ესპანურენოვან სამყაროში იყო აღ, გარკვეულწილად, ახლაც არის ტენარცხენთა მონომოლია), ეს იყო ქვემარტივი ტრანსფორმაცია, რომელიც განპირობებული გახლდათ უფრო ეთიკით, ვიდრე - იდეოლოგიით (რომლის მიმართ ალერგია ჰქონდა). კორტასარის ცხოვრება საჯარო გახდა, ხოლო მისი თხზულებების უმეტესი ნაწილი ეძღვნებოდა რეალურ პოლიტიკურ ვითარებას და მიმდინარე მოვლენებს. ეს თხზულებები თითქოს სხვა პიროვნების მიერ იყო დაწერილი, რადგან უნდა კორტასარი პოლიტიკას ირონიულად ქირდავდა, როგორც რალაც უცხო. (მახსოვს, როდესაც მინდოდა მისთვის ხუან გოტიტისო-ვა გამეცნო, კორტასარმა იხუმრა: "თავს შევიკავებ - ის ძალზე პოლიტიკური პიროვნებაა"). ცხოვრების ამ მეორე ეტაპზე (ისევე, როგორც პირველზე, ოღონდ - განსხვავებულად) ის მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა. კორტასარი ხშირად ცდებოდა - კერძოდ, როდესაც თქვა, რომ სტალინიზმის დამაშულებები, ხობლოდ, კომუნიზმის "შემთხვევითი შეცდომები" იყო - მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც იმდენად გულუბრყვილო და უშუალო გახლდათ, რომ მის მიმართ პატივისცემას ვაგრძნობინებდათ. პირადად ჩემმა პატივისცემამ, სიყვარულმა და მეგობრობამ - თუმცა კი მორიდან - გაუძლო ჩვენს პოლიტიკურ უთანხმოებებს.

მაგრამ ხულიოს ტრანსფორმაცია გაცილებით უფრო ღრმა იყო და მხოლოდ პოლიტიკურ ქმედებებში როდეს გამოიხატებოდა. ჩემი აზრით, ის 1968 წლის მოვლენებამდე ერთი წლით ადრე დაიწყო, კერძოდ, მაშინ, როდესაც დაცილდა ავრორას. როგორც უკვე ვთქვი, 1967 წელს სამივენი ვაბერძნეთში ვიმყოფებოდით და თარჯიმნები ვაშუაობდით. მიუღი დღეების განმავლობაში ვისხედით ერთ მაგიდასთან "პოლტონის" საკონფერენციო დარბაზში, ხოლო საღამოებს ვატარებდით აკროპოლის მახლობლად, პლაკას რესტორნებში. ერთად ვათვლიებდით მუხუშები, მართლმადიდებელი ეკლესიებს, ტაძრებს და ერთხელ პატარა კუნძ-



ულს - ჰიდრასაც ვეწვიეთ. ლონდონში დაბრუნებული. პატრიციას ვუთხარი: "შესანიშნავი წყვილია. ავრორა და ხულო მიხვდნენ, რა საოცარი რამაა ბედნიერი ქორწინება". რამდენიმე დღის შემდეგ კი მივიღე ხულოს ნერილი, რომელშიც მატყობინება ცოლთან გაცილების შესახებ. ასეთი იმედგაცრუება არასოდეს განმიცდია.

როდესაც კორტასარს ლონდონში კვლავ შეხვედი, ახალშერთული ცოლი ახლდა და უკვე სხვა პიროვნება იყო. გრძელ თმას და, ასევე, გრძელ (ბიბლიური წინასწარმეტყველების მსგავსად) მონითალო წვერს ატარებდა. მაიძულა, ეროტიკული შურნალები მეყიდა. ისეთივე გატაცებით საუბრობდა ქალების, მარიხუანისა და რევოლუციის თაობაზე, როგორც უნინ - ჯახისა და მოჩვენებების შესახებ. გულწრფელი და უშუალო იყო და სრულიად არ ახასიათებდა ქედმაღლობა და პოზირობა, რომელიც აუტანელია ორმოცდაათი წლის ასაკს მიტანებულ წარმატებულ მწერლებში. უნდა დავძინო, რომ უფრო ენერგიულად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ არ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ყოველთვის, როდესაც მას შემდგომში ვხვდავდი - ბარსელონაში, კუბაზე, ლონდონში ან პარიზში, კონგრესებზე ან მრგვალ მაგიდასთან, საჯარო თუ საიდუმლო შეხვედრებზე - სულ უფრო მეტად მოაგონება: ეს ის იყო? ხულო კორტასარი იყო? რა თქმა უნდა, ის იყო, მაგრამ ახლანდელი ხულო ნააგავდა მატლს, რომელიც პეპლად იქცა, ან კიდევ - ფაკირს, რომელსაც ესიზმრა, რომ მაჰარაჯა იყო და როდესაც თვალები გაახილა, სამეფო ტახტზე იჯდა და გარს

მშენიერი მხევალი ქალები ეხვივნენ. ეს მეორე ხულო კორტასარი, როგორც მწერალი, ჩემი აზრით, ნაკლებად ინდივიდუალური და კრეატიული იყო, ვიდრე - უნინ. მაგრამ, როგორც ჩანს, ის, სანაცვლოდ, უფრო ინტენსიურ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე ადრე, როდესაც არსებობა მისთვის შემოქმედებითი მუშაობით ამოიწურებოდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა ის უფრო ახალგაზრდა, მგრძნობიარე, ხალისიანი იყო. თუ ვინმემ იცის ამ ტრანსფორმაციის საიდუმლო, ეს, რა თქმა უნდა, ავრორა იქნებოდა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო, მეკითხა მისთვის ამის შესახებ. ზაფხულის ცხელ დღეებში, დეიაში, ხულოს შესახებ არ გვისაუბრია. მაგრამ ის - უწინააღ - ყოველთვის იქაა, ფარული მონაწილეა ყველა საუბრის, რომელთაც მისთვის დამახასიათებელი სიმარჯვით წარმართავს. კომპანია კოტეჯს, რომელიც ზეთისხილის ხეებს, კვიპაროსებს, ბუგენვილეებს, ლიმონის ხეებსა და ჰორტენზიებს შორისაა მიმაღული, ავრორას ხელი ეტყობა. საღამოს უამს მომცრო ტერასაზე მსხლმთი, უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს სიბნელიდან მონაბერი ნიავი და ნამგალა მთვარე, გორაკის თავზე რომ შესკუპებულია. დროდადრო საყვირის ხმები გაისმის. გარშემო არავინაა. ხმები გაისმის სასტუმრო ოთახის კედელზე გაკრული პლაკატიდან. მასზე გამოსახულია მალაი, გამხდარი, უწვერულვამო ჭაბუკი, რომელსაც ძალზე მოკლედ შეკრეჭილი თმა აქვს და მოკლესახელოიანი პერანგი აცვია. ხულო კორტასარი ერთობა.


ჯეისონ ვაისი

# ინტერვიუ ხულიო კორტასართან

## The Art of Fiction, 83

### 1984 წლის შემოდგომა

ინტელისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე





როდესაც 1984 წლის თებერვალში სამოცდაცხრამეტი წლის ხულო კორტასარი ლეიკემიით გარდაიცვალა, მადრიდის გაზეთში, El Pais-მა, მას ერთ-ერთი უდიდესი სამხრეთამერიკელი მწერალი უწადა და ორი დღის განმავლობაში თერთმეტი გვერდი დაუთმო მოკონებებს კორტასარის შესახებ და, ასევე, გამოსათხოვარ წერილებს.

კორტასარი 1951 წლიდან პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ რეგულარულად ჩადიოდა მშობლიურ არგენტინაში. 1970-იანი წლების დასაწყისში მწერალი სამშობლოდან ოფიციალურად გააძევა არგენტინულმა ხუნტამ, რომელმაც აკრძალა მისი რამდენიმე მოთხრობა. გასული წლის შემოდგომაზე, დემოკრატიულად არჩეული მთავრობის გამარჯვების შემდეგ, კორტასარმა უკანასკნელად მოინახულა თავისი ქვეყანა. კულტურის მინისტრმა არჩია, ოფიციალურად არ შეხვედროდა მას, რადგან კორტასარის პოლიტიკური შეხედულებები უკიდურესი მემარცხენეობით გამოირჩეოდა, მაგრამ ხალხი მწერალს ისე შეხვდა, როგორც სამშობლოში დაბრუნებულ გმირს. ერთ საღამოს, ბუენოს-აირესში, კორტასარმა და მისი მალაბრებმა კინოფატრში ნახეს ოსვალდო სორიანოს რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი "არც - მწუხარება, არც - დავიწყება". ქუჩაში გამოხეული ისინი ნაახუნდნენ სტუდენტურ დემონსტრაციას, რომელიც მათ შეხსენებდა მოძრაობა. კორტასარის დანახვისთანავე დემონსტრაცია დაიშალა და სტუდენტები მას გულმოდგინედ წინაშე მალაბრები ბულგარებზე ჯერ კიდევ ღია იყო. ახალგაზრდებმა სწრაფად შეიძინეს კორტასარის წიგნები და ავტოგრაფები სიხოვეს მწერალს. კოსკოს გამყიდველმა ბოდიშო მოიხადა, რომ კორტასარის წიგნები აღარ ჰქონდა, კარლს ფუნტესის რომანი გაუწადა და სიხოვა, მასზე სამახსოვრო წარწერა აღებეჭდა.

კორტასარი დაიბადა 1914 წელს, ბრიუსელში. ომის შემდეგ მისი ოჯახი არგენტინაში დაბრუნდა. ხულო იზრდებოდა ბანფილდში, ბუენოს-აირესის მახლობლად. მან სკოლის პედაგოგის დიპლომი აიღო და 1940-იანი წლების დასაწყისამდე სოფლის მასწავლებლად მუშაობდა ბუენოს-აირესის პროვინციაში, თან ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ერთ-ერთი პირველი (სიზმრით შთაგონებული) მოთხრობა "დაპირვლი სახლი" 1946 წელს დაიბეჭდა ჟურნალში, რომლის რედაქტორი ხორხე ლუსო პორტეგა გახლდათ. პარიზში გამგზავრებამდე, ანუ 1951 წლამდე, კორტასარი თავის თხზულებებს იმვითად აქვეყნებდა. პარიზში ის მუშაობდა მთარგმნელად და თარჯიმნად იუნესკოსა და სხვა ორგანიზაციებში; თარგმნიდა ედგარ პოს, დენიელ დეფოს და მარგერიტ იორსენარის ნაწარმოებებს. 1963 წელს გამოქვეყნდა კორტასარის მეორე რომანი, "კლასობანა", რომელმაც სახელი გაუთქვა მწერალს.

კორტასარი, პირველ რიგში, ცნობილია, როგორც მოთხრობის დიდოსტატი, მაგრამ მისი ოთხი რომანი გამოირჩევა გაბედული ძიებებით ფორმის სფეროში და, იმავე დროს, იკვლევს ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების არსებით საკითხებს. მათ შორისაა "იღბლიანები" (1960), "62. ასახეობი მოედნი" (1968) - რომლებიც ნაწილობრივ ეწყარება მისი როგორც თარჯიმნის გამოცდილებას - ავტორთვე - "წიგნი მანუელისა" - სამხრეთამერიკელი დიპლომატის

მოტაცების შესახებ. ამასთან, კორტასარის სიყვარული ფანტასტიკისადმი ყველაზე შთამბეჭდავად სწორედ მოთხრობებში გამოვლინდა. მისი ცნობილი მოთხრობა საფუძვლად დაედო ანტიკორტასარის ფილმი - "Blow-Up". ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა კორტასარის მოთხრობათა ხუთი კრებული, რომელთაგან უკანასკნელია "ძალიან გვიყვარს გლენდა". მწერლის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა მოგზაურობის დღიური "ავტონასტები კოსმოსტრადაზე", რომელშიც ასახულია მისი მგზავრობა ავტოფურგნით პარიზიდან მარსელში (ვოლთან, კეროლ დანლოპთან ერთად. ეს წიგნი ერთდროულად ესპანურ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნდა და კორტასარმა ავტორინგული უფლებები და ჰონორარები ნიკარაგუის სანდინისტურ მთავრობას გადასცა; მას შემდეგ ეს წიგნი ბესტსელერად ითვლება. მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა მისი პოლიტიკურ სტატიათა კრებულიც ნიკარაგუსა და არგენტინის შესახებ. პარიზში კორტასარი სხვადასხვა რაიონში ცხოვრობდა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჰონორარების წყალობით შეძლო ყვიდა საკუთარი ბინა იმ შენობის თავზე, რომლის ქვედა სართულებზე განთავსებული იყო ბითუმად მიფარებული და ფაიფურის ტურჭლის მაღაზიები. ეს ხალავთი ბინა, უამრავი წიგნითა და მგლობარ მსახვართა მიერ მოძღვნილი, კვდებზე დაკიდული ფერწერული ტილოებით, კორტასარის მოთხრობებში აღწერილი რომელიმე ამბის ფონი შეიძლება ყოფილიყო.

კორტასარი წარმოსადგვი, 193 სმ სიმაღლის კაცი იყო, კიდევ უფრო გამხდარი, ვიდრე ფოტოსურათებში ჩანს. ინტერვიუს წინ უძღოდა განსაკუთრებით მძიმე პერიოდი, როდესაც კიბით გარდაიცვალა მასზე ყველაზე ნელი უმცროსი ცოლი, კარლა. გარდა ამისა, ხანგრძლივმა მოგზაურობებმა, განსაკუთრებით - სამხრეთ ამერიკაში, დაღალა მწერალი. ჩვენი საუბრის დროს კორტასარი თავის საყვარელ სავარძელში იჯდა და ყალიბის წყევდა.

ვაისი

- თქვენს ბოლო წიგნში - მოთხრობათა კრებულში "დროის მიღმა" - ფანტასტიკური კიდევ უფრო მძლავრად იჭრება რეალურ სამყაროში, ვიდრე ოდესმე. გიგანტიათ თუ არა, რომ ფანტასტიკური და ყოფითი განუყოფელ მთლიანობას შეადგენს?

კორტასარი

- დიახ, ამ უკანასკნელ მოთხრობებში ისეთი გრძობა მეკონდა, რომ ეგერეთ ნოდებულ ფანტასტიკურსა და გერეთ ნოდებულ რეალურს შორის მინიმალური მანძილია. ჩემს ძველ მოთხრობებში ეს მანძილი უფრო დიდი იყო, რადგან ფანტასტიკური მხოლოდ ფანტასტიკური იყო, ზოგჯერ - ზებუნებრივიც. რა თქმა უნდა, ფანტასტიკური მეტამორფოზებს განიცდის, იცვლება. ფანტასტიკურის ცნებას, რომელიც არსებობდა გოტიკური რომანის ეპოქაში ინგლისში, მაგალითად, არაფერი აქვს საერთო ჩვენს ახლანდელ წარმოდგენასთან მის შესახებ. გვეცინება, როდესაც ვკითხულობთ ჰორაციო უილიამსის "ოტრანტოს ციხისმაგარეს" - თეთრტანაცლიანი მოქვენებების, ციხისმაგარეში ჯაჭვების ულარუნით მოსიერნე ჩოჩხების შესახებ. ამჟამად ჩემი წარმოდგენა ფანტას-

ტიკურის შესახებ უფრო ენათმეცნიერებებს იმას, რასაც რეალობას ვუწოდებთ, შესაძლოა, იმიტირებ, რომ რეალობა სულ უფრო მეტად უახლოვდება ფანტასტიკას.

**ვაისი**

- უკანასკნელ წლებში დიდ დროს უთმობდი სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერას. ანან ხომ არ დაახლოვდა თქვენს წარმოდგენაში ფანტასტიკურ და რეალურს და უფრო მეტი სერიოზულობა შეეძინათ?

**კორტასარი**

- არ მომწონს თვით "სერიოზულობის" ცნება. არა მგონია, რომ სერიოზული ვიყო, ყოველ შემთხვევაში, იმ გაგებით, რომლითაც საუბრობენ "სერიოზული ქალისა" ან "სერიოზული მამაკაცის" შესახებ. მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ზოგიერთი სამხრეთამერიკული რეჟიმის - არგენტინის, ჩილეს, ურუგვაის და, ახლა, უპირველეს ყოვლისა, ნიკარაგუის - პრობლემებმა იმდენად გამიბრუნა, რომ ამ თემის ამსახველ ზოგიერთ მოთხრობაში ფანტასტიკური, ჩემი აზრით, ძალზე დაუახლოვდა რეალობას. ამიტომ თავს ნაკლებ თავისუფლად ვგრძნობ, ვიდრე - უნინი. ოცდაათი წლის წინ ვწერდი ყველაფერს, რაც მომეპრიანებოდა და მხოლოდ ესთეტიკურ კრიტერიუმებს ვითვალისწინებდი; ახლა, თუმცა კვლავ ესთეტიკურ კრიტერიუმებს ვემყარები (პირველ რიგში, იმიტირებ, რომ მწერალი ვარ), მაგრამ ძალზე მანუხებს სამხრეთ ამერიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია; ყოველივე ეს - შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად - ხშირად იჩენს თავს ჩემს შემოქმედებაში. ამასთან, ჩემი მოთხრობები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებს, არსობრივად არ შეცვლილად და კვლავინდებურად ფანტასტიკურ ნაწარმოებებს წარმოადგენს.

ანგაჟირებული მწერლის პრობლემა, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, ისაა, რომ მწერლად დარჩე. თუ ნაწარმოები, უბრალოდ, პოლიტიკური შინაარსისაა, ის შეიძლება ძალზე მძარე იყოს. ასე დაემართა ბევრ მწერალს. აქ წინასწარობის დაცვაა საჭირო. ვცდილობ, ჩემი ნაწარმოებები ლიტერატურა იყოს, ვცდილობ. მიუვახლოვდე იდეალს... გავარდნილი შესაძლებლობის საზღვრები. მაგრამ, იმავდროულად, მათში თანამედროვე რეალობაც უნდა იგრძნობოდეს. ამ ბალანსის დაცვა ადვილი როდია. მოთხრობა "დროის მიღმა" ასახავს არგენტინელ პარტიზანთა ბრძოლას - და კინალამ ავეყვი ცდუნებას, მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე მწერა.

**ვაისი**

- რა გამოხმაურება გამოიწვია ამ მოთხრობებმა? განსხვავებული იყო თუ არა ლიტერატორთა და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ მოღვაწეთა რეაქცია?

**კორტასარი**

- რა თქმა უნდა. სამხრეთამერიკელ მკითხველებს - ბურჟუაზიული წრეებიდან - რომელთაც არ აინტერესებთ პოლიტიკა ან მემარჯვენე ფრთას მიეკუ-

თვენებიან, არც ექსპლუატაციის, ჩაგვრის და ა.შ პრობლემები ანუხებთ, რომლებიც მე მალეღვებს. ისინი სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჩემს მოთხრობებში ხშირად პოლიტიკური საკითხებია ასახული. სხვა მკითხველებს - უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებს, რომლებიც იზიარებენ ჩემს გრძობებს, ჩემს სწრაფვას ბრძოლისადმი, და თანაც, უყვართ ლიტერატურა - მოსწონთ ეს მოთხრობები. კუბელები ტყუბიან "შეკრებით", ნიკარაგუელები კი დიდი სიამოვნებით კითხულობენ "სოლენტიანეს აპოკალიფსს".

**ვაისი**

- რა განსაზღვრა თქვენი მალალი პოლიტიკური აქტივობა?

**კორტასარი**

- სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე სამხედრო შეტაკებებმა და გადატრიალებებმა მაიძულა, უფრო გულმოდგინედ მეშუშავა. რაიმე რომ შეცვლილიყო, ცოცხალ დავიციებდი და გავაგრძელებდი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ხასიათის ლექსებისა და მოთხრობების წერას. მაგრამ ამის საშუალება არა მაქვს.

**ვაისი**

- სხვადასხვა დროს გითქვამთ, რომ ლიტერატურა თამაშს წაგავს. რა ასაქექტში?

**კორტასარი**

- ჩემი აზრით, ლიტერატურა თამაშის ნაირსახეობაა. ამასთან, ყოველთვის განვმარტავ, რომ უნდა განვასხვავოთ თამაშის ორი ფორმა. მაგალითად, ფეხბურთი, თავისი არსით, თამაშია; მეორე მხრივ, არსებობს ძალზე ღრმა და სერიოზული ხასიათის მქონე თამაშები. ბავშვები თამაშობენ და ერთობიან, მაგრამ ძალზე სერიოზულად აღიქვამენ თვითონ შექმნილას. ახლა მათთვის თამაში ისეთივე სერიოზული რამაა, როგორც სიყვარული იქნება ათი წლის შემდეგ. მახსოვს, როდესაც პატარა ვიყავი და მშობლები მუუბნებოდნენ, "გეყოფა თამაში, ახლა იბანავო!", ვხდებოდი, რომ ეს სრული უაზრობა იყო, რადგან ბანაობას უაზრობად მივიჩნევდი. მას არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც მეგობრებთან თამაში სერიოზული საქმიანობა იყო. ლიტერატურაც ამგვარია - ის თამაშია, მაგრამ ისეთ თამაში, რომელსაც შეიძლება მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. შეიძლება ყველაფერი შესწირო ამგვარ თამაშს.

**ვაისი**

- როდის დანტერესდით ფანტასტიკით? როდესაც ძალზე ახალგაზრდა იყავით?

**კორტასარი**

- ყველაფერი ბავშვობისა და იანყო. ჩემს თანაკლასელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ფანტასტიკურის შესახებ. სამყაროს ისე აღიქვამდნენ, როგორც ის იყო... ეს მცენარეა, ის - სავარძელი. მაგრამ ჩემთვის სამყარო არ წარმოადგენდა რაღაც განსაზღვრულს. დედაჩემი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია და ძალზე მიმდარი წარმოსახვა აქვს, მაქვს უბედია. იმას კი არ მეუბნებოდა, "გეყო, სერიოზული

უნდა იყო", პირიქით, მოსონდა ჩემი ფანტაზიები. როდესაც ფანტასტიკური დაეინტერესდი, მეხმარებოდა და სათანადო ნივთებს მირჩევდა. ედგარ ალან პო პირველად ცხრა წლის ასაკში წავიკითხე. ეს წიგნი მოვიპარე, რადგან დედაჩემი მის წაკითხვას მიკრძალავდა; ფიქრობდა, რომ პოს წაკითხვა ჩემთვის ნაადრევ იყო და არც ცდებოდა. წიგნმა შემამინა და სამი თვის განმავლობაში ვავადმყოფობდი, რადგან ყველაფერი დავიფერე... რთული საკითხავია, როგორც ფრანგები ამბობენ ხლმე. ფანტასტიკურს რეალურად არსებულად მივიჩნევი. მის არსებობაში არასოდეს დავეჭვებულვარ. სამყარო ხომ სწორედ ასეთია. როდესაც ზოგიერთი წიგნი ჩემს მეგობრებს ვათხოვე, მითხრეს: გვიჩრჩევია, კომბობის თავდადასავლები ვიკითხოთო. იმხანად კომბობი განსაკუთრებით პოპულარული იყვნენ. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო. ზებუნებრივის, ფანტასტიკურის სამყარო მერჩივნა.

**ვაისი**

- მრავალი წლის შემდეგ, პოს თხზულებათა სრული კრებულის თარგმნის დროს მათში რაიმე ახალი ხომ არ აღმოაჩინეთ?

**კორტასარი**

- ბევრი, ბევრი რამ. დავაკვირდი პოს ენას, რომელსაც ამერიკელებიც და ინგლისელებიც იწუნებენ, რადგან ზედმეტად მაღალფარდოვნად მიიჩნევენ. არც ინგლისელი ვარ და არც ამერიკელი, ამიტომ ის სრულად სხვაგვარად აღვიქვი. ვიცი, რომ ის, გარკვეულწინადა, ძალზე მოძველებულია, ჰიპერბოლურია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს პოს გენიასთან შედარებით. "აშერთა სახლის დაცემამი", "ლიგიაში", "ბერენისში" ან "შეკაპაში" გენიალურადაა ასახული ფანტასტიკური და ზებუნებრივი. გუშინ ედგარ ალან პოს ქუჩაზე მცხოვრებ მეგობარს ვენვითე. მეგორიალურ დაფაზე ეწერა: "ედგარ პო. ინგლისელი მწერალი". პო ინგლისელი არ ყოფილა! ეს წარწერა უნდა შეეცვალოთ და გავაპროტესტო!

**ვაისი**

- თქვენს შემოქმედებაში, ფანტასტიკურის მონაწილეობის გარდა, იგრძნობა სითბო და სიყვარული პერსონაჟების მიმართ.

**კორტასარი**

- ძალიან მიყვარს ჩემი პატარა პერსონაჟები. ვფიქრობ, ჩემს რომანებსა და მოთხრობებში ისინი ცოცხლად და დამაჯერებლად მყავს აღწერილი; მიყვარს ისინი. როდესაც მოზარდის შესახებ ვწერ, მეც მოზარდად ვგრძნობ თავს. ზრდასრული პერსონაჟების შესახებ წერისას ასე არ ხდება.

**ვაისი**

- თქვენი პერსონაჟების უმრავლესობა თქვენსაკვე ნაცნობებს ხომ არ ჰგავს?

**კორტასარი**

- ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე ნამდვილად ჰგავს. ხშირად პერსონაჟები ორი ან სამი რეალური ადამიანის ნაერთია. მაგალითად, ერთ-ერთი ქალი-პერსონაჟი ჩემს ნაცნობ ორ ქალს მოიცავს. ამის შემგებობით

მოთხრობის ან რომანის პერსონაჟი უფრო რთული, უფრო მრავალმხრივი ხდება.

**ვაისი**

- გულისხმობთ, რომ პერსონაჟის "გამსხვილები" მიზნით. ორ მათგანს აერთიანებთ?

**კორტასარი**

- არა, ასე არ ხდება. თვით პერსონაჟები მიძულდებიან, ამგვარად მოვიქცე. ანუ, პერსონაჟები ცვნიან ჩემს რომელიმე ნაცნობს, ზოგჯერ - ორსაც, რომლებიც ერთ სახეს წარმოქმნიან. შემდგომ პერსონაჟი თავისი ნება-სურვილით მოქმედებს, ლაპარაკობს... არასოდეს ვიცი, რის თქმას აპირებს რომელიმე მათგანი, როდესაც დილოვს ვწერ. ამ პროცესს პერსონაჟები თვითონ წარმართავენ, მე კი, უბრალოდ, ვინერ, რასაც ისინი ამბობენ. ზოგჯერ მცინებან ან ფურცელს ვხევენ და ვამბობ, რა სისულელეა-მეთქი, სხვა ფურცელს ვიღებ და თავიდან ვწერ დიალოგს.

**ვაისი**

- ესე იგი, ნაცნობ ადამიანებს არ აღწერთ?

**კორტასარი**

- არა, სულაც არა. ხშირად ამბის შესახებ გარკვეული წარმოდგენა მაქვს, მაგრამ პერსონაჟების თაობაზე არაფერი ვიცი. უცნაური გრძნობა მიჩნდება: ამ სახლში, ამ სოფელში რაღაც უნდა მოხდეს... წერის დროს ვიზუალური წარმოსახვის უნარი მიმაფრდება. ყველას და ყველაფერს ვხედავ. მაგალითად, ვხედავ სახლს, შემდეგ კი უცერად, ვიწყებ პერსონაჟების აღწერას. ამ მომენტში ერთ-ერთი პერსონაჟი შეიძლება გველისხმობდეს ჩემს რომელიმე ნაცნობს. მაგრამ ის ზუსტად არ ემთხვევა პროტოტიპს. საბოლოო ანგარიშში, ჩემი პერსონაჟების უმრავლესობა გამოგონილია. და ეს ჩემი მცდელობების შედეგია. "კლასობანას" პერსონაჟი, ოლივირა, მნიშვნელოვანწილად, ავტობიოგრაფიულია. ოლივირა არა ვარ, მაგრამ მისი ცხოვრების ბევრი ეპიზოდი ნააგავს ჩემს ადრეულ ბოჰემურ ცხოვრებას პარიზში. მიუხედავად ამისა, კითხვებზე, რომლებიც ოლივირას გააიგივებენ პარიზში მცხოვრებ კორტასართან, შეეცდებიან. სრულიად სხვაგვარი ვარ.

**ვაისი**

- იმიტომ, რომ არ გასურთ, თქვენი ნაწარმოებები ავტობიოგრაფიული იყოს?

**კორტასარი**

- არ მიყვარს ავტობიოგრაფიები. არასოდეს დავწერ მეშუარებს. სხვისი ავტობიოგრაფიები მაინტერესებს, მაგრამ ჩემი - არა. თუკი ავტობიოგრაფიას დავწერ, გულწრფელი და პატიოსანი უნდა ვიყო. გამოგონილ ავტობიოგრაფიას ვერ მოგიფიქრებ. და ეს იქნება ისტორიული ხასიათის თხზულება, ჩემი ცხოვრების მატინაჟი, რაც მოსაწყენია. გამოგონებას, წარმოსახვას ვამჯობინებ. რა თქმა უნდა, ხშირად, როდესაც რომანის ან მოთხრობის ჩანაფიქრი მაქვს, ჩემი ცხოვრების სიტუაციები და მომენტები შესაბამისად გარდაისახება. მოთხრობაში "დროის მიღმა" აღწერილია ამბავი ბიჭისა, რომელსაც მეგობრის და უყ-

ვარს. აქ, არსებითად, ავტობიოგრაფიული სიტუაცია აღვწერე, მაგრამ ნაწარმოებში მაინც ფანტასტიკური ან წარმოსახული დომინირებს.

**ვაისი**

- როგორ იწყებთ წერას? რაიმე კონკრეტული ჩანაწერით, გარკვეული ხაზით?

**კორტასარი**

- მოთხრობის ან რომანის წერა შეიძლება ნებისმიერი ეპიზოდისგან დაიწყო. რაც შეეხება საკუთრივ შემოქმედებას, ამბავი დიდი ხნის განმავლობაში მიტრიალებს ხოლმე თავში, ზოგჯერ - კვირების განმავლობაში. მაგრამ თავდაპირველად ის ბუნდოვანია. ესაა ერთგვარი ზოგადი წარმოდგენა ნაწარმოების შესახებ. შესაძლოა წარმომიდგეს სახლი, რომლის ერთ კუთხეშიც წითელი მცენარე დგას, და ისიც ვიცოდე, რომ ამ სახლში მოხუცი კაცი ცხოვრობს. ესაა და ეს. აი, ამგვარად ხდება ხოლმე. გარდა ამისა, სიზმრები მეხმარება. ნაწარმოებით "ორსულობის" პერიოდის განმავლობაში სიზმრები და ხილვები მიმანიშნებს, როგორ განვითარდება მოთხრობა. ზოგჯერ ერთელ ნაწარმოები სიზმრად წარმომიდგებოდა. ჩემს ერთერთ პირველ და ყველაზე პოპულარულ მოთხრობას, "დაპყრობილ სახლს", ლამეულმა კომპარმა მისცა ბიძგი. დაუყოვნებლივ წამოვდექი საწოლიდან და ჩავიწერე. ჩემი ქვეცნობიერი მუშაობის ხოლმე ნაწარმოებზე, რაც სიზმრებში ვლინდება. როდესაც ვამბობ, რომ ნებისმიერი ეპიზოდისგან შემიძლია დაიწყო წერა, ეს იმიტომია, რომ არ ვიცი, დასაწყისია ის თუ დასასრული. უბრალოდ, როდესაც წერას ვიწყებ, ეს დასაწყისია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი ხოლმე, ასე იწყება თუ არა ნაწარმოები; უბრალოდ, ვწერ და ხშირად მაკავიო წარმოდგენა არა მაქვს დასასრულის შესახებ - არ ვიცი, რა მოხდება შემდგომ. მოვლენები მხოლოდ თანდათანობით, თხრობის განვითარებისას, იძენს მკაფიო კონტურებს და უეცრად დასასრულიც წარმომიდგება.

**ვაისი**

- ამგვარად, ნაწარმოები წერის პროცესში იწინს თავს?

**კორტასარი**

- სწორია. ეს ჯაზური იმპროვიზაციას ნაავაგვს. ჯაზის მუსიკოსს რომ ჰკითხოთ, რის დაკერას აპირებო, დაგცინებთ. მან იცის თემა, ჩვეული აკორდები, შემდეგ კი იღებს თავის საყვირს ან საქსოფონს და დაკერას იწყებს. თავდაპირველი ჩანაფიქრი აქ მეორეხარისხოვანი როლს ასრულებს. მუსიკოსი სხვადასხვაგვარი მინაგანი პულსაციების კარნახით უკრავს. ზოგჯერ ეს კარგად გამოსდის, ზოგჯერ კი - არა. მეც ასე მემართება. ზოგჯერ მოცხვენია, რომ ხელი მოვანერო ჩემს მოთხრობებს. რომანების შემთხვევაში ასე არაა, რადგან მათზე დიდხანს ვმუშაობ; შეიძლება ითქვას, ისინი არქიტექტურული ნაგებობებია. მაგრამ მოთხრობებს თითქოს რაღაც შინაგანი ძალა მკარნახობს. ამიტომ მათზე პასუხისმგებლად საკუთარ თავს არ მივიჩნევ. მაგრამ რადგანაც ისინი გარკვეულწილად მაინც ჩემი ნამოღვაწარია, ვფიქრობ, უნდა შევეგუო ამას!

**ვაისი**

- შემოქმედებითი მუშაობის პროცესში რაიმე სიძნელებები ხომ არ ჩნდება ხოლმე?

**კორტასარი**

- ზოგადად, არა, რადგან, როგორც ავიხსენით, ნაწარმოები სადღაც, ჩემში იქმნება. ამდენად, მას იმ-თავითვე საკუთარი განზობილება, საკუთარი სტრუქტურა აქვს. მაგრამ უკანასკნელ წლებში სამუშაო მაკიდრავს უფრო მეტს ვფიქრობ ხოლმე. უფრო გიულა ვწერ. თანაც - უფრო ეკონომიური მანერით. ზოგაერთი კრიტიკოსი მსაყვედურობს კიდევ ამის გამო. ამბობენ, რომ ჩემი ნაწარმოებები სულ უფრო ნაკლებად პლასტიკურია. მაგრამ, როგორც გითხარით, მინდა მივაღწიო მხატვრული ხერხების მაქსიმალურ ეკონომიურობას, არ ვიცი, უკეთესია ეს თუ უარესი - ყოველ შემთხვევაში, ახლა ეს წერის ჩემი უფრო მანერაა.

**ვაისი**

- თქვენ თქვით, რომ რომანები, ერთგვარად, არქიტექტურული ნაგებობებია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ძალზე სხვადასხვაგვარად მუშაობთ?

**კორტასარი**

- "კლასიკაში", თავდაპირველად დავწერე თავი, რომელიც ახლა რომანის შუა ნაწილია. აქ პერსონაჟები სახლის ერთი ბინის ფანჯრიდან მეორეში ფიცრებს გადაებენ გადასასვლელად. თვითონაც არ ვიცოდი, რისთვის ვწერდი ამას. ვხედავდი პერსონაჟებს, ვხედავდი სიტუაციას - ეს ბუნების-აირვთი ხდება (მახსოვს, ძალიან ცხელოდა და ფანჯარასთან, ჩემს საბეჭდ მანქანასთან ვიჯექი). ვხედავდი ყმაწვილს, რომლის ცოლი ამ ფიცარზე გადადიოდა, რათა ოლივიერასგან რამდენიმე ლურსმანი გადმოეტანა. აღწერამ ორმოცამდე გვერდი დაიკავა და როდესაც დავამთავრე, საკუთარ თავს ვკითხე: "რა დავწერე? ეს მოთხრობა არაა. მაშ, რა არის?" და მაშინ მივხვდი, რომ რომანს ვწერდი, მაგრამ ამ ეპიზოდით ვერ დავიწყებდი. დროში უკან უნდა დაგებრუნებულიყავი და დამეწერა მთელი ნინამორბედი თავი პარიზისა და ოლივიერას შესახებ. ბოლოს, როდესაც მივაღდექი ამ ეპიზოდს ფანჯრაში გადასვლის შესახებ, თხრობა გაავარძლე.

**ვაისი**

- მნიშვნელოვანი კორექტივები შეგაქვთ ხოლმე დაწერილში?

**კორტასარი**

- ძალზე უმნიშვნელო. იმიტომ, რომ ნაწარმოებები ჩემს არაცნობიერში ითხზება და შემდეგ მზა სახით მიმდევს. როდესაც ვხედავ ჩემი ზოგიერთი მეგობრის შავ ხელნაწერებს, სადაც ყველაფერი გადაკეთებული, შეცვლილი, გადაადგილებული და ისრებით აჭრელებულია... არა, არა, არა! ჩემი ხელნაწერები სუფთაა.

**ვაისი**

- ხოსე ლეზამა ლიმამ "პარადისში" განაცხადა, რომ "ბაროკო... ნამდვილად უყვართ ესპანეთსა

და ესპანურენოვან ამერიკაში". რატომაა ასე?

კორტასარი

- ამ საკითხში ექსპერტი არ გახლავართ. გეტყვით, მხოლოდ, რომ ბაროკო ძალზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამხრეთამერიკულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ის მდიდარ პერსპექტივებს უსახავს შემოქმედს, ფართო გასაქანს აძლევს წარმოსახვას, რომელსაც შეუძლია განვითარდეს ყველა მიმართულებით, სპირალურად, გარეორც ბაროკოს სტილით აგებული ტაძარი დეკორატიული ანგელოსებით ან დეკორატიული მუსიკა. მაგრამ ბაროკოს ლიტერატურაში მწერლები თვითკონტროლს კარგავენ - ხუთ გვერდზე აღწერენ იმას, რაც მშვენივრად ჩაეტოვდა ერთში. ერთხანს ბაროკომ მეც გამიბატა, რადგან სახმრეთამერიკელი ვარ, მაგრამ მას ბოლომდე არ გავყევი. არ მიყვარს მალაფარდოვანი, ვრცელი წინადადებები, რომლებიც გადაჭედითა ზედსართავებითა და აღწერებით. ვიცი, რომ ეს ძალზე მომხიბვლელია, ძალზე ლამაზია, მაგრამ საჩემო არაა. უფრო ხორხე ლუს ბორხესს ვემზრობი, რომელიც ყოველთვის ბაროკოს მტერი გახლდათ; თითქოს მარწუხით შეკუმშული, ლაკონური პროზა აქვს. რა თქმა უნდა, მე სხვაგვარი მანერით ვწერ, მაგრამ სწორედ ბორხესმა ჩამიტარა ეკონომიის დიდი გაკვეთილი, მასწავლა - როდესაც ადრეულ ასაკში მისი პირთვა დავიწყე - რომ მწერალმა სათქმელი ეკონომიურად უნდა გადმოსცეს, მაგრამ ეს დახვეწილი, ლამაზი ეკონომია უნდა იყოს. თუ შევადარებთ გაერთილ ლამაზ მცენარეს (ბაროკოს) და ძველფას ქვევს, კრისტალს - ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ლამაზია.

ვაისი

- როგორია თქვენი შემოქმედებითი ჩვევები? შეიცვალა თუ არა მათში რაიმე?

კორტასარი

- ერთადერთი, რაც არ შეიცვალა და არასოდეს შეიცვლება, ესაა სრული ანარქია და უნესრიგობა. აბსოლუტურად არავითარი მეთოდი არა მაქვს. როდესაც ვწერ, სხვა ყველაფერზე ხელს ვიღებ. ზოგჯერ, როდესაც მოთხრობას ვიხსავ, მომდევნო ორი ან სამი თვის განმავლობაში კიდევ ორს ან სამს ვამატებ ხოლმე. საერთოდ, მოთხრობებს სერიებდა ვწერ. ერთი მოთხრობის დაწერის შემდეგ აღზნებულ მდგომარეობაში ვარ, და მეორეს "ჩავაგებ" ხოლმე. გარკვეული წარმოდგენა მაქვს მის შესახებ, მაგრამ, როგორც ვთხარით, ძირითადად, ნაწარმოები თავისთავად "წმინდება" ჩემში. შემდეგ შეიძლება განვედოს წელიწადში, როდესაც არაფერს შევქმნი... არაფერს. რა თქმა უნდა, ბოლო წლების განმავლობაში დიდი დრო გავატყურებ საბეჭდ მანქანასთან, როდესაც პოლიტიკურ სტატუტებს ვიხსავდი. ტექსტებს, რომლებიც დავწერე ნიკარაგუას და არგენტინის შესახებ, ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს - ისინი სამხედრო თემატიკას ეძღვნება.

ვაისი

- ხშირად გითქვამთ, რომ სწორედ კუბის რევოლუციამ გაიკრიფა ინტერესი სამხრეთ ამერიკისა და მისი პრობლემების მიმართ.

კორტასარი

- ახლაც ამას ვიტყვოდი.

ვაისი

- გაქვთ თუ არა საყვარელი ადგილები, სადაც შემოქმედებითი მუშაობა გიადვილდებათ?

კორტასარი

- ნამდვილად არა მაქვს. თავიდან, როდესაც უფრო ახალგაზრდა და ფიზიკურად ძლიერი ვიყავი - მაგალითად, აქ, პარიზში, - "კლასობანას" უმეტესი ნაწილი კაფეში დავწერე. ხმაური არ მანუხებდა, პირიქით, ძალზე მომწონდა კიდევ. იქ კაფეში ძალზე ბევრს ვმუშაობდი - ვკითხულობდი ან ვწერდი. მაგრამ გავიდა დრო და შევიცვალე. როდესაც ვწერ, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ სიჩუმეს არაფერი დაარღვევს. არ შემიძლია წერა, თუ გაისმის მუსიკა, ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. მუსიკა სხვადა ხერხს - სხვა. მყუდროება მჭირდება; მაგრამ შემიძლია წერა სასტუმროში, ზოგჯერ - თვითმფრინვაში, მეგობრის სახლში ან ჩემს საკუთარ ბინაში.

ვაისი

- რას იტყვით პარიზის შესახებ? ოცდაათზე მეტი წლის წინ რამ გაგაგებინათ პარიზში ვადასახლება?

კორტასარი

- რამ გამაბედინა? საამისოდ დიდი გაბედულება არ დამჭირებია. უბრალოდ, უნდა გამეთვალისწინებინა, რომ პარიზში ვადასახლებისა და არგენტინასთან კავშირების განწყვეტის შემთხვევაში მატერიალურად ძალზე გამიჭირდებოდა. მაგრამ ეს არ მანუხებდა - ვიცი, რომ როგორღაც დაძველვდი სიძნელეებს. პარიზში, პირველ ყოვლისა, იმიტომ გავემგზავნე, რომ ეს ქალაქი, და, ზოგადად, ფრანგული კულტურა, უაღრესად მიზიდავდა. არგენტინაში ვატყავებთ ვკითხულობდი ფრანგულ ლიტერატურას. ამიტომაც მინდოდა იქ ჩასვლა და რომანები მოხსენიებული ქუჩებისა და მოედნების მონახულება, ბალზაკის ან ბოლდერის ქუჩებში გავლა... ეს რომანტიკული მოგზაურობა იყო. ძალზე რომანტიკული ვიყავი - და ვარ. ფაქტობრივად, წერისას სიფრთხილე მჭირდება, რადგან შეიძლება გამიტაცოს... არ ვიტყვით, რომ მდარე გერმოვნებამ, მაგრამ - უკიდურესმა რომანტიზმმა. პირველ ცხოვრებაში ამგვარი თავშეკავება არ მჭირდება. არსებითად, ძალზე სენტიმენტალური, ძალზე რომანტიკული, მგრძობიარე ადამიანი ვარ; სიყვარულის დიდი უნარი მაქვს. მაგალითად, მიყვარს ნიკარაგუა და მწამს, რომ სანდინისტები სწორად იქცევიან და კეთილშობილურ პროქლას უფაგანს სათავებში. ეს მხოლოდ პოლიტიკური იმპულსი როდია, მიყვარს ნიკარაგუელები, ისევე, როგორც კუბელები ან არგენტინელები. ყველაფერი ეს ჩემი ხასიათის ნაწილია. შემოქმედებითი მუშაობის დროს კი თავი უნდა ამეღვამა, განსაკუთრებით - ახალგაზრდობისას. იმხანად მელოდრამატულ თხზულებებს ვწერდი, მართლაც რომ რომანტიკულ, "ვარდისფერი რომანების" მსგავს ნაწარმოებებს. დედაჩემს რომ ისინი ნაკითხა, აცრემლდებოდა.

ვაისი

- ითვლება, რომ შემოქმედებითი მუშაობა პარიზში დაიწყო. მაგრამ მანამდეც ბევრს წერდით, ხომ ასეა? რამდენიმე ნაწარმოები გამოაქვეყნეთ კიდევ-

კორტასარი

- ცხრა წლის ასაკიდან ვწერდი, მოზარდობის ასაკში და სიჭაბუკისას. ადრეულ სიყრმეში უკვე შემეძლო მოთხრობებისა და რომანების წერა, რომლებმაც დამიდასტურა, რომ სწორ გზას ვადექი. მაგრამ მათი გამოქვეყნება დიდად არ მეპიტანავებოდა. ჩემი ნაწერების მიმართ ძალზე კრიტიკულად განწყობილი ვიყავი და ახლაც ასეთი ვარ. მასსოვს, ჩემი თანატოლები, ლექსების ან მომცრო რომანების დაწერისთანავე, გამოცემების ეძებდნენ, მე კი ამისგან თავს ვიკავებდი. ზოგიერთი თხზულება შევიწინავე, სხვები - გადავყარე. ოცდაათზე მეტი წლის ასაკში, საფრანგეთში გამგზავრების წინ, 1951 წელს პირველად გამოვეცი ჩემი მოთხრობების კრებული, "ბესტიარიუმი", და მალევე გემით გამოვეგზავნე პარიზში. მანამდე გამოქვეყნებული დიალოგური ფორმის მოკლე თხზულება "მეფეები" - ჩემმა მდიდარმა მეგობარმა, რომელიც მცირე ტირაჟებით აქვეყნებდა საკუთარ და თავისი მეგობრების თხზულებებს, პირველად გამოცა ის. ესაა და ეს. თუმცა ახალგაზრდობისას კიდევ ერთხელ შევეცადე - სონეტების კრებული გამოვეცი, მაგრამ - ფსევდონიმით.

ვაისი

- თქვენ შეთხზეთ პოეტური ტექსტები ტანგოს ახლანაშ გამოცემული ალბომისთვის - "ბუენოს-აირესის ტროტუარები". რა მოგვცათ ამ სამუშაოზე?

კორტასარი

- ნამდვილი არგენტინელი გახლავართ და, უპირველეს ყოვლისა - porteño, ესე იგი, ბუენოს-აირესის - პორტის მკვიდრი. ტანგო ჩვენებური მუსიკაა და ტანგოს ატმოსფეროში გავიზარდე. მას რადიოთი ვუსმენდი, რადგან არგენტინაში სწორედ ჩემი ბავშვობისას გავრცელდა რადიო, რომელიც განუწყვეტილად გამოსცემდა ტანგოს. დედაჩემი და დეიდაჩემი ფორტიპიანოზე უკრავდნენ ტანგოს და მღეროდნენ. რადიოთი ვუსმენდი კარლოს გარდელს და იმდროინდელ დიდ მომღერლებს. ამგვარად იქცა ტანგო ჩემი ცნობიერების ნაწილად. ის ჩემს ახალგაზრდობას, ბუენოს-აირესს მაგონებს. ამდენად, ტანგოთი შეპყრობილი ვახლდები, მაგრამ კრიტიკული დამოკიდებულება მის მიმართ არ დამიკარგავს. არ მივეკუთვნები იმ არგენტინელებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ტანგოზე უკეთესი ამქვეყნად არ არსებობს. ვფიქრობ, ტანგო, ზოგადად, და, კერძოდ, ჯაზთან შედარებით, ძალზე მდარე მუსიკაა. მდარე, მაგრამ - ლამაზი. იმ მცენარეებს წააგავს, რომლებიც ძალზე უბრალოა, ვერც კი შედრება ორქიდეას ან ვარდს, მაგრამ არაჩვეულებრივად ლამაზია. უკანასკნელ წლებში ჩემი მეგობრები აქ ტანგოს უკრავდნენ; ლედრონის კვარტეტის წევრები ჩემი ახლო მეგობრები არიან, ისევე, როგორც შესანიშნავი ბანდონიონისტი, ხუან ხოსე მუსაორინი. მათთან ერთად ვუსმენდი ტანგოს და ვსაუბრობდი ტანგოს შესახებ. და აი, ერთხელ შევთხზე ლე-

ქსი, რომელიც ტანგოს მუსიკისთვის გამოდგებოდა. შემდეგ კი, როდესაც გამოქვეყნებელი ლექსები გადავთვლიერე (ჩემი ლექსების უმრავლესობა გამოქვეყნებულია), ვიპოვე ტანგოსთვის გამოსადეგი რამდენიმე მოკლე ლექსი. ლედრონის კვარტეტმა გამოიყენა ისინი. საპირისპირო გზითაც წავედით: ლედრონმა მომცა მუსიკალური თემა, რომლისთვისაც შევთხზე ტექსტი. ორივე ხერხს მივმართეთ.

ვაისი

- თქვენი წიგნებისადმი დართულ ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში ნათქვამია, რომ საყვირზე დაკვრა გაყვართ. დაკვირავთ თუ არა რომელიმე ჯგუფთან ერთად?

კორტასარი

- არა. ეს ლეგენდა გამოიგონა ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა პოლ ბლუკბერნმა. რომელიც, სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იცოდა, რომ მე ცოტათი მეხერხებოდა საყვირზე დაკვრა, თუმცა, ძირითადად, ჩემთვის, ჩემს სახლში ვუკრავდი. ამიტომ ყოველთვის მიჩრქვდა, გამეცნო მუსიკოსები, რომლებთან ერთადაც დავუკრავდი, მე კი ვპასუხობდი, რომ, ამერიკელებისა არ იყოს, ის არა ვარ, ვინც მათ სჭირდებათ. დიდი ნიჭი როდი მქონდა; უბრალოდ, ჩემი სიამოვნებისთვის ვუკრავდი. ხალისით ვუსმენდი ჯელი როლ მორტონის, ან არმსტრონგის, ან ახალგაზრდა ელინორის ჩანაწერებს მკაცრი მელოდიით (განსაკუთრებით - ბლუზებში, რომელთაც წინასწარი მუსიკალური სქემა აქვთ), და ჩემს საყვირს ვაყოლებდი. მათთან ერთად ვუკრავდი... მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არა ნიშნავდა მათთან ერთად დაკვრას! ვერასოდეს ვაგებდე გამეცნო ჯაზის შემსრულებლებს; ახლა ჩემი საყვირი სადღაც აგდია. ბლუკბერნმა ყოველივე ეს რომელიღაც საგამოცემლო შენიშვნაში ასხნა და რადგან არსებობს ჩემი ფოტოსურათი საყვირით, ზოგიერთმა ივარაუდა, რომ მართლაც კარგად ვუკრავ. თუ გასსოვთ, ჩემი თხზულებების გამოქვეყნება არ მსურდა, სანამ მათში დარწმუნებული არ ვიქნებოდი; ასევე, არ მსურდა საჯაროდ დამეკრა, სანამ ჩემს საშემსრულებლო ხელოვნებაში დარწმუნებული არ ვიქნებოდი. მაგრამ ეს დღე არასოდეს დამდგარა.

ვაისი

- "ნიგნი მანუელისაშ" შემდეგ ახალი რომანი ხომ არ წამოიწყიათ?

კორტასარი

- სამწუხაროდ, არა, საკმარისად აშკარა მიზეზების გამო, რაც პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება. რომანი მოითხოვს მასზე კონცენტრირებას და გარკვეული დროის, თუნდაც ერთი წლის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობას. ახლა კი ამის საშუალება არ მაქვს. ერთი კვირის წინ არ ვიკრავდი, რომ სამი დღით ნიკარაგუაში უნდა ჩასულიყავი. როდესაც დაებრუნდები, არ ვიცი, რა მელის. მაგრამ ახალი რომანი უკვე შექმნილია, იქ, ჩემს სიზმრებში. ზუსტად ვერ გეტყვით, რაზე იქნება ის ნაწარმოები, მაგრამ მის შესახებ ვარკვეული წარმოდგენა ნამდვილად მაქვს. ეს იქნება საკმაოდ ვრცელი ნიგნი, არც ისე ბე-



ერი ფანტასტიკური ელემენტით, იმავდენ ვიწროა, როგორც - "ნიგნი მანუელისა"; მაგრამ ეს იქნება არა პოლიტიკური თხზულება, არამედ - წმინდა ლიტერატურული ნაწარმოები. ვიმედოვნებ, მის დასაწერად ვიპოვი ერთგვარ უკაცრიელ კუნძულს. შესაძლოა, უკაცრიელი კუნძული ეს ოთახიც იყოს. და ერთი წელი, ერთ წელს ვითხოვ. მაგრამ როდესაც ის ნაბიჯებები - ჰონდურასელები, სომოსელები და რეიგანი - ნიკარაგუის განადგურებას ცდილობენ, რა უწინააღმდეგობა ლაპარაკი? წერას ვერ დავინწყებ, სანამ გამუდმებით მანუელის ეს პრობლემა. ახლა ჩემთვის პრიორიტეტი ესაა.

**ვაისი**  
- ეს შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს, რადგან მოითხოვს ლიტერატურისა და ცხოვრების დაბალანსებას.

**კორტასარი**  
- შოკ და არაც. ყველაფერი დამოკიდებულია პრიორიტეტების სახეობაზე. თუ პრიორიტეტულია პიროვნების მორალური პასუხისმგებლობა, მაშინ დავთანხმდები. მაგრამ ვიცნობ ბევრ ადამიანს, რომლებიც ყოველთვის ჩივიან: "ძალიან მინდა დავწერო რომანი, მაგრამ სახლი უნდა გავყვილო, გადასახადები გადავიხადო და ასე შემდეგ. ყველაფერი როგორ მოვახერხებ?" ან კიდევ: "მთელი დღე ოფისში ვმუშაობ. როდის უნდა ვწერო?" იუნესკოში მთელი დღეები ვმუშაობდი, საღამოობით კი "კლასობანას" ვწერდი. როდესაც ადამიანს წერა უნდა, ის წერს. თუკი ადამიანის მონაცვლე მწერლობაა, ის ამ მონაცვლეს ერთგული რჩება.

**ვაისი**  
- უფრო ხშირად მთარგმნელობა გიხდებათ თუ თარჯიმნობა?

**კორტასარი**  
- არც ვთარგმნი და არც ვთარჯიმნობ. ძალიან უბრალოდ ვცხოვროვ. ბევრი ფული როდი მჭირდება, რათა ვიყიდო ის, რაც მომწონს: გრამფირფიჭები, წიგნები, თამბაქო. ასე რომ, ჩემი ჰობირები მყოფნის. ჩემი წიგნები იმდენ ენაზე თარგმნეს, რომ საარსებოდ საკმარისი სახსრები მაქვს. მომჭირნე უნდა ვიყო: იახტას ვერ ვიყიდი. მაგრამ რადგან იახტის შეძენის არავითარი სურვილი არა მაქვს.....

**ვაისი**  
- სახელი და წარმადება სიამოვნებას განიჭებთ?

**კორტასარი**  
- მისმინეთ. გეტყვით იმას, რაც არ უნდა მეთქვას, რადგან ამას არავინ დაიჯერებს: წარმადება ჩემთვის სასიამოვნო სულაც არაა. კმაყოფილი ვარ, რომ ლიტერატურით საარსებო სახსრებს ვშოულობ, ამდენად, უნდა შევეურიჯდე იმას, რომ წარმადებას სადავრობა მოაქვს, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიყავი, როდესაც ჩემი სახელი არავინ იცოდა, - გაცილებით უფრო ბედნიერი. ახლა კი ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკაში ათ მეტრსაც ვერ გავიგო, რომ ვინმემ არ მიიკნოს. ისევეა ავსტოგრაფის თხოვნა, ხევენა-კონცან... ეს ყველაფერი საოცრად გულისამაჩუყებელია, რადგან ეს ადამიანები ძირითადად, ძალზე ახალგაზრდა მკითხველები არიან. მიხარია, რომ მათ მოსწონთ ჩემი შემოქმედება, მაგრამ კერძო ცხოვრებაში ეს დიდ სირთულეებს მიქმნის. ევროპაში პლაგზე ვერ გავსულვარ; ხუთ წუთში იქვე ფოტოგრაფი აღმოჩნდება ხოლმე. ისეთი გარეგნობა მაქვს, რომელსაც ვერ შევნიღბავ; ტანდაბალი რომ ვიყო, წვერს გავიპარსავდი და მუქმინიან სათვალეს გავიკეთებდი, მაგრამ ჩემი სიმაღლის, გრძელი ხელების და ა.შ. გამორიოდან მცნობენ. მეორე მხრივ, ძალზე სასიამოვნო ამბებიც შემოქმევეია. ერთი თვის წინ ბარსელონაში ვიყავი. გოტიკურ კვარტალს ვათვალიერებდი. იქ მშვენიერი ამერიკელი ქალიშვილი ასფალტზე იჯდა, შენაღმუნავდა უკრავდა გიტარაზე და მერეოდა, რათა ცოტახალხი ფული ეშოვა. მისმა სიმღერამ გოგონა ბაეზი მომაგონა. ძალიან წკრიალა, სუფთა ხმა ჰქონდა. გოგონას ბარსელონელი ახალგაზრდები უსმენდნენ. ის ჩრდილში შექერდი, რომ მისთვის მოემსმინა. დახალღებით ოცი წლის ღამაზე ჭაბუკი მომიახლოვდა და ღვეხელი შემომთავაზა: "ხულო, აიღეთ ერთი ნაჭერი". ავიღე და შევექეცი. თან მაღლობა გადავუხადე. მითხრა, ძალიან ცოტა გინილადეთ იმის სანაცვლოდ, რაც თქვენგან მივიღეო. როგორ გეკადრებათ-მეთქი, შევეპასუხე. ერთმანეთს გადავეხვიეთ და დავცოდი. ასეთი შეხვედრები საუკეთესო ჯილდოა ჩემი ლიტერატურული შემოქმედებისთვის. როდესაც ამგვარი ჭაბუკი ან ქალიშვილი გაგეცნობა და ერთ ნაჭერ ღვეხელს შემოგთავაზებს, ეს დიდებული საზღაური შემოქმედებითი მუშაობისთვის.

ლექსო დორეული

# ნინო დარბაისელის გრძელი “ვიტა ბრევის” - “ALL IN ONE”

(რეცენზია ნინო დარბაისელის ლექსების კრებულზე - “ვიტა ბრევის”)

“რა მნიშვნელობა აქვს, რას ლაპარაკობენ; მთავარია, ლაპარაკობენ”  
 სამუელ ბეკეტი

“ეს არის ის, რაც სიტყვას სიტყვად აქცევს და ყოველგვარ ყვირილსა და ხმაურზე  
 მალლა აყენებს, ეს არის მასში დაფარული წინადადება”.  
 მიშელ ფუკო; “სიტყვები და საგნები”

“ნებისმიერ წინადადებაში გასათვალისწინებელია სამი მომენტი: კერძოდ, ორივე  
 წევრი, ქვემდებარე და შემასმენელი და მაკავშირებელი სიტყვა, ანუ კოპულა.  
 ქვემდებარე და შემასმენელი გონებაში ერთი და იგივე საგნის იდეას აღძრავენ,  
 ხოლო მაკავშირებელი წევრი (კოპულა) წარმოშობს მიზეზის იდეას”.  
 ჰობსი; “ლოგიკა”

“დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად,  
 რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა. და ესე ენაი მძინარე არს  
 დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან. და ახალმან ნინო  
 მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამი და  
 მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენას  
 შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით  
 წინაწარმეტყველმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი”.  
 იოანე ზოსიმე; “ქებაი და დიებაი ქართულისა ენისაი”





### “შესავალი, რომლითაც ყველაფერი უნდა დაიწყოთ”..

“საით მიექანება ეს სამყარო? რა ელთი ადამიანებს - იმათ, ვინც ახლა ცხოვრობს დედამიწაზე, და იმათაც, ან რომ ვისცხადებთ ნუთისოფელს, მართლაც რომ ნუთით შემოფარგლულსა და წარმავლს? ბანალური კითხვაა, თანაც ისეთი, ათასნაირი პასუხი რომ ქებებნება მრწამსიდან, კულტურული იდენტობისა და პიროვნული გამოცდილებიდან გამომდინარე. საბოლოოდ მაინც კონკრეტული ადამიანის გადასაწყვეტია, სად დაინახავს ხსნას ან, საერთოდ, იფიქრებს თუ არა ამაზე. ღმერთმა მას თავისუფალი ნება მისცა და, როგორც თავად სწავდა და წარმოუდგენია, ისე მოეპყრობა თავის სიცოცხლეს, ამქვეყნურს, ხორციელს და შემდეგ უკვე - მარადიულს. მაგრამ როგორია ადამიანის მიწიერი საცხოვრისი? რატომ ხდება ის თანდათან უფრო ცივი და ძნელად ასატანი? ადამიანმა ცოდვის გამო დაკარგა სამოთხე, მაგრამ მასში შენახულია მოგონება, მის გულში ცხოვრობს სევდა და დაკარგულის მონატრება, მან კი ათასწლეულების განმავლობაში ყველაფერი ვაკეთა იმისთვის, რომ წაეშალა ეს ხსოვნა, დაეთრგუნა თავისი მიწიერი სახლის იმისთვის გამსგავსების სურვილი, რაც ოდესღაც ხელიდან დაუხსლებია.

სიცოცხლე საჩუქარია და ადამიანს თავის უფლები სამოთხისაკენ მიმავალი გზის საპოვნელად ეძღვნება. დაუნდობელი ცხოვრების უკუხმებით ერთადერთი ლამპარა ალბათ სიყვარულია, რომელიც ჯანლიდან და ბურუსიდან გამოიყვანს, სწორ გეზს აადვინებს. რა არის სამოთხე უსიყვარულოდ? განა ეს შესაძლებელია?!”

“რაც მეტია სიყვარული, მით უფრო მიმზიდველია სამყარო - ქრისტესმიერი ეს შეგონება კაცობრიობის დიდმა ნაწილმა იცის, უმრავლესობა იზიარებს, მაგრამ, აი, ცხოვრებისეულ კრდოდ, ყოველდღიურ დევიზად თუ ორიენტირად ქცევა მრავალთაგან მრავალს ვერა და ვერ მოუხერხებია. ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორია გაჯერებულია ურთიერთმტრობით, შუღლით, ომებით. ჩვენს ბედ-კულტ ქვეყანას ხომ, ერთი საუკუნე რაა, სულ რაღაც ახლიდღე წელიც კი არასოდეს გაუღწია უომრად. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას კაცნი თავიანთ სამართლიანობას ან რაიმე სხვა მიზეზს უშებნიან სარჩულად და საყრდენად”.

“საბედნიეროდ ქართული სიტყვის გენიამ და ქართველი კაცის ნიჭიერებამ იწება უფალი და მწერალი მოვაზრებინა ერთ იდუმალ ცნებაში - შემოქმედი... რათა ჩვენთვის მარადღესი ფრთხილად, მაგრამ დათინებით შეხსენებინა”...და სიტყვა იყო ღმერთი”... და რომ სიტყვასთან შეჭიდება ბიბლიური იაკობივით უფალთან შერკინებას კი არა - უფალთან თანაღმობას ნიშნავს...

პოეზიაშია მიახლოება ღვთაებრივ პირველსანყისთან შეხვედრას ჰავს... ადამიანი გაჩენის დღიდან დღემდე წინ მიიწევს, შეუცნობელის შეცნობის და ჯერგანუცდელის შეგრძნების სურვილი ჰქვავს, მაგრამ მისი სწრაფვა უფრო დაკარგულის (სამოთხის) მოძიება და დაბრუნება უფრო ისევ და

ისევ... რადგან ჯერ დაკარგული უნდა დაიბრუნო, რომ მერე წინ, მერისში გაბედულად გაიხეცო და გარისკო”<sup>3</sup>...

\*\*\*

“საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სივრცე რომ იყო, ეს ყველამ იცის. ეს მათაც იციან, ვისაც ამ სივრცეში არ უცხოვრია. ამის გამო მას უზარმაზარ ციხესაც ადარებენ. მე საბჭოთა კავშირის უზარმაზარ საავადმყოფოსთან შედარება უფრო მეგუბებება. ისიც ხომ ჩაკეტილია, იქაც ხომ დაგუბებულია და ჩახუთულია ჰაერი და, უფრო კი დრო... განსაკუთრებით დრო, რადგან საბჭოთა კავშირი პირველ რიგში ჩაკეტილი სივრცე კი არა, ჩაკეტილი დრო იყო. დროს მონყვეტილი, მსოფლიო დროის დინებიდან ამოვარდნილი, შენელებული, გაჩერებული, თითქმის დამყაყებული დრო. აი, მდინარე რომ კალაპოტს შეიცვლის და მის ადგილას აქა-იქ დიდი ტბორები რომ დარჩება, რომ დაიფარება მზვანე ხავსით თუ წყალმცენარეებით (დანარჩენზე აღარ გავაგრძელებ)... განცდად, შეგრძნებად ემპირიულ დროზე ესაუბრობ და არა ასტრონომიულ დროზე, რაღა თქმა უნდა. ამ დაგუბებულ დროში, მის ზედაპირზე ყოველი მცირე მოძრაობა, ყოველი ცოცხალი ფიქრი, ტბაში ჩავარდნილი კენჭებივით უზარმაზარ წრეებს წარმოშობდა. ყაზახეთიდან ბალტიის რესპუბლიკამდე, საქართველოდან ვლადივოსტოკამდე, მოკლედ რაიმე მოველია თუ დისიდენტური ფიქრი ეპიცენტრიდან იმპერიის ნაპირებამდე აღწევდა. მახსოვს, კოლაუ ნადირაძის ერთმა პატარა ლექსმა ლამის ცულსამი გამოიწვია მთელი იმპერიის მიჭტობით ჩვენ იმ ჩაკეტილ სივრცეში, იმ დამდგარ, თითქმის დამყაყებულ დროში, იმ “საავადმყოფოში”, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. ეს ჩვენთვის ბუნებრივი გარემო იყო. ამიტომ არ მიკვირს, ბევრი ხელსა რომ მისტიკოსი იყო “მე დროს”... იმ დროში “ლიტერატურული საქართველო” მთელ საქართველოში მგონი ერთადერთი ყოველკვირეული გაზეთი იყო. გაზეთის რედაქტორები გვიან-გვიან, მაგრამ მაინც იცვლებოდნენ და ესეც დიდ მოვლენად ითვლებოდა გაჩერებულ დროში... და... აღარ მახსოვს ვინ იყო ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი, როდესაც იქ წინა დარბაზის პირველი ლექსები დაიბეჭდა. პოეზიის განყოფილების გამგე რომ ბორენა იყო, ვაჭვლიანი, მახსოვს. ბორენა, იგივე დოდა. მშვენიერი პოეტი და უსათნოესი ადამიანი, ლამაზი ქალი. ეს იმიტომაც მახსოვს რომ, როდესაც წინა დარბაზის პირველი ლექსებით გამოვსული ერთი ახალგაზრდა პოეტის (ჩემი) აღფრთოვანება მოვრე ახალგაზრდა პოეტის, გელა კიკოლაშვილის ამავე საფუძველზე გამოწვეულ ემოციებს ერთი ერთზე დავბოძებ, ამ სინქრონული აღფრთოვანებით დატვირთულება “ლიტერატურული საქართველო” პოეზიის განყოფილებაში სწორედ ბორენას მივაკითხეთ”<sup>4</sup>...

“მოკლედ, ძალიან რომ არ გამიგრძობდეს მოგონებათა სკივრიდან წარსულის გამოხმობა, პირდაპირ ვიტყვი:”<sup>5</sup> ხშირად ხდებოდა - როცა ლექსები თავიანთი მომხუსხველი იდუმალებით ადამიანთა (მკითხველთა) ბედს განაგებდნენ, ცვლიდნენ მათ სამყაროს კანონზომიერებათა მიხედვით, მოქმედებ-

ბენ მათ სულიერ მდგომარეობაზე (თავდაყირა აყენებდნენ, ანგრევდნენ და ხელახლა აგებდნენ მათ ეგზისტენციალურ ლაბირინთებს); თუმცა, ადამიანის ცხვირით იყო აღბრა - გაცივებით მგრძობიარე, გახსნილი და მიმღები ყოველი ახალი შერწყმებისა, ტექსტუალური (ტექსტის კულტუროლოგიური მნიშვნელობით) გამონგვესა. ასეთი ადამიანების ტიპი, თანამედროვე სტერეოტიპული აზრით, გასულ საუკუნეებს შემორჩა, მათ ზურგს უკან კი მთელმა ათასწლეულმა მოიხურა კარი და ბევრი რამ შეიცვალა.

თუნდაც ის შეიცვალა, რომ დღეს ასე ადვილად ნივინთ (ტექსტით) ვერავის "დააბოლებ", საიმისოდ ველარ შეძრავ, რომ მისი ბედი შეცვალო, განაპირობო (რა გულუბრყვილო განაცხადია!).

დღეს მკითხველის "გული გონიერი" ათასი ჯურღმულითაა სავსე და, მათი გასაღებებიც ისეთივე მოუკლებელია, ან ძნელად მისაგებელი, მესახსნელი, როგორც თვითონ ცხოვრება.<sup>6</sup>

"მიუხედავად ყველაფრისა"<sup>7</sup> - "არიან თანამედროვე პოეტები, ახალი ფერები, სტილით, ლექსით... არიან ძველ დროსა და ესთეტიკაში დარჩენილები, რომელთაც მუდამ ჰყავთ თავისი მკითხველი... და არაია პოეტები - ხედები, რომელთაც ძველიდან ახალზე, ახლიდან ისევ ძველზე გადასასვლელის შექმნა დააკისრეს და მუდმივად ამ გზის გაკვალვაში არიან. ლიტერატურაში ზოგადი კანონების ძებნას აზრი არა აქვს. ერთი ისაა, რომ რომელიმე ინერდიის ლიტერატურულ მოძრაობას აქვს თავისი ადვილად აღწერილი ნიშან-თვისებები. შესაბამისად, დაყოფილი ამ ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფებიც. ზემოთ "პოეტები-ხიდეები" ვახსენე. მათთან საკომუნიკაციო ველი უფრო ფართოა, შესაბამისად ფართოვდება კომუნიკაციის მსურველთა დიაპაზონიც. "ხიდი პოეტი" უნებურად ექცევა რეტროგრადისა და თანამედროვე მსოფლმხედველობის ლიტერატურისმოყვარულის ხედვის არეალში. მას ერთი კატეგორია ტრადიციების უფულეველყოფაში ამუშაობებს, მეორე კი - ძველმოდურობაში. ორივე იღებს და ამავ დროულად ვერ იღებს მას როგორც თავისიანს. ერთდროულად მისაღება და მიუღებელიც მისი ენა, როგორც ყოფითისა და ლიტერატურულის ნაერთი, როგორც ერთგვარი ანაქრონისტული ოქსიმორონი. არსად ყოფნა და იმავდროულად ყველგან ყოფნა საჯაროდ ამგვარი პოეტების ტვირთი ხოლმე. საბოლოოდ კი ისინი ჰარმონიის ქმნიან და ავსებენ ზნაურებს, რომელიც პოეზიაში ეპოქასა და ეპოქას შორის, ესთეტიკასა და ესთეტიკას შორის, ხედვასა და ხედვას შორის წარმოიშობა".<sup>8</sup> "ეს ქმნის იმ სინედლის შეგრძნებას, სადაც საგნები და მოვლენები პოეტენციაში არსებობენ. აქ არ არის რაიმე ბმულობები და შევრდები. რაც ჩამოვარდება სარეკალაზე, ნისქილიც იმას ფეხავს. ყველაფერი ერთად ჩამოდები - ყველა ასო და საგანი ნატურალური სახელებით, ყველა სათქმელ-უთქმელი საუბრები - ხანდახან ქალღმერთს რომ ანიღბებს და, საერთოდ, ყველაფერი ის, რასაც ერთი დღი არსებობა და ადამიანური ყოფა ჰქვია. და ეს კარგია თუნდაც იმისთვის, რომ მითოლოგიური სიუჟეტებით დამტვე-

რილი მხრები ჯერ აიჩეჩო კაცმა და მერე ჩამოიბერტყო. ვინ დაამტკიცა, რომ ცხოვრების არატრადიციულად აგებული ლიტერატურული რეპრეზენტაცია რაიმეთი ნაკლებია იმ საგანგებოდ ნაშენებ, რაღაც ზემოქანის ვიდიონა და კონტექსტის გათვალისწინებით შექმნილი სიუჟეტზე"<sup>9</sup>?

"ერთი საგულისხმოდ დეტალიც"<sup>10</sup> - "ეს პრობლემა მკაფიოდ ვლინდება ენის ონტოლოგიური დეკონსტრუქციის პარადიგმაშიც, რომელიც ხორხელის ბორხესთანაა მოცემული. არგენტინელი მწერალი თავის ერთ-ერთ მოთხრობა "საჩუქრების ღამეში" მიუთითებს, თუ როგორ შეიძლება ესენციური-ეესისტენციალურად გაემიჯნოს ენა როგორც მტყველები იმ მოვლენებს, რომლებსაც ის აღწერს და სინამდვილე, ყოფიერება წარმოსდგეს, როგორც ლინგვისტური მესხიერება, რომელსაც არაფერი ახსოვს გარდა თავისი ფონეტიკური სტატიკისა. შედეგად ადამიანები ერთმანეთს და საკუთარ თავებს მოუთხრობენ არა თავის არსებობას როგორც სიცოცხლის სტიქიონალურ ნაკადში თვითონ ხნორცილებული აქტის ნარატივს, არამედ იმ სიტყვებს, რომლითაც ეს ამბავი მოხდა.

ენის ამგვარი ონტოლოგიზაცია, მისი უნივერსალურ და აბსოლუტურ, ერთდროულ შესაძლებელ ყოფიერებად და ეიდეტიკურ მოცემულობად გამოცხადება, გარდა იმისა, რომ, საბოლოო ანგარიშით, გულისხმობს, რომ "ჩვენი ენა ციტორებების სისტემაა", დაკავშირებულია ექსისტენციალური დროის ასწრაფებასთან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ამ შემთხვევაში, საუბარია ენაზე (როგორც ციტორებების სისტემაზე), რომლის გონშიც სიტყვებს შორის სივრცეები გამოცარიელებულია და ისინი ერთმანეთთან ქიმოური რეაქციებისა მიზანდასახულობის გარეშე წარმოშობენ ხაზრისს. ამგვარი ენა ამბავს კი არა, თავის თავს ჰყვება და ონტური თვალსაზრისით არის კიდევ თავისი თავის იდენტური.

ვინ შეძლებს უარი ათქმევინოს ენას, იქცეს ძალმომრეობის ინსტიტუტად?

რალა თქმა უნდა, პოეტი!

ჩემი აზრით, ნინო დარბაისელიც ის პოეტია, რომელიც ახერხებს, სიტყვები აამეტიყველოს, როგორც ბუნება და, შესაბამისად, მკითხველსა და ტექსტს შორის ცოცხალი კომუნიკაცია, შეხვედრის წამი შედეგს"<sup>11</sup>.

"კიდევ ერთი, რასაც ხაზი უნდა გავსვას, არის ის, რომ"<sup>12</sup> - "მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ამოცანის შესაბამისად, ნინო დარბაისელი, ძირითადად, ციკლურ დროს ანიჭებს უპირატესობას. როგორც დროის ფსიქოლოგიური არქეტიპი და გადარჩენის იდეის მაროგანიზებული პრინციპი, დროის ციკლური სვლა მოვლენათა შექცევადობის, დაკარგულის დაბრუნების, გარდაცვალების და არაკვდომის, მიღმურ ყოფიერებასთან მარადიული კავშირის, მოვლენათა ბუნებრივი და სამართლიანი ცვალებადობის რწმენას უკავშირდება"<sup>13</sup>.

"ამის აუცილებლობა კი მაშინ იგრძნობა, როდესაც"<sup>14</sup> "ნოვაციის ფსიქოლოგიური გენეზისის სათავეს იღებს პოეტის პიროვნული ხასიათიდან, სადაც შეიძლება არსებობდეს საკაო ამბიციები ლე-



ქის ევოლუციური გარდაქმნისათვის, მაგრამ არ იყოს შესაბამისი შინაგანი მზაობა, ამიტომ კომპენსაციის ფუნქცია უნდა დაეკისროს ინტუიციას, რომელიც პოეტს უკარნახებს აზრის, რიტმისა და რითმის დინამიკურ კონსტრუქციების შექმნის იდეას.

ნოვატორულ განწყობილებათა მეტრული ორგანიზაცია მას პიკის ზღვრამდე უყავს მიყვანილი. რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება გაჩნდეს ტრივიალური ალტერნატივა - ფორმა თუ შინაარსი? მაშინ საკითხავი იქნება ისიც, თუ რამდენად მყარია პოეტის შინაგანი გადაწყვეტილება, ხომ არ გადაექცევა ფორმა ცთუნებად ან ფორმის ძიება ხომ არ გაუჩინს ეჭვს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ? სინტიერესოა აგრეთვე, ფორმა ეძებს შინაარსს, თუ პირიქით შინაარსი ეძებს ფორმას? ანდა ავტორს ფორმა მხოლოდ საყრდენად სჭირდება, თუ ეს არის გადამწყვეტი დაპირისპირება ტრადიციასთან<sup>15</sup>?

"საქმე ის არის, რომ ნინოს ლექსების ვიზუალური სტრუქტურები, ფრაზებისა და სტროფების ფორცვლზე განლაგების დინამიკა, პუნქტუაცია, ცარილი სივრცეები სტროფებსა და ფრაზებს შორის ქმნის ისეთ წარმოდგენას, თითქოს ნაბეჭდი ასოები ყინვას ქირხლით მიუხატავს ფანჯრის მინებზე ან თითქოს მიკროსკოპის ქვეშ უყურებდე რომელიმე მცენარის ფოთოლს - ხო, ზუსტად ასე, განა მხატვრულ თქმას ვცდილობ, რეალობაა, რომ ეს ლექსები, გარეგნულადაც ფრაქტალებია, რომელთა ცალკეული ნაწილები დასურლებლად იმეორებენ ერთმანეთს და ერთ დიდ მთლიანობას ქმნიან.

ნინო დარბაისელის პოეტური ენა ისეა აწყობილი, როდესაც ყველა ენობრივი ნიუანსი, ყველა ენობრივი დონის ერთეული - უმცირესიდან დაწყებული უდიდესი დამთავრებული - ერთ მიზანს ემსახურება - შექმნას კონკრეტული, თავისებური ენობრივი სამყარო. ეს ენა, თავისი არსით, უფრო აგლუტინაციურია, ვიდრე ფლექსიური და მისი ერთერთი მთავარი მახასიათებელია გამომხატვათა სიზუსტე: აქ ყოველი აღსანიშნისათვის აბსოლუტუ-

რად ზუსტად, ორაზროვნების გარეშე მორგებულ ალმნიშვნელი უნდა არსებობდეს<sup>16</sup>.

"არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ"<sup>17</sup>, "ნინო დარბაისელის პოეზიის გარეგნული სისადავე ერთგვარი სატყუარაა, რითაც პოეტი ცდილობს მკითხველი თავის სამყაროში შეასახლოს, შემდეგ კი აღარანაირ სიძნელეს აღარ წარმოადგენს მისი აყოლიება, რომ სხვაგვარად იფიქროს. იფიქროს არა დღემდის - თითქმის ტრადიციად ქცეული აზროვნებით - არამედ აიძულოს იმ სიღრმეებში ხეტიალს, რომელიც მისი ყოველი სტრიქონის სუნთქვასთან ერთად იცვლება. მკითხველი რთულად, მაგრამ ავტორისავე დახმარებით იოლად აღწევს სასურველ მიზანს. ნინო დარბაისელის სამყაროში მოსახვედრად აუცილებელია იმ სათავის პოვნა, იმ ფილოსოფიური სიღრმეების შიდა დინებათა მიგნება, რომელიც მისი პოეზიის განსაკუთრებული ძალა და რომლის გარეშეც ძნელია ამ სამყაროს აღქმა."<sup>18</sup>

"ამრიგად"<sup>19</sup>, ჩემთვის, ჯერჯერობით, საწუგეშოდ, ნინო დარბაისელის "არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი" ლექსები დარჩენილა. ტრადიციული ლექსის დაკონსტრუქციის გარეშეც რომ შეიძლება თურმე საკუთარი პოეზიის სახლი ააშენო, ამ საყოველთაო ნგრევის ფონზე, მისმა ლექსებმა დაგვარწმუნა.

"ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე!" - ასე გამოხატა ბესიკ ხარანაულმა პოეტის პიროვნება და რაოდენ სასიხარულოა, რომ ასე სჯერა ნინო დარბაისელსაც!

ცრემლი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩვეულებრივ, "თვლის წყალი", მაგრამ თუ იგი პოეტს ეკუთვნის, მას წყლის სიმინდესთან ერთად, შემოქმედის დაჭრილი გულის სისხლიც ემატება და გაცილებით ძვირფასი ხდება მკითხველისათვის. პოეტის ცრემლი გულ-მკერდზე დაკერებული მარგალიტის ღილია, ცისარტყელას მაკრატლით გამოჭრილი და წვიმის ძაფით შეკერილი ხელთათმისი ღილია, იად აღმოცენებული სიღამაზეა, ამიტომაც ვასაფრთხილებელი და მოსაფრებელი<sup>20</sup>.

"მასხცხვებად... მისი სულის პოეტური ნაკანრების მოსმენის ბედნიერება ჩვენ, ხობისწყლის პირად დაჩიბულ გოგო-ბიჭებს - ელისო ლემინჯავას, ბელა ქებორას, კოტე უბირიასა და სხვებს ხშირად გვექონია. ჩვენზე უფროს ნინო დარბაისელის ლექსების მდინარისპირულ პრეზენტაციას სულ სხვა ხიბლი უჭონდა. ნინო პირველი იყო, ვინც ქართულ ლექსს, წყობილიტყვას გვაჭაშნიკებდა. იყო "შვიდფერი მეზის" ლამაზი საღამოები ჩვენს ჩხორანწყში, ჩვენს ოღობადესა და შურუბუშაში. რა ვიცოდით მაშინ, რომ იქ თურმე სულს ვითქვამდით. ამას ახლა ვხვდები, აგერ, ამ მითაყამის მოახლოებულ გაზაფხაყთან<sup>21</sup>!

"ახლა კი ნინოს ლექსების კითხვისას ისეთი გრძობა მეუფლება, თითქოს ბავშვობისდროინდელ თამაშს ვეთამაშებოდე სიტყვებს - წრეში ვიდრე თვალახვეული და ხელის ცეცებით ვეძებდი, ვისაც ვეთამაშებდი. სიტყვები იდუმალებით აიიან მოსილენი და მათი მოხელთება მეტად ძნელია, ოღონდ შეუძლებელი არ არის. მთელი ეს პროცესი მომაგონებს ტიცინან ტაბიძის ტერმინს "გადავარდნა", რით-

აც იგი აღნიშნავდა თავის "ლიცენცია პოეტიკას", რომელიც ასე უხდებოდა და შეფერვბა ნინო დარბაისელის ლექსებს<sup>22</sup>.

"ყოველივე ამ სახის სიკეთეს და მხატვრულ მაღალ ღირებულებას ქმნის შიდა ადამიანური სიბრძნის და პოეზიის ხელშეწყობით ჭეშმარიტებით.

ლექსის არქიტექტონიკის ინდივიდუალური ფორმა და სტილი, რითმა და პლასტიკა თავისი პასაჟებით ურთიერთში ჰარმონიულად გადაადის ზომიერი მუსიკის და ფერის მეოხებით"<sup>23</sup>.

"და ამის მიზეზია ის, რომ"<sup>24</sup> "პოეტური გარდასახვისა და ადაპტაციის არაჩვეულებრივი უნარის წყალობით ნინო დარბაისელი ახერხებს ისეთი ჰარმონიის შექმნას, სადაც ყველა დეტალი ერთიანობისა და ურთიერთგანსაზღვრულობის წესებს ემორჩილება. ამიტომ მისი ლექსი არის მთლიანი და მრავალგანზომილებიანი"<sup>25</sup>.

"დაიბა"<sup>26</sup>, ეს მართლაც ასეა. ნინო დარბაისელთან პართონოგენეზი ხდება. ისიც არის, რომ იგი მუდამ ისწრაფვის, "ხელოვნება ხელოვნებით" გადაღახოს და, ამასთან, არ დაკარგოს მისთვის დაუახსიათებელი ეროტიკიზმი".<sup>27</sup> "მოკლედ"<sup>28</sup>, "ნინო დარბაისელის ეროტიკიზმი-სექსუალური ლირიკა ერთ სასიერო თავისებურებას ამჟღავნებს: საკუთარ ხორციელ სურვილებს და ვნებათა აზვირთებას ავტორი გვანვდის ეკვივოკური, ორაზროვანი მანერით, რაც თავად მას, როგორც ჩანს, პოეტური ბი-სემანტიკურობა ჰკონია"<sup>29</sup>.

"თუმცა ამის შესახებ უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი"<sup>30</sup>...

"აუცილებლად უნდა ვსაუბროთ ნინო დარბაისელის პოეზიის ტროპული მეტყველების ზოგიერთ თავისებურებაზეც. კერძოდ, "კარის" სახე-მეტაფორის რელევანტურობასა და ინდივიდუალურ აღქმაზე. კარის მეტაფორული სემანტიკა ძალიან საინტერესო დატვირთვას ატარებს ქართული კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში (სახლ-კარი, კარმიდამო და ა. შ.). პოეტი ეფექტურად სარგებლობს გამონათქვამის მზა კონსტრუქციით, შლის მათ და აწყობს ახალს და განსხვავებულს, ან, ზუსტად ფრა-

ზებითა და სტრიქონებით ამყარებს და ნათესს პუნს მის სახეობრივ დეფინიციას. ხანდახან მის შემოქმედებაში კარის სახე-მეტაფორა სრულიად ინოვაციურ და არაშაბლონურ დატვირთვას იძენს. პოეტის გამჭვირვალე და მოულოდნელი პლასტების პალიტრა კიდევ უფრო სხვაგვარი ელფერს სქენს კარის აქამდე ნაცნობ და აღიარებულ მეტაფორულ სახესხვაობას"<sup>31</sup>.

"ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე"<sup>32</sup> "ნინო დარბაისელის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ აქ სამოღუსიანი განზომილება "დრო", რომლის ჩატეხასაც კაცობრიობა ვიწოდებ ცდილობს წარსულის, აწმყუსა და მომავლის ჩარჩოებში, მეოთხე ნახანგსაც იძენს, მას პირობითად უსივრცო, ან უსაზღვრო დრო შეიძლება, ვუნოდოთ, იმიტომ, რომ შლის საკუთარი მნიშვნელობის გარშემო შემოვლებულ ყოველგვარ ზღვარს "და"<sup>33</sup> იმდენად ტვეად აღმნიშვნელად გადაიქცევა, რომ მის მიღმა არა ერთი და რამდენიმე, არამედ უსასრულო რაოდენობა აღსანიშნი მოიაზრება, სამოღუსიანობა მხოლოდ ერთი, ყველაზე ადგილდაღსაქმელი და გასააზრებელ დეფინიციას, რომელიც წანილობრივ გვანვდის ინფორმაციას საკუთარი აღსანიშნის შესახებ, ის დრო კი, რომელზეც ვნერთ, უსასრულობას, მარადიულობას, წრიულობას, ვექტორული დროის მიღმა არსებულ მითოსურ დროს და კიდევ არაერთ ცნებას აერთიანებს, შესაბამისად, მის გარშემო არსებული სივრცეც განსხვავებულია და თუკი სხვა დროს სიტყვებს ძალტვით ამა თუ იმ საგანზე კიდური ინფორმაციის მოწოდებით პატარა ტექსტუალური ეგვიდი მოხაზონ და განსხვავებული კუთხით დაგვანახონ ესა თუ ის საგანი, ამ ემთხვევაში პირიქით ხდება: ერთი შეხვედით ჩვეულებრივი საგნები, მაგალითად, ისეთები, როგორცაა უბრალო ყელსაბამი ცხვრის გამოსახულებით, ან საყვარელი ყავის ჭიქა - თავად იქცევიან ეტიუდებად, უფრო რომ დავკონკრეტდეთ: საგანი ეტიუდად მასზე შექმნილი ყოველგვარი ტექსტის გარეშე იქცევა, ეს კი სიტყვებით აზროვნებაზე მეტად, ხატებით სახეებით აზროვნებას უახლოვდება, სადაც დომინანტი აღსანიშნია, მისი აღმნიშვნელი გრაფიკულ-ფონეტიკური გამოსახულება კი მხოლოდ დეკორია, მაგიურობის განცხადს საგნების თავისთავად აურა ქმნის და ამა თუ იმ საგნის შესახებ სიტყვებით მოწოდებული ინფორმაცია"<sup>34</sup>.

"პოეტური გამოთქმის ეს ტიპი ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს ერთი მხრივ თანამედროვე ამერიკელ პოეტ შელ ელისონთან, მეორე მხრივ თანამედროვე რუს პოეტ ვალერი ნუგატოვთან. ჩემი დაკვირვებით ნინოსთან მათ ანათესავებთ: 1. პოეტური იმიჯის ხშირი ცვლა 2. საგნების, მოვლენების ჩამონათვალში შეტანის, აღნუსხვის ვნება 3. პოპულტურის ელემენტების გადმონერგვა"<sup>35</sup>.

"და, რაც მთავარზე მთავარია"<sup>36</sup>, "მისი ლექსები შემოდიან, როგორც სტუმრები ჩვენს დროში იმ დროიდან და სივრციდან, სადაც ჯერ კიდევ შეუდებული დრო ინახავს უცნობ სახელთა ხსოვნას და "ქვების მუსიკას" "პეტროგლიფებით" დანერილ ფხოველთა კომკებაზე...



ხოგაის მინდიას სოფლებზე გამოივლის მისი "ლექსების დოდი" და შემოვა აქ და იმ დროში, სადაც ადამიანები კარგავენ ღვთიურ სახეს: მოიქცევიან კაცნი - დიაცლად და დიაცნი - კაცად, იცვლიან ზნეს და სამოცლად და თითქოს ჩრდილდაკარგულნი დგანან მზეზე?<sup>1</sup>

გადალახავენ თუ არა ამ "უდროო დროის კედელს" ეს "უხორცო მხედრები" მომავლისაკენ, თუ ჩარჩებიან ამ დროში, ან ისევ უკან მიიქცევიან წარსულისაკენ?! - ვერავინ ამოიცივბოს...

ისინი შემოდინან იმ სივრცეში, სადაც უძველესი დაბნელები და ქალაქები ილექებიან შედედებულ მდინარეთა ფსკერზე, ანუ სიმურის ("ამარუსს") წარღვენებში და რადიაციულ მტვერში!

ისინი, თითქოს, განირუღი არიან დროისაგან და წარსულთა სულების მიერ, რადგან თვით მათ განიწერს და დაივიწყებს დრო და ისინი, დამორღნენ მათ...

ისინი არ გადიან უფლის კართი უფლის დროში, ისინი გადიან, სხვა კართი სხვა დროში, რომელიც არავინ უწყის ვისი დროა იგი?"<sup>2</sup>

საე რომ არ იყოს, ამ პოეტს და მის შემქმნელებს დღე ხანია მიეგატრონებოდა (არა მხოლოდ) ქართველი მკითხველი! ის ხომ არაჩვეულებრივი პოეტია, უძლიერესი მთარგმნელი, მან ხომ მთელი ცხოვრება მხოლოდ სიტყვიერებასა და პოეზიას შეალოა. ტრავედიამაც მასში თითქოს შექმნა დიდ ნიჭთან ერთად ის ფსიქოლოგიური ნიადაგი, რომელზეც ამოიზარდა მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ტრავედიზმისა და ლირიზმის ნაწილი, სულიერი სიღრმეების თითქმის მიუწვდომელი არეები. მან "გადაარჩინა თავის თავში ნიჭიერება" ("ზ. აბზიანიძე) და მიუხედავად იმისა, რომ მართა თავის პოეტურ საბრძანებელში, პოეზიის მოყვარულთა მთელ თაობებს აზიარებს თავის საოცარ შემოქმედებას. ის ახერხებს სრულიად ახლებურად შეაერთოს და დააკავშიროს სიტყვები - უფლის უხორცო მხედრები, ახალი პოეტური არქიტექტურა შემოგვინახოს, სიტყვიერების ახალი მუსიკა მოგვასმენიანოს, სულიერების ახალი სივრცეები დავგანახოს. ამიტომ ამ შემოქმედს აქვს უფლება, ერქვას პოეტი! იმის უფლებაც აქვს, იყოს პოეტი, რადგან აქვს განცდა ტრავედიისა, აქვს ნიჭი, ატარებს სხვისა, მარტოობას, მარად ეჭვს, ნათელ გონებას, უჩვეულო სმენას, სიტყვის ჟინს, იშვიათ პასუხისმგებლობას სიტყვიერობას და დროის წინაშე, საოცარ შრომისმოყვარეობას და წაიღეს იმისას, რომ არავის ჰგავდეს, თავის ხმა ჰქონდეს, თავისი სათქმელი, თავისი კანონებით დაწერილი სიტყვის სამყარო შექმნას. არ ენდობა არაფერს და არავის: არც ხილულ და არც უხილავ მტერსა და მოყვარეს, ტყაშა და საცდურს. ყველაფერს ერთადერთისკენ მიმართავს - აფოკუსირებს პოეზიად, პოეზიაში, პოეზიისთვის. მას ტანჯავს ცხოვრება, მისი არ ესმით, ან ესმით, მაგრამ არ აგონებენ. მას აქვს უმძიმესი ხასიათი, იგი ცხოვრობს სხვა რეალობაში, მარტოსულია და მარტოხელა, მარტობინადარი. მარტოობის მსოფლიოს მფლობელი, ულუკმაპურო, უმოყვასო, ელოდება, როდის გაზომავენ და როდის აღმოაჩენენ დარწმუნებით და დაუეჭვებლად მის "გა-

ნიერ სტრიქონს". მე ვიცი, რომ ის ტანჯულია და მხოლოდ იმიტომ არ მეცოდება, რომ პოეტისათვის ალალია ეს ტანჯვა. და როცა ის მარტოდმარტოა, შია, სწყურია, მოძმეც, თანამეცხედრეც, შვილიც, დედაც, როცა უბრალოდ ზის და თვალი ჭერს მიუშტერება, ყოველთვის ახსოვს, რომ ერთადერთი მეგობარი ღმერთია!

გენიოსებო, "ტვინდასეტყვილებო", ნიჭიერებო, თქვენ გვეხმარებით, რომ ვიარსებოთ, ვიქონიოთ ღირსებები, ვიქონიოთ სმენა, ხედვა, გემოც კი, უხილავი თუ ხილული ხელებით შევცხოთ სივრცეები, მარადისობას, წარმავლობას, ამაოებას და ყველა ამ შეგრძნებებით გავივით რაა სამყარო, რაა ღმერთი, რაა ადამიანი, რაა სიცოხლე, რაა ბედნიერება, რაა უბედურებაც, რაა სიყვარულიც, ან სული რაა და სამშობლო რას ჰქვია, მაგრამ იმაშიც დაგვეხმარეთ, რომ არ დაგვკომპლექსდეთ, და მუდმივად არ ვიტანჯოთ თქვენი თავის დროზე ვერმიპატრონების გამო. ჩვენ ხომ ათასწლეულია და სინატს ვჯვრცმავ გვეყოფნის სატანჯველად და ქინანულად"<sup>3</sup>

"ბედნიერები არ წერენ და არც ხატავენო - ამბობს ერთგან ინტელიგენტო ნინო დარბაისელი. მას ჩვეულებრივ ადამიანებო ბედნიერება ვერც უსურვებს. ვერ იკმარებს და, ალბათ, იმიტომ. მთავარია, "პოეზიის დანაღმული ველიდან" მშვიდობიანად გააღწიოს. რაც შეეხება ე. წ. "უსაფრთხო ლექსებს", დანამდვილებით ვიცი, რომც მონინდომოს, უკვე ველარ დანერს"<sup>39</sup>...

**წერილი გამოყენებული თითოეული სიტყვა, შესაბამისად, აბზაცი და შესაბამისად სრული ტექსტი წარმოადგენს ციტატას (ციტატათა ნაკრებს) და ავტორს (ლექსი დროულს) არ ეკუთვნის. სქოლიოებში მიითვლება გამოყენებულ, ციტირებულ ტექსტთა (რეცენზიათა, კრიტიკულ პუბლიკაციათა, წიგნების წინასიტყვაობათა...) ავტორები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არიან მათი (ციტირებულ ტექსტთა - (რეცენზიათა, კრიტიკულ პუბლიკაციათა, წიგნების წინასიტყვაობათა...) ადრესატები. ავტორმა მხოლოდ "წინო დარბაისელი" სილოვისტურად ჩაანაცვლა თითოეული ადრესატის სახელი და გვარი, ყოველივე დანარჩენი კი უცვლელი დატოვა.**

**P. S. ტექსტებს, რომელთა მოძიებაც ინტერნეტ სერვერში საიმიტო სისტემებით არის შესაძლებელი, არ აქვს მითითებული მათი პრესაში გამოქვეყნების ატრიბუტიკა.**


1. სქოლიო ნუმერაციით 1, რომელიც წერილის პირველ ორ სრულ აბზაცს აღნიშნავს ეკუთვნის ინგა მილიონავას; წერილიდან "სამოთხე უსიყვარულოდ" და სამოთხე სიყვარულში", რომელშიც განხილულია მაკა ჯოხაძის წიგნი "სამოთხე უსიყვარულოდ"; "ციტატა"; N1; 2010 წელი; გვ. 123-130.
2. ნინო ვახანი; წერილიდან "ფერისცვალება", რომელშიც განხილულია ზვიად კვარაცხელიას მოთხრობა "შეკვეთილი წირვა"; "ჩვენი მწერლობა"; N18 (174); 2012 წელი; გვ. 52
3. დავით თედორაძე; ბელა ქვბურია; წიგნის "აბჯე" (აბუსედიოე როინ, ბერიძე არილ, გაბაიძე გიორგი, დოლუხე გენრი) წინასიტყვაობიდან; ბათუმი; 2010 წელი; "გამომცემლობა აჭარა".
4. იმარ თურმანაული; წერილიდან "ელა გოჩიაშვილის შესახებ" (წიგნიდან "პირველად იყო... და რა იყო რა").
5. ეს გამოთქმა პოეტ-ზიდს, პოეტ-პანდუსს გიორგი ლა-

- ცაბიძეს უნებლიეთ წამოსცდა პირად საუბარში, რომლის დროსაც იგი რბილად რომ ვთქვათ, "დედის მ..." -ს აგინებდა ერთ-ერთ თანამედროვე პოეტ ჯ. შ.-ს, თუ ყ. ყ.-ს. ანდომუხლის ფაქტობრივი დადასტურება შეუძლიათ იქ მყოფ ბრწყინვალე პოეტ ლევან მაისურაძესა და პოეტ დავით გურამიშვილის ძეგლს (ავტ.)
- ნინო სადღეობლაშვილი; წერილიდან "ახალი მითის სინამდვილე", რომელშიც განხილულია ნინო ხარატიშვილის რომანი "ჟუჟა"; "ლიტერატურული გაზეთი"; N13; 2014 წელი; გვ. 15.
  - ჯაბა ზარქუა; წერილიდან: "ჰოლდენა კოლოფილადის love story", რომელშიც განხილულია ლამა მილორაგას ნივთი "ბაბუა ბუკოესკი"; "არილი"; N2 (217); 2013 წ.; გვ. 54
  - ლელა კოდლაშვილი; წერილიდან "პოეტები ხიდები", რომელშიც ტექსტუალური გამოწვლილით განხილულია ბათუ დანელიას პოეზია; "ახალი საუნჯე"; N6; გვ.10-11
  - სოსო (სოლო, სოლომონ) ტაბუცაძე; წერილიდან "ზამ(ზა)ბურჭულაძის სიზმარცხადა";
  - ნანა კუცია; წერილიდან "წარმოსახეითი შეხვედრები, რომელშიც განხილულია როსტომ ჩხეიძის ნივთი "ვითა სიზმარი ღამისა"; "ლიტერატურული გაზეთი"; N125; 2014 წ.; გვ. 10
  - ლექსო დორუელი; წერილიდან "პოეტი ადამიანისთვის, თუ ადამიანი პოეტისთვის?", სადაც განხილულია რამაზ ბერაძის პოეზია; რამაზ ბერაძე; "ბედისმწერალი"; თბილისი; 2013 წელი; გამომცემლობა "საქართველოს მაყნა";
  - ნუგზარ ზაზანაშვილი; წერილიდან "ნივთი, რომელიც დარჩება", რომელშიც განხილულია დათო ქარდავას ნივთი: "მტკვარი და მისი ორი ნაპირი"; "ლიტერატურული გაზეთი"; N109; 2013 წ.; გვ. 14
  - მანანა კვაჭანტირაძე; წერილიდან განგაშის რომანები, რომელშიც განხილულია ოთარ ქილაძის პროზაული შემოქმედება;
  - გია არგვანაშვილი; წერილიდან "დარდის ღრუბელი დარინდა", რომელშიც განხილულია ირაკლი სამსონაძის ნივთი "ღრუბელი, სახელად დარინდა"; "ლიტერატურული გაზეთი"; N125; 2014 წ.; გვ. 3
  - ივანე ამირხანაშვილი ბათუ დანელიას პოეზიის შესახებ; "ახალი საუნჯე"; N6; გვ. 18
  - დინა ანთიმიაძი; წერილიდან "ლელა სამნიაშვილის ფრეკტალები"; "ცისკარი"; 2011 წელი; N1; გვ. 138-139.
  - ნუგზარ ზაზანაშვილი; წერილიდან "ნივთი, რომელიც დარჩება", რომელშიც განხილულია დათო ქარდავას ნივთი: "მტკვარი და მისი ორი ნაპირი"; "ლიტერატურული გაზეთი"; N109; 2013 წ.; გვ. 14
  - მარინა ხარხელაური; წერილიდან "ფერებით ამტყვევებელი სამყაროს ტყვიელი", რომელშიც განხილულია ტარიელ ხარხელაურის ნივთი "მინდვრის ფსალმუნები"; ანაექ ნივთის გვ. 6-7; თბილისი; 2008 წელი; გამომცემლობა "ეროვნული მწერლობა".
  - ნივთიდან "სამარხო კერძები"; გვ. 5; თბილისი; "საპატრიარქოს გამომცემლობა"; 1985 წ.
  - თამარ ბარბაქაძე; ნივთიდან "ქართული ლექსმცოდნეობა და სხვა..."; ხსენებულ მონაკვეთებში ღრმად პატივცემული ქალბატონი თამარი მიმოიხილავს ელა გოჩიაშვილის, ედუარდ უგულავას, გელა დაიაურის და აკაკი ბიძინაშვილის პოეტურ პარნასზე დავანების შესაძლებლობას; გვ. 321-354; გამომცემლობა უნივერსალი; 2006 წელი.
  - გელა გობერძის ნინასიტყვაობიდან კოტე ნაჭყებიას ნივთზე "აქ, ჩემი სულის ტყუპარჩიხილი"; გვ. 5; თბილისი; 2010 წელი; გამომცემლობა "ლო".
  - დალილა ბედიანიძე; წერილიდან "ეთენდები ახლა",

- რომელშიც განხილულია კატო ჯავახიშვილის პოეზია; "ლიტერატურული პალიტრა", ფასი: 2 ლარი; N3; 2013 წელი; გვ. 155-157.
- რეზო (ქველიანე) ადამია, მხატვარი, მწერალი, გალაკტიონის პრემიის ლაურეატი; ლუდა ღონისძიების ნივთის - "სიციხეების მადრეგნები" - ნინასიტყვაობიდან; თბილისი; 2010 წელი; გამომცემლობა "მეზარა".
  - გია ექვერძე; წერილიდან "ეროტიკული - როგორც პერფორანსა და პორნოგრაფია"; "ახალი საუნჯე"; N3 (11); 2014 წ.; გვ. 73
  - უცნობი ავტორი; წერილი შეეხება ქართულ პოეტურ პარნასზე ბულბულად ნოდებელი მანანა ჩიტაშვილის პოეზია "ჩვენი მწერლობა"; 2012 წელი; N19; გვ. 26.
  - მურმან თავიშვილი; წერილიდან "დავლა და დავლური დავლიანისა", რომელშიც განხილულია ჯემალ დავლიანის ნივთი "დაჩხილი ნივთები"; "მწერლის გაზეთი"; "მწერლის გაზეთი"; N9 (223) 2013 წ.; გვ. 8
  - იუკო მისია; წერილიდან "წმინდანი ქურდი", რომელშიც განხილულია ჟან ჟენეს პროზა; "ლიტერატურული საქართველო"; 2013 წელი; N67; გვ. 19.
  - როსტომ ჩხეიძე
  - თეიმურაზ დლიაშვილი; წერილიდან "და შენს ნინაშე ვეღვარ ტიტველი" (გვირ ალხაზიშვილის ეროტიკულ-სექსუალური ლირიკა).
  - ნივთის - "საოჯახო მედიცინა" - ნინასიტყვაობიდან; ავტორი: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვ. ალადაშვილი; ავტორთა კოლექტივი: ვ. აბდუშაბაძე, ა. ალადაშვილი, ვ. ალადაშვილი, ვ. ბაბუხაძე, ე. პოცაძე, შ. გამყრელიძე, კ. გეგელაშვილი, მ. გელოვანი, მ. შ. გიგინეიშვილი, მ. ს. გიგინეიშვილი, გ. გურგენიძე, ნ. ემვალი და სხვები. გვ. 4; გამომცემლობა "საქართველო" 1991 წ.
  - ნუკოქო დავანაშვილი; წერილიდან "ქარის სახე-მეტყვორა თემურ ჩხეტიანის პოეზიაში"; "ახალი საუნჯე"; N8; გვ. 16; 2013 წელი.
  - ლევან ბებურიშვილი; ნივთიდან "მწერლობის "მოთივნიერება" გრძელდება; გვ. 24; თბილისი; 2012 წელი
  - ნინო დარბაისელი; წერილიდან "რკინის საწოლი" (გალაქტიონის რეცეფციონისთვის ოთარ ქილაძის შემომეგებაში); "ცისკარი; N1; 2010 წელი; გვ. 134-135.
  - სოფიო ნულია; წერილიდან "არანაბნობრი ფსიქიკის გამოვლენება ლია ლიქუკლის პოეზიაში"; "ლიტერატურული გაზეთი"; N13; 2014 წელი; გვ. 8
  - გიორგი ხასია; წერილიდან "თეზისები პაატა შამუგია პოეზიაზე"; საავტორო ბლოგი; "ცხელი შოკოლადი"; 2012 წლის პირველი ივლისი.
  - მურმან ჯგუფურა; წერილიდან "ყვავილთა მწყემსი, ანუ ნივთის ამივეტ მიზანერი", რომელშიც განხილულია გურამ პეტრიანიშვილის ნივთი "100 ლექსი"; "ჩვენი მწერლობა"; N25 (207); 2013 წ.; გვ. 44
  - იაკობ-აბა არაბული (Iakob-aba Arabuli); იაკობ-აბა არაბულის ნივთის - "მითების გაღვივება" (Awakening of Myths) - ნინასიტყვაობიდან; თბილისი; 2012 წელი; გამომცემლობა "მერანი"; გამომცემლობის დირექტორი ვაჟა ჩორდელი, რედაქტორი ავთანდილ ვართაგავა, ილუსტრაციის მხატვარი ტარიელ ვართაგავა, ყდის მხატვარი ზუბა არაბული, დიზაინერი-დამკაბადინებელი კეზი (ნიკა კუმულარია), დიზაინერი გიორგი არაბული, ამკრები ნინო გრიგალაშვილი.
  - მარინა ნიკულაური; სადღეობლაშვილი "როცა არ გვეყვარა, არათუ სული, არამედ მღვრივა მთელი ჩვენი ეს კაცობრიობა", რომელიც მიძღვნილია ბათუ დანელიას პოეზიისა და პიროვნებისთვის; "ახალი საუნჯე"; N6; გვ. 13-14.
  - ნონა კუმურეიშვილი ბათუ დანელიას პოეზიის შესახებ; "ახალი საუნჯე"; N6; გვ. 4.

# ხატუნა ხაბულიანი

## Re: Museum



პუბლიკაცია *Re:Museum* ყდაზე ჩამოთვლილი პერსონების სახელებით მიიზიდავს სახელოვნებო სივრცესთან ახლოს მყოფ მკითხველს და მკაფიო სტილის დიზაინითაც გაუმყარებს მოლოდინებს შინაარსზე. ნიგნის მხატვრული მხარე მანანა არაბულს ეკუთვნის, ტექსტში ჩართული სიახლისა და თავისუფლების განწყობით სავსე გრაფიკული კომენტარები კი ოთარ ყარალაშვილს, რომელიც პროექტის მსვლელობისას თარჯიმნის როლს ასრულებდა, მუშაობისას სპონტანურად გაკეთებული ჩანახატების ნიგნის ილუსტრაციებზე შერჩევა კი მოგვიანებით გადაწყდა.

ნიგნიცა და გამოფენაც საერთო სათაურით - *Re:Museum*, - თბილისის გოეთის ინსტიტუტისა და ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტის - „მუზეუმი - დროის მანქანის“ - ფარგლებში მომზადდა და მუზეუმების თანამედროვე პრობლემატიკას ეხება. პუბლიკაცია განავრცობს თემას, რომელზეც კურატორებმა და გამოფენის მონაწილე ხელოვანებმა იმუშავეს. არტ ინსტიტუციების საკითხი, ზოგჯერ მათი საერთოდ არ არსებობა, - მაგალითად, ჩვენ არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ან გალერეა უახლესი ნამუშევრების მუდმივი კოლექციით, - საკმაოდ ხშირად განიხილება და მოიცავს დისკუსიასაც თემაზე, თუ როგორ შეიძლება დღეს მუზეუმი გამოიყურე-

ბოდეს, როცა სიტუაცია ძლიერ განსხვავებულია მუზეუმების ისტორიის საწყისი პერიოდისგან.

მუზეუმი საყოველთაოდ გავრცელებული კლასიკური გაგებით იმპერიული დისკურსის ნაწილია და ევროპულ კულტურაში თავდაპირველად გაჩნდა ტროფეების დემონსტრირებისა და იდეოლოგიური პროპაგანდის მიზნით, - ხელოვნება არისტოკრატისა და ძალაუფლების მფლობელთა ქონების ნაწილი იყო და კოლექციის პრეზენტაციაც იმ საზღვრებს გულისხმობდა, სადამდეც იმპერიის ამბიციები აღწევდა. არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკული მუზეუმები ამ მხრივ განსხვავდება ევროპულისგან და ისინი უფრო სავანმანათლებლო და მემკვიცნებით მიზნებით შეიქმნა, ერთგვარი „ცოდნის ტაძრების“ ფუნქციით. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკასა და ევროპაშიც არსებობენ უკვე ხანგრძლივი ისტორიის მქონე მუზეუმები, რომელთა მონუმენტური და კლასიციანტური იმიჯი უცვლელი რჩება და თავისი არსით ისინი კონსერვატიულ ინსტიტუციებს წარმოადგენენ; თუმცა სხვა ტიპის მუზეუმებიც გვხვდება და ძირითადად ისინი განიხილავენ მუზეუმის ახლებური ხედვისა და ტრანსფორმაციის საკითხებს. სწორედ ამ თემაზე საუბრობენ ინტერვიუების კრებულში წარმოდგენილი რესპონდენტები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმების ხელმძღვანელებს ან თანამედროვე არტ სამყაროს მოქმედ ფიგურებს წარმოადგენენ.


ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის გოეთის ინსტიტუტის დირექტორი შტეფან ვაკეიტივი წერს ნიგნის შესავალ ნერილში, რომ ამერიკული მუზეუმები, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს ზღაპრულად მდიდარი და კულტურის სფეროში ამბიციური კაპიტალისტების - როკფელერების, მელონების, ვანდერბილდებისა და უითნის მიერ შეიქმნა, ენციკლოპედიური ტიპისა და სხვადასხვა კულტურების ნიმუშებს უყრის თავს და „ერთგვარ უნივერსალურ იმპერიალისტურ იმიჯად გვევლინება, რომელიც კაპიტალიზტურმა არისტოკრატამ საკუთარი თავის შესახებ შეიქმნა, ნიუ-იორკის „ოქროსი საუკუნის“ პერიოდში.“ ამის შემდეგ კი მხოლოდ ავნიუზე მყოფი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი სცენაზე გამოდის, როგორც XX საუკუნის „მოდერნისტული ოცნება, სადაც ბატონობს დემოკრატია, თავისუფალი ვაჭრობა და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი. და ა.შ... მუზეუმები სეკულარული საზოგადოების ტაძრებს წარმოადგენენ.“ შტეფანი ვაკეიტის აზრით, მუზეუმი აწვევებს იმას, თუ როგორ ხდება ქვეყანა საკუთარ თავს და საერთოდ მუზეუმები „რემარკუნენტატული აზროვნების კოლექტიური გამოხატულების შედეგს“ წარმოადგენენ.

თბილისის ეროვნულ გალერეას, სადაც სხეულებული ექსპოზიცივა მოეწყო, ასევე ტიპური ისტორია აქვს და მისი თავდაპირველი დანიშნულება, როცა „დიდების ტაძარი“ ერქვა, რუსული იმპერიული წარმართის გავრცობა იყო. მის ექსპონატებს კავკასიაში რუსეთ-


ის ძალაუფლების ტრიუმფი უნდა ეჩვენებინა. თუმცა ისტორია განსხვავებული გზით წავიდა და შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ცისფერ გალერეასაც უკვე სხვა იდეოლოგია და უტოპიური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ვარიანტის შესაბამისი სტილი - სოციალისტური რეალიზმი უნდა დამკვიდრებინა. გამოფენა - *Re-Museum* - ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, გერმანელი ხელოვანების ნამუშევრებს აჩვენებს, წიგნის შემდგენელი და ინტერვიუერი კი ვატო წერეთელია, - თანამედროვე ხელოვნების ცენტრის - თბილისის ხელმძღვანელი. პუბლიკაცია ინგლისურ-რუსული ბილინგვაა და ამ მხრივ სამწუხაროა, რომ ადგილობრივი აუდიტორია მას ქართულ ენაზე ვერ გაეცნობა, თუმცა გასაგებია, რომ მისი ყველა მოწინააღმდეგის ენაზე გამოცემა პრაქტიკულად რთულად განსახორციელებელი იქნებოდა.

მსჯელობა მუზეუმების კრიზისის, მათი განახლების აუცილებლობაზე მოდერნისტული ხელოვნების საწყისებიდან არსებობს, როცა რეალობასთან დაშორებული აკადემიზმი, ცხოვრებისგან მოწყვეტილი სტუდიური მხატვრობა და შინაარსმოკლებული ფორმაზე კონცენტრირება კრიტიკის მთავარი თემა გახდა. მუზეუმის მიმართ პრეტენზიები იცვლება კულტურაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად და დღევანდელ პირობებში, ხელოვნების ლიბერალიზაციის ახალი ეტაპის ფონზე, რასაკვირველია განსხვავებულია მოთხოვნები, რომელთაც ჩვენი დროის დამთავალიერებელი თუ ხელოვანი არტისტიტუციებს უყენებს. როდესაც თანამედროვე ხელოვნებაში თავად ნამუშევრის სტატუსი შეცვლილია და მისი მოქმედების ველი აღარ არის კონკრეტული საზღვრებით განპირობებული, მისი პრეზენტაციისა და შენახვის ადგილიც თვისობრივ ცვლილებებს მოითხოვს. თანამედროვე ხელოვნების მუ-

ზეუმების ფუნქციაც განპირობებულია ხელოვნების ნამუშევრების როლითა და სოციალური მოთხოვნების მიხედვით. „ხელოვნების ნიმუშის როლი აღარ მდგომარეობს წარმოსახვითი და უტოპიური რეალობების შექმნაში, არამედ არსებულ რეალობაში ის მოქმედების მოდელსა და ცხოვრების წესს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რა მასშტაბს აირჩევს არტისტი,“ - წერს ნიკოლა ბურიო თავის „რელაციონალურ ესთეტიკაში“, რომელიც წინა თანხელის ერთ-ერთი პოპულარული თეორია იყო, ხოლო თავად ნიკოლა ბურიო 1999-2006 წლამდე პარიზის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის - პალე დე ტოკოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და შეძლებისდაგვარად პრაქტიკაში ახორციელებდა თავის შეხედულებებს თანამედროვე არტისტიტუციების აქტივობების შესახებ, სადაც ხელოვნება შემადგენელი ნაწილია ადამიანური ურთიერთობებისა და სოციალური კონტექსტისა. უშუალოდ მუზეუმის, როგორც კონცეფციის ან სოციალურ გარემოს და მის პოტენციალს ეხებოდა შეკითხვები, რომლითაც ვატო წერეთელი მიმართავდა თავის რესპონდენტებს პუბლიკაციაზე მუშაობის დროს. ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ინტერვიუდ შეიძლება ჩათვალოს საუბარი ჩარლზ ემესთან, რომელიც დღეისთვის ხელმძღვანელობს აბეს მუზეუმს *ენდპოვენში* და 2012 წელს ექვს ევროპულ მუზეუმთან ერთად დააარსა გაერთიანება, რომლის საბოლოო მიზანია თანამედროვე ხელოვნების ევროპული ცენტრის შექმნა 2017 წლისთვის. ჩარლზ ემეს ინტერესების სფეროებიდან ერთ-ერთი ხელოვნებისა და სოციალური ცვლილებების ურთიერთობებს ეხება. მუზეუმში მუშაობის პრივილეგიად ის მიიჩნევს შესაძლებლობას, რომ გადაიწეროს ისტორია პოლიტიკური თვალსაზრისით და მოხდეს მისი ჩვენება მოქალაქეების პოზიციიდან, როგორც კრიტიკულად








მოაზროვნე კოლექტივისა. მუზეუმის მოღვაწეობაში, მისი აზრით, მნიშვნელოვანი ზუსტად კრიტიკული აზროვნების მომენტი და უინტერესოდ მიიჩნევის იმ ინსტიტუციებს, რომლებიც ერიდებიან ნებისმიერ ინოვაციას. ისტორიის კრიტიკულად გააზრებას ასევე არსებითად თვლის ქმიშტოვ ჩიჟეკსი, რომელიც კონკრეტული ისტორიის მაგალითზე ჰყვება, როგორ შეიძლება ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის კავშირის საინტერესო ფორმით განხორციელება. მისი ისტორია ეხება ძველი, მიტოვებული სინაგოგის სიახლით შეესებას, მის ცოცხალ და საინტერესო სივრცედ ქცევას და იმ კავშირებელი რგოლის ძიებას, რომელიც ვიტრინაში მოქცეულ „მკვდარ“ ექსპონატებს უწყვეტი პროცესის ნაწილად აქცევს. კარლ პრუმა - ვენის სამხატვრო აკადემიის რექტორი საუბრობს მისთვის საინტერესო პროექტებზე, რომლებიც არქიტექტურული იდეების რეალიზაციაში ეხებას. ძალიან მნიშვნელოვანია ავსტრიელი დიზაინერისა და კურატორის, პიტერ ნოვერის მოსაზრებები კონსერვატული კონსტრუქციებისა და თანამედროვე ხელოვნების ურთიერთობების შესახებ. ის საუბრობს ვენის სიტუაციაზე, რომელიც თანამედროვე დასავლეთის პირობებში კონსერვატული კულტურის ეგზოტიკად იკითხება და, რასაკვირველია, შეიძლება ერთგვარი პარალელები პოვნაც ჩვენს სიტუაციაში, სადაც სრულად ავსტრიულ სინაგიგისთან მცირე რამ აქვს საერთო, თუმცა კონსერვატული უძრავობის ადგილობრივი ვერსია დაახლოებით მსგავს პრობლემებს ქმნის ქართული კონტექსტისთვისაც, სადაც სრულად უზნაუროდ და განხილვის გარეშე ჩაივლის ხოლმე არტიკული აქტივობის ისეთი პრეცედენტები, რომლებიც სხვაგან საჯარო განხილვის თემად იქცეოდნენ. რა როლს შეიძლება აქ ეროვნული მუზეუმი ასრულებდეს, ეს რთულად განსაზღვრი საკითხია და ეროვნული მუზეუმის დი-

რექტორის, დავით ლორთქიფანიძის აზრით კი, მნიშვნელოვანია ნონასწორობის შენარჩუნება ინტერდისციპლინარული მიდგომებისა და პრობლემების ლიად გამოქუების პირობებში. მუზეუმისთვის ისეთ სახასიათო ნიშანზე, როგორიც კოლექტორი მესხიერებაა, საუბრობენ ერიკ ბერგრენი და კოსტა ეკონომუ, რომლებიც განმარტავენ დავიწყების მუზეუმის კონცეფტს, ერთგვარ რეაქციას მდლის მიერ ინფორმაციით მანიპულირების საყოველთაოდ ცნობილ თემაზე, როცა ისტორიული გამოცდილების ერთი ნაწილის მეხსიერებაში შენახვა სხვა ნაწილის დავიწყების ხარჯზე ხდება.

ინტერვიუების კრებული ბორის გროისის ტექსტით სრულდება. „ინსტალაციის პოლიტიკაში“ ავტორი თანამედროვე ხელოვნების სპეციფიკურ მახასიათებლებზე მსჯელობას არტ ბაზრისა და ხელოვნების მასობრივ კულტურის ნაწილად ქცევის კონტექსტს უკავშირებს. ექსპოზიციის ის თავისებურებები, რაც ინსტალაციის ფორმატთან ერთად გაჩნდა, განაპირობებს როგორც ნამუშევრის პრეზენტაციის ხასიათსა და ხელოვნისა თუ კურატორის პოზიციების სხეულში.“ ბორის გროისი ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციაში წერდა იმ თანამედროვე პარადოქსის შესახებაც, როცა მუზეუმების საყოველთაოდ აღიარებული კრიზისის პარალელურად მიმდინარეობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების მშენებლობების ბუმი, იქნება ეს ახლო აღმოსავლეთი თუ აზიის ქვეყნები. ამბივალენტური პროცესები, რომელთაც ჩვენი კულტურული სივრცე გაჯერებულია, თავისთავად წარმოადგენს იმ რთული და დაძაბული მიმდინარე ისტორიის სურათს, რომელშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება და ხელოვნებისა თუ მუზეუმების ახალი ფუნქციების აღმოჩენა.



# დაუჭირა მხარი არილს

## ძვირფასო მეგობრებო,

### გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ეს მცირე განცხადება

„არილის“ ბექდური გამოცემა კვლავ საფრთხის ქვეშაა. ჟურნალის სტამბის ხარჯები ისევ მოსაძიებელია. გარდა ამისა, გვაქვს წინა რამდენიმე ნომრის დავალიანებაც (მარტივად რომ ვთქვათ, სტამბის ვალი). ერთხელ უკვე ვისარგებლეთ თქვენი მეგობრული დახმარებით, როდესაც 3-4 დღეში შევაგროვეთ არილის სტამბის ხარჯებისთვის აუცილებელი თანხა. არ გვინდა სულ ასე გაგრძელდეს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის და იმედი გვაქვს, მომავალი წლისთვის ყველა საკითხს მოვაგვარებთ, მანამდე კი წლის ბოლომდე კიდევ 5 ნომერი გვაქვს გამოსაცემი და ამ ნომრების ბექდვისთვის საჭირო თანხები კი ისევ არა ჩანს (შეგახსენებთ, კულტურის სამინისტრომ წლის ბოლომდე დააფინანსა „არილის“ გამოცემის საჰონორარო ხარჯები, თუმცა ხელშეკრულების მიხედვით, ბექდვის ხარჯები „არილმა“ ან თანადაფინანსებულმა ორგანიზაციამ უნდა გაილოს).

მოგმართავთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ გადაწყვეტილებების მიღება, მოგმართავთ ბანკებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა კომპანიებს, ყველას, ვისაც შეგიძლიათ თუნდაც ერთთვის რეკლამა ჩადოთ არილში და ამით დაეხმაროთ ჩვენს ჟურნალს. შეგახსენებთ, მთელი თვის ბექდური ხარჯები დაახლოებით 2000 ლარია.

დაეხმარეთ არილს, დაუღინკეთ ეს წერილი წარმატებულ ბიზნესმენებს, კომპანიებს, ორგანიზაციებს, რომლებთანაც შეხება გაქვთ და რომლებისთვისაც ძვირფასია თანამედროვე ქართული თუ მსოფლიო მწერლობა, ხელოვნება, ახალი იდეები, ქვეყნის მომავალი. მიანვდინეთ ხმა ყველა ქველმოქმედ ბიზნესმენსა და მენარმეს, რათა არ შეჩერდეს ძლივს გამოცოცხლებული ლიტერატურული პროცესი და ავტორებმა არ დაკარგონ მკითხველთან მისასვლელი საუკეთესო საშუალება ჟურნალ „არილის“ სახით.

პატივისცემით,  
„არილის“ რედაქცია

გთხოვთ, მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: [kharbedia@yahoo.com](mailto:kharbedia@yahoo.com)

შემოწირვის მსურველებისთვის ვუთითებთ ჩვენს ანგარიშს:  
საბანკო კოდი – TBCBGE22

ააიპ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ასოციაცია „არილი“  
ანგარიშის ნომერი – GE79TB7696236060100001

დანიშნულებაში გთხოვთ მიუთითოთ, „შემომწირულობა“ და შემომწირველი პირის ვინაობა ან ორგანიზაციის დასახელება.

# ნა პრიკაზა ყოფილიყო თქვენი რაქნაბა

ს 77/56

ტელ: 577 747-719  
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

